იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ლომიშვილი

ქართული თარგმანის მხატვრული და თეორიული ასპექტები შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარის“ მიხედვით

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (10 05) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი ლუიზა ხვიჩია

თელავი

2014

შესავალი

პროზაულ თარგმანს საქართველოში კარგა ხანია სერიოზული ყურადღება ექცევა. შევეცადეთ, შეგვესწავლა, დავკვირვებოდით და ჩვენეული მიდგომით შეგვეფასებინა შარლოტა ბრონტეს რომანის “ჯეინ ეარის” ქართულად არსებული თარგმანი. ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნები.

ლიტერატურული მოვლენები განვიხილეთ შედარებით – ისტორიული მეთოდით. ასევე გავითვალისწინეთ თარგმანისადმი წაყენებული მოთხოვნები. სადისერტაციო თემაში შესწავლილია ნათარგმნი მასალის შერჩევის პრინციპი. ზოგადი მთარგმნელობითი მეთოდის საჭიროების საკითხი.

ქართულ თარგმანებზე საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ წარმოდგენილი ნაშრომი შარლოტა ბრონტეს ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული განხილვის და თარგმანის შეფასების პირველი ცდაა. თუ რამ მოიპოვება, ძირითადად, ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათისაა. ამიტომ ეს პრობლემა თემაში ყურადღებას იქცევს ლიტერატურული კონკრეტულობითაც და თეორიული განზოგადებითაც.

XXI საუკუნე ღირებულებათა გადაფასების ჟამია. გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე პირობებში კულტურასა და ცალკეული წარმომადგენლის ურთიერთობას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. დიალოგი აზრთა გაცვლა, ანუ საუბარია. ოდესღაც უფალმა დასაჯა ადამიანები: ”აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა უფალმა ისინი დედამიწის ზურგზე” (ბიბლია,1989,20). მას შემდეგ საერთო ენის, ურთიერთობის მოძებნა ყველა მოაზროვნე ადამიანის სანატრელ ოცნებად იქცა.

XX-XXI საუკუნეების მეცნიერული აზრი აქტიურადაა ჩართული ამ პრობლემის გადაწყვეტაში. თუ ურთიერთგაგების მიღწევის ერთადერთი გზა კულტურული გლობალიზაცია – ლოკალურ კულტურათა გამოცდილების გაერთიანება-ურთიერთშეღწევაა, თარგმანს, ტრანსლაციას უკვე სხვა, ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება: გარკვეულწილად, თარგმანზეა დამოკიდებული ჩვენი კულტურული ღირებულებებიდან რამდენი და რა სახით შევა ერთიან კულტურულ

საგანმურში, როგორ გაიჟღერებს ქართული ენა და პირიქით, ქართული კულტურული მენტალობა კაცობრიობის მრავალხმიან ჰარმონიაში.

დისერტაციის ნაწილი ეძღვნება მხატვრული ტექსტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ლიტერატურული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ფენომენის – ავტორისეული წიაღსვლის – პრაგმატიკული თავისებურებების ანალიზს.

რა არის ავტორისეული წიაღსვლა? რატომ ჩნდება ის მხატვრულ ნაწარმოებში? ეს არის მხოლოდ ავტორის შემფასებლური კომენტარი ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით, მისი მონოლოგური მეტყველება, თუ აქტიური დიალოგი მკითხველთან? ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებზედაც შეძლებისდაგვარად სრული და ამომწურავი პასუხებია გაცემული წარმოდგენილ ნაშრომში.

საკვალიფიკაციო ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველადაა წარმოდგენილი ავტორისეული წიაღსვლების, როგორც ავტორის მეტყველების ერთ-ერთი ფორმის, მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი კომპოზიციურ-სტრუქტურული ელემენტის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. გარდა ამისა, წიაღსვლა განხილულია პრაგმატიკული, კერძოდ, მიკროპრაგმატიკული ასპექტების – დეიქსისის, რეფერენციის, იმპლიკაციის და სამეტყველო აქტების რეალიზაციის თვალსაზრისით. ავტორისეული მეტყველების კომპლექსურ ანალიზზე დაყრდნობით პირველადაა წარმოდგენილი სამეტყველო აქტების ზეპირი მეტყველების სფეროდან წერილობითი ტექსტის კვლევის სფეროში გადატანის მცდელობა.

კვლევის მიზანია შარლოტა ბრონტეს “ჯენ ეარის” დედანთან ქართული თარგმანის შეპირისპირებისას გამოვავლინოთ მათი სტილური ერთობლიობა, ერთგვარი სტილური კონტინუუმი, რომლის მიღწევა თარგმანში ხდება მთარგმნელის შემოქმედებითი გარდასახვის ინდივიდუალობათა სინთეზით. ასეთი შეპირისპირებით უნდა გაგვესაზღვრა რა ხასიათისაა და რამდენად ორგანულად ერწყმის დედნისეულ სამყაროს ყოველივე ის, რაც მთარგმნელის შემოქმედებითი ინდივიდუალურობიდან მომდინარეობს, ანდა დაკავშირებულია მთარგმნელის ენობრივ სამყაროსთან და დედნისაგან განსხვავებული წარმომავლობისაა (თარგმანის ენა,როგორც ახალი გამომსახველობითი ფენომენი, ამ ენის ხასიათიდან გამომდინარე მეტრი, რიტმი, ევფონია, შინაარსობრივი თუ მხატვრული

სუბსტიტუდები, ინტერპრეტაცია ტრანსფორმაცია,ჰიპითეზისი და გამოხატვის სხვა საშუალებანი). შეპირისპირების ანალიზით ნათელი მოგვეფინა რომანის ინდივიდუალური სტილის საერთო ხასიათისათვის, მისი ესთეტიკური მიზანდასახულებისათვის.

ასევე ნაშრომის მიზანია ავტორისეული წიაღსვლა განვიხილოთ არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის ერთ-ერთ კომპოზიციურ-სამეტყველო ელემენტად, არამედ კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმად, ავტორსა და მკითხველს შორის დიალოგად, რითაც ის ექცევა პრაგმატიკული კვლევის ჩარჩოში. დავადგინოთ მისი პრაგმალინგვისტური მახასიათებლები.

გარდა ამისა, კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ავტორისეული წიაღსვლების მრავალსახეობა და მოვახდინოთ მათი ტიპოლოგიური, სემანტიკურ-თემატური და მიმართვის რეალიზაციის მიხედვით კლასიფიკაცია.

ჩვენს ნაშრომში პირველადაა გამოკვლეული ბრონტეს ერთ-ერთი მაღალმხატვრული ნაწარმოების ქართული თარგმანი. ეს არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ნაშრომს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზია ჰქონდეს. ჩვენი მიზანი, ამ შემთხვევაში გაცილებით მოკრძალებულია. ვაპირებთ, ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ ამ თარგმანის შესწავლაში.

კვლევის მეთოდად ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური და შეპირის-პირებითი ანალიზი, რომელიც ფასეულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს მოკრძალებულ, მაგრამ მაინც წინგადადგმულ ნაბიჯს ენობრივი და ლიტერატურული უნივერსალიების შესწავლაში.

ავტორისეული წიაღსვლა განხილულია კომუნიკატურ-პროცესუალურ ჭრილში, როგორც დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის და არა მხოლოდ ავტორის მონოლოგური მეტყველება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ამ ტიპის ანალიზი ენათა შორის არსებული ინტერფერენციის დაძლევას უწყობს ხელს. გარდა

ამისა, ნაშრომი შეიცავს ქართული და ინგლისური ენების ტექსტის ტიპოლოგიის მასალას სალექციო კურსისთვის. შეიცავს საინტერესო მასალას ლიტერატორთა ფართო წრისათვის, ასევე ამ სფეროში მომუშავე მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. ანალიზის შედეგები და წარმოდგენილი მასალა შესაძლებელია გამოვიყენოთ მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში შარლოტა ბრონტეს შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია რომან "ჯეინ ეარის" კვლევა. საკვლევი საკითხის ირგვლივ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე დაყრდნობით, ინგლისური რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, განხილულია მწერლის მრავალმხრივი ესთეტიკური შეხედულებანი.

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია, როგორ ხორციელდება რომანში ყოველივე. გაანალიზებულია შარლოტა ბრონტეს რომანის თავისებურებანი და მისი ადექვატურობა თარგმანში.

ზემოთ აღნიშნული განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობასაც, რადგან თეორიის განხორციელება პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია. შარლოტა ბრონტეს ესთეტიკის მრავალმხრივი ასპექტის ურთიერთმიმართება ინგლისურ და ქართულ თარგმანებში ასევე მხატვრული დანიშნულების კვლევა საშუალებას მოგვცემს, რომ "ჯეინ ეარი" აღვიქვათ, როგორც ერთ-ერთი საინტერესო და მრავალფეროვანი რომანის ტიპი მხატვრულ ლიტერატურაში.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სპეციალური ლიტერატურა შარლოტა ბრონტეზე. მათ შორის, სიღრმისეული ფსიქოლოგიის კლასიკოსების ნამუშევრები და თეორიები, რადგან თვითონ შარლოტა ბრონტეს შემოქმედება ადამიანის სიღრმისეულ ფსიქოლოგიას განეკუთვნება.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლის, ოთხი თავის, ქვეთავებისა და დასკვნითი ნაწილისაგან. დისერტაციას ერთვის გამოყენებული თეორიული ლიტერატურის და მხატვრული ნაწარმოებების სია.

თავი I

ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის მოკლე მიმოხილვა

ცნობილია, ყოველი ახალი ეპოქა ახლებურად გაიაზრებს მხატვრული თარგმა-ნისადმი წაყენებულ მოთხოვნას, მაგრამ თვითონ თარგმანის მნიშვნელობა ნებისმი-ერი ქვეყნის ეროვნული კულტურისათვის დიდია და კულტურული ცხოვრებისათ-ვის ახალი სიცოცხლის მიმნიჭებელიც.

მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე ყოველ მნიშვნელოვან ფაქტზე, მიმარ-თულებაზე ქართულ ლიტერატურას თავისებური გამოხატულება გააჩნია. მოწინავე იდეებით იგი არავის ჩამოუვარდებოდა. ეს მემკვიდრეობა ასაბუთებს, რომ ქართველ-მა ერმა პოტენციური შესაძლებლობებით დაიმკვიდრა თავი.

ქართული მწერლობა ხელს უწყობდა საქართველოში მთარგმნელობითი კულ-ტურის განვითარებას. ქართველები მიმართავდნენ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რო-მელთაც უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა, რათა ქართულ ენაზე გადმოეღოთ აქ შექმნილი თხზულებანი. მიმდინარეობდა თარგმანების გადაკეთება-გადამუშავება.

აღსანიშნავია, ისიც რომ თარგმნილი ლიტერატურა დიდ ზემოქმედებას ახდენ-და ორიგინალური მწერლობის განვითარებაზე.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის განხილვის აუცილებელ წინამძღვარად მიგვაჩნია ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის მოკლე მიმოხილვა. შევეხეთ რამდენიმე მნიშვნელოვან მხატვრულ-შემოქმედებით ფაქტს, რომელთა გათვალის-წინება აუცილებელია მთარგმნელობითი აზროვნების ევოლუციის წარმოსადგენად.

მთარგმენლობითი საქმიანობის ისტორია გვაჩვენებს, რომ ქართულ ვარიანტში მექანიკურად გადმოდიოდა სხვა ენის ნორმები. ცხადია, თარგმანის დროს სხვა ენა დიდ ზეგავლენას ახდენდა. ენათა გავლენის დროს იქმნებოდა ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოშობილი ფაქტები და მოვლენები (მაგალითად, ლექსიკური ხასიათის), რაც აისახებოდა სალიტერატურო ენაშიც. ზოგი ბერძნული, ირანული, სომხური სიტყვა ქართულმა ენამ ჯერ კიდევ სალიტერატურო ენის შექმნამდე ისესხა. მოგვიანებით ეს სიტყვა სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცა.

ქართული სალიტერატურო ენის ადრეულ საფეხურზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მხოლოდ ბერძნულს მოუხდენია, რადგანაც ბერძნულ სამყაროსთან საქართველოს ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ქართულ ენაზე ითარგმნა IV –XII საუკუნეებში ბერძნული სასულიერო და ფილოსოფიური ლიტერატურის დიდი ნაწილი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა კულტურულ ურთიერთობაზე. ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსული იყო ზეპირი გზით. ბერძნული ენიდან დიდძალი ლიტერატურის თარგმნა ქართულად ხელს უწყობდა და ხვეწდა სალიტერატურო ენას. იქმნებოდა სამეცნიერო ტერმინები. ამასთან, თავს იჩენდა კალკები, რომელიც ზოგჯერ ქართული ენის ბუნებისთვის უცხო და მიუღებელი იყო. კალკები ზოგჯერ ორიგინალურ ძეგლებშიც ვლინდებოდა.

ბერძნულმა ენამ ქართულ სალიტერატურო ენაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, ძველ ქართულში გვაქვს ებრაულიდან ნასესხები სიტყვები, რომელთა უმრავლესობა შემოვიდა არა უშუალოდ ებრაულიდან და არამეულიდან, არამედ ბერძნულის გზით, თვით ბერძნულშიც უთარგმნელად არის შესული.

ქართველებს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ სომხებთან. ჯერ კიდევ უძველეს დროში თარგმნიდნენ ქართულიდან სომხურად და პირიქით.

უმთავრესად, საერთო ხმარების სიტყვები ირანულიდანაა. ქართულში ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართველ მთარგმნელს უთარგმნელად დაუტოვებია სომხური სიტყვები. იგივე ხდება ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის დროს.

კლასიკური პერიოდის სამწერლობო ქართულს საფუძვლად დაედო ბიბლიის თარგმანისა და საეკლესიო ლიტერატურის ენა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობას განაგრძობდა ტრადიციის ძალით.

საქართველოს პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა ცხოვრებამ XI-XII საუკუნეში მიაღწია განივითარების უმაღლეს საფეხურს. შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა პროზასა და პოეზიაში, ჩამოყალიბდა საერო ლიტერატურა.

ამ მოვლენას ხელი შეუწყო მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რამაც განაპირობა ახალი სალიტერატურო ენის წარმოქმნა. ქართულ ენას ფლობდნენ, ქართული

მასალებით სარგებლობდნენ შუა საუკუნეთა მუსლიმანური სამყაროს დიდი პოეტები – ნიზამი განჯელი და ხაკანი. ქართულად თავისუფლად ითარგმენბოდა ჰომეროსის პოემები და ტაჯიკ, სპარს, აზერბაიჯანელთა პოეტური ნაწარმოებები. უცხოელ კლასიკოსთა ნაწერების თარგმანები ამდიდრებდა ქართული ეროვნული კულტურის საგანძურს.

მიუხედავად მაჰმადიანური სახელმწიფოებისადმი მტრული დამოკიდებულებისა, ქართველები ინტერესით თარგმნიდნენ აღმოსავლურ ლიტერატურას. მთარგმნელები თავისუფალი თარგმანის პრინციპს ადგნენ: თარგმანში შეჰქონდათ ქართული ყოფითი რეალიები, ქართული ბუნება და ქრისტიანული ელემენტებიც კი.

საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მოსაზრება მთარგმნელობით მუშაობაზე. მან წამოაყენა მთარგმნელისათვის საჭირო დებულება ენების ცოდნისა და გამართულად წერის შესახებ. ეფრემ მცირემ და ვახტანგ მეექვსემ განაზოგადეს თავიანთი ლიტერატურული სკოლების მთარგმნელობითი საქმიანობა, შექმნეს თეორიული პრინციპები, მიზნად დაისახეს ეროვნული ტრადიციების დაცვა, რაც ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს.

რუსეთთან ურთიერთობამ ქართულ ლიტერატურას ევროპისკენ გაუხსნა გზა. ითარგმნებოდა როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე სამეცნიერო ნაშრომები, ფილოსოფიური და საგანმანათლებლო ხასიათის თხზულებები.

დავით ბატონიშვილის, იასე გარსევანიშვილის, დავით ჩოლოყაშვილის, მოგვიანებით ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, აკაკი წერეთლის თარგმნილმა და გადმოკეთებულმა თხზულებებმა აზიარეს ქართველობა ევროპის უახლეს იდეებსა და მისწრაფებებს.

ქართული თარგმანის ძირითადი პრინციპები, უმეტეს შემთხვევაში, თავისუფალი თარგმანია. ამას ქვეყნის სხვადასხვა საზოგადოებრივი მოთხოვნილება განაპირობებდა. თარგმანის საშუალებით შემოიჭრა ჩვენს ლიტერატურაში უცხო ქვეყნის ახალი იდეები, ახალი სტილი, ფორმა, ახალი სიტყვები და ჟანრები.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე მხოლოდ რამდენიმე წერილი არსებობს თარგმანის შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მთარგმენლობითი

საქმიანობა თვითდინებით მიემართებოდა და ლიტერატურასთან თანაარსებობით უწყობდა ხელს ჩვენი მწერლობის განვითარებას.

XIX საუკუნის საქართველოში თარგმანისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. საგრძნობლად იმატა მთარგმნელთა რიცხვმა და სწორედ ამის გამო თარგმანის პრობლემასთან დაკავშირებით უკვე გამოჩნდა ქართველ მთარგმენლთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა მოსაზრებები.

აქვე გავიხსენოთ, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდგომ მოციქულებს სხვადასხვა ენის ცოდნა უბოძა: “და ანაზდად იგრგვინვა ზეცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო და აივსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ. და მოევლინა მათ აღვით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს და აღივსენ ყველანი სულიწმიდით და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ.”

პავლე მოციქული თარგმანის უნარზე, როგორც ღვთაებრივ ჯილდოზე, ისე მსჯელობს: “ხოლო თითოეულ ჩვენგანს სასიკეთოდ ეძლევა სულის გამოვლენა... ვის სასწაულმოქმედება, ვის წინასწარმეტყველება, ვის სხვადასხვა ენა, ვის კიდევ განმარტება სხვადასხვა ენისა” (ძველი და ახალი აღთქმა, 1989,10).

შეუძლებელია ეს გამონათქვამი არ სცოდნოდათ ქართველ მთარგმენელებს, არა მარტო სცოდნოდათ, არამედ თავის სულში არ გადაემუშავებინათ, შეიძლება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რაც შთააგონებდათ და უბიძგებდათ მთარგმენლობითი საქმიანობისკენ.

თარგმანთმცოდნეობა, ისევე, როგორც თავად თარგმანი, მთელი თავისი წარსულით მოწმობს, რომ ყოველ ეპოქაში , ყოველ ქვეყანაში თარგმანი იყო იმ ცოდნის და კულტურის გამომახილი, რომელიც გააჩნია ერს, ერთი მხრივ, ენის ფენომენის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, ნაწარმოების, როგორც ერთი მთლიანის გაგების თვალსაზრისით.

ამდენად, ნებისმიერი თარგმანის ანალიზი მისი შესაბამისი დედნის ღრმა ანალიზს გულისხმობს და მხოლოდ მასთან ურთიერთობაში გამოვლინდება.

ილია ჭავჭავაძე წერილში “ქართული თეატრი” თარგმანსაც გაკვრით ეხება, სადაც განსაზღვრავს გადმოკეთებასა და თარგმანს შორის სხვაობას:”ნაშრომს თარგმა-

ნი ჰქვიან", თუ "სხვისი ცხოვრება, ხასიათს თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული გვაცოდინოს ისე, როგორც არის დედანში უტყუარად და შეუცვლელად".

მხატვრული თარგმანის მიზნისა და დანიშნულების ასეთი განსაზღვრა ცხადყოფს ილიას რეალისტურ პოზიციას ამ სფეროში. საყურადღებოა ილიას შემდეგი პოზიციაც: "მთარგმნელი...მაინც ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის" (ჭავჭავაძე, 1953,125,126).

ილიას მთარგმნელობითი თვალსაზრისის ამ კონტექსტში მთარგმნელის "მონობა" მხოლოდ პირობითად გამოხატავს მთარგმნელის შემოქმედებითი შრომის შინაარსს.

ილიას თავისი შეხედულება აქვს ავტორისა და მთარგმნელის შემოქმედებითი ურთიერთმიმართების შესახებაც. მთარგმნელს უნდა "უყვარდეს" სათარგმნი ავტორი და არ უნდა მოახვიოს მას უცხო სტილი, საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, თავისი სკოლის თავისებურება. მხოლოდ ამას გულისხმობს, როცა წერს, რომ მთარგმნელი "ცოტად თუ ბევრად მონაა ავტორისა", - "გულმოდგინედ და მსგავსად" უნდა თარგმნიდეს და უნდა გადმოსცეს პოეტის "საკვირველი სულიერი სული", "მეხი სიტყვა", " ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა". მთარგმნელმა ავტორის წინაშე უნდა "დათმოს" საკუთარი ინდივიდუალური თავისებურება.

ილია ასხვავებს მხატვრული ლიტერატურის ესთეტიკური ათვისების ორ ასპექტს – ერთი უკავშირდება ნაწარმოების ენას,რომელიც მკითხველის განცდას უშუალოდ ეძლევა, მეორე – ნაწარმოების სიღრმისეულ მხატვრულ სტრუქტურას, რომელიც, როგორც ესთეტიკური ტკბობის ობიექტი, გვეძლევა ნაწარმოების კვალდაკვალ – თანდათანობითი კონსტრუირების გზით, "ხელოვნური სიტყვის", "მშვენიერი სურათის" სახით, ანუ იმ სურათის სახით, "რომლის წარმოდგენა ცხადად შეიძლება".

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბეჭდვითი ორგანოს უქონლობის გამო მწერლობის ნიმუშებს და თარგმანებს ქართველი საზოგადოება ხელნაწერის ან ზეპირი გზით ეცნობოდა.

"საქართველოს გაზეთში" დაიბეჭდა პირველი თარგმანის რამდენიმე ნიმუში. 1852 წელს გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოსული ჟურნალი "ცისკარი"

მთარგმენლობით საქმიანობას ეწეოდა. აქ პირველად დაიბეჭდა "რომეო და ჯულიეტა", "ჰამლეტი", "ორი ვერონელი აზნაური", "იულიუს ცეზარი". ამ ჟურნალმა გააცნო ქართველს დანიელ დეფოს "რობიზონ კრუზო", ჰიუგოს "საბრალონი", შილერის "ვილჰელმ ტელი", გოეთეს "ეგმონტიც", იბეჭდებოდა თარგნილი სამეცნიერო სტატიებიც.

"ცისკრის" თარგმანთა არააქტუალური შინაარსი, ენა, უიდეობა, გახდა მიზეზი ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილის –"ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან "შეშლილის" თარგამნზედა". ილია აცხადებდა, რომ მთარგმნელი არის თავისუფალი კაცი სტატიის ამორჩევაში. უაზრო, უშინაარსო თხზულება ფეხს ვერ მოიკიდებდა ხალხში. ვერ შეესიხლხორცებოდა მშობლიურ მწერლობას: "უაზრო სტატიას, თუ გინდ ჩინებულადაც იყვეს გად-მოთარგმნილი, მაინც არ ექნება ღირსება და ვერაფერს შეჰმატებს ლიტერატურასა, ვე-რაფერს შესძენს იმისათვის, რომა წამკითხველებს აუცრუებს გულსა".(ჭავჭავაძე, 1953,126).

თარგმანი უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, იყოს აქტუალური, ორიგინალური ლიტარატურის განვითარების მონაწილე. ილიამ გამოკვეთა თარგმანის უტილიტარული დანიშნულება: საჭიროა სასარგებლო ამბის დაბეჭდვა და არა გამოუსადეგარის, თარგმანი უნდა მოიცავდეს ეპოქის მიღწევებს, პროგრესული კაცობრიობის ნააზრევს და მეცნიერების მონაპოვარს.

აქედან გამომდინარე, ილია თარგმანს უყურებდა, როგორც ობიექტურ სინამდვი-ლეს, რომელიც მწერალმა უნდა ასახოს. მას მხატვრული თარგმნა სრულფასოვან შემოქმედებით პროცესად მიაჩნდა და მკაცრ პირობებს უყენებდა ამ საქმით გატაცე-ბულ მწერალს.

ილია ხშირად ნეგატიური ფორმით, ან მსჯელობის საერთო კონტექს-ტით,გამოხატავს თავის შეხედულებებს მხატვრული თარგმანის ძირითადი პრინციპების შესახებ.

შენიშვნებს და პოლემიკურ გამონათქვამებს თუ გავიაზრებთ ერთ კავშირში, გა-ვითვალისწინებთ კონტექსტუალურ აზრს, ადვილი წარმოსადგენი იქნება მხატვ-რული თარგმანის ილიასეული კონცეფცია, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს

მიიღებს: მხატვრული თარგმანი უნდა პასუხობდეს ეპოქის მოთხოვნილებებს, თანამედროვეთა ინტერესებს, მათ სულიერ მიზანსწრაფვას, ეპოქის ესთეტიკურ კრიტერიუმს, უნდა ამდიდრებდეს ეროვნულ საგანძურს.

ასევე, აკაკი წერეთელს თარგმანი მიაჩნდა მშობლიური ლიტერატურის განვითარების აუცილებელ და საჭირო საშუალებად. თარგმანი ჩვენს მწერლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესისხლხორცება და გახდება ხალხისთვის მისაღები, თუ იქნება აქტუალური შინაარსის და გამოხატავს იმას, რაც ესაჭიროება საზოგადოებას.

აკაკიმ საინტერესო მოსაზრება წამოაყენა მწერლისა და მთარგმნელის იდეურ სიახლოვეზე, მათ სულიერ კავშირზე. მთარგმნელის სულიერი კრედო უნდა შეესაბამებოდეს ავტორისას, რომ "გულს მოხვდეს" სათარგმნი თხზულება. მაშინ ეს ჭეშმარიტი შენაძენი იქნება ჩვენი ღარიბი მწერლობისთვის".

"მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც თარგმნის ისე, რომ წვრილმანიც არ უნდა გამოეპაროს, რომელზედაც გადააქვს უცხოდან, რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს საკუთარ ენაში" (ფანჯიკიძე,1988,19)

რაც უფრო ნიჭიერია მთარგმნელი, მით უფრო "ზუსტად" გადმოგვცემს დედანის ყველა კომპონენტს და მის ემოციურ მხარეს.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მოღვაწეთა სხვადასხვა შეხედულებამ თარგმანზე თავის დროზე საფუძველი მოუმზადა მთარგმენლობით საქმიანობას. ამავე დროს, ისინი ტრადიციებსაც აგრძელებდნენ, რომელსაც საფუძველი წინა ეპოქების ქართული მთარგმნელობითი საქმიანობისთვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა მოუმზადეს. ქართველი მთარგმნელები საყვედურობდნენ წინაპრებს და თანამედროვეებს, რომ მათ დაამახინჯეს ბაირონის, მიცკევიჩის, ბერანჟეს და სხვათა თხზულებანი, ვერ ჩასწვდნენ მათ ჯადოსნურ გრძნობებს, რომ არ ამოქმედებდათ იგივე გრძნობა და მიმართულება.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული მთარგმენლობითი საქმიანობა საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურებოდა, რადგანაც მთარგმნელი წარმოდგენილი იყო, როგორც ორიგინალური მწერლობის სრულუფლებიანი მონაწილე. განსაკუთ-რებით მწვავედ იდგა ახალი თემატიკის, ახალი ჟანრების, სამეცნიერო ტერმინო-ლოგიისა და უცხო სიტყვათა გადმოღების საკითხი.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის ქართულ კრიტიკაში თანდათან მტკიცდებოდა თარგმანის ფორმისა და შინაარსის მთლიანობის, ავტორისეული სტილის დაცვის საკითხი, რომელიც წინა პლანზე დგებოდა ქართველთა მთარგმნე-ლობით პრაქტიკაში. თარგამანმა უნდა გამოხატოს ის, რაც აწუხებს ხალხს და შეავსოს ორიგინალური ლიტერატურა.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თარგმანს:" ნათარგმნი თხზულებები,– წერს იგი, შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში. ისინი გამოწვეული არიან იმ სულიერ-კულტურული თუ სხვა ხასიათის მოთხოვნილებებით, რომელთაც იყენებს ადგილობრივი მიმდინა-რეობა აზროვნებისა. მათი დახმარებით ჩვენ ვტყობილობთ, რა ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა ამ ხანაში ამა თუ იმ ხალხს, რა იმედები,აზრები და საკითხები იპყრობდნენ მის ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებსა და აზრებს. ერთი სიტყვით, როგორი იყო მისი გონებრივი დონე, მისი ესთეტიკური მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება". (კეკელიძე, 1957, 56).

თარგმანმა დიდად შეუწყო ხელი ქართული მხატვრული აზრის განვითარებას, ქართული ტერმინების, ახალი მხატვრული სახეების, ჟანრების, იდეების, პოეტური სინტაქსის ფორმისა და სტილის განვითარებას.

ლიტერატურულ კრიტიკაში მრავალი მცდარი თეორია იჩენდა თავს, მაგრამ საბოლოოდ პროგრესული შეხედულებები იმარჯვებდა.

ზუსტი და თავისუფალი თარგმანი ძველია, ამასთან, მარად ახალი. რომან-ტიკოსებმა თარგმანის სიზუსტის საკუთარი სპეციფიკა შეიმუშავეს. მათი თვალ-საზრისით, ნაწარმოების ღირსება ორიგინალთან კი არა, იდეალთან სიახლოვით განისაზღვრება.

ერთ კულტურას უფრო ღრმად და ფართოდ მეორე კულტურა შეიმეცნებს (მაგრამ ეს შემეცნება სრული არ იქნება, რადგანაც მოვა სხვა კულტურა, და კიდევ უფრო მეტს დაინახავს, მეტს გაიგებს ამ კულტურაში). ესა თუ ის აზრი მთელი სიგრძე-სიგანით და სხვა აზრთან ურთიერთობასა და ურთიერთშეხებაში აიხსნება. ამ აზრებს შორის იმართება დიალოგი. სწორედ ამ დროს ხდება შესაძლებელი ერთი

აზრის კარჩაკეტილობისა და ცალმხრივობის გადალახვა. ჩვენ სხვის კულტურას საკუთარისაგან განსხვავებულ კითხვას დავუსვამთ და მასში ვეძებთ ისეთ პასუხს, რომლითაც ის ახლებურად წარმოგვიდგება, ახალ აზრობრივ სიღრმეებს წარ-მოგვიჩენს.

თუ ჩვენ ჩვენი კულტურის მიმართ შეკითხვები არ გვექნება, მაშინ შემოქმე-დებითად ვერ გავიგებთ სხვისას. ორი კულტურის ასეთი დიალოგური შეხვედრით ისინი კი არ ერწყმიან ან აირევიან ერთმანეთში, არამედ ამდიდრებენ ერთმანეთს და, ამავე დროს, ინარჩუნებენ თავის ერთიანობას და მთლიანობას (ბახტინი,1975,20–30).

ქართულმა მწერლობამ საუკუნეთა განმავლობაში მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მონაპოვრები აითვისა და შეისისხლხორცა. ამა თუ იმ ეპოქის საუკეთესო თარგმანები ქართული ლიტერატურის ღვიძლი შვილი იყო და მუდამ ხელს უწყობდა ეროვნული ლიტერატურის წინსვლას. ეს თამამად შეიძლება ითქვას XX საუკუნეში შექმნილ ქართულ თარგამანებზე.

ინგლისელი ხალხის ისტორია განვითარების ყველა ეტაპზე მდიდარია მისი შინაგანი ენერგიის საუკეთესოდ წარმომჩენი ცნობილი ადამიანების სახეებით. მათ შორის მწერლებს ყოველთვის ეჭირათ გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი. გააჩნიათ განსაკუთრებული მიმზიდველი, საინტერესო თავისებურებანი. ამიტომაც უძველესი დროიდან დაინტერესებულები იყვნენ ინგლისური ლიტერატურის თარგმანით.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ინგლისელი მწერლის – შარლოტა ბრონტეს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის – “ჯეინ ეარის” ქართული თარგმანით დაინტერესება. ვფიქრობთ, შარლოტა ბრონტეს ამ რომანზე არჩევანის შეჩერებას მყარი საფუძველი გააჩნია. უნიჭიერესმა ქალბატონებმა თამარ მაღრაძემ და ზეინაბ ხახანაშვილმა ძალდაუტანებლად შექმნეს საკუთარი შემოქმედებითი სამყარო.

შარლოტა ბრონტეს შემოქმედების გაცნობა ნებისმიერ ადამიანში, მათ შორის უცხოელშიც, აღძრავს სურვილს, რაც შეიძლება მეტმა მკითხველმა შეიგრძნოს მისი სამყარო. ამ სურვილმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება შარლოტა ბრონტეს ლიტერატურული მემკვიდრეობით, კერძოდ კი რომანის“ჯეინ ეარის” ქართული თარგმანით.

საგანგებო მნიშვნელობა აქვს იმ დიდი ისტორიული როლის შესწავლას, რომელიც ითამაშა XX საუკუნეში ევროპული ლიტერატურიდან ქართულ ენაზე შესრულებულმა თარგმანმა. ეს მომენტი ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, გენეტიკური კონტაქტების ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო ასპექტია.

თარგმანის, როგორც შუამავლის როლის შემსრულებლის, მისი ფუნქციის კვლევა ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემურ საკითხთა რიგს განეკუთვნება. თარგმნილი ლიტერატურის მნიშველობის მეცნიერული შეფასება უსათუოდ უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ კრიტერიუმს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის პროცესის შესწავლისა და ეროვნული ლიტერატურისთვის მისი როლის განსაზღვრის დროს.

რათა წარმოვიდგინოთ აღნიშნულ საკითხთა სირთულე, საკმარისია გავიხსნეოთ, რომ თარგმანის შეფასების მეცნიერული კრიტერიუმების დადგენა ლინგვისტიკის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის და ლიტერატურის თეორიის კარდინალური საკითხია.

ბოლო დროს შეინიშნება თარგმანის შეფასებისადმი ფსიქოლოგიური მიდგომა. (თარგამანის შეფასების ფსიქოლოგიური მეთოდი 1956 წელს, მთარგმნელთა III კონგრესზე მეცნიერებმა ჯ. მილერმა და ჯ. ბიბსტერმა წამოჭრეს. ეს მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ, როგორ უნდა შეფასდეს ორიგინალისა და თარგმანის ტექსტის ექვივალენტურობის საკითხი. მათ მომზადებული აქვთ შეკითხვები, რომლებსაც ისინი უყენებენ ორიგინალს და თარგმნილ ტექსტს. ამ შეკითხვებზე გაცემულმა პასუხებმა უნდა გამოავლინოს თარგმანის ორიგინალთან მიმართება).

XX საუკუნის 20-იან წლებში მთარგმენლთა ძირითადი პრინციპი გახდა, ქართულ ლიტერატურაში აღკვეთილიყო თარგმანის თარგმანი. იმდროინდელ პერიოდიკაში ხშირად უთითებდნენ, რომ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდებოდა მხოლოდ ორიგინალიდან შესრულებული თარგმანები.

50-იან წლებში ქართველმა მთარგმენლებმა გარკვეული ხარკი გადაუხადეს ინგლისური განმანათლებლობისა და კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენლებს. 1959 წელს ვახტანგ ჭელიძემ გამოსცა დ.დეფოს “რობიზონ კრუზო”,

1951 წელს ალ.გამყრელიძემ თარგმნა XIX საუკუნის ინგლისური პროზის მშვენება უ. თეკერეის "ამაოების ბაზარი".

უკვე 60-იანი წლების დასასრულისთვის ქართულ ენაზე თარგმნილი იყო ევროპული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. დაგროვდა დიდძალი მასალა, გამოცდილება, გამოიკვეთა ბევრი მთარგმენლობითი პრიციპი, ნოვატორული ძიება, რომელიც, ბუნებრივია, მოითხოვდა განზოგადებას, შესწავლას, განვლილი გზისთვის თვალის გადავლებას.

აღორძინდა თარგმანის თეორიული პრობლემებისადმი ინტერესი, გაუმჯობესდა თარგმანის ხარისხი, დედნიდან თარგმნა უკვე აუცილებელი პირობა გახდა მთარგმენლისათვის. ასე რომ, ყოველივე ამან განაპირობა თარგმანის განზოგადების ამოცანაც. ამ ამოცანის შესრულებას ხელი მოჰკიდა გ. გაჩეჩილაძემ, რომელსაც ქართველი მკითხველი უკვე იცნობდა, როგორც შექსპირის დრამებისა და სონატების, ინგლისური ხალხური ბალადების, ბაირონისა და შელის მთარგმნელს. მან ლიტერატურის თეორიის სხვა სპეციალისტებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხების კვლევას. თეორიული შეხედულებანი თუ პრქტიკული დაკვირვებანი განაზოგადა წიგნში "მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები".

50-იანი წლები ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ახალი ეტაპია, როდესაც მტკიცედ დამკვიდრდა ევროპული ლიტერატურის ნაწარმოებთა უშუალოდ დედნიდან თარგმნის პრაქტიკა. ინგლისურენოვანი ლიტერატურის ის ნაწარმოებები, რომლებიც ადრე რუსულიდან იყო გადმოღებული, დედანთან შეჯერების საფუძველზე ხელახლა იქნა რედაქტირებული.

60-იან წლებში ჩვენს ლიტერატურას ბევრი მნიშვნელოვანი თარგმანი შეემატა: რ.ბერნსის ლირიკა (თ. ერისთავი, გ.გაჩეჩილაძე,ვ.ბერიძე,მ.ქარჩავა); ვ. გოლსუორსის "ფორსაიტების საგა" (ე.მაღრაძე, ვ.ჭელიძე), ჰ. უელსი (ა.ვასაძე),ა.კონან დოილის "ბასკერვილების ძაღლი" (ე.მაღრაძე), ვ. სკოტის "აივენჰო" (ე. მაღრაძე), ჯ. ოლდრიჯის "მონადირე" (თ.კუკავა), ოსკარ უაილდის "დორიან გრეის პორტრეტი"(თ. მაღრაძე), ჯ.ბრეინის "გზა მაღალი საზოგადოებისკენ" (ც.თოფურიძე, ნ.ბადრიაშვილი), ჯერომ კ,ჯერომის "სამნი ნავში (ა.გახოკიძე), გ.რიდის "ლეოპარდი" (რ.თვარაძე),

“მოთხრობები რობინ ჰუდზე” (ქ.ქუჩუკაშვილი), ს. მოემის “სიგიჟე ერთი ღამისა” (ა.ჭეიშვილი) და სხვ.

ინგლისური და ევროპული ლიტერატურის თანამედროვე ნიმუშთა განსაკუთრებით ინტენსიურად თარგმნა იწყება 60-იანი წლებიდან, რაც უდავოდ დაკავშირებულია ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასთან.

როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი უძველესი და უმძლავრესი ფორმის – თარგმანის წარმოშობა უმეტესწილად, ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მას ოდითგანვე უტილიტარული დანიშნულება ჰქონდა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე ლიტერატურის მსგავსად სხვადასხვა კლასის იდეოლოგიას ემსახურებოდა.

კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა:”ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში. ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც იყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა. ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი საჭიროება. ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა და შეგნება. ერთი სიტყვით, ითარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა. მოთხოვნილება კი მაშინ წამოიჭრება, როდესაც მთარგმნელ ქვეყანაში თავს იჩენს იმგვარივე განწყობილება-ნი,რომელიც გაფორმებულნი არიან გადმოსაღებ თხზულებაში” (კეკელიძე, 1957, 56).

ასე რომ თარგმანი სწორედ აუცილებლობით განპირობებული ფენომენია და გასაკვირი არაა ის ინტერესი, რასაც საუკუნეთა მანძილზე საქართველოში იჩენენ ქართველი მთარგმნელები.

“უნდა დავძინოთ, რომ თარგმანის სფეროში აუცილებლობასთან ერთად შემთხვევითობაც გარკვეულ როლს თამაშობს. შემთხვევის წყალობით ესა თუ ის ეროვნული ლიტერატურა შეიძლება სხვა ლიტერატურათა შედევრებსაც გაეცნოს და უიდეო, დაბალმხატვრულ თხზულებებსაც“ (გაფრინდაშვილი, 1987, 5).

70-იან წლებში ბევრი თარგმანი სარედაქციო კოლეგიის თაოსნობითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა ჟურნალ “საუნჯეში”. მაგალითად, ჯ. ჩოსერის “კენტერბერიული მოთხრობები ”(გ. ნიშნიანიძე), ფრაგმენტები თანამედროვეობის

ერთ-ერთი უდიდესი მწერლის, ჯ. ჯოისის რომანისა "ულისე" (ნ. ყიასაშვილი) და მრავალი სხვა.

ამ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა თარგმანის დონე. მათ შორის აღსანიშნავია: ჯ. გოლსუორსის "მესაკუთრე", "ნოველები" (ვ. ჭელიძე) რ.კიპლინგის "ინდური მოთხრობები" (ე. გიორგაძე),გრინის "შიშის უწყება", ს. მოემის "მთვარე და ექვსპენიანი" (ა. ჭეიშვილი), ჯ. მარტელის "კაცი, რომელმაც იხსნა ლონდონი" (ნ. ასათიანი), ი. სთოუნის "წყურვილი სიცოცხლისა" (მ. ანთაძე), კ. დოილის "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" ორ წიგნად (ე. მაღრაძე), უ. სკოტის "როზ როი" (ვ. ჭელიძე), ჯ. ჯოისის "დუბლინელები" (მ. შატბერაშვილი, ლ. იმერლიშვილი). ითარგმნა აგრეთვე ფანტასტიკური და დეტექტიური რომანები.

ინგლისური ლიტერატურიდან შესრულებულმა თარგმანმა დიდი როლი ითამაშა ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობებში. მთელი ეს თარგმნილი ლიტერატურაც უნდა განვიხილოთ ეროვნული ლიტერატურის კონტექსტში.

ისეთი მდიდარი ლიტერატურული გემოვნების ერის წიაღში დაბადებული მწერლის შემოქმედების სხვა ენაზე გადატანა, როგორიც ინგლისია, არ იქნება ადვილი მთარგმენლისთვის, რომლისთვისაც უცხოა ამ ერის ყოფა-ცხოვრება, მხატვრული გემოვნება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დალი ფანჯიკიძის მოსაზრება: "თარგმანში არაა აუცილებელი ორიგინალის ხატოვან თქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს ყოველთვის მოვუნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი, აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი.

ხშირად ავტორისეული გამომსახველობითი ხერხების შესაფერისი ფორმით ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნილ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც ჩვენი აზრით, თარგმანს უეჭველად უნდა ახლდეს თან" (ფანჯიკიძე, 1980, 19).

საზოგადოდ, თარგმანზე დაკვირვება მ.ხუციშვილს აფიქრებინებს, რომ "რიგ შემთხვევაში საკმაოდ აპრობირებულმა თეორიამ არ გაჭრა, რადგან მთარგმნელს აქ დახვდა თავისთავადი ქართული მხატვრული აზროვნება, რომელიც არ ჰგავს არც ევროპულს, არც რუსულს, არც აღმოსავლურს" (ხუციშვილი, 1989, 4).

ჩვენი მოსაზრება ქართული მხატვრული აზროვნების შესახებ სავსებით ემთხვევა ამ შეხედულებას. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ როცა თეორია ვერ წყვეტს საკითხს, მაშინ რაც ვერ წყვეტს, სწორედ ის უნდა იქცეს თვით შესწავლის საგნად.

ინტერესმოკლებული არ არის ბესარიონ ბელინსკის შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც თარგმანში მოითხოვა სათარგმნი ნაწარმოების სულის გადმოცემა, რასაც მხოლოდ ისეთი თარგმანი მიაღწევს, რომლის მთარგმნელიც ხელახლა წარმოქმნის მას თავის ენაზე. ასე რომ, გადმოსცე ნაწარმოები, ხელახლა უნდა დაიბადოს. ამგვარად, ბელინსკის თარგმნა წარმოდგენილი აქვს როგორც სრულფასოვანი მხატვრული შემოქმედება.

რადგან თარგმანი სრულდება მთელი საზოგადოებისათვის, ბელინსკი მთარგმნელისაგან მოითხოვს ანგარიში გაეწიოს ამ საზოგადოების გემოვნებას, განათლებას, ხასიათსა და მოთხოვნილებებს.

საინტერესოა ინგლისელი ფილოსოფოსი უ. ჰაასის ნაშრომი ”თარგმნის თეორია”, სადაც ასკვნის, რომ თარგმნა არის სხვადასხვა ენის გამოთქმათა შორის შესაბამისობის დადგენა მათი ფუნქციური იგივეობის საფუძველზე, მაგრამ ყველა სათარგმნი ერთეული როდი იძლევა საშუალებას, “მოერგოს ორი ენის გამოთქმათა შორის ერთიერთზე შესაბამისობას”. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება უჩვეულო ერთეულების შესაბამისობათა დადგენა, მათი შექმნა ან სესხება, ანდა კალკირება. “მსგავსების შესაქმნელად”, დაასკვნის ჰაასი, ”საჭიროა მიჰყვე მოდელის სტრიქონებს (ჰაასი, 1962, 227).

XX საუკუნის ევროპელ მოაზროვნეთა შორის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე ოპტიმისტური თვალსაზრისით გამოირჩევა შვეიცარიელი პროფესორი ჯ. სტაინერი. თარგმანი მას “სასურველ და შესაძლო საქმიანობად” მიაჩნია:”ხელოვნებისა და ლიტერატურის არსებობა, რეალურობა ისტორიისა, რომელსაც განიცდის საზოგა-დოება, დამოკიდებულია ნიადაგ უწყვეტ, თუმც ხშირად ქვეცნობიერად მოქმედ შინაგან თარგმანზე. არ იქნება გაზვიადება, თუ ვიტყვით: ცივილიზაცია იმიტომ გვაქვს, რომ ვისწავლეთ სხვა ეპოქებიდან თარგმნა”. და მაინც მას თარგმანი ამოუცნობ საქმიანობად მიაჩნია.

ზოგიერთი გამოჩენილი უცხოელი ავტორის მთარგმნელობითი კონცეფციის ანალიზიდან ჩანს, რომ თარგმანის რაობისა და მისი თვითშესაძლებლობის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა. თარგმანის თეორიულ მოსაზრებასაც ბევრი მეცნიერი გადაუჭრელ ამოცანად მიიჩნევს.

ცხადია, თარგმანი მოაზრებული უნდა იქნეს თავისი რაობის, ლოგიკური საზრისის მიხედვით და არა წინასწარ აკვიატებული თეორიული პოსტულატებით.

ამ რომანის თარგმანით ქართველი მკითხველი ეზიარა ინგლისელი ხალხის სულიერ კულტურას, მის ხელოვნებას, ლიტერატურას.

თამარ მაღრაძის და ზეინაბ ხახანაშვილის, როგორც მთარგმნელი შემოქმედების თავისებურება, მკვეთრად არის გამოკვეთილი. ისინი ადეკვატური თარგმანის მომხრენი არიან. მათი უმთავრესი პრინციპია შემოქმედებითი თარგმანი, მაგრამ აკადემიურობის ჩარჩოში. ისინი არასოდეს შორდებიან დედნის სტილის არსებით მხარეს, აქვთ ღრმა შემოქმედებითი გარდასახვის უნარი, რაც საშუალებას აძლევთ მონახონ დედნის ინტონაციის შესაბამისი ინდივიდუალური ხმა. ამასთან ერთად, მათი შემოქმედებითი თავისებურება მშობლიური ენის გამომსახველობითი სტიქიის უღრმესი ფესვების ამოქმედება, მის მხატვრულ სიღრმეთა ძიებაა, რაც ყოველთვის დედნის მხატვრულ ამოცანებთანაა შესაბამისობაში.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართველი მთარგმნელები ზუსტად მიჰყვებიან ინგლისურს, თუ არ ჩავთვლით მცირე ადაპტაციას, რომელიც არ არღვევს სიუჟეტის მთლიანობას.

არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტსაც, რომ ქართველი მთარგმნელები იცნობდნენ რუსულ თარგმანსაც, რომლის გავლენა ქართულ ტექსტზე საერთოდ არ შეინიშნება.

ნებისმიერი ტექსტის სხვა ენობრივ კულტურაში სრულყოფილი ტრანსლაცია, თარგმნა რეციპიენტის მშობლიური ენის კოდირების სისტემაში მის გადაყვანას გულისხმობს. მთარგმნელისაგან ეს პროცესი არა მხოლოდ ლექსიკური შესატყვისების მოძიებას გულისხმობს, არამედ აუცილებელია ერთი კულტურული მენტალობის სხვა კულტურისათვის ჩვეულ კონსტრუქციებში გადაყვანა, ტრანსლაცია, თარგმნა, კულტურული კონცეპტების კონოტაციური ველების სხვაობათა გათვალისწინება, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს სათარგმნი ტექსტის

ეროვნული კულტურისათვის დამახასიათებელი ვერტიკალური კონტექსტი, ავტორისეული ტექსტის მრავალმნიშვნელობა, ემოციური შთამბეჭდაობა.

რა თქმა უნდა, ამ პროცესს ახლავს გარკვეული დანაკარგები. თარგმანის თანამედროვე თეორიულ გააზრებას რომელი უფრო პრიორიტეტულია, შინაარსი თუ ავტორისეული სტილის გადმოცემა,ტექსტის კულტურული კონტექსტის გადმოცემის პრობლემაც დაემატა.

მთარგმნელებმა თავი გაართვეს რომანის სრულყოფილად თარგმნის სტილისა და აზრის ქართულად გარდასახვის ურთულეს ამოცანას, მის მხატვრულ სახეთა სინა-ტიფისა და აზრის სიღრმის სრულყოფილად გამომჟღავნებას. მათ ეს რომანი გაგე-ბული აქვთ, როგორც სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანური სტიქიის გამომხატ-ველი რომანი, სადაც მწერლის მზერა მუდამ გმირის სულის ჩვენებაზეა გადატანილი.

ცივილიზაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ არც ერთი ეროვნული კულტურა არ განვითარებულა, არ დაწინაურებულა იზოლირებულად, სხვა ერების კულტურულ მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისების გარეშე. აქედან ცხადია, მხატვრული თარგ-მანის როლი და მნიშვნელობა ეროვნულ კულტურათა ურთიერთ გამდიდრებაში.

თანამედროვე ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობები მრავალი ფორმით ხორციელდება. ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფაქტების მოძებნას, შესწავლას, განზოგადებას, ლიტერატურული კონტაქტების როლის წარმოჩენას დიდი ყურადღება ექცევა.

საკვალიფიკაციო მუშაობისას ყურადღება გავამახვილეთ საკუთრივ შინაარსის დიფერენციაზეც, რამაც საშუალება მოგვცა მისი ელემენტები კვლევის საგნად გაგვეხადა როგორც თარგმანში, ისე დედანში. მაგალითად, გამოვიკვლიეთ, როგორ გადმოდის თარგმანში შინაარსის შემდეგი ოთხი ელემენტი:

ა) შინაარსობრივ-ფაქტისმიერი ინფორმაცია, ანუ ინფორმაცია რეალურ თუ წარმო-სახვით სინამდვილეში არსებული ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ;

ბ) შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, რომელიც გადმოგვცემს ორ ფენომენს შორის არსებულ ურთიერთობათა ინდივიდუალურ, ავტორისეულ გაგებას;

გ) შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია;

დ) შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია.

თავი II

შტრიხები შარლოტა ბრონტეს ბიოგრაფიიდან

ავტობიოგრაფიული კვალი, რომელიც შარლოტა ბრონტეს თხზულებებს გასდევს, აუცილებელს ხდის გავეცნოთ, თუნდაც ზოგადად, მწერლის ცხოვრების გზას, მის ოჯახს, რომელიც თითქმის მთლიანად შევიდა ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში.

პასტორი პატრიკ ბრონტე, ირლანდიელი ღარიბი გლეხის შვილი იყო. ახალგაზრდობაში მუშაობდა მჭედლად, ფეიქრად, სოფლის მასწავლებლად. ინგ-ლისში გადმოსვლის შემდეგ მან შეძლო კემბრიჯში სასულიერო განათლება მიეღო. 1809 წელს ბრონტე მღვდელი იყო, იორკშირში, ინგლისის ჩრდილოეთ საგრაფოში. 1820 წლიდან იქვე დასახლდა, სადაც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ მისი შვილები.

პასტორი იყო მოჩხუბარა, დამოუკიდებელი და მეტნაკლებად დესპოტური ზნის. ინტერესდებოდა პოლიტიკით, ლიტერატურით, გამოაქვეყნა ლექსების რამდენიმე კრებული. იგი გაორებული პიროვნება ყოფილა.

1812 წელს იორკშირში იფეთქა ლუდიტების აჯანყებამ. პასტორი ბრონტე ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ მრწამსს.

პატრიკ ბრონტე ლუდიტების აჯანყების მომსწრე ყოფილა. ერთი მხრივ, მოხალისეთა რაზმში ჩაწერილა და ფაბრიკის მეპატრონეთა ქონება იარაღით ხელში დაუცავს, მეორე მხრივ, გაფიცულ მუშათა სახლებში უვლია და მათ მიმართ მკაცრი რეპრესიების მიღების წინააღმდეგ სასტიკად გაულაშქრია. ამ გაორების გამო სიძულვილი და უპატივცემულობა დაუმსახურებია.

ხეიორუპის განაპირას მდგარი პასტორის სახლს უერთდებოდა ძველი საყდარი და სასაფლაო, ირგვლივ მკაცრი და ერთფეროვანი ლანდფშატებით, ტორფიანი ჭაობით, ქვიანი ადგილებით და ტყის ნარჩენებით. უძველესი დროიდან იორკშირის ძირითადი მოსახლეობა ფერმერი მეცხვარეები იყვნენ, რომლებიც სახლის პირობებში ამუშავებდნენ მატყლს. XVIII ს-ის ბოლოდან იგი ინდუსტრიულ ცენტრად

ჩამოყალიბდა და გაჩნდა სამრეწველო ბურჟუაზია, რომლებიც მალე გამდიდრდნენ და შემოიტანეს მანქანა-დანადგარები.

არცთუ ისე დიდხანს გაგრძელდა იორკშის სოფლის მღვდლის- პატრიკ ბრონტეს ქორწინება უბრალო მკერავ ქალთან. მისი ისედაც სუსტი ჯანმრთელობა გააუარესა ხშირმა მშობიარობამ. ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ადრე დაობლდა. ბავშვები დედისგან მემკვიდრეობით გადმოცემული სუსტი ფილტვების გამო ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ.

38 წელს მიღწეული შარლოტა მათ შორის ყველაზე დღეგრძელი გამოდგა. დედის სულიერებამ, მამის ექსცენტრულობამ ხელი შეუწყო შარლოტას მხატვრული ნიჭის განვითარებას.

დედის საფლავთან განცალკევებით მდგარი დები ცხოვრებაში მუდამ ერთად იყვნენ. როგორც გაირკვა, საიდუმლოც საერთო ჰქონდათ – ლექსებს წერდნენ.

შარლოტა ბრონტე (1816-1855) ოჯახში მესამე შვილი იყო. მამამისს ვერ გადეწყვიტა, გაეშვა თუ არა იგი იმავე საქველმოქმედო სასწვლებელში, სადაც მისი ორი ქალიშვილი დაიღუპა.

ოჯახი სიდუხჭირეში ცხოვრობდა, მაგრამ პატრიკ ბრონტე არავისგან ღებულობდა დახმარებას. ფანატიკურად მკაცრი, შემოწირულობის სახის საჩუქრებსაც კი უარყოფდა. საქმე კურიოზამდეც კი მიდიოდა. მდიდარი მეზობლის მიერ ნაყიდი ექვსი წყვილი ფეხსაცმელი მღვდელმა ბუხარში შეყარა.

მამის ირლანდიურმა წარმომავლობამ, მისმა კავშირმა კელტის კულტურასა და ფოლკლორთან, ცხადია, დიდი როლი ითამაშა შარლოტასა და მისი დების მხატვრული სულის ფორმირებაში.

მიუხედავად “ვიქტორიანული” მკაცრი აღზრდისა, ისინი გაცილებით თავისუფლად იზრდებოდნენ, ვიდრე მათი თანატოლები. სახლში უამრავი კარგი წიგნი გააჩნდათ, იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს. მათი ინტერესი პოლიტიკისა და ლიტერატურისადმი მამას განსაკუთრებით ახარებდა.

საბავშვო თამაშები თანდათან გადაიზარდა ფანტაზიის სამყაროში. ამ გმირთა თავგადასავლებით, მოვლენებით, რომლებითაც ეს მითოსური სამეფო სუნთქავდა, დებმა შექმნეს მრავალი მოთხრობა, ქრონიკა, ზღაპარი, პოემა, თხზულება.

“ბავშვობაში მზის სხივისგან ვქსოვდი აბლაბუდებს”, - იგონებს შარლოტა მოგვიანებით ერთ ლექსში. წლების მანძილზე ამ ლიტერატურული თამაშით შეპყრობამ დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც მწერლის ტალანტის განვითარებაზე.

ბევრი რომანტიკული ელემენტი შარლოტას შემოქმედებაში სათავეს ახალგაზრდული გამოცდილებიდან იღებს.

1824 წელს შარლოტა და მისი სამი და მამამ ობოლთა სასულიერო თავშესაფარში მიაბარა, სადაც შინამოსამსახურეებად ამზადებდნენ. ეს თავშესაფარი შემდგომში რომან “ჯეინ ეარის” ლოვუდის სასწავლებლის პროტოტიპად იქცა.

შიმშილი, სიცივე, ჭუჭყიანი შენობა, ქანცგამწყვეტი საეკლესიო სამსახური, დაცინვა ბავშვების ჯანმრთელობისთვის აუტანელი იყო. ტიფის ეპიდემიამ 45 ბავშვიდან შარლოტას ორი დაც იმსხვერპლა. ეს ფაქტიც “ჯეინ ეარში” ელენ ბერკის სიკვდილის ეპიზოდში აისახა.

პატრიკი პანსიონში შვილების დასასაფლავებლად, დაავადებული შარლოტას და ემილის წამოსაყვანად ჩავიდა. ამის შემდეგ აღარ უცდია შვილებისთვის უფასო თავშესაფარში მიეცა განათლება. შარლოტამ სწავლა მოგვიანებით გააგრძელა ფასიან პანსიონში.

1842 წელს შარლოტა და ემილი პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ფრანგული ენის შესასწავლად ბრიუსელში, ეგერის პედაგოგიურ პანსიონში გაემგზავრნენ. პარალელურად იქვე ატარებდნენ ინგლისურის გაკვეთილებს. მიღებული ანაზღაურებით სწავლის საფასურს თავად იხდიდნენ.

შარლოტას სასწავლებლის დირექტორის ქმარი – განათლებული, ლიტერატურის მოყვარული, კონსტანტინ ეჟე შეუყვარდა. მისმა მეუღლემ სკანდალის მოწყობა არ დააყოვნა და შარლოტას სასწავლებლიდან გაშვება მოითხოვა. ამ ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაც ასახულია “ჯეინ ეარში”, როჩესტერის ცოლის გარეგნობა ქალბატონი ეჟეს მიმსგავსებით შეიქმნა.

შარლოტას და მის დებს აღარ სურდათ ერთმანეთს დაშორებოდნენ და ინგლისის სხვადასხვა კუთხეში ემუშავათ, ამიტომ გადაწყვიტეს ქალთა პანსიონის გახსნა. საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნდათ – პედაგოგიური გამოცდილება, განათლება,

კარგი ფრანგული, მაგრამ არა ჰქონდათ ფული, არც სათანადო კავშირები. ამიტომაც არავინ ჩამოსულა სასწავლებლად ღარიბი მღვდლის სახლში.

შარლოტა ბრონტეს სახელთან დაკავშირებულია მთელი ეპოქა ინგლისური ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მან რეალისტურად გადაგვიშალა ადამიანის სულიერი სამყარო თავისი ავ–კარგით. ბრონტემ ბავშვობაში თვითონ განიცადა სოციალური ბოროტებისა და მასთან დაკავშირებული სულიერი ტანჯვის საშინელება. მან ჯერ კიდევ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე გაიარა მძიმე ცხოვრებისეული სკოლა – სიმდიდრისა და სიღარიბის საოცარი კონტრასტი. ყოველივემ მწერალს საშუალება მისცა დაეგროვებინა ცხოვრებისეულ დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა დიდი მარაგი. ამის გამო, თავის შემოქმედებაში სასტიკად გააკრიტიკა ბურჟუაზიული ინსტიტუტი და გაილაშქრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. უბრალო ადამიანთა სახეების შექმნით გამოავლინა ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

პატრიკ ბრონტეს ყველა შვილი ჭკვიანი ჰყავდა. შარლოტაც, ანაც, ემილიც წერდნენ ლექსებს, შარლოტა, ამავე დროს , ჩამოყალიბებული მხატვარი იყო.

1846 წელს ძმები ბულების სახელით დებმა ერთობლივი ლექსების კრებული გამოსცეს.

მანამდე კი შარლოტამ პირველმა გადაწყვიტა გამოეცადა თავი და იმ დროისთვის ერთადერთ ცოცხალ რომანტიკოსს - რობერტ საუთს გაუგზავნა ლექსები. მიუხედავად იმისა, რომ მან დადებითი შეფასება მისცა შარლოტას ტალანტს, მას მაინც მიაჩნდა, მწერლობა ქალის საქმე არ იყო. ასეთმა დამოკიდებულებამ თავის დროზე ძალიან გაანაწყენა ბრონტე.

ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში დიდი ადგილი უკავიათ მწერალ ქალბატონებს, რომლებმაც არამარტო ინგლისური, არამედ მსოფლიო ლიტერატურა გაამდიდრეს პირველხარისხოვანი ნაწარმოებებით, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ჟანრის რომანს მიანიჭეს უპირატესობა, როგორც ფართო პრობლემების ჩვენების ერთ-ერთ საშუალებას.

თანადროული საზოგადოების მხრიდან მიუხედავად არაერთი თავდასხმისა, ინგლისურ ლიტერატურაში, დებმა ბრონტეებმა თავიანთი სიტყვა თქვეს და სათნადო პოპულარულობაც მოიპოვეს.

მოგვიანებით დები პოეზიიდან პროზაზე გადავიდნენ. 1847 წელს მათ იმავე ფსევდონიმით ლონდონის გამომცემელთან გააგზავნეს ემილის “ქარიშხლიანი უღელტეხილი”, ანას “აგნეს გრეიც”

ამ ეტაპზე კონკურსში გაიმარჯვა ემილის რომანმა. იგი ამ ჟანრში XIX საუკუნის ინგლისური რომანის შედევრად აღიარეს. მასში, ისევე, როგორც დიკენსთან, ან თეკერეისთან გადმოცემულია ცხოვრებისეული სული და სიღრმე. ერთ-ერთი გავლენიანი კრიტიკოსი მის შესახებ წერდა, რომ ეს იყო “უკანასკნელი დროის საუკეთესო რომანი”. ეს მაშინ, როდესაც იბეჭდებოდა დიკენსის “დომბი და შვილი” და თეკერეის - “ამაოების ბაზარი”.

შარლოტას რომანი “მასწავლებელი” კი უარყვეს. იგი მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

საინტერესოა ავტორის წინათქმა, რომელიც ერთვის ამ რომანს: “გადავწყვიტე, რომ ჩემმა გმირმა საკუთარი შრომით გაიკვლიოს ცხოვრებაში გზა, ისევე, როგორც იკვლევენ რეალური, ცოცხალი ადამიანები. ისინი დაუმსახურებლად ერთ შილინგსაც ვერ მიიღებენ, რომ ბედისწერის უცაბედი ხვეულები ვერ აიტაცებენ სიმდიდრის მწვერვალსა და საზოგადოებრივ მაღალ დონეზე”.

ამ წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრია ფსიქოლოგიურად ძლიერი, ზუსტად ასახული ხასიათი, მასში მაინც არ იგრძნობა შარლოტა ბრონტეს წერის მანერისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტი, ემოციურობა, დრამატული სიუჟეტი, ამიტომაც რომანი გამოვიდა უსუსური და მოსაწყენი. დღესდღეობით მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესსღა იწვევს. ასე რომ, ლოგიკურია გამომცემლების მიერ მასთან დაკავშირებით თავის დროზე გაკეთებული არჩევანი. მოგვიანებით შარლოტა დებს შორის ყველაზე პოპულარული და აქტიური იყო. იგი მთელი არსებით მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისკენ. მისი შემოქმედება დაკავშირებულია მისსავე ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. რომანებში ასახულია პროვინციული ინგლისი.

ცნობილია შარლოტას ოთხი ნაწარმოები: "შერლი", "მასწავლებელი", "ვილეტი" და "ჯეინ ეარი". ეს უკანასკნელი მსოფლიო ლიტერატურის საკუთრებად იქცა. იგი 1847 წელს დაიწერა და კერერ ბეილის ფსევდონიმით გამოქვეყნდა.

უილიამ თეკერეიმ შარლოტა ბრონტე პირადად გაიცნო და აღიარა. მისი რომანის "ქალაქის" წაკითხვის შემდეგ იგი წერდა: "საცოდავი ქალი, ტალანტით დაჯილდოვებულია! ცხოვრება თითქოს მუნწი აღმოჩნდა მის მიმართ – პატარაა, გულჩათხრობილი, მაგრამ ძლიერი და მტკიცე. ვკითხულობ მის რომანებს და ვხვდები როგორ ცხოვრობს, ვგრძნობ, რომ ყველა შეკოწიწებულ ოცნებაზე მეტად, მას ერთი უნდა – შეუყვარდეს ვინმე "ტომკინსს" იგი და მას ვინმე – "ტომკინსი".

უილიამ თეკერეის დევიზი: "რომ მწერლები მოვალენი არიან ცხოვრება ასახონ, როგორც თვალწინ წარმოუდგებათ, მათ არ უნდა გამოიგონონ ისეთი გმირები, რომელთაც არასოდეს უცხოვრიათ და არც შეეძლოთ არსებულიყვნენ," – შარლოტა ბრონტემ თავის დევიზად აქცია.

სიყვარულს შარლოტა ყოველთვის ელოდა. სერიოზულად იყო გატაცებული გამომცემელი სმიტით. ეს იყო კიდევ ერთი დრამა "ჩალოტისთვის". შარლოტა ბრონტეს სამწერლო ხელოვნება ვითარდებოდა ინგლისში მიმდინარე ჩარტიზმის, მუშათა რევოლუციური მოძრაობის დროს, პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნათა წლებში. სწორედ დაჩაგრული კლასისადმი თანადგომას, აქტუალური საკითხებისადმი ყურადღებას ეხმიანებოდა შარლოტას მთელი შემოქმედება. ხალხის უფლებები და შრომის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, ბურჟუაზიული აღზრდის სისტემა, სიდუხჭირე, მუშებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობა – ეს ის საკითხებია, რომლზმაც ასახვა ჰპოვა მის შემოქმედებაში. ყველა ეს პრობლემა მისთვის მეტისმეტად პირადულ საკითხს წარმოადგენდა, რადგან მისი სიტყვებით, არ შეეძლო დაეწერა წიგნები მხოლოდ საკითხების სიმწვავის, ან მორალის, ან რომელიმე დაკანონებული აბსტრაქტული იდეის გამო.

დაუნდობელი რეალიზმით, ნათელი, ლაკონური ენით, მწერლური ენერგიით შარლოტა ბრონტე ახლოს დგას თეკერეისთან, რომელსაც თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. დიკენსთან კი, მისი თქმით, აახლოვებდა ჭეშმარიტი ემოციური

დაინტერესება, “პარტიული დამოკიდებულება სიკეთესა და ბოროტებასთან”. ამასთან ერთად, იგი საკუთარი, დამოუკიდებელი გზით მიდიოდა.

ინგლისში კრიტიკული რეალიზმის დამწყები და საუკეთესო წარმომადგენლები – დიკენსი, თეკერეი, მათ კვალდაკვალ შარლოტა ბრონტე და ემილ გასკელი მთელი ძალისხმევით, მხატვრული დამაჯერებლობით აღწერდნენ თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობას, პატარა ადამიანების მძიმე ბედს ინგლისის ისტორიის გარდამავალ ეპოქაში. მათ ზოგიერთ რომანში დასმულია მშრომელი ადამიანის პრობლემები კაპიტალისტურ სამყროში.

ეს კანონზომიერიცაა, რადგან მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა ვითარდებოდა იმ ხანაში, როცა კაპიტალიზმის მრეწველობა მიილტვოდა დაეჩრდილა ინგლისის სოფლის და ხელოსნობის იერსახე, როცა ეკონომიკურმა და სოციალურმა წინააღმდეგობებმა მიაღწიეს მანამდე არარსებულ სიმწვავეს, როცა მთელ ქვეყანაში ჩარტიზმი – მსოფლიოში პირველი მუშათა ორგანიზებული და პოლიტიკურად ფორმირებული მოძრაობა აგორდა.

თუმცა, შარლოტა ბრონტესთვის, მღვდლის ქალიშვილისთვის, რომელიც მკაცრ კონსერვატიულ პრინციპებზე აღიზარდა, ეს მოძრაობა მიუღებელი იყო, მაინც თავისი მსოფლმხედველობის ფარგლებში მწერალი უჩვეულოდ გაბედულად, შორსმჭვრეტელური, ტემპერამენტული კრიტიკით გამოვიდა ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული წარმომადგენლების მანკიერებათა ჩვენებით, ინგლისის “უმაღლესი კლასის” ეგოიზმისა და ფარისევლობის მხილებით.

მან ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა მთელი რიგი პრობლემებით დატვირთული დიდი სოციალური ჟღერადობის რომანები.

შარლოტა ბრონტესთვის დიდებას ბედნიერება არ მოუტანია. ჭლექით დაეღუპა ძმა – ბრენეული. ამავე ავადმყოფობამ იმსხვერპლა ჯერ ემილი, მოგვიანებით კი _ ანნა. შარლოტა დარჩა მარტო, საყვარელი თანამგზავრების, სულიერი ახლობლების გარეშე, უსინათლო და ნერვოზიან მამასთან.

1849 წელს ლუდიტების მოძრაობის შესახებ გამოვიდა რომანი “შერლი”, 1853 წელს ავტობიოგრაფიული რომანი “ვილეტი”, ამავე დროს, მან დაიწყო ქვეყნის გარშემო მოგზაურობა, გაეცნო გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ამასობაში პატრიკ ბრონტეს სახლში გამოჩნდა ახალი მაცხოვრებელი, ახლაგაზრდა მღვდელი, არტურ ბელლ ნიკოლე. იგი დაბრმავებული შარლოტას მამის თანაშემწედ დაინიშნა. ახალგაზრდა მღვდელს შეუყვარდა ცნობილი რომანისტი და ხელი სთხოვა. პატრიკს ამ ქორწინების გაგონებაც არ სურდა, იგი ამაყობდა შარლოტას პოპულარობით, მაგრამ მის გათხოვებაზე ფიქრიც არ უნდოდა.

უარყოფილმა თაყვანისმცემელმა ინდოეთში მისიონერობა გადაწყვიტა, მაგრამ შარლოტამ გადააფიქრებინა და ცოლად გაჰყვა მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარდა იგი. ხუთი თვის მანძილზე მოთმინებით ასრულებდა ცოლის მოვალეობას, უვლიდა ქმარს და სახლს, ამ ყველაფერთან ერთად მაინც ახერხებდა წერას.

1854 წელს ამერიკული გაზეთი "ნიუ-იორკ დეილ ტრიბუნი" წერდა: "თანამედროვე ინგლისური რომანისტების ბრწყინვალე პლეადის, დიკენსის, თეკერეის, მის ბრონტეს ნათელმა, მჭერმეტყველურმა წიგნებმა მსოფლიოს დაანახეს მეტი პოლიტიკურ-სოციალური ჭეშმარიტება, ვიდრე ერთად აღებულმა პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა და მორალისტებმა."ერთმა კრიტიკოსმა კი "ჯეინ ეარს" "ყველაზე რომანული რომანი" უწოდა. შარლოტა გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ, 1855წლის 31 მარტს, ჭლექით დაავადებული ნაადრევი მშობიარობით გარდაიცვალა.

პატრიკ ბრონტემ სთხოვა შარლოტას მეგობარ ქალს, ცნობილ რომანისტს, ე.გასკელს დაეწერა წიგნი შარლოტაზე. მან ითავა ეს საქმე. მოიარა ყველა ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა და მუშაობდა შარლოტა. ჩავიდა ბრიუსელშიც, ინახულა ეჟეს ოჯახიც.

1857 წელს გამოვიდა სამართლიანი და ძლიერი წიგნი – "ცხოვრება შარლოტა ბრონტესი".

თავი III

ქართული თარგმანის მხატვრული ღირებულება შარლოტა ბრონტეს რომანში _ “ჯეინ ეარი”

(მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი თარგმანში)

XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსის, შარლოტა ბრონტეს შემოქმედებამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, რაც თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ ეს ტექსტი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მხატვრული თარგმანის არსი უკეთ რომ გავიგოთ, გავიხსენოთ სპეციალისტების განმარტებები. არსებობს მოსაზრება, რომ “თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიაც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისთვის ცოცხალი სინამდვილე” (ფანჯიკიძე,1988,6).

მხატვრული თარგმანის რეალიები ვლინდება მის ესთეტიკურ აღქმაში. ზოგჯერ მთარგმნელი ვერ ახერხებს ტექსტის კარგად თარგმანს. მხატვრული თარგმანის ენა შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით დიდად განსახვავდება ყოველდღიური სასაუბრო ენისგან. თარგმანის ფენომენის საიდუმლო, ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობაა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. “მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვის განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმენელს დედნის ენის ცოდნის გარდა ეხმარება “რეალური სიტუაციის, ანუ ამ გარეენობრივი სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი. ეს უნარი კი თავის მხრივ, ობიქტური რეალობის ფაქტების ცოდნას

ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის"(ფანჯიკიძე,1988.5).

"ჯეინ ეარში" მთავარია პერსონაჟთა განწყობა, შინაგანი დამოკიდებულება იმ ვითარებასთან, რაც თავის მხრივ, საჭიროა ყველასთვის.

შარლოტა ბრონტემ ბუნებრივად შექმნა საკუთარი შემოქმედება და შესანიშნავად გამოამჟღავნა მშობელი ხალხის ყოფა. სწორედ ამით უნდა შეფასდეს რომანის მხატვრული მხარე. მწერალი რომანში ისე აახლოებს და აკავშირებს პერსონაჟებს და მკითხველს, რომ მკითხველიც პერსონაჟად იქცევა.

მთარგმნელები, ქალბატონები – თამარ მაღრაძე და ზეინაბ ხახანაშვილი ცდილობენ ადექვატურად ასახონ არამარტო პერსონაჟის მოქმედება, არამედ მისი სახეც.

ეპითეტები დედნისეული დატვირთვით არის გადმოცემული. თარგმანში დედანი იშვიათად შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი. მთარგმნელები ამარტივებენ მწერლის მიერ დახატულ სახეს და ვითარებას.

"დედანსა და თარგმანს შორის დგას უფრო მეტად დაუძლეველი ბარიერი. დედნის ემოციური დატვირთვა, მხატვრული სიტყვის ირაციონალური მხარე არ ხორციელდება, რადგან ხდება ორი სხვადასხვა ენის იდენტური შინაარსისა და აზრის შემცველი სიტყვების მხატვრული იგივეობის განხორციელება. მთარგმნელი ვერ აღწევს მხატვრული სიტყვის იდენტურობას, რადგან საგნები თუ მოვლენები, აღქმული საკუთარ ენაზე, გვეძლევა ამ ენის ბგერათკომპლექსისა და სიტყვების ურთიერთმიმართების მეშვეობით და ფსიქოლოგიური და ემოციური დატვირთვაც ამ ენაში გააჩნია მხოლოდ"(ხუციშვილი,1989,5).

ავტორი ნაწარმოების პერსონაჟებს ემოციური განწყობის მიხედვით ახასიათებს და შესაბამისად აკეთებს შედარებებს.

"A long stride measured the schoolroom, and presently beside Miss Temple, who herself had risen, stood the same black column which had frowned on me so ominously from the hearthburg of Gateshead. I know glanced sideways at this piece of architecture. Yes I was right: it was Mr. Brocklehurst, buttoned up in a surtout, and looking longer, narrower and more rigid than ever" (Bronte,1847,92)

“მან დიდი ნაბიჯებით გაიარა საკლასო ოთახი და უცებ მის ტემპლის გვერდით, რომელიც აგრეთვე ფეხზე წამომდგარიყო, აისვეტა. დავინახე იგივე შავი ბოძი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გეისტჰედში ბუხრის წინ იდგა ხალიჩაზე და შუბლშეკრული, პირქუში გამომეტყველებით მათვალიერებდა. ახლა მე ცალი თვალით ვუმზერდი ამ უნაკლო არქიტექტურის შედევრს. დიახ, არ შევმცდარვარ. ეს მისტერ ბროკლეჰერსტი იყო. ღილებით ბოლომდე შეკრული პალტო კიდევ უფრო გამხდარსა და მაღალს აჩენდა და თითქოს მის სახეს სიმკაცრეს მატებდა”(ბრონტე,1964,74).

აღნიშნული შედარებების ქართული თარგმანებიც შესანიშნავია. ქართველი მთარგმნელები ფრაზას თარგმნიან არა სიტყვასიტყვით, არამედ ესმით შინაარსი და მშობლიურ ენაში ეძებენ შესატყვისს, რაც მათ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. მხატვრულობის თვალსაზრისით, რომანში მოცემული სხვა შედარებებიც არანაკლებ საინტერესოა. მთარგმნელები მაქსიმალურად ცდილობენ, თუმცა ზოგჯერ ვერ აღწევენ დედნისეულ მიზანდასახულობას. ვფიქრობთ, აქ გასათვალისწინებელია დედნის ენის და გადმოცემის ავტორისეული მანერის ერთგვარი სიძლიერე.

დედნისა და თარგმანის იდენტურობა სადავო საკითხია, მაგრამ საკამათო არ არის, რომ თარგმანი არის დედნისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა. ამის გარეშე წარმოუდგენელია ორიგინალის შესახებ საუბარი. თარგმანით ორი ენობრივი სამყაროს შერწყმის შედეგად დედანი კიდევ უფრო მდიდრდება და თვალსაჩინო ხდება.

როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, დედანში გვხვდება ადექვატური და იშვიათად – არაადექვატური ადგილებიც. მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები თითქმის დედნის ტოლფასია.

ძირითადად, მთარგმნელები სწორად გადმოსცემენ შარლოტა ბრონტეს რომანის – “ჯეინ ეარის” პასაჟებს.

საერთოდ, მთელი რომანი თარგმნილია ზუსტად, შენარჩუნებულია მისი იდეური შინაარსი, სტილი, ინტონაცია.

ა) თავისუფალი ნება "ჯეინ ეარის" მთავარ პერსონაჟში

ძირითადი პირობა, რამაც განსაზღვრა "ჯეინ ეარის" წარმატება, ეს მთავარი გმირის - ჯეინის დაუდგრომელი, მებრძოლი, მეამბოხე სულია.

რომანის იდეურ პრობლემატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს თავისუფლებისა და არჩევანის თავისუფლების ეგზისტენციალურად გააზრებულ პრობლემებს. მთავარ გმირს – ჯეინს, მორალური დილემის გადაწყვეტა უწევს. მან უნდა გააკეთოს არჩევანი გონებასა და თვითშეზღუდვას, გრძნობასა და მოვალეობას შორის. იგი ირჩევს პირველს. საკუთარ თავზე ბედისწერის გავლენას გრძნობს, საბოლოოდ კი თვითონ მართავს საკუთარ ბედს.

თავისუფლება და ბედნიერება ჯეინისათვის სინონიმებია. მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის საკმარისი გარანტია, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს თავისუფლება, თუ მას არ ახლავს გონებრივი სიმწიფე, განათლება, ცოდნა.

ჯეინი ეძებს თავისუფლებას, რათა თავად იყოს თავისი თავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავის თავს, საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს.

მართალია, რომანის პირველ თავებში აღწერილი ჯეინი რიდების ოჯახში ჯერ კიდევ უმწეო ბავშვია, მაგრამ არსებული სინამდვილისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილი ბობოქრობს მასში. იგი მებრძოლი, მეამბოხე, ბუნტარული სულით დაჯილდოებული ადამიანია.

ადამიანის არსი რომ თავისუფლებაშია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის და ყველგან თავისუფალია. ამით მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი. ადამიანი თვითონ ირჩევს თავისი ცხოვრების წესს, თვითონ განსაზღვრავს, ვის ან რას მიემსგავსოს, ცხოველს თუ ღმერთკაცს, მაგრამ იგი არ არის აბსოლუტურად თავისუფალი იმ აზრით, რომ იგი არ ირჩევს არც იმ ეპოქას, რომელშიც იბადება, არც იმ საზოგადოებრივ-ეკონომოკურ ფორმაციას, რომელშიც იგი ატარებს ცხოვრებას. ადამიანს ეს ეძლევა გარედან, ეძლევა მისი ნება-სურვილის მიუხედავად. სწორედ ეს სოციალური გარემო, რომელიც ერთს მოსწონს და მისაღებად მიაჩნია, მეორეს კი სძაგს მზადაა მასთან საბრძოლველად, არის ის დეტერმინანტი, რომელიც ჯეინთან ბედის სახელწოდებით აღინიშნება.

ქრისტიანულ მოძღვრებაში, ადამიანის შესახებ კონცეფციაში დიდი ადგილი ეთმობა ადამიანის თავისუფლების პრობლემას. ადამიანი იმთავითვე თავისუფალი არსებაა, ის თვითონ თავისუფლებაა. ამავე დროს, პირვანდელი ცოდვა გაგებულია, როგორც თავისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგი. თავისუფლება ადამიანის არსს ახასიათებს, ხოლო ცოდვა – ამ თავისუფლებით ბოროტად გამოყენების შედეგია.

რომანის დასაწყისში ჯეინის მორალი თავისუფლების შეზღუდული გაგებით შემოიფარგლებოდა. ეს იყო თავისუფლების ილუზია, რომელსაც იგი სულიერი იზოლაციითა და სხვა ადამიანებისგან გამიჯვნით იქმნიდა. თავდაპირველად, ბიძაშვილებთან ყოფნისას, თავს იტყუებდა, რომ მისი ბედი სამუდამოდ გადაწყვეტილი იყო, შემდეგ ხვდება, ჯერ კიდევ დროა გახსნას თავისი თავი საკუთარ სამყაროში.

რიდების სახლში მისის რიდის ნებიერ ჯონს ყველა უსიტყვოდ ემორჩილება. პატრონის ფსიქოლოგიით აღჭურვილ, გათავხედებულ ჯონის აღუდგა წინ ჯეინი. ამ პატარა, მაგრამ მგრძნობიარე გულითა და გამჭრიახი გონებით მომადლებულმა ბავშვმა იგრძნო, რომ “მაღალი წრის” ადამიანები საკუთარ ბავშვებს სიყმაწვილიდანვე უნერგავენ იმ აზრს, რომ ღარიბებთან დამოკიდებულებაში, თუნდაც ის სისხლით ნათესავი იყოს, სხვანაირად უნდა მოიქცნენ.

ჯეინმა შეიგნო რა თავისუფლების რაობა, ახალ რანგში პასუხს აგებს საკუთარი საქციელისთვის. ავტორი თავის პოზიციას არ ამჟღავნებს, გმირს საშუალებას აძლევს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ მას უნდა თავისუფლების ერთგული დარჩეს, სხვა გამოსავალი არცა აქვს.

ლოვუდის სკოლაში მოხვედრილი ჯეინი აღშფოთებულია აღმზრდელების უსამართლო საქციელით და ელენ ბერნსთან საუბარში ამბობს:

“If people were always kind and obedient to those who are cruel and unjust, the wicked People would have it all their own way: they would never feel afraid and so they would never aler, but would grow worse and worse. When we are struck at without a reason, we should strike back again very hard”(Bronte,1847,85).

“ხალხი რომ ყოველთვის კეთილი და მორჩილი იყოს ბოროტი და უსამართლო ადამიანებისადმი, მაშინ ბოროტებას უფრო ფართო გზა მიეცემოდა. მათ არაფრის შიში არ ექნებოდათ და არც არასოდეს გამოსწორდებოდნენ. უფრო და უფრო მეტ

უსამართლობას ჩაიდენდნენ. როცა ჩვენ უმიზეზოდ გვცემენ, ჩვენც დარტყმას დარტყმით უნდა ვუპასუხოთ" (ბრონტე, 1964, 70).

თარგმანის ამ მონაკვეთშიც კონცენტრირებულია ის ინდივიდუალური თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მთელი რომანის სტილურ ხასიათს.

მთარგმნელებს, ცხადია, თავისუფლების გამომხატველ მონაკვეთებზე მუშაობი-სასაც მხედველობაში ჰქონდათ შეექმნათ მწერლის უმთავრესი განზრახვა – შეექმნა ორიგინალური და მშვენიერებით სავსე ჯეინის სახე ყველა ატრიბუტით – მელანქოლიური და სევდიანი.

შარლოტა ბრონტეს შემოქმედების შესახებ საუბრისას შეიძლება გამოვიყენოთ გამოთქმა "ტრაგიკული დაძაბულობა".

ფაქტიურად, აქ იგულისხმება ერთი მხრივ, ის ემოციური, სულიერი დისკომფორტი, დამთრგუნველი, ხშირად ტრაგიზმის განცდამდე მისული, რომლის ატმოსფეროშიც ცხოვრობენ მისი გმირები და, მეორე მხრივ, დრამატული, ავბედითი, ხშირად უკიდურესად ტრაგიკული ფაქტები, ქმედებები, რაც ამ დრამებში ხდება.

რაშია ამ ტრაგიკული დაძაბულობის, ანუ ტრაგიზმის ფესვები? რა ქმნის ამ ნახსენები ტრაგიზმის ბრონტესეულ სპეციფიკას? ტრაგიზმი ხომ უცხო არ არის მსოფლიო ლიტერატორთა უდიდესი ნაწილისთვის?

მისი შემოქმედების გასაგებად საჭიროა "ჯეინ ეარში" ჩადებული ამ "ტრაგიკული დაძაბულობის" შინაარსის, მისი არსისა და საფუძვლის ამოხსნა, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია.

ჩვენი დაკვირვებით, შარლოტა ბრონტეს ცხოვრების ფილოსოფიის მიხედვით, რომელიც მართალია, პირდაპირი, ღია ტექსტით არ არის გამოთქმული, მაგრამ მის რომანშია გამოხატული და ადამიანური ტრაგიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ადამიანის ცნობიერი და არაცნობიერი სწრაფვაა თავისუფლებისკენ.

რა არის თავისუფლება?

თავის გამოხატვის უფლება, აკეთო ის, რაც გინდა, ანუ იყო ის, რაც ხარ. ეს არის ადამიანის მარადიული სწრაფვა თავისუფლებისაკენ, თავისი თავის განხორცი-ელებისკენ.

თავისუფლება არის ადამიანის პიროვნული სწრაფვის სრული განხორციელების შესაძლებლობა. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ ჰეგელის აზრი იმის შესახებ, რომ ხალხურ ზღაპარში ბედნიერი ბოლო ხშირად მდგომარეობს ხალხიდან გამოსული გმირის მეფედ გადაქცევაში. მეფედ, რომელიც პრინციპში, ხალხთან დაპირისპირებული მოვლენაა.

ჰეგელის განმარტებით, ხალხური ზღაპრის ავტორები, რომლებმაც იციან, რომ სრული თავისუფლება არ არსებობს, გმირს აძლევენ თავისუფლების მაქსიმუმს, რომელიც კი ამქვეყნად არის შესაძლებელი. თუმცა არც მეფეა ბოლომდე თავისუფალი. სწორედ ამავე პრობლემას ებრძვიან რომანის მთავარი პერსონაჟები, რასაც ქვემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითიც გვიდასტურებს:

“I tired of the routine of eight years in one afternoon.

I desired liberty for liberty I gasped; for I uttered a prayer; it seemed scattered on the wind then faintly blowing, I abandoned it and framed a humbler supplication; for change, stimulus: that petition, too, seemed swept off into vague space: “then’ I cried, half desperate, ‘grant me at least a new servitude!”(Bronte,1847,129-130)

“მხოლოდ იმ საღამოს ვიგრძენი, რომ დავექანცე ცხოვრების ერთფეროვნებას ამ რვა წლის განმავლობაში.

თავისუფლება მწყუროდა. მის ნატვრაში ამომდიოდა სული, მისთვის ვლოცულობდი დღედაღამ, გამუდმებით. ჩემი ვედრება თითქოსდა ნიავის მსუბუქმა ქროლამ გაჰფანტა. მაშინ ლოცვა-ვედრებას თავი ვანებე და სულ სხვა რამეს, სულ მცირეს შევთხოვდი განგებას: შეეცვალა ჩემი ცხოვრება, მოეცა ახალი ძალა და ენერგია. მაგრამ ეს ხვეწნა-მუდარაც ამ უსაზღვრო სივრცეში გაიფანტა. მაშინ ადგილ– სამყოფელის გამოცვლა მაინც მაღირსე, ღმერთო! წამოვიძახე თითქმის სასოწარკვეთილმა.” (ბრონტე, 1964, 103–104)

ან სხვაგან:

“I could not help it: the restlessness was in my nature; it agitated me to pain sometimes. Then my sole relief was to walk along the corridor of the third storey, backwards and forwards, safe in the silence and solitude of the spot and allow my mind’s eye to dwell on whatever bright visions rose before it – and, certainly, they were many and glowing; to let my heart be heaved by the exultant movement, which, while it swelled it in trouble, expanded it with life; and, best of all, to open my inward ear to a tale that was never ended – a tale my imagination created, and

narrated continuously; quickened with all of incident, life, fire, feeling, that I desired my actual existence.” (Bronte, 1847, 166-167)

“მე ხომ ბუნებით დაუდგრომელი ვიყავ და ხანდახან ტკივილსაც კი ვგრძნობდი მეტისმეტი მღელვარებისგან. მაშინ ერთადერთ ნუგეშს მხოლოდ იმაშიღა ვპოულობდი, რომ ბოლთას ვცმედი მესამე სართულის დერეფანში და თავის დახსნას იქ გამეფებულ მდუმარებასა და განმარტოებაში ვეძებდი. გონების თვალით ამ დროს ოცნებით წარმოვიდგენდი ხოლმე უამრავ ნათელ სურათს, რომლებიც ბრწყინავდნენ ჩემ გარშემო. მინდოდა ჩემი გული აჰყოლოდა ამ ბობოქარ მოძრაობას და ტანჯვა-წამებასთან ერთად ნამდვილი ცხოვრებაც განეცადა. ყველაზე უკეთესი კი ის იყო მესმინა ამ დაუმთავრებელი ამბისთვის, ჩემი ოცნება რომ ქმნიდა და ვიღაც დაუსრულებლად ყვებოდა ჩემ სულში. მას ცხოვლემყოფელობას მატებდა ის შემთხვევები, თვით ცხოვრება, ცეცხლი, გრძნობები, რომლისკენაც მე ასე მივისწრაფოდი და სინამდვილეში არ გამაჩნდა.” (ბრონტე, 1964, 133–134)

კიდევ ერთი მაგალითი:

“I was becoming incapable appreciating. What good it would have done me at that time to have been tossed in the storms of an ancertain struggling life, and to have been taught by rough and bitter experience to long for the calm amidst which I now repined! Yes, just as much good as it would do a man tired of sitting still in a ‘too easy chair’ to take a long walk: and just as natural was the wish to stir, under my circumstances, as it would be under his.” (Bronte, 1847, 350)

“მე უკვე აღარ შემეძლო მშვიდი და უზრუნველი ცხოვრების დაფასება. რა კარგი იქნებოდა სწორედ ამ დროს მოვხვედრილიყავი ბობოქარი ცხოვრების ქარცეცხლში. მწარე და მკაცრი ცხოვრების გამოცდილებას ესწავლებინა და სანატრელად გაეხადა ის მშვიდი და წყნარი ცხოვრება, რომელზედაც ახლა ასე ვბუზღუნებდი. დიახ, ეს ისევე სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის, როგორც სავარძელში ჯდომით გადაღლილი ადამიანისთვის ფეხის გამართვა და გასეირნება.” (ბრონტე, 1964, 301)

საინტერესოა ეს მაგალითიც:

“I am sure, sir, I should never mistake informality for insolence: one I rather like, the other nothing free-born would submit to, even for a salary.” (Bronte, 1847, 205)

“დარწმუნებული ვარ ჩემ თავში, სერ, რომ საზოგადოების მიერ დაკანონებულ მრავალნაირ წესსა და მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე საუბარს კადნიერებად არ მივიჩნევ. პირველი მომწონს, მაგრამ მეორეს, თუნდაც ჯამაგირის გულისთვის, ვერ აიტანს დაბადებიდანვე თავისუფლებას ჩვეული ადამიანი.” (ბრონტე, 1964, 164)

ან ეს:

“I no bird; and no net ensnares me; I am a free human being with an independent will. Which I now exert to leave you.” (Bronte, 1847, 386)

“მე ფრინველი არა ვარ და ვერავითარი გალია ვერ დამიჭერს. მე თავისუფალი ქმნილება ვარ, სრულიად დამოუკიდებელი სურვილისა და უფლებების მქონე, და ის მაიძულებს, რომ დაგტოვოთ.”(ბრონტე,1964,309)

ჯეინი არჩევანის წინაშე დგას: ან უნდა აირჩიოს, დაემორჩილოს მაღალ მორალურ ტრადიციებს და ამით უღალატოს თავის გრძნობებს, ან უნდა აჯანყდეს მის წინააღმდეგ და განიდევნოს საზოგადოებისაგან.

ჯეინი ინდივიდია, აქვს ინდივიდუალური, პიროვნული მოთხოვნილებები, მაგრამ ეს არაა იმპულსური ბუნების, ან ბიოლოგიური.

ესაა მაღალი ინტელექტუალურ-ეთიკურ-ესთეტიკური, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებებს არ ეწინააღმდეგება. ჯეინს შეუძლია მისი შესრულება, მაგრამ რთული ვითარება მაშინ იჩენს თავს, როცა ეს მოთხოვნილებები ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, საზოგადოებაში განმტკიცებულ ადათ-წესებს.

ჯეინის თვალსაზრისი გასაგებია. იგი, არსებითად, უარყოფს, ებრძვის ექსპლოატატორულ მორალს, მომხრეა საკაცობრიო მორალისა, რომელიც, მისი გაგებით, შეიძლება დამყარდეს, როცა მოისპობა საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად.

რამდენადაც ჯეინი სოციალური არსებაა, მან საზოგადოებრივი თვალსაზრისი დააყენა პიროვნულზე მაღლა და როჩესტერთან არ დარჩა. უყოყმანოდ აირჩია საზოგადოებრივი წესი, პიროვნულ მოთხოვნილებებზე უარი თქვა. თუმცა, ეს მოთხოვნილებები და ინტერესი ძნელი, ლამის მომაკვდინებელი იყო.

თითქოს ჯეინი, არსებითად, საზოგადოებრივ აზრს აძლევს უპირატესობას, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ მისი არჩევანი უფრო სწორია, უფრო ღირსეული და პროგრესული. იგი ამ უკანასკნელის ერთგული რჩება ბოლომდე.

ეს გადაწყვეტილება დიდი ტვირთიცაა, მოვალეობაც, პასუხისმგებლობაც.

ჯეინს ესმის, რომ მისი სანუკვარი ზრახვების მტრად ითვლებიან რკინისებური საეკლესიო დოგმები და პირობითობები, ჩახშობილი ემოციები. რასაც არ უნდა აკეთებდეს იგი, თავის თავში ატარებს თავისუფლებას და სამართლიანობას.

სწორედ ამიტომაცაა შეუდრეკელი, რაც თავად მისტერ როჩესტერის გაოცებას იწვევს. სწორედ ამ შეუვალობით, თავისუფლებისმოყვარეობით იმსახურებს იგი პატივისცემას და აღტაცებას:

“Consider that eye: consider the resolute, wild, free thing looking out of it, defying me, with more than courage – with a stern triumph. Whatever I do with its cage, I cannot get at it – the savage, beautiful creature! If I tear, if I rend the slight prison, my outrage will only let the captive loose.” (Bronte,1947,484)

“ჩაიხედეთ ამ თვალებში და დაინახავთ, რა მტკიცე, ველურივით შეუდრეკელი და თავისუფალი არსება გიყურებთ იქიდან! უჩვეულო სიმამაცით უარმყოფს და წარბგაუხსნელი ზეიმობს გამარჯვებას! როგორც არ უნდა მივუდგე მის გალიას, ამ გარეულ მშვენიერ ქმნილებას ხელში ვერ ჩავიგდებ! თუ ამ საპატიმროს სუსტ კედლებს დავანგრევ და გავანდგურებ, ჩემი ძალმომრეობა მხოლოდ ტყვეს გაანთავისუფლებს.” (ბრონტე, 1964, 390)

ან:

“By degrees, he acquired a certain influence over me that took away my liberty of mind: his praise and notice were more restraining than his indifference. I could no longer talk or laugh freely.” (Bronte, 1847, 606)

“თანდათანობით მან მოიპოვა გარკვეული გავლენა ჩემზე და აზროვნების თავისუფლება წამართვა. მისი ქება და ყურადღება უფრო მბოჭავდა, ვიდრე მისი გულგრილობა, უკვე აღარ შემეძლო თავისუფლად ლაპარაკი და სიცილი.” (ბრონტე, 1964, 482)

სხვაგან:

“But I did not love my servitude: I wished, many a time, he had continued to neglect me.” (Bronte, 1847, 607)

“თვითონ არ მომწონდა ჩემი დამონება, ბევრჯერ მინატრია, ნეტავ, ძველებურად არ მომაქციოს ყურადღება-მეთქი.” (ბრონტე, 1964, 482)

კიდევ:

“There are no such things as marble kisses, or ice kisses, or I should say my ecesiastical cousin’s salute belonged to one of these classes; but there may be experiment kisses, and his was an experiment kiss… I felt as this kiss were a seal affixed to my fetters.” (Bronte, 1847, 607)

“არ არსებობს მარმარილოს კოცნა, ან ყინულის კოცნა, თორემ ვიტყოდი, ჩემმა ღვთისმსახურმა ბიძაშვილმა ასე მაკოცა-მეთქი, მაგრამ შესაძლოა არსებობდეს საცდელი კოცნა და ეს იყო სწორედ ასეთი კოცნა... ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის კოცნა ჩემი ბორკილების გასამაგრებელი იყო”. (ბრონტე, 1964, 483)

ან:

“I felt daily more and more that I must disown half my nature, stifle half my faculties, wrest my tastes from their original bent, force myself to the adoption of pursuits for which I had no natural vocation.” (Bronte, 1847, 607)

“ასეთი საქციელით სულ უფრო და უფრო ვკარგავდი ჩემი თავის ნაწილს, ვიხშობდი უნარს, ვიცვლიდი გემოვნებას და ვაიძულებდი ჩემ თავს გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც უცხო იყო ჩემი ბუნებისათვის.” (ბრონტე, 1964, 483)

მწერალი ჯეინს იმიტომ კი არ აშორებს როჩესტერის სასახლეს და ატარებს მარტოს, რომ გვიჩვენოს მისი ნების თავისუფლება. ათავისუფლებს რა მორალური აკრძალვისაგან, საშუალებას აძლევს, მოიქცეს საკუთარი ბუნების და გარემოებათა შესაბამისად. შედეგად იქმნება ქცევის მოდელი, რომელშიც ეგზისტენციალური პოზიციები მოულოდნელად დიამეტრიულად საწინააღმდეგო ბიჰევიორისტული მოდელით იცვლება, იგი თავად უბრუნდება როჩესტერს.

რა ამოძრავებდა ჯეინს?

ჯეინს ამოძრავებდა მაღალი მორალური კატეგორიები. ზნეობრივი კანონები, რომლის გარეშე ადამიანი ადამიანად არ იწოდება. თვლის რა ადამიანს ღმერთის შექმნილად. თვლის, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრების იდეალად უნდა დაისახოს

ღმერთკაცი, ქრისტე, რომელიც ეწამა მოყვასისათვის. ეს კი ნიშნავს, ისევე ემსახურო სხვა ადამიანებს, როგორც ეს ქრისტემ მოინდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯეინს დიდი სიყვარულის მიუხედევად, როჩესტერთანაც თავისებური ურთიერთობა აქვს. იგი აქაც ყველაფერზე მაღლა საკუთარ ნებას აყენებს. მისთვის უმთავრესი ღირსების შეგრძნებაა, რადგან იცის, რომ მის გარეშე ადრე თუ გვიან ედვარდისთვისაც დაკარგავს მომხიბვლელობას და, რაც მთავარია, საკუთარ თავს გაუცრუებს იმედს.

სწორედ ამიტომ ედავება გამუდმებით ჯეინი როჩესტერს, მხოლოდ თვითონ იცის, როდის დაბრუნდება მასთან. ამას მაშინ აკეთებს, როდესაც მშვიდად შეუძლია განაცხადოს:

“I am independent, sir, as well as rich: I am my own maisstress” (Bronte, 1847, 663).

“არავისზე ვარ დამოკიდებული–მეთქი, ბატონო, და თანაც მდიდარი გახლავართ და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი” (ბრონტე, 1964, 523).

ან კიდევ:

“I’ll be prepearing myself to go out as a missionary to preach liberty to them that are anslaved - your harem inmates amongst the rest. I’ll get admitted there, and I’ll stir up mutiny; and you, three-tailed bashaw as you are, sir, shall in a trice find yourself fettered amongst our hands: nor will I for one, consent to cut your bonds till you have signed a charter, the most liberal that despot ever yet conferred” (Bronte, 1847, 410).

“მისიონერად მოვემზადებოდი, რათა პირველ რიგში თავისუფლების სიყვარული მექადაგა თქვენი ჰარამხანის მკვიდრი მონა ქალებისთვის. შევიჭრებოდი იქ და ამბოხებას მოვაწყობდი. თქვენ კი, სამკუდიანო ფაშავ, სამმაგად შებორკილი აღმოჩნდებოდით ჩვენ ხელში. მანამდე არ დავეთანხმებოდი მოეხსნათ ბორკილები თქვენთვის, სანამ ხელს არ მოაწერდით ყველაზე ლიბერალურ მანიფესტს, როგორიც კი ოდესმე რომელიმე მტარვალს დაუშვია”(ბრონტე, 1964, 329).

აქაც და სხვა მოყვანილ მაგალითებშიც მთარგმნელის ინდივიდუალური შემოქმედებითი ხასიათი ვლინდება ავტორის წარმოსახვის მოდელისადმი შემოქმედებითი “მორჩილების” შერწყმის თავისებურებაში.

“I only want an easy mind, sir, not crushed by crowded obligations. Do you remember what you said of Celine Varens? – of the diamonds, the cashmeres you gave her? I will not be

your English Celine Varens. I shall earn my board and lodgin, and thirty pounds a year besides. I'll finish my own wardrobe out of that money, and you shall give me nothing but-'

'well, but what?

'your regard; and if I give you mine in return, that debt will be quit'

'Well, for cool native impudance and pure innate pride, you haven't your equal,' (Bronte, 1847, 411)

"მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო, სერ, და არა რაღაც ურიცხვი მოვალეობებით შეზღუდული. გახსოვთ თუ არა რა თქვით სელინ ვარენსზე? ან იმ ბრილიანტებზე და ქაშმირის საკაბეებზე, რომელიც მასთან მიგქონდათ საჩუქრად. მე არ ვიქნები თქვენი ინგლისელი სელინ ვარენსი. მსურს ისევ შრომა განვაგრძო, როგორც ადელის აღმზრდელმა, ამით მე გამოვიმუშავებ თავის შესანახსა და ბინის გადასახადს, გარდა ამისა, წელიწადში 30 ფუნტს. ამ შემოსავლით მე ჩავიცვამ და თქვენ მოგთხოვთ მხოლოდ...

–მხოლოდ რას, ჯეინ?

–პატივისცემას და თუ თქვენც ჩემგან სამაგიეროს მიიღებთ, ურთიერთს ვალში აღარ აღმოვჩნდებით".

–კეთილი, ასეთ თანდაყოლილ კადნიერებასა და ბუნებრივად შესისხლხორცებულ სიამაყეში ტოლი არ მოგეძებნებათ,"- მითხრა მან" (ბრონტე, 1964, 329).

კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს იგი რივერსს:

"yes' I said: 'but I could not go on for ever so, I want to enjoy my own faculties as well as to cultivate those of other people. I must enjoy them now; don't recall either my mind or body to the school; I am out of it and disposed for full holiday…

'To be active as active as I can. And first I must beg you to set Hannah at liberty, and get somebody else to wait on you". (Bronte, 1847, 594)

"დიახ, - ვთქვი მე. მაგრამ მე არ შემიძლია მთელი სიცოცხლე ასე ვიცხოვრო: მე ისევე მინდა საკუთარი გრძნობებით ვისიამოვნო, როგორც მინდა განვავითარო ისინი სხვებში. მე მინდა სიამოვნება. ნურც ჩემს სულს და ნურც სხეულს ნუღარ გაახსენებთ სკოლას; მე მოვრჩი ამ საქმეს და მინდა დავისვენო...

–რას აპირებთ?

–მოქმედებას, რამდენადაც შემიძლია. და, უპირველესად ყოვლისა, მინდა გთხოვოთ, გაათავისუფლოთ ჰანა და სხვა მოახლე იშოვოთ". (ბრონტე, 1964, 473)

ამ კონკრეტულ ფსიქოლოგიური ფაქტების თარგმნისასაც შემოქმედებს აუთვისებიათ და გაუთავისებიათ ბრონტეს ემოციების შინაგანი მამოძრავებელი იმპულსები. ჩაძირულან დედანში და სუბიექტურ თავისებურებათა შესაბამისად ადაპტირებულან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმანში რომანის განწყობილება, მისი ინ- დივიდუალური ხასიათი – სტილი მიგვანიშნებს ავტორისა და მთარგმნელების შემოქმედებით თავისებურებათა განუყოფელ, ორგანულ მთლიანობაზე.

შარლოტა ბრონტეს თავისი გმირების ცხოვრების მარტო ფაქტები როდი აინტერესებს, მარტო მათი მოქმედების ასახვით როდი კმაყოფილდება, არამედ ყოველივე ამის გააზრება სურს.

უფრო მეტიც, აინტერესებს მათი ხასიათის არამარტო ცალკეული მხარეები, ან ცალკეული ნააზრევი და გადაწყვეტილება, არამედ ის შინაგანი გზა, რომლითაც გმირი საბოლოო შედეგამდე მიდის, მათი მომწიფების მთელი პროცესი. ეს ყველაფერი კი თვალისათვის ყოველთვის შეუმჩნეველია და მხოლოდ ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით ხდება მისაწვდომი.

ამიტომაცაა, მწერალი ღრმად იჭრება გმირის სულიერ სამყაროში და გრძნობების სათავეებს ეძებს. ეს იმდენად ძლიერადაა გამოვლენილი რომანში, შეიძლება ითქვას, მის ერთ-ერთ სიუჟეტურ ღერძსაც კი წარმოადგენს, რადგანაც მასთან დაკავშირებით იხსნება გმირის ხასიათი. ამით აღწევს მწერალი თავისი ძირითადი მიზნის ნათლად გამოხატვას. არამარტო ამახვილებს მკითხველის ყურადღებას თავისი გმირების ხასიათის ამა თუ იმ მხარეზე, არამედ მოქმედების განვითარებასთან ერთად გვიხსნის კიდეც, რომ ეს ასე იყო.

მთარგმნელები ამ რთული ფსიქოლოგიური მოვლენების სათანადოდ გადმოსაცემად რიტმულ სახეს აკავშირებენ აზრის გამოხატვის სინტაქსურ საშუალებებთან, რადგანაც ისინი პირველად თარგმნიან მოცემულ ფრაზებს და არა მთელ რომანს ერთბაშად. მათ საქმე აქვთ ფრაზის ვიწრო კონტექსტთან, რომელსაც, ცხადია, ფართო მნიშვნელობით წარმოადგენენ.

მითუმეტეს, ვიცით, რომ ინგლისურს ახასიათებს მოკლე ფრაზები. მაგრამ საქმე ფრაზის სიგრძე კი არ არის, არამედ მისი რიტმული სახე, რომელიც მაქსიმალური სიზუსტითაა გადმოღებული ქართულად, ამასთან ის სრულყოფილად გადმოსცემს ავტორის სათქმელს.

ამ რომანს ‘‘შინაგანი განცდები’’ ავსებს. ადამიანური ხასიათების ასახვა, რითაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი ინგლისურმა კლასიკურმა ლიტერატურამ, რჩება მხატვრულობის მთავარ პრინციპად. ინგლისური სოციალურ-ფსიქოლოგიური პროზა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა რეალისტური საფუძვლიანობით, შარლოტა ბრონტესთან, განვითარების ახალ ეტაპზეც, საგულდაგულოდ აღწერს და გადმოგვცემს ცხოვრებისეულ წვრილმანებს.

მორალური სრულყოფის იდეითაა განმსჭვალული შარლოტა ბრონტეს მთელი შემოქმედება. ჯეინში რომანტიკულად განყენებულ, საკუთარ ფასეულობათა შემქმნელ პიროვნებას ვხვდებით. თითქოს მოქანდაკის საკვეთით ქმნის ჯეინის სახეს. ოსტატურად ძერწავს თითოეულ ნაკვთს, მოძრაობას, ჟესტს, მიმიკას. მის თვალს არ ეპარება ჯეინის საქციელი ამა თუ იმ მდგომარეობაში. ახსნილია ამ საქციელის გამოვლენის როგორც შინაგანი, სულიერი მიზეზები, ასევე გარეგნული სახე. მოკლედ, მოცემულია არა მარტო გარეგნული, არამედ ფსიქოლოგიური დახასიათებაც, მისი გრძნობებისა და განცდების ფსიქოლოგიური ანალიზი. შექმნილია პორტრეტი, პერსონაჟის უაღრესად სრულყოფილი სახე.

ამიტომაა ბრონტეს ჯეინი რეალური, ცხოვრებისეული.

ცნობილია, ეგზისტენციალური ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, ხასითადება არა მისი ცნებებისეული შემადგენლობით, არამედ ემოციონალური წყობით. მწერალი პიროვნების საქციელში ხედავს უსაზღვრო თავისუფლებას.

მხატვრული ლიტერატურის შესწავლის მთავარი ობიექტი ყოველთვის ადამიანი იყო. ყველა მწერალი ამა თუ იმ ზომით ხელმძღვანელობდა აზრით, გაეგო მისი ფსიქოლოგიის, ქცევის მიზეზების, როლის შესახებ საზოგადოებისა და ისტორიის განვითარებაში.

შარლოტა ბრონტეს შემოქმედების ყურადღების ცენტრშია ადამიანის თვითშემეცნება, მის მიერ პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ცნებების გაგება, მისი განთავისუფლება ეგოიზმისა და საეჭვო ღირებულებებისაგან.

ეს რომანი ძიებაა სინამდვილის, პიროვნების უტყუარობის ამოსაცნობად, რომელიც მოწმდება, შიშვლდება და გაივლის უმძიმეს გამოცდას. რომანში თანმიმდევრობით ჩნდება ადამიანების დაყოფა "საუკეთესოებად" და "უმრავ-ლესობად", იკვეთება თავისუფლების ფასი და აუცილებლობა.

შარლოტა ბრონტე გულდასმით მოიაზრებს თავისი გმირების მიერ განვლილ გზასა და განსაცდელს. მწერლისათვის ამას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სიუჟეტის განვითარებისათვის, არამედ იმისათვის, რომ განამტკიცოს საკუთარი ზნეობრივი იდეალები.

რომანში იდეები დრამატიზირებულია და ზნეობრივი ფასეულობები გმირების მოქმედებით გამოიცდება. იდეალები კი დამაჯერებელია, რადგან მის მატარებლად სიცოცხლისუნარიანი პერსონაჟები გვევლინებიან.

თანდათან ყალიბდება ჯეინის კრედოც. ის თავისუფლდება სენტ ჯონის უხილავი გავლენისაგან, რომელიც ჯეინში დებს თავის სანუკვარ აზრებს ღმერთის სამსახურთან დაკავშირებით. თვითშეწირვის გარდა, იგი განუწყვეტელ შრომას, ცხოვრების ყოველდღიურობიდან განდგომას ითხოვს. თვასაჩინოა გზა, რომელსაც ჯეინი ირჩევს. შარლოტა ბრონტე ჯეინს გარკვეულ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ანიჭებს, რაც პერსონაჟს უფრო ცოცხალ და მეტყველ იერსახეს სძენს. გმირების დახასიათებისას, მათი თვითგამომჟღავნების პროცესში პირველ პლანზე გამოდის მოვლენების, ფაქტების, გარესამყაროს რეალიების მიზანმიმართული შერჩევის პრინციპი. მათი შემწეობით, უწინარეს ყოვლისა, შეიმჩნევა პერსონაჟთა ინტერესების ინდივიდუალობა. ავტორისეული პოზიცია მჟღავნდება შეხედულებათა მონტაჟშიც.

გმირების თვალთახედვის არეები უბრალოდ კი არ თანაარსებობენ, არამედ ავტორის მიერ ნაჩვენებია გამოკვეთილ, კონტრასტულ დაპირისპირებაში.

საკუთარი გმირების და საერთოდ, ადამიანებისადმი სიყვარული, შემწყნარებლობა, თანაგრძნობა ჩანს რომანში. იგრძნობა ტკივილი და წყენა, როცა ადამიანი იჩაგრება, უსამართლოდ ისჯება.

საინტერესოა პერსონაჟთა აზროვნების ტიპები. თხრობის ამგვარი სუბიექტური ორგანიზაცია ემსახურება პერსონაჟთა აზროვნების თავისებურების მოკვლევას და მის უშუალო თვალსაჩინო გამოხატულებას.

მთარგმნელებმა ქართულად გადმოიტანეს ორიგინალში ჩადებული თითქმის ყველა ინტერპრეტაცია, ხასიათების სიღრმე. ამიტომაცაა თარგმანი აღიარებული ურთულეს ფსიქოლოგიურ პრობლემად.

ბ) გმირის ხასიათი

მხატვრული სახის მნიშვნელობა დიდია. ლიტერატურა სიტყვიერი სახეა, "სიტყვაში გაფორმებული", ხოლო მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები (ტროპი, კონტრასტი, რიტმი, გროტესკი, ინტონაცია და სხვ.) მის არსებობას განაპირობებენ. შედარება, მეტაფორა მხატვრული ფორმის მხოლოდ დეტალებია. მისი სხვა ელემენტები – პერსონაჟი, ფაქტები, განცდები, პეიზაჟი, გამონათქვამები და ა.შ. არსებობენ როგორც "მასალა", როგორც კონკრეტული სახის შესაძლებლობები.

ამასთან მიმართებაში მხატვრული სახის პრობლემათა წრე გაცილებით ფართოა, როგორც ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებისა და დაკვირვების რთული დამუშავების შედეგი. მისი არსი უფრო იმით განისაზღვრება, რომ იგი შეიცავს სინამდვილის, ადამიანის განზოგადების გამოცდილებას"(Храпченко,1982,6).

მხატვრული სახის კატეგორია რთული და მოუხელთებელია. ტიპოლოგიურად ტერმინი "მხატვრული სახე" რაიმე საგნისა თუ მოვლენის გარეგანი სახის აზრს ბადებს. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია ქართულ ენაში, სადაც ადამიანის ფიზიონომიის აღმნიშვნელი სიტყვა და ლიტერატურული ტერმინი ერთსა და იმავე სიტყვას წარმოადგენს და არ იმიჯნება, ისევე, როგორც ინგლისურში (face-image). ტერმინ "სახესთან" ერთად თეორიულ ლიტერატურაში ე.წ. "პარალელური"

ტერმინებიც გამოიყენება – ხასიათი, პერსონაჟი, მოქმედი პირი, გმირი, ტიპი. რუსი მეცნიერი ნ. ფედი „ხასიათს“ მხატვრული შემოქმედების პირველწყაროს უწოდებს, რომელიც ყოველთვის კონფლიქტში იხსნება.ხოლო კონფლიქტი, თავის მხრივ, მოქმედებას გულისხმობს(Федь,1978,144).

"სახე" "ხასიათიდან" განვითარდა. დღესაც ხშირად "ტიპი", "ტიპური ხასიათი" და "ხასიათი" გაიგივებულია. "სხვადასხვა ავტორის მიერ მოცემულ "ხასიათისა" და "ტიპის" განსაზღვრებებს თუ გავაანალიზებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ხასიათის განხილვა მოქმედებისგან მოწყვეტით არ შეიძლება. ხასიათის არსებობა მოქმედების გარეშე, ხოლო მოქმედებისა ხასიათის გარეშე შეუძლებელია. (Мамиконян,1967,5).

შარლოტა ბრონტეს მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის რაობის პრობლემას, რომლის კვლევა რთული ამოცანაა და გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მთავარი ისაა, რომ საქმე გვაქვს არა მწყობრ ფილოსოფიურ სისტემასთან, არამედ მხატვრულ შემოქმედებასთან. ხელოვანის მსოფლმხედველობა კი მხატვრული ხერხებით იქმნება და სამყაროს სურათის ამოკითხვა ადვილი არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ბრონტესეული გაგების ზნეობრივი პრინციპები ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის პრინციპებთანაა თანხმობაში. მიგვაჩნია, რომ მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა არ უნდა იყოს გამართლებული. ძველი აღთქმა ამზადებს ნიადაგს ახალი მსოფლმხედველობისათვის. სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი ადამიანის, შესაბამისად, ადამიანის ხასიათის ბრონტესეული გაგება ქრისტიანულ მოძღვრებად ჩავთვალოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცდებით გავითვალისწინოთ ის მოსაზრებები, რომლებიც შესაძლებელია ეთანხმებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს საკითხის ჩვენეულ მიდგომას.

რა არის ადამიანი? რას ნიშნავს ჭეშმარიტი ადამიანობა? რაშია ადამიანის ცხოვრების დანიშნულება? როგორია რომანის ცალკეულ გმირთა მიმართება ღმერთთან და ღმერთისა მათთან? ეს ურთულესი, ნებისმიერი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი კითხვები დგას მწერლის ძიების ცენტრში. რომანი პერსონაჟთა

დახასიათებისას გვამლევს პასუხს ამ კითხვებზე. გვიხატავს სამყაროსეული მთელის თავისებურ სურათს, გვიხასიათებს ადამიანის სპეციფიკურ ადგილს უნივერსუმში.

რომანის ანალიზისას მოვიძიეთ ეს პასუხები, ვაჩვენეთ, რომ მწერლის ხედვა ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა განსაზღვრული, მისი გმირებისა და ღმერთის მიმართების ბრონტესეულ კონცეფციას ქრისტიანული რწმენა უდევს საფუძვლად.

შარლოტა ბრონტე ფსიქოლოგიური რომანის ოსტატია, მაგრამ ხატვის მეთოდი, მანერა მთლიანად ტრადიციულ-რეალისტურია. ამ რომანის წასაკითხად მკითხველს არ ჭირდება სპეციალური მომზადება. იგი გმირთა სურვილებსა და ქვეცნობიერ ინსტიქტებს მათ დიალოგებსა და შინაგან მონოლოგებში ავლენს.

ბრონტე კარგად ჩასწვდა დიდი შემოქმედების იმ საიდუმლოს, რომ მწერლის მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა შეიძლება დაკარგონ თავდაპირველი მნიშვნელობა- სოციალური, მორალური, მოქალაქეობრივი, მაგრამ ეს ვერაფერს აკლებს მათ ფიზიკურ არსებობას, ისინი არ კვდებიან დროში, თაობების მანძილზე განაგრძობენ სიცოცხლეს მკითხველის წარმოსახვაში. ამიტომ ითვლება შარლოტა ბრონტე ნაყოფიერ პროზაიკოსად, რადგან იმ მცირედშიც, რაც დაწერა, არის სიცოცხლე, რომელსაც აქვს გაგრძელების უნარი.

იმ მხატვრულ საშუალებებს შორის, რომლითაც მწერალი ახერხებს პერსონაჟის სახის გამოკვეთას, უპირატესი ადგილი უჭირავს გმირის გარეგნული ნიშნებით დახასიათებას, პორტრეტს.

მის შექმნილ პორტრეტს მჭიდრო კავშირი აქვს პერსონაჟის ხასიათთან, მის ფსიქიკასთან, იმდენად, რამდენადაც გამომხატველი მოძრაობები - მიმიკა, ჟესტი და ა.შ. ასახავენ პიროვნებას.

მხატვრული სახე ტიპიზაციასაც გულისხმობს და ინდივიდუალიზაციასაც. დადებითი თუ უარყოფითი მხატვრული სახე თავისი ეპოქის მრავალრიცხოვანი ნიშან-თვისების სინთეზს, ამ ნიშანთა ცოცხალ ერთობლიობას წარმოადგენს და თანაც მწერლის აზრებისა და შეხედულებების მატარებელია, გამოხატავს მის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. ზოგადისა და პიროვნულის შერწყმა განსაკუთრებით კარგად ჩანს პიროვნების სახეში.

“You ARE afraid – your selflove dreads a blunder.

In that sence I do feel apprehensive – I have mo wish to talk nonsense.

If you did , it would be in such grave, quiet manner, I should mistake it for sense. Do you never lough miss Eyre?... I see you loigh rarely; but you can lough very merrily: believe me, you are not naturally austere , any more then I am naturally vicious.

The Lowood constraint still clings to you somewhat; controlling your features, muffling your voice, and restricting your limbs; and you fear in presence of a man and brother – or father, or master , or what you will – to smile too gaily, speak to freely or move quickly…

I see at intervals the glance of a curious sort of bird through the close-set bars of caje: a vivid, restless, resolute captive is there; were it free, it would soar cloud-high…”(Bronte,1847,211)

“თქვენ გეშინიათ თავმოყვარეობის გამო, ფრთხილობთ სულელური შეცდომა არ დაუშვათ... ასეც რომ ყოფილიყო თქვენ ყოველივეს ისე მშვიდად და სერიოზულად იტყოდით, რომ მე მათ მაინც ჭკვიანურ აზრებად მივიჩნევდი. ნუთუ არასოდეს იცინით, მის ეარ. ვხედავ იშვიათად იცინით, მაგრამ ვამჩნევ ძალიან მხიარული სიცილიც შეგიძლიათ.

მერწმუნეთ, ბუნებით თქვენ ისევე არა ხართ მკაცრი, როგორც მე ბიწიერი. ლოვუდი გაიძულებთ ჯერ კიდევ მისი გავლენის ქვეშ იყოთ. ამ გავლენის წყალობითაა სწორედ რომ თქვენ თვალყურს ადევნებთ თქვენი საკუთარი სახის გამომეტყველებას. მეტად ხმადაბლა ლაპარაკობთ და თავს თავისუფლად ვერ გრძნობთ. მამაკაცის თანდასწრებით კი, სულ ერთია ის ძმა არის, მამა თუ პატრონი, ან რაც გსურთ ის უწოდეთ მას, გეშინიათ გაიღიმოთ, ილაპარაკოთ მხიარულად, თავისუფლად, და იმოძრაოთ სწრაფად...

ხანგამოშვებით მე ვხედავ საგულდაგულოდ დაკეტილ გალიაში მოთავსებულ ცნობისმოყვარე ფრინველის გამომეტყველებას თქვენს თვალებში. ის სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი და გაბედული ტყვეა. თავისუფალი რომ იყო, ღრუბლებს ზემოთ ინავარდებდა.” (ბრონტე,1964,169–170)

რომანში აღწერილ მოვლენათა შინაარსს შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა ურთიერთმიმართების სირთულეები. მწერალი ყურადღებას ადამიანთა დაშორი-შორებას, გაუცხოების პრობლემას უთმობს. თითოეული გმირი მარტოობაში

ცხოვრობს. განმარტოებული, გარინდებული. შემეცნების ტრაგიზმი გადმოცემულია თხრობის განსაკუთრებული მანერით, ღრმა ქვეტექსტებით.

შარლოტა ბრონტე აუჩქარებლად არკვევს უცნაურ საოჯახო ისტორიას. მას გააჩნია როგორც ფილოსოფიური, ასევე ფსიქოლოგიური რომანის ნიშნები, მაგრამ, უპირეველს ყოვლისა, "ჯეინ ეარი" არის რომანი ინგლისური ეროვნული ხასიათის არსის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელებმა მაქსიმალურად შეძლეს გმირის ხასიათის შინაარსის სიღრმის გათვალისწინება, გაცნობიერება და გადმოცემა. ამიტომაც არ დაუკარგავს თარგმანს ფუნქცია. მიაღწიეს დედნის შესაბამის დონეს, რითაც ფაქტიურად, შეფასდა კიდეც თარგმანის ხარისხი.

"რომენსის", იგივე რომანტიკული რომანის ტრადიცია ჩნდება მე-18 საუკუნის ბოლოს და ჩამოყალიბებულ სახეს უკვე მე-19 საუკუნის შუა წლებში აღწევს. რომანის ცნება ინგლისურ ენაში ორი ტერმინით გადმოიცემა – "რომენსი" და "ნოველი". ორივე რომანს ნიშნავს, ოღონდ მხატვრული ფორმითა და შინაარსობრივად მაინც ურთიერთგანსხვავებულს.

ამ ტერმინს ციალა თოფურიძე ასე თარგმნის: "რომენსი" ეს არის რომანტიკული რომანი და "ნოველი" ყოფითი რეალისტური, ან უბრალოდ, რომანი". (თოფურიძე, 2003, 43).

რომანის ჟანრის ამგვარი დაყოფა ორ სახეობად და შესაბამისი ტერმინები თავდაპირველად ინგლისურ ლიტერატურაში წარმოიშვა. შემდეგ გავრცელდა ინგლისურენოვანი ქვეყნების ლიტერატურაში. რომანი სავსეა გარეგანი ცხოვრების ფაქტებით და, ამავდროულად, წარმოადგენს ერთი ადამიანის შინაგანი სამყაროს სურათს.

მწერლის ხელოვნება თავისთავში ჩაკეტილი როდია, იგი ახერხებს საკუთარ შემოქმედებაში მეტად ორიგინალურად წარმოგვიდგინოს კავშირი ლიტერატურულ ტრადიციებთან. რომანის დრამატიზმი პერსონაჟების მიერ განსახიერებული ორი სამყაროს შეჯახებაში გამოიხატება. ამ დაყოფით მას მხედველობაში აქვს მათი განცალკევება არამხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით. ადამიანი ამა თუ იმ

ჯგუფს ეკუთვნის არა თავისი წარმოშობის, ან სოციალური ადგილის მიხედვით, არამედ მასში ბუნების მიერ ჩადებული კოდის მიხედვითაც.

რა თქმა უნდა, ასეთი კლასიფიკაცია პირობითია, რადგან კაცობრიობის არსებობის განმავლობაში გამოყოფილი გრადაციები უსასრულოა. მაგრამ ავტორი მათ შორის ზღვარს ავლებს თავად ინდივიდში და არა ინდივიდებს შორის.

თითოეულმა უნდა გაითავისოს, რომ არავინაა აბსოლუტურად სრულყოფილი, ან პირიქით, არასრულფასოვანი. მაგრამ საზოგადეობრივი ბრძოლა "საუკეთესოსა" და "უმრავლესობას" შორის ყოველთვის არსებობდა.

ჯეინის ბავშვობა ისეთმა ფაქტორებმა განსაზღვრეს, რომლებზეც ის გავლენას ვერ მოახდენდა: ობლობა, შეზღუდული გარემოცვა...

ამასთანავე, კარგი თვალით შეხედეს ობოლთა თავშესაფარში, როჩესტერის, რივერსის ოჯახში.

სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ცხოვრებას თითქოს იცნობენ, მაგრამ ყველაფერი მათი ნების მიღმა ხდება, თითქოს შემთხვევით, ისე, როგორადაც მათ ვერც კი წარმოედგინათ.

რთულია ამ რომანის არქიტექტონიკა, რომელიც გრძნობად-ემოციური შთაბეჭდილების ქოროს წარმოადგენს. მწერალს აინტერესებს მთხრობელის შინაგანი სამყარო, რომელიც მისი საუბრისას ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთება ხოლმე. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ლიტერატურათმცოდენობის შექმნის საფუძველი მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის ნიმუშის აღქმის სირთულე გახდა. ხელოვნებათმცოდნეები ერთგვარ შიფრს, გასაღებს უძებნიან მხატვრულ ნაწარმოებს და მის გარკვევაში ეხმარებიან მკითხველს. როგორც უიტმენმა თქვა; "დიდი პოეტები თუ გვინდა, კარგი მკითხველებიც უნდა გვყავდესო".

შარლოტა ბრონტე რეალისტია უმაღლესი გაგებით, მან გამოხატა ადამიანის სულის სიღრმეები. მისთვის საუკეთესო მასწავლებელი რეალობა იყო, რომელსაც იგი მხატვრული რეალიზმით მიუახლოვდა. მან შეძლო უდიდესი სიზუსტით გამოეხატა სინამდვილე.

იგი ჩვეულებრივ არ გვაძლევს გმირის ვრცელ შინაგან აღწერილობას. ამავე დროს, ცდილობს ცხოვრების აბსურდულობა ასახოს რომანში და ხაზი გაუსვას ადამიანის ინდივიდუალურ ცნობიერებას, გაშიფრის აზრთა და გრძნობათა მიმდინარეობა.

მისი ზოგი გმირი აღწერილია ნათლად, მკვეთრად გადმოსცემს სათქმელს, ზოგი კი ნელ-ნელა, ეტაპ-ეტაპ შეგვაღწევინებს სიღრმეში და არაპირდაპირ მიგვანიშნებს მთავარზე.

შარლოტა ბრონტეს სტილისა და მანერის თავისთავადობა, ინდივიდუალობა მკაფიოდ თვალშისაცემია. იგი რეალიზმის მხატვრული ფორმებით ცდილობს ირაციონალიზმის მტკიცებას, მიმართავს სინამდვილის მისტიფიკაციას. თითქოს რეალობა აუხსნელი, ბუნდოვანი, ქაოტურია. ამავე დროს, იყენებს ოსტატობას დეჰუმანიზაციისთვის, რეალიზმს – ჰუმანისტური მიზნებისთვის .

რეალისტურის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აღწერისას, მოდერნის-ტული ხერხების ძიება, გამოყენება სულაც არ ხდის სახიფათოს ბრონტე ვაღიაროთ მოდერნისტ მწერლად. მას მიგნებული აქვს ‘‘ულოგიკო’’ ფსიქოლოგიური მომენტები, რომელთა ჭეშმარიტებას ინტუიციით, უფრო გრძნობის მეშვეობით ვხვდებით.

ე.წ. ექსპერიმენტალური მეთოდი სწორედ ისაა, რომელიც რეალურს, ჭეშმარიტს გრძნობით ქვეცნობიერების წყალობით მიგვახვედრებს.

შარლოტა ბრონტე ღრმად აღიქვამს სინამდვილის ყოველ დეტალს და ამიტომ რთულად აღწერს მას. იგი არ ტოვებს სათქმელს, არამედ ამბობს რაღაცა მიახლოებითს. მიგვანიშნებს ათას რამეს, როგორღაც უშუალოდ გრძნობაზე მოქმედებს, გრძნობის მეშვეობით მოდის ჩვენამდე, სრულად მოიცავს ჩვენს გონებას და გაძლიერებული შინაარსით აღგვავსებს.

ამ რომანის ქართულად მთარგმნელები ზედმიწევნით გრძნობენ მწერლის სტილს, რაც ეხმარება მათ თარგმნის პროცესში.

ადამიანის შინაგანი მიკროსამყაროს სირთულემ მოითხოვა მწერლის მიერ სულის უწვრილეს ხვეულებში ჩახედვა. შარლოტა ბრონტემ მოახერხა სიტყვის მიკროკოსმოსში ჩაეტია ადამიანის ფსიქიკა, გრძნობა.

გრძნობას, განცდას არა აქვს წარსული, ან მომავალი. იგი აწმყოში განიცდება. წარსულს, აწმყოსა და მომავალს განიცდი მაშინ, როცა განიცდი. ამიტომ ადამიანი ერთ განცდად აქვს აღქმული მწერალს და კალენდარული (ანუ ხელოვნური) დრო უკიდურესადაა აღრეული მის რომანში. "თავისთავად არავინ შეიძლება არსებობდეს. ადამიანი ჯამია თავისი წარსულისა. მართლაც არ არის ისეთი რამ, როგორიცაა "იყო", იმიტომ, რომ წარსული ყოველი კაცის, ყოველი ქალის, ყოველი მომენტის ნაწილია. ადამიანი თავისი წარსულის ჯამია, არ არსებობს "იყო", არამედ არსებობს "არის". (ფოლკნერი, 1999, 241).

"ჯეინ ეარი" არის რომანი ხასიათებით. რუხი დღეებით. რომანში გმირთა მეტყველებისას, თითქმის ვერც კი ვამჩნევთ ფარული მეტაფორის აზრს, რომელიც გვაცოცხლებს და რომელსაც გვაწვდის მწერალი. მისტერ როჩესტერის ვნებათა ხანძარი ედება მის სახლსაც და წარმოაჩენს თავის საბედისწერო ძალას. ეს არის ბრონტესეული მეთოდი.

"Mr. Rochester as he sat in his damask-covered chair, looked to what I had seen him look like before; not quite so stern – much less gloomy. There was a smile on his lips, and his eyes sparkled, whether with wine or not, I am not sure; but I think it very probable. He was, in short, in his after dinner mood; more expanded and genial, and also more self-indulgent than the frigid and rigid temper of the morning; still he looked preciously grim, cushioning his massive had against swelling back of his chair, and receiving the light of the fire on his granite-hewn features, and in his great dark eyes. (Bronte, 1847, 199)

"მისტერ როჩესტერი აბრეშუმგადაკრულ სავარძელში იჯდა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე წინათ. ის აღარ იყო პირქუში და მკაცრი, ბაგეზე ღიმი დასთამაშებდა და თვალები უბრწყინავდა. თუმცა არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, ღვინისაგან იყო ეს თუ არა. ვფიქრობ, უფრო ღვინისაგან. ნასადილევს ის ჩვეულებრივ ასეთ გუნებაზე გახლდათ ხოლმე: უფრო გულღია, ალერსიანი და კეთილი. დილაობით კი უფრო ცივი და სასტიკი ხასიათის მეჩვენებოდა. ახლაც სახეზე ჯერ კიდევ მთლად არ გაქრობოდა პირქუში გამომეტყველება. დიდი თავი სავარძლის რბილ ბალიშზე მიეყრდნო, ცეცხლის ალი თითქოს გრანიტისაგან გამოკვეთილ მისი სახის ნაკვთებს დასთამშებდა და შავ თვალებში კიაფობდა." (ბრონტე, 1964, 159)

თავისი შემზარავი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან როჩესტერი მხოლოდ პოზიტიურ მონაკვეთებს ამოიღებს, რის საფუძველზეც უფრო გაწონასწორებული ხდება გარემოებების წყალობით. მას სულ უფრო და უფრო ესმის ცხოვრებისა და ადამიანების. იგი ასევე ფხიზლად აანალიზებს სხვათა და, მათ შორის, ჯეინის ქცევებს.

დედნის ინტონაციის დაჭერა და თარგმანში მისი გადმოცემა მთარგმნელების ოსტატობად უნდა ჩავთვალოთ. თარგმანში არამარტო ერთგვარი სინტაქსური წყობის განმეორებით ხდება რიტმის ჩამოყალიბება, არამედ სხვადასხვა აზრობრივი და ემოციური მიზანდასახულობის შესაბამისადაც, ანუ რიტმი ცვალებადია, წყვეტილი, არეული, მძიმე, მსუბუქი, დაძაბული, მოშვებული და ა.შ. იმის შესაბამისად, თუ რა მიზანს ემსახურება იგი, რა ინტონაციის შექმნა აქვს გამიზნული ავტორს მოცემულ ადგილას.

ამიტომ მთარგმნელები ითვალისწინებენ დედნის რიტმს და მის ცვალებადობას ტექსტის ინტონაციისა და იდეის შესაბამისად, ეძებენ ქართულად იმგვარ სინტაქსურ წყობას, რომელიც ყველა ამ ელემენტს – აზრს, ინტონაციას, რიტმს მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს.

მთარგმნელებმა გადმოიღეს მთავარი და არსებითი, დაიცვეს მთელისა და ნაწილის ურთიერთობის დედნისეული შეფარდება, დაიცვეს დედნის ნაციონალური სპეციფიკის არსებითი მომენტები, გაითვალისწინეს ჟანრის, რომანის სპეციფიკა და, ამავე დროს არ უღალატეს მშობლიური, ქართული ენის ნორმებსა და კანონებს. ანუ მთარგმნელებმა შექმნეს დედნის – შარლოტა ბრონტეს რომანის სტილი, მაგრამ არ გაიმეორეს მისი ენის გრამატიკული ფორმები.

ცნობილია, მხატვრული ხასიათის არსის პირველი სახელმძღვანელო არისტოტელემ ჩამოაყალიბა. მას ეკუთვნის მოსაზრება ხასიათის სირთულეზე. განსაკუთრებით საგულისხმოა არისტოტელეს ის მოთხოვნა,რომელიც ხასიათის სისწორის საკითხს ეხება: "ხასიათი უნდა იყოს სწორი,- აღნიშნავს სტავირელი ფილოსოფოსი და დასძენს: იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხასიათი უსწორმასწოროა, იგი სწორად უსწორმასწორო უნდა იყოს" (არისტოტელე,1944,31)

ხასიათის შესახებ ჩამოყალიბებული დასკვნა, კერძოდ, უსწორმასწორო ხასიათის საკითხზე გამოთქმული მოსაზრება არისტოტელეს მსჯელობაში იმიტომაც გამოვარჩიეთ, რომ ... სწორედ ასეთი უსწორმასწორო ხასითისაა როჩესტერიც .

“Jane, I am not a gentle – tempered man – you forget that: I am not long – enduring; I am not cool and dispassionate. Out of pity to me and yourself, put your finger on my pulse, feel how it throbs, and –beware!” (Bronte, 1847, 462).

“ჯეინ, შენ გავიწყდება, რომ მე მშვიდი ხასიათის კაცი არა ვარ, დიდ ხანს არ შემიძლია ვითმინო რაიმე. ამასთანავე, არც გულცივი ვარ და არც უგრძნობელი. შემიბრალე, შეიბრალე შენი თავიც და აი, შეეხე ჩემს მაჯას, იგრძნობ როგორ მიცემს გული, მიფრთხილდი” (ბრონტე, 1964, 372).

როჩესტერი ფათერაკებით სავსე მოგზაურობას იწყებს, რათა შეიცნოს საკუთარი ცნობიერების გამოუკვლეველი სიღრმე, მიაღწიოს ცხოვრების ახალ, უფრო სრულ გაგებას.

სულიერი ევოლუციის რთულ და, მეტწილად, მტკივნეულ პროცესში როჩესტერი თავს აღწევს მოჩვენებით ჭეშმარიტებებსა და წარმოდგენებს, რომელთა მიხედვითაც ცხოვრობდა ჯეინის გაცნობამდე, ჯეინთან შეხვედრამდე, თავისუფლდება საკუთარი ეგოიზმისაგან. გაივლის რა განსაცდელებით სავსე პერიოდს, აღიჭურვება პასუხისმგებლობის გრძნობით, რათა მიიღოს ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სილამაზით.

როჩესტერი დაწვრილებით გადმოგვცემს მოცეკვავე ქალთან რომანის სიუჟეტს. ეს მონაკვეთი ოცნებასა და სინამდვილეს შორის კონფლიქტს გამოხატავს. აღფრთოვანებულები ვრჩებით როჩესტერის სახის დამაჯერებლობით ყველა თავისი ნაკლოვანებითა და ღირსებით.

რომანის მთავარი გმირის, ჯეინის ჩამოსვლა თორნფილდის სასახლეში განსაზღვრავს მთელ მის შემდგომ ცხოვრებას.

როჩესტერის რთული ხასიათის თარგმანი,როგორც მთლიანობითი მხატვრული სტრუქტურა, იქმნება ახალი გრძნობადი სიტუაციის საფუძველზე. იგი ძველი სულის პოეტიზაციაა ახალ სულში.

ტექსტის კომპოზიციური თავისებურება სხვადასხვა ლიტერატურული ნიმუშის ფორმათა ნაზავით განისაზღვრება. აქ ვხვდებით ფილოსოფიურ რომანს და

ტრადიციული "აღზრდის რომანს", ძიების რომანს. მკითხველი მუდმივ დაძაბულობაშია.

გამოუცნობი მოვლენების უწყვეტი ნაკადი გვაიძულებს ვეძიოთ მათი მნიშვნელობა. თხრობა ხშირად პირველ პირშია. ამიტომ მხოლოდ იმ ინფორმაციას ვიღებთ, რომელსაც მოცემულ მომენტში ვფლობთ. დაძაბულობის შესანარჩუნებლად, ყოველთვის, როცა ვრწმუნდებით, რომ გავუსწარით მწერალს მოქმედების შემდგომი განვითარების გამოცნობაში, რომანში მოვლენები გაუთვალისწინებელი სცენარით წარიმართება.

წინა პლანზეა ინდივიდი, სუბიექტი, პიროვნება და მისი ჩამოყალიბება – აღზრდა, განვითარება. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვეცნობით მთავარი გმირების – ჯეინისა და როჩესტერის ბავშვობას, მათ მშობლებს, სწავლის პერიოდს და ა.შ. გმრებთან ერთად ჩვენც გავივლით მათი, როგორც პიროვნების, ადამიანის ფორმირების გზას.

რომანის თავებად დაყოფა არამხოლოდ კომპოზიციურ – სტრუქტურულია, არამედ სტილისტურიც. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხატოვანი წყობით, რთული სიმბოლიკით.

მწერალი თხზავს თავისი გმირის სამყაროს და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ასე იქცევა შარლოტა ბრონტე, როცა იგი გადმოსცემს მონოლოგებს.

ეს ფაქტი ძალზე თვალშისაცემია ორიგინალის წაკითხვისას. მისი ქართული თარგმანიც იმეორებს ამ ფორმას. ამიტომაც ნაწარმოების სიღრმისეული მხატვრული სტრუქტურა თარგმანში არ კარგავს პირვანდელ სახეს.

შარლოტა ბრონტეს თავისი გმირების ცხოვრების მარტო ფაქტები როდი აინტერესებს, მარტო მათი მოქმედების ასახვით როდი კმაყოფილდება, არამედ ყოველივე ამის გააზრება სურს. კიდევ მეტი, აინტერესებს მათი ხასიათის არა მარტო ცალკეული მხარეები, ან ცალკეული ნააზრევი და გადაწყვეტილება, არამედ ის შინაგანი გზა, რომლითაც გმირი ამ საბოლოო შედეგამდე მიდის, მათი მომწიფების მთელი პროცესი. ეს ყველაფერი კი თვალისთვის შეუმჩნეველია და მხოლოდ ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით ხდება მისაწვდომი.

ამიტომაცაა შარლოტა ბრონტე ღრმად იჭრება გმირის სულიერ სამყაროში და გრძნობების სათავეებს ეძებს. ეს იმდენად ძლიერადაა გამოვლენილი რომანში, შეიძლება ითქვას, მის ერთ-ერთ სიუჟეტურ ღერძსაც კი წარმოადგენს, რადგანაც ამასთან დაკავშირებით იხსნება გმირის ხასიათი, ამით აღწევს მწერალი თავისი ძირითადი მიზნის ნათლად გამოხატვას. არამარტო ამახვილებს მკითხველის ყურადღებას გმირების ხასიათის ამ მხარეზე, არამედ მოქმედების განვითარებასთან ერთად გვიხსნის კიდეც, რომ ეს ასე იყო.

მხატვრული ნაწარმოების მეტ-ნაკლებად სრული და სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართო, ღრმა ცოდნის მეშვეობით, რასაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია.

ეს გულისხმობს არამარტო მკითხველის ზოგად ინტელექტუალურ მარაგსა და ესთეტურ-შემეცნებით გამოცდილებას, არამედ კონკრეტულ ცოდნასაც მწერლის და ნაწარმოების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მწერლის ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის გამოძახილია.

ასეთი ცოდნა, ჩვეულებრივ, მხატვრული ტექსტის კომენტარში აისახება ხოლმე, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ მწერლის შესახებ არსებულ ცალკეულ გამოკვლევებს,

რომანის გმირებს არც მხატვრული სიმართლე აკლიათ და არც ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა.

“My master’s colourless, olive face, square, massive brow, broad and jetty eyebrows, deep eyes, strong features, firm, grim mouth, - all energy, decision, will, - were not beautiful.” (Bronte,1847,265).

“ჩემი პატრონის უფერული, მოყვითალო სახე, ოთხკუთხა დიდი შუბლი, განიერი შავი წარბები, ღრმად ჩამჯდარი თვალები, სახის მკაცრი ნაკვთები, მტკიცე, პირქუში ბაგეები – ძალისა და ენერგიის, სიმტკიცისა და ნებისყოფის გამომხატველი – არ მეტყველებდა მისი მფლობელის სილამაზეზე."

ცნობილია, მხატვრული სიტყვის ოსტატის დიდი გამარჯვება გახლავთ, თუკი თანამედროვენი შექმნილი გმირის სახეში გარშემო მყოფ ადამიანებს ამოიცნობენ. თუმცა, ასეთ დროს ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ შემოქმედის მიერ შექმნილ

მხატვრულ სახეს უფრო განზოგადებული დანიშნულება აქვს, ვიდრე საეგებიო პროტოტიპს.

მხატვრული ნაწარმოების გმირის ზოგადობა და ტიპობრიობა იმით კი არ განიზომება, რამდენად ჰგვანან ისინი პროტოტიპებს, არამედ იმით, რამდენად სრულად აისახა მათ სახეში ის განზოგადებული და ტიპური, რაც თვითონ გმირსა და გარემომცველ სინამდვილეს ახასიათებს.

რომანის ცალკეული თავებისათვის დამახასიათებელია, რომ ერთი შეხედვით პატარა და კერძო ამბავთან დაკავშირებით მხატვრულადაა გახსნილი დიდი ცხოვრებისეული მოვლენები. თითქოს გმირების უმნიშვნელო, პირადი ბედის მაგალითზე სინამდვილეში აისახება მთლიანად ხალხის, საზოგადოების ცხოვრების უდიდესი, ეპოქალური მნიშვნელობის პერიოდი.

ეს საერთო მანერა, მწერლის შემოქმედებითი ხერხი და მიდგომაა ცხოვრებისეული სიმართლის გამოსახატავად. ამაში მწერლის შემოქმედებითი სტილის ერთი მხარე მჟღავნდება. ბრონტე აქაც ერთგული დარჩა იმ საყვარელი მხატვრული ხერხისა, რომელსაც იყენებს დიდი საზოგადოებრივ-ფილოსოფიური პრობლემების გადასაწყვეტად.

პერსონაჟთა ფსიქოლოგიური სახეების კონკრეტიზაცია მათი სოციალური წარმომადგენლობიდან გამომდინარეობს. ისინი ანტაგონისტური მხარეები არიან, საზოგადოების სხვადასხვა ფენას მიეკუთვნებიან, არათანაბარ მატერიალურ მდგომარეობას ფლობენ.

ცხადია, პერსონაჟთა მხატვრული სახეების გახსნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქმედებებს, რომლებსაც ავტორის ნება-სურვილით ახორციელებენ. შარლოტა ბრონტეს ესთეტიკურ კონცეფციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ავტორის პოზიცია. იგი ცდილობს სუბიექტური და ობიექტური სამყაროს ერთგვარ შეფასებას და ერთმანეთის მეშვეობით მათ გახსნას.

პერსონაჟთა პორტრეტული ხატვა ბრონტესათვის მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, მწერლის თვალსაზრისის გამჟღავნება სწორედ აქ იჩენს თავს. ლევ ტოლსტოი ამტკიცებდა,რომ "ადამიანის აღწერა თავისთავად

შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ იმის აღწერა, თუ როგორ იმოქმედა მან ჩემზე" (Толстой, 1917, 74).

ბრონტე სწავლობს თავის გმირს არა მარტო სულიერ, უმაღლეს გამოვლენაში, არამედ ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიანობაში. მათი სულიერი სამყარო, ჩვენგან დაფარული მოქმედება, როგორც შედეგი, აისახება სახეზე, თვალებში, ხმაში და მანერებშიც კი. მწერლის მიერ შექმნილი პორტრეტები ორიგინალის უბრალო გამეორება კი არ არის, როგორც ბ. ბელინსკი იტყოდა: "მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიაც დაჭერილია არა მარტო გარეგნული მსგავსება, არამედ ორიგინალის მთელი სულიც."

შარლოტა ბრონტე ყოველთვის ზედმეტი მრავალსიტყვაობის გარეშე, ძუნწად, მაგრამ შთამბეჭდავად და სრულად წარმოგვიდგენს გმირის გარეგნობასა თუ ჩაცმულობას:

"Afternoon arrived: Miss Fairfax assumed her best black satin gown her gloves, and her gold watch, for it was her part to receive the company, - to conduct the ladies to their room." (Bronte, 1847, 251)

"საღამოვდებოდა. მისის ფეიერფექსმა საუკეთესო შავი ატლასის კაბა და ხელთათმანები ჩაიცვა, ოქროს საათიც კი გაიკეთა, რადგან სწორედ მას უნდა მიეღო სტუმრები და ქალბატონები მათთვის განკუთვნილ ოთახებამდე მიეცილებინა". (ბრონტე, 1964, 198)

სხვაგან:

"Do you like the little black one?" (Bronte, 1847, 75)

"შენ მოგწონს ეს პატარა შავგვრემანი ქალი?" (ბრონტე, 1964, 62)

ან კიდევ:

"Miss Temple is very good and very clever , she is above the rest, because she know far more then they do" (Bronte, 1847, 75)

"მის ტემპლი ძალიან კარგია და ჭკვიანი, ის სხვებზე მაღლა დგას და გაცილებით სხვებზე მეტი იცის" (ბრონტე, 1964, 62)

მწერალი იმდენად ძლიერად და ოსტატურად გვიხსნის, თუ შეიძლება ითქვას, აშიშვლებს თავისი გმირის შინაგან ბუნებას, მის სულს, რომ სრული წარმოდგენა გვექმნება მასზე. ეს იმ დროს, როდესაც მისი ცხოვრებისა და განცდების ყველა მხარე,

ყველა მისი მოქმედების იმპულსი, ნაფიქრი და ნააზრევი, მისი სულის ყველა მოძრაობა ავტორს გადმოცემული არა აქვს. მთლიანი წარმოდგენა გმირის ხასითზე გვექმნება იმის გამო, რომ შარლოტა ბრონტე ოსტატურად იყენებს ცნობილ მხატვრულ ხერხს, ზედმიწევნითი დამაჯერებლობით გვიხსნის გოგონას შიშს წითელი ოთახის მიმართ. ამით ხასითის ძირითად მხარეს გვიჩვენებს.

“The red-room was a square chamber, very seldom slept in I might say never… A bed supported on massive pillars of mahogany, hung with curtains of deep red damask, stood out like a tabernacle in the centre; the two large windows, with their blinds always drawn down, were half shrouded in festoons and falls of similar drapery; the carpet was red; the table at the foot of the bed was covered with a crimson cloth; the walls were a soft fawn colour with a blush of pink in it; the wardrobe, the toilet-table, the chairs were of darkly polished old mahogany. Out of this deep surrounding shades rose high, and glared white, the piled-up mattresses and pillows of the bed, spread with a snowy Marseillese counterpane. Scarcely less prominent was an ample cushioned easy-chair near the head of the bed, also white, urmchair” (Bronte, 1847, 16-17).

“დიდი დარბაზი, რომელსაც წითელ ოთახს უწოდებდნენ, კარგა ხნის მიტოვებული იყო. იქ იშვიათად თუ იძინებდა ვინმე, წითელი ხის სვეტებიანი საწოლი, მუქი წითელი ფარდებით. ასეთივე ფერის ფართონაკეცებიანი ნაქარგი ფარდები სანახევროდ ფარავდა ორ უზარმაზარ ფანჯარას. საწოლის ქვემო მხარეს მაგიდა იდგა.ზედ წითელი სუფრა ეფარა. ნოხიც მეწამული ფერისა იყო და კედლების ფერს ეხამებოდა. მათში ადგილ-ადგილ მიხაკისფერი ჭარბობდა. მუქი წითელი ხის გარდერობი, სატუალეტო მაგიდა და სკამები სარკესავით პრიალებდა. ამ მუქი ფერების ფონზე მკვეთრად გამოირჩეოდა მაღალი საწოლი ბუმბულის ლეიბებითა და ბალიშებით. საწოლს თოვლივით თეთრი გადასაფარებელი ამშვენებდა. საწოლის თავთან თეთრ შალითაში გახვეული ფართო და რბილი სავარძელი იდგა” (ბრონტე, 1964, 18-19) .

შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ ისიც კი, რაც მწერლის მიერ მხოლოდ მინიშნებულია და არა თვალნათლივ გადმოცემული.

თარგმანში მხატვრულ სახეებში გამოხატული აზრი ასახავს ავტორის მხოფლმხედველობაზე ემოციურ რეაქციას კონკრეტული მოვლენის მიმართ, ამან გამოიწვია გარკვეული ინტონაცია და რიტმული წყობა მეტყველებაში. ყოველი

წინადადება შედგება აზრობრივი ჯგუფისა და სინტაგმებისგან. აზრობრივმა გაერთიანებამ კი შექმნა წინადადება.

ამ სქემითაა ნათარგმნი მთელი რომანი, მაგრამ მთარგმნელები მექანიკურად კი არ იმეორებენ ყოველ მომენტს, არამედ ქართული სპეციფიკის არსებითი მხარე აქვთ შენარჩუნებული და არ ღალატობენ ქართული ენის კანონებს.

მსგავსება დედანს და თარგმანს შორის არის ფუნქციური იგივეობა და არა კალკირებული. დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა აშკარაა ქართულ ენაზე.

ამ თარგმანში მეტყველების სწორ დანაწევრებაზეა დამოკიდებული წაკითხულის სწორი აღქმა. მთარგმნელებს ზუსტად გაუგიათ ავტორის ჩანაფიქრი და ენის მელოდიური წყობა გამოუყენებიათ, მხატვრული მეთოდით შეურჩევიათ ცოცხალი მეტყველების ინტონაცია.გ. ტორსუევის აზრით: ‘‘მეტყველებაში სიმაღლის, ძალის, ტემბრისა და ტემპის რთულერთიანობაა, რომელიც წარმოადგენს გამონათქვამის მნიშვნელობის გამოხატვის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას. ყოველი სინტაგმა (და, მაშასადამე, წინადადებაც) ცოცხალ მეტყველებაში ინ-ტონაციის მხრივ შინაარსის დავალებით გაფორმებულია ამ ენისთვის ტიპური სახით. სწორედ ინტონაცია აძლევს აზრობრივი დამთავრებულობის გარკვეულ ხარისხს, როგორც სინტაგმას, ასევე წინადადებას. საერთო თვისებებთან ერთად , ყოველ ენას აქვს საკუთარი ინტონაცია, აზრობრივი დანაწევრების გამოხატვის ნორმები წინადადებაში’’ (Торсуев, 1950, 212).

მთარგმნელისათივს ძირითადი ენობრივი ერთეული არის არა სიტყვა, არამედ სინტაგმა, სიტყვათა აზრობრივი ჯგუფი, მათი რიტმულ-სინტაქსური შენაერთი, ყოველივე კი დაკავშირებულია მთელ კონტექსტთან, ამიტომაც არც ერთი, უმცირესი ნაწილაკიც კი, არაა მოწყვეტილი მთელ რომანს, ნაწილის მთელთან კავშირი ჩანს თითოეულ მონაკვეთში.

მწერალს უჩვეულო სიზუსტით აქვს დახატული მისი პერსონაჟების ტრაგიკული დაძაბულობის გამომწვევი მიზეზები. ჩვენი აზრით, ბრონტემ სწორად მიაგნო იმ ხერხს, რომელიც რომანშია, ღრმად და ზუსტად გადმოსცემს თითოეული პერსონაჟის სულიერ სამყაროსა და ტრაგედიას. ეს არის ე.წ. ‘‘asides’’(გვერდზე, თავისთვის

წარმოთქმული სიტყვები). ეს მიგნება შეიქნა რომანის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი. შინაგანი მონოლოგები შესანიშნავად მიგნებული და შესაფერისი ხერხია.

“If she had managed the victory at once, and he had yielded and sincerely laid his heart at her feet, I should have covered my face, turned to the wall, and (figuratively)have died to them. If Miss Ingram had been a good and noble woman, endowed with force, fervor, kindness, sense, I should have had one vital struggle wuth two tigers – jeleousy and despair: then my heart torn out and devoured, I should have admired her – acknowledged her excellence, and been quiet for the rest of my days” (Bronte, 1847, 283).

“მას რომ გამარჯვებისათვის მაშინვე მიეღწია, მისტერ როჩესტერიც მორჩილად და გულწრფელად თავის გრძნობას ფეხქვეშ გაუგებდა. მეც სახეს დავიფარავდი, კედლისკენ მივბრუნდებოდი და თავს მოვიკლავდი მათი გულისათვის. მის ინგრემი რომ სიკეთით სავსე კეთილშობილი ადამიანი ყოფილიყო, ძლიერი გრძნობებით, მგზნებარებით, სათნოებით და კეთილგონიერიებით დაჯილდოებული, მაშინ მე მომიხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ორი ვეფხვის: ეჭვიანობისა და სასოწარკვეთილების ჭიდილი გადამეტანა.

დაე, მათ დაეფლითათ და თვალისდახამხამებაში მოესპოთ ჩემი გული. მე მაინც თაყვანს ვცემდი იმ ახალგაზრდა არსება, თუ მეცოდინებოდა, რომ ის ყველას სჯობდა თავისი ადამიანური თვისებებით და სულიერი ღირსებით. მაშინ დარჩენილ სიცოცხლის დღეებსაც სრულ სიმშვიდეში გავატარებდი. რაც უფრო ღრმად დავრწმუნდებოდი მის უპირატესობაში, მით უფრო დიდი მოკრძალებით განვიმსჭვალებოდი მისდამი და მით უფრო აუღელვებლად და მშვიდად განვშორდებოდი სიცოცხლეს”(ბრონტე, 1964, 222-223).

რომანში მთხრობელი რამდენიმე პერსონაჟია, რომელთა ერთიანობაშიც თვით ნაწარმოების ავტორს აღვიქვამთ. სათაური მიუთითებს იმ ადამაინზე, რომ იქ წავიკითხავთ არა პერსონაჟების ცალ-ცალკე ნაამბობს, არამედ ერთი ადამიანის მიერ თავის თავზე განცდილ ისტორიას. ცხადია, რომ ყველა მთხრობელი ავტორშია გაერთიანებული და შერწყმულია მის ცნობიერებასთან. ეს შარლოტა ბრონტეს მანერაა, რომლითაც იგი სხვადასხვაგვარი მონდომებით მრავალჯერ აღწევს ადამიანის სულის სიღრმეში და განიხილავს მის სამყაროს.

ჯეინის იდუმალება იზიდავს არამარტო როჩესტერს, არამედ მკითხველსაც. ყველაზე უკეთ ჯეინი სხვა ქალებთან შეპირისპირების დროს აღიქმება (ბლანში, მოცეკვავე ქალი). ეს სახე უცვლელია და არ განიცდის ევოლუციას. ჯეინი, დგას რა სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე, ადამიანური და წმინდა ქალური კუთხით განუზომლად მაღლა დგას განებივრებულ, მდიდარ ბანოვნებთან შედარებით. მთავარი გმირი თითქოს ჭეშმარიტების ძიებაში დახეტიალობს სხვადასხვა ბილიკზე, რომლებსაც მორიგ ჩიხში შევყავართ. ეს მოტივი თემატურადაცაა გამოკვეთილი.

ჯეინს ჰყავს ანტიპოდი, მისი ნათესავი სენტ-ჯონ რივერსი, რომელიც შეპყრობილია ერთი ვნებით – გაიმარჯვოს მიწიერ სურვილებზე. მოკლას, ჩაახშოს იგი თავის თავშიც და სხვებშიც. ჯეინი უარყოფს დაჰყვეს მის სურვილს, თუნდაც ეს გზა ჭეშმარტებისაკენ იყოს მიმავალი.

“Now, I did not like this reader. St. John was a good man; but I bigan to feel he had spoken truth of himself when he said he was hard and cold. The humanities and amenties of life had no attraction for him – its peacefull enjoyments no charm. Literally, he lived only to aspire – after what was goog and great, certainly; but still he would never rest, nor approve of others resting round him… I compherhanded all at once that he would hardly make a good husband … I understood, as by inspiration, the nature of his love for Miss Oliver; I agreed with him that it was but a love of the senses.

I comprehended how he should despise himself for the feverish influence it exercised over him; how he should wish to stifle and destroy it; how he should mistrust its ever conducting permanently to his happiness or hers. I saw he was of the material from which nature hews her heroes – Christian anda Pagan – her lawgivers, her statsman, her concquerors: a steadfast bulwark for great interests to res upon; but, at the fireside, too often a cold cumbrous column, gloomy and out of place” (Bronte, 1847, 598).

“სენტ ჯონი კარგი ადამიანი იყო, მაგრამ სწორი იყო, როცა მითხრა, გულქვა და ცივი ვარო. ცხოვრების ჰუმანურობა და სიტკბოება არ იზიდავდა მას. მშვიდი ცხოვრება არ ხიბლავდა. უფრო სწორად იგი მიისწრაფოდა მხოლოდ იმისკენ, რაც ნამდვილად კეთილი და დიადი იყო. დასვენება არ უყვარდა...

ძალიან ძნელი იქნებოდა მისი ცოლობა. თითქოს შთაგონების შედეგად მივხვდი ,თუ როგორი სიყვარულით უნდა ყვარებოდა მას მის ოლივერი. ვეთანხმებოდი მას, რომ ეს იყო მხოლოდ მონური სიყვარული. მესმოდა, თუ როგორ სძულდა მას თავი იმ

ვნებათაღელვის გამო, რომელსაც ეს სიყვარული იწვევდა მასში. როგორ სურდა მისი ჩახშობა და განადგურება. როგორი ეჭვით უყურებდა ამ გრძნობას, რადგან არ სჯეროდა, რომ მუდმივ ბედნიერებას მოუტანდა რომელიმე მათგანს.

დავინახე, ის შექმნილი იყო იმ მასალიდან, რომლიდანაც ბუნება ძერწავს თავის გმირებს – ქრისტიანებსა და წარმართებს,თავის კანონმდებლებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, დამპყრობლებს. მტკიცე დასაყრდენს დიდი ინტერესების განვითა-რებისათვის, მაგრამ ოჯახის კერასთან ხშირად ცივსა და მძიმე სვეტს, კუშტსა და შეუფერებელს" (ბრონტე, 1964, 476).

ამ პერსონაჟით შარლოტა ბრონტე იმდროინდელი საზოგადოების კიდევ ერთ უკიდურესობას, ფანატიზმამდე მისულ რელიგიურობას აშიშვლებს. სწორედ გაუაზრებელმა რწმენამ აქცია სენტ ჯონი ისეთად, როგორიც იყო... ცივი შეუვალი ადამიანი, რომელიც ასკეტიზმის სახელით ცდილობდა საკუთარი სისუტის დაფარვას, გაურბოდა გრძნობებს, ადამიანურობას, რომლის გარეშეც მადლს კარგავს ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამ ყველაფერს უფლის სახელით აკეთებ... ეს იყო გრძნობებისგან დაცლილი საქმის კაცი, რომელსაც ვერაფრით შეეგუებოდა ჯეინის ბუნება, რომელიც ცხოვრებას, როგორც უფლის შემოქმედების ნაყოფს, სცემდა თაყვანს თავისი არსებობის წესით.

“There is my glory and joy I am the servant of an infallible Master. I am going out under human guidance, subject to the defective laws and erring control of my feeble fellow-warms: my king, my lawgiver, my capitain, is All –perfect. It seems strange to me that all around me do not turn to enlist under the same banner, - to join in the same enterprise.

I must speak for it’ continued the deep relentless voice. ‘Jane, come with me to India: come as my helpmeet ad fellow –labourer.’

‘Oh, St. John !’ I cried ‘have some mercy!’

I appealed to one who, in the discharge of what he believed his duty, knew neithermercy nor remorse. He continued – ‘God and nature intended you for a missionary’s wife. It is not personal, but mental endowments they have given you: you are formed for labour, not for love. A missionary’s wife you must – shall be. You shall be mine: I claim you not for my pleasure, but for my Sovereign’s service” (Bronte, 1847, 613).

“იქ არის ჩემი დიდება და სიხარული. უძლეველი ბატონის მსახური ვარ. ადამიანთა მფარველობის ქვეშ არ მივდივარ, არ ვემორჩილები უსუსურ კანონებს

მეგზური- ყოვლისშემძლე ღმერთია. მიკვირს, რომ ხალხი ჩემს გარშემო არ იწვის იმის სურვილით, რომ გაერთიანდეს ამავე დროშით, მისდიოს ამავე საქმეს...მე უნდა ვილაპარაკო მის მაგივრად, - განაგრძო ღრმა შეუბრალებელმა ხმამ. ჯეინ, წამომყევით ინდოეთში. წამოდით, როგორც ჩემი დამხმარე, თანამოღვაწე...

-ოჰ, სენტ ჯონ! – შემიბრალეთ! – შევძახე.

ვემუდარებოდი ადამიანს, რომელმაც თავისი მოვალეობის შესრულების დროს არც შებრალება იცოდა, არც სინანული. მან განაგრძო:

ღმერთმა და ბუნებამ მისიონერის ცოლობისთვის გაგაჩინათ. მათ გონებით დაგაჯილდოვეს და არა გარეგნობით. თქვენ შრომისთვის ხართ დაბადებული და არა სიყვარულისთვის. თქვენ უნდა იყოთ მისიონერის ცოლი და იქნებით კიდეც. ჩემი იქნებით. მე თქვენ მჭირდებით ჩემი სიამოვნებისთვის კი არა, ჩემი ბატონის სამსახურისთვის" (ბრონტე, 1964, 487).

"ჯეინ ეარის" აღწერითი პასაჟები, იმავდროულად, თხრობის ფორმას წარმოადგენს. დიალოგებიც აღწერითი ხასიათისაა. რომანი მთლიანი და განუყოფელია. განვითარების კვალდაკვალ ნათელი ხდება, რომ ყოველი ცალკეული ნაწილი შეიცავს სხვა ნაწილების რაღაც ნიშანს.

მხატვრული კომპონენტების ერთიანობა, რომანის მთლიანობის მიღწევის გზები, კომპოზიციის გააზრება მხოლოდ შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ამ რომანის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ძიების გზა.

რომანის სტრუქტურა წრიულობითაა ნიშანდობლივი. საწყისი ფაქტიდან იწყება პერსონაჟთა მოძრაობა და წრიულობის პრინციპით მიმდინარეობს. წრე იქ იკვრება, სადაც დასასრულს ახალი დასაწყისი ჩაენაცვლება(ჯეინის წასვლა სახლიდან და კვლავ როჩესტერთან დაბრუნება).

სიმბოლიზაცია ქვეცნობიერთან მისასვლელად საუკეთესო გზაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მრავალმხრივად შევიცნოთ მწერლის არსი, მისი ცნობიერების ნაკადი.

ამავე დროს, სიუჟეტი კიბისებურად ვითარდება და საბოლოო მიზანთან მისასვლელად ვერც ერთ საფეხურს ვერ გამოვტოვებთ. ამ რომანის სიუჟეტს შეიძლება სპირალურიც ვუწოდოთ და გავყოთ შიდა და გარე სიუჟეტებად. გარე სიუჟეტში არის

ერთგვარი შემკვრელი ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია შიდა, რომანის ძირითადი ამბავი.

რომანისთვის დამახასიათებელია შარლოტა ბრონტეს ტრადიციული ხერხი,შინაგანი მონოლოგი.

ჯეინის მიერ მონათხრობი, ცხადია, სუბიექტურობის ნიშნით წარიმართა. ადამიანები, ფაქტები, მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელი გმირის სუბიექტურ პრიზმაშია გამოტარებული და მისი განწყობის ანარეკლს წარმოადგენენ.

რომანის სიუჟეტი იმგვარად ვითარდება, რომ თითოეული პერსონაჟი თვითონვე ზედმიწევნით მსჯელობს, განიხილავს და დასკვნებს აწვდის მკითხველს მოვლენების შესახებ.

თუკი ბრონტე ზოგ სიუჟეტში სიმბოლოს გვთავაზობს იმისთვის, რომ ერთ წინადადებაში მთელი ნააზრევი ამოვიცნოთ, სხვაგან მთხრობელი არ გვაძლევს საშუალებას იმაზე მეტი აღვიქვათ ნათქვამში, ვიდრე თვით ისინი გვიყვებიან. ფილოსოფიურად ღრმა განსჯის მეთოდით საუბრობს როჩესტერი სიცოცხლის არსზე. ეს არის როჩესტერის შინაგანი მონოლოგი, რომელიც განსხვავებული შრიფტით ერთვება მისსავე თხრობაში.

შარლოტა ბრონტე მიმართავს თავისუფალ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს და მასში შეაქვს გარესამყაროს იმპულსებიც, რითაც არეგულირებს ცნობიერების სხვადასხვა დონეს.ასეთი რთული ასოციაციების ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებისა და წინადადებების ფონზე მწერალმა შეძლო მკითხველთან ახლოს მისვლა და მასთან საერთო ენის გამონახვა. მან კარგად დაგვანახა ადამიანური სიბინძურე, პიროვნების გადაგვარების საშიშროება და შეგვახსენა, რაოდენ საშიშია ადამაინი თავისი თავისთვის, თუკი იგი საკუთარი თავის მართვის სადავეებს მიუშვებს. ასეთი მრავალპლანიანი ცნობიერების აღქმა რთულია მკითხველისთვის, გაცილებით რთული კი მისი სხვა ენაზე თარგმნაა. ამის დასტურად შეგახსენებთ ნ. ყიასაშვილის მოსაზრებას: “მწერალი, რომელიც აღწერს ქვეცნობიერ სამყაროს საკუთარ თავზე ახდენს დაკვირვებას და ეყრდნობა თვითანალიზს” (ყიასაშვილი, 1984, 103).

იგი თხზავს თავისი გმირის სამყაროს და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ასე იქცევა შარლოტა ბრონტე, როცა გადმოსცემს მონოლოგებს. წერის მანერის მხრივ

ბრონტე ტრადიციას მისდევს. მხოლოდ დაკვირვრბული ანალიზის შედეგად შეიძლება დავინახოთ ის ქარგა, რომელზეც რომანისტი შლის თავისი ნაწარმოების სიუჟეტსა და ხასიათების ურთიერთობას.

ეს ფაქტი ძალზე თვალშისაცემია ორიგინალის წაკითხვისას, ხოლო მისი ქართული თარგმანი იმეორებს ორიგინალის ამ ფორმას. ნაწარმოების სიღრმისეული მხატვრული სტრუქტურა თარგმანშიც გადმოტანილი.

ობიექტის აღწერილობა უფრო ზედმიწვენითია ქართულ წინადადებებში, ვიდრე – ინგლისურში, რაც გამოიწვია ზოგიერთ კონტექსტში ქართული ზედსართავის განსხვავებულმა ინფორმაციულობამ .

"დონდლო" არა მარტო აღწერს სენტ ჯონს, არამედ განსაზღვრავს ემოციის დონეს და მთქმელის ინტონაციას. ცხადია, რომ მისი მთქმელი – როჩესტერი ირონიული შეფასებით, გაკენწვლით მოიხსენიებს ობიქტს:

"Is he a person of low stature, phlegmatic and plain… a thoroughly educated man?... with his white neckcloth, and stilted up on his thick – soled highlows, eh?" (Bronte, 1847, 673)

"ალბათ, დაბალი, ფლეგმატური და ულამაზო...ზედმიწევნით განათლებული ადამიანია?... მაგრად მოჭერილ თეთრ ჰალსტუხში და სქელძირიან მაღალყელიან ფეხსაცმელებში არა?" (ბრონტე, 1964, 530)

ორიგინალის ზოგიერთი ინგლისური ზედსართავი აღწერითი თარგმანის პრინციპით არის მოცემული ქართულად. ასეთი პრინციპი გამოყენებულია მაშინ, როცა ინგლისური კონტექსტის შესაბამისად არის მოძებნილი ქართული შესატყვისი და ინგლისური გამოთქმის ზუსტი თარგმნა შეუძლებელია, მაგრამ მოტივაცია ნათელია და თარგამნში გამოყენებული გამოთქმა მიესადაგება წინადადების გამოსახატ აზრს.

როგორც ჩანს, ეს არის მიმართვითი წინადადება, სადაც ხაზი გაესვა ობიექტის სიმხდალეს, უუნარობას, უძლურებას. სიტყვები- "მეზონმა უკან დაიწია და საცოდავად წამოიკნავლა: - ღვთის გულისათვის, მისტერ როჩესტერ", - ზუსტად ამ აზრს მოიცავს.

"Mason shrank away and cried faintly, "Good God! Contempt fell cool on Mr. Rochester"(Bronte, 1847, 443).

რომანის ქართულად თარგმანისას ორ დაპირისპირებულ ენაში, ქართულსა და ინგლისურში, სტილისტური სინონიმთა რიგები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მათი შერჩევა და ურთიერთგანპირობება დამოკიდებულია კონტექსტსა და მთარგმნელის ალღოზე.

თარგმანი სიტყვიერი ხელოვნების თავისებური, განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სახეა. ვ. ვინოგრადოვის განსაზღვრებით, ეს ხელოვნება "მეორეულია". მთარგმნელის შემოქმედებითი თავისებურება ორიგინალითაა შეზღუდული.

"სრული იგივეობა ორიგინალსა და თარგამნს შორის არ შეიძლება არსებობდეს. ორგინალი მწერლის ინდივიდუალური შემოქმედების ერთადერთი და განუმეორებელი მატერიალური შედეგია, ამავე დროს, ეროვნული სიტყვიერი ხელოვნების ნაწილი. თარგმანი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ადექვატური. იგი შეიძლება უსასრულოდ უახლოვდებოდეს დედანს, მაგრამ არასოდეს არ შეერწყმის მას, რადგან ჰყავს თავისი შემოქმედი, აქვს თავისი ენობრივი მასალა და თავისი ცხოვრება ენობრივ, ლიტერატურულ და სოციალურ სფეროში, რომელიც განსხვავდება ორგინალის სფეროსაგან" (Виноградов, 1978,8).

მთარგმნელობითი საქმიანობა მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობაა. მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე დგას. ჩვენი აზრით, თარგამანის დროს სიტყვის გამოტოვებამ, სხვა სიტყვებით შეცვლამ, ან ჩამატებამ არ უნდა დაამახინჯოს მშობლიური ენა. პირიქით, შეიძლება მოუხდეს კიდეც. ამ გზით იქმნება მხატვრული თარგმანი, რომელიც კავშირს ამყარებს ავტორსა და ნათარგმნის მკითხველს შორის. სხვანაირად შეუძლებლად მიგვაჩნია თარგმანის სხვა ხალხის კულტურის, ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

შემოქმედ-მთარგმნელმა სწორად უნდა გააკეთოს არჩევანი, აირჩიოს სათარგმნი მასალა და თავისებურად გადმოსცეს საკუთარ ენაზე. ესე იგი, ვერ უარვყოფთ მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილს. დებულებით, მთარგმნელმა თარგმნისას უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ხალხის რწმენა, ტრადიციები და ა. შ. ვფიქრობთ, ეს უნდა მოხდეს არა კულტურის, არამედ ენის დონეზე. თუ მთარგმნელის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება რაღაცა, მაშინ სასურველია გაითვალისწინოს

თარგანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები და ისე შეარჩიოს სათარგმნი მასალა. ყოველივე ზემოთთქმული ზედმიწევნით აქვთ გათვალისწინებული "ჯეინ ეარის" მთარგმნელებს.

როდესაც მწერალი ადამიანის ფსიქიკას გვაცნობს, აუცილებელია მის მიერ მოცემული თითოეული ნიუანსი დაკვირვების საგნად იქცეს. თუკი თარგმანის პროცესში მთარგმნელი უგულვებელყოფს რომელიმე მახასიათებელს, მაგალითად, როგორიცაა პერსონაჟის მეტყველების დროითი ფორმა, მაშინ ქართულ ენაზე მკითხველს ხელი შეეშლება ამ პერსონაჟის ფსიქიკის სრულყოფილად აღქმაში. ზოგადადამიანური პრობლემატიკის ხედვა ისეთივე სრულყოფილი სახით უნდა შეძლოს ქართველმა მკითხველმა, როგორც ეს მისი ორგინალის მკითხველს შეუძლია.

რომანის ქართული თარგმანი მთლიანი ნაწარმოების კვლავწაარმოქმნაა და არა ცალკეულ მხატვრულ გამოთქმათა ჯამი. მხატვრული და ფსიქოლოგიური პრობლემატიკის ამოსავალიც ეს ესთეტიკური მთლიანობა უნდა იყოს, რომლის კვლავწარმოქმნა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის წიაღშია შესაძლებელი, ცალკეული ოპერაციები კი ამ პროცესის მხოლოდ მომენტებია.

ჰუმბოლტი ამტკიცებს, რომ "ხალხის სულიერი თავისებურება და ენის წვდომა იმდენად ღრმად არის გამჯდარი ერთმანეთში, რომ თუკი არსებობს ერთი, მეორე შეიძლება გამოვიყვანოთ მისგან".(Гумвольт,1985,880).

თუკი ამ მოსაზრებას გამოვიყენებთ რომანის პერსონაჟის - ბერტას - როჩესტერის მეუღლის მეტყველების გასაგებად, მაშინ მისი სულიერი თავისებურება განაპირობებს მის ენობრივ თავისებურებებს.

ეკვივალენტური თარგმანის უპირველესი პირობაა კანონზომიერ შესაბამისობათა მოძიება და გამოყენება, ფუნქციურ - სტილისტური მახასიათებლების შენარჩუნება.

ამ მხრივ საინტერესო დიფერენციაციას გვაძლევს თარგმანის თეორიის მკვლევარი ი. ნაიდა, როცა იგი ყურადღებას აქცევს მთარგმნელის ორიენტაციას თარგმანის ტექსტის ადრესატზე და ხაზს უსვამს ორ გარემოებას: 1. როცა შინაარსი დომინირებს ფორმაზე და 2. როცა ფორმალური მახასიათებელი უფრო მნიშვნელოვანია შინაარსზე (Nida, 1964, 25).

ადამიანს არ შეუძლია ობიექტურად არსებული სამყაროს შეცნობა შემეცნებისა და აღქმის მისთვის დამახასიათებელი ხერხის, სუბიექტურობის გარეშე. ერთი შეხედვით, რომანის თემა და იდეა ერთნაირად ახლობელია ყველა ქვეყნის ადამიანისათვის, მისი ენაც მისაღები და ახლობელი უნდა იყოს. მეცნიერი ვ. ზვეგინცევი წერს: სხვაობა ენებს შორის არა მხოლოდ ბგერებისა და ნიშნების სხვაობაა, არამედ თვით მსოფლმხედველობათა განსხვავება" (Звединцев, 1964, 83).

შარლოტა ბრონტე ადამიანის დაცემას იმიტომ კი არ აღწერს, რომ მას მოსწონს ადამიანის ასეთი ყოფა, ან მოუწოდებს ადამიანებს წუმპეში იცხოვრონ და ბედნიერებაზე ფიქრს მოეშვან. ბრონტე აღმოაჩენს ადამიანურ სიბინძურეს და უთითებს ამის შესახებ.

სირთულე იმაშია, როგორ მოახერხოს მწერალმა მკითხველს მიაწოდოს მასალის ხატვის ისეთი ფორმა, რომ საერთო ენა გამონახოს მასთან. ამ ამოცანას ის გარემოება ართულებს, რომ ყოველი ცალკეული გმირის ცნობიერება თავისებურ, განუმეორებელ, სხვა ინდივიდისათვის უცნობ და გამოუცნობ სიმბოლოებისაგან შედგება. მწერალი თითოეული გმირის, თითოეული ინდივიდის ცნობიერების მაგალითზე შლის და აჩვენებს მკითხველს სათქმელს.

აქედან გამომდინარე, ყოველი ადამიანი ქმნის საკუთარ და ყოველთვის ახალ ენას. თუ რამდენად აქვს ახალი ენის შექმნის უფლება მთარგმნელს იმისათვის, რომ დაუახლოვდეს დედანს, ეს დამოკიდებულია სათარგმნი ტექსტის სტილზე. სრული ეკვივალენტურობისათვის თარგმნა ერთნაირად მოითხოვს დინამიკურ და ფორმალურ მიდგომას.

როდესაც მხატვრული ენის - ლიტერატურული შემოქმედების ისტორიულ-სოციალურ კრიტერიუმს ვითვალისწინებთ, იმაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორ ვლინდება მწერლის თუ მთარგმნელის ინდივიდუალური თავისებურებანი ენის სფეროში.

ამ საკითხის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ესთეტიკის გარდაუვალი კანონი, რომ მხატვრული ენა, შინაარსის, სათქმელის ადეკვატური უნდა იყოს, გამოხატავდეს მის ულრმეს ნიუანსებს და შინაარსთან მთლიანობაში უნდა წარმოდგეს.

თუ სათქმელი, მხატვრული სურათის სიძველის განცდასთან არის დაკავშირებული, ცხადია, ენაც უნდა გამოხატავდეს ამას, რადგან ის ენა, რომელიც

შინაარსს არასაკმარისად გამოხატავს, არაადეკვატურია სათქმელისა, თუ ენასა და შინაარსს შორის დისჰარმონიაა, ირღვევა მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსიის ერთიანობის პრინციპი. ეს კი ნაშრომის გაუფასურებას იწვევს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისურ ენაში არ არსებობს ისეთი მრავალფეროვანი შესაძლებლობა სამეტყველო ინტონაციის დიფერენციაციის, როგორც ქართულში, მაგრამ წინადადების კონტექსტი, სიტუაცია ყოველთვის კარნახობს მთარგმნელს, თუ რომელი სტილით უნდა იხელმძღვანელოს. გასათვალისწინებელია მოსაზრება, რომელსაც თ. კოპლატაძე მიუთითებს ერთ-ერთ კრიტიკულ ნაშრომში, "ბევრი რამაა დამოკიდებული ნაწარმოების ჟანრობრივ თავისებურებაზე, თუ ასახულ ეპოქაზე და ასე შემდეგ, მაგრამ გარკვეული მინიმუმის დაცვა ყველასათვის სავალდებულო და აუცილებელია" (კოპლატაძე, 1957, 135).

რომანის მთარგმნელებს, შემოქმედებს, ახასიათებთ სპეციფიკური უნარი, თანდაყოლოლი ნიჭი, ურომლისოდაც ვერ შეძლებდნენ ასეთ მაღალ დონეზე გადმოეცათ დედანი.

ეს თანდაყოლილი, მთარგმნელის სპეციფიკური ნიჭი, რომელიც შეიძლება დიდ მწერალსაც არ აღმოაჩნდეს, ჩვენი აზრით, სწორედ შემოქმედებითი გარდასახვის სხვისი შემოქმედებითი თავისებურებებით აღვსებისა და საკუთარი ხმის მისთვის მისადაგების განსაკუთრებულ უნარში მდგომარეობს.

სწორედ ეს არის ის სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომელიც მთარგმნელს, როგორც შემოქმედს, ახასიათებს.

ზემოთ მოვიტანეთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ მთარგმნელების შემოქმედებით, მაძიებელ ბუნებას.

მაგალითების განხილვის შედეგად ჩვენ უნდა ვიწამოთ, რომ ამ ტექსტების მთარგმნელებმა საკმაოდ რთულ საქმეს კარგად გაართვეს თავი.

რომანიდან შეიძლებოდა კიდევ მრავალი შესანიშნავად შესრულებული თარგმანის ნიმუშის მოტანა.

რომანის ქართული თარგმანის კითხვისას იგრძნობა, რომ ქ-ნებს თამარ მაღრაძესა და ზეინაბ ხახანაშვილს ლექსიკაზე მუშაობისას ძალიან ბევრი სიტყვა შეუთვისებიათ რეპროდუქტულად, ე.ი.შეძლეს მათი ხმარება საკუთარ მეტყველებაში. ეს კი

დიდ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს. შინაარსობრივი მოვლენები ფსიქოლოგი-ისა და ლოგიკის ყურადღების ცენტრში დგას. აზრობრივი სტრუქტურა ენობრივი სა-შუალებებითა აქვთ გამოხატული.

აზრობრივი ჯგუფები გამონათქვამის შინაარსს შეადგენენ. სხვადასხვა სიტყვას სხვადასხვა აზრობრივი მოცულობა მოეპოვება. რაც მეტია სიტყვის აზრობრივი მოცულობა, ანუ ის ინფორმაცია, რომელსაც იგი შეიცავს, მით ნაკლებია მისი სემანტიკური დატვირთვა. თარგმანში სემანტიკურ დატვირთვასა და კონტექსტურ კავშირებზე დაყრდნობით, სიტყვები იძენენ ახალ სემანტიკურ-კონტექსტურ დატ-ვირთვას, რაც საბოლოოდ გამონათქვამის ობიექტურ შინაარსს, ან აზრს ქმნის.

გ) სიმბოლოები ‘‘ჯეინ ეარის’’ ქართულ თარგმანში

შარლოტა ბრონტეს ‘‘ჯეინ ეარის’’ ქართული თარგმანი სრულფასოვანია და ზუსტად გადმოგვცემს არამარტო რომანის დედნის წინადადებათა ინტონაციას, არამედ მთელ მის სიმფონიას.

ცნობილია, სხვა ენაზე თარგმნილი ერთი ხალხის მაღალმხატვრული ნაწარმო-ები იქცევა ამ ხალხის სულიერ შენაძენად, კულტურულ-ლიტერატურულ განძად. ერთი ერის ყოფა, სინამდვილე, სული ხელშესახები ხდება მეორე ერისათვის, იძენს ახალს და მნიშვნელოვანს, რაც მისთვის უცხოა, რაც ერის სულიერი სიმდიდრი-სათვის უდიდესი მონაპოვარია

შარლოტა ბრონტეს ‘‘ჯეინ ეარი’’ მდიდარია სიმბოლოებით. მეტაფორისაგან განსხვავებით, სიმბოლო ცვლილებებს აღწერს მეტი სიღრმითა და ძალით.

გარდა საგნებისა, ადამიანებიც, ანუ რომანის გმირებიც, შეიძლება აღვიქვათ როგორც სიმბოლოები. მაგალითად ჯეინი, ზოგ შემთხვევაში თავისი ღრმა ტკივილით და განცდებით მისი მიუღწევლობის გამო სიმბოლურად გამოხატავს სიმართლის ნამდვილ ღირებულებას.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიმბოლოს, რადგან მათ მიღმა გამოხატავს სათქმელს. ეს ფაქტი კარგად იცოდნენ მთარგმნელებმაც ქ-ნებმა თამარ მაღრაძემ და ზეინაბ ხახანაშვილმა. ამიტომაცაა, რომ გამორჩეული ყურადღებით მოეკიდნენ მის ქართულ ვერსიაში გადმოტანას.

შეიძლება ითქვას, რომ სწორად შერჩეული ტექნიკის საშუალებით ზუსტად გადმოსცეს ის ემოიცური მუხტი, რომელიც რომანში სიმბოლოს აკისრია. ამ დროს მთელი სისრულით გამოჩნდა მწერლის სტილი, რაც გვაძლევს ქვეტექსტის გახსნის საშუალებას.

ქვეტექსტები გამომდინარეობს შინაარსიდან და თვით შინაარსშია მოქცეული. შარლოტა ბრონტეს ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რითაც ასე ეფექტურად გვტვირთავს, არის გარემოს განლაგება მონათხრობის ატმოსფეროს შესაქმნელად.

ავტორი თხრობის სტრუქტურის განსავითარებლად წარმატებით იყენებს ბუხარში დანთებულ ცეცხლს. იგი მთარგმნელებს ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოაქვთ:

“Two wax candels stood lighted on the table, and two on the mantelpiece; basking in the light and heat of a superb fire, lay Pilot “(Bronte,1847,182)

“მაგიდაზე ორი ცვილის სანთელი ენთო, ორიც – ბუხრის თავზე; ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა, ბუხრის წინ პაილოტი იწვა და, ეტყობა, მისი შუქითა და სითბოთი ტკბებოდა.” (ბრონტე, 1964, 146)

სხვაგან:

“the lustre which had been hit for dinner , filled the room with a festal breadth of light”. (Bronte, 1847, 182)

“ჭაღი სადილობისას აენთოთ და იქაურობას სადღესასწაულო იერს აძლევდა. ბუხარში დიდ ცეცხლს გიზგიზი გაჰქონდა”. (ბრონტე, 1964, 159)

ან კიდევ:

“I am disposed to be gregarious and communicative tonight,’ he repeated , ‘and that is why I sent for you: the fire and the chandelier were not sufficient company for me; nor would Pilot have been, for none of these can talk” (Bronte,1847,202)

“ამ საღამოს სასაუბროდ ვარ განწყობილი და მინდა, გულახდილი ვიყო. ამიტომაც გისმენთ. მარტო ბუხრის შუქი და პაილოტი,რასაკვირველია, საკმარისი არ იქნებოდა ჩემთვის.” (ბრონტე, 1964, 162)

რომანში ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალი გზაც, ამინდიც ძლიერი სიმბოლოა:

“Its grey front stood out well from the background of rookery, whose cawing tenants were now on the wing: they flew over the lawn and grounds to alight in a great meadow, from which these were separated by a sank fence, and were an array of mighty old thorn trees, strong , knotty and broad as oaks, at once explained the etymology of the mansion’s designation, farther off were hills: not so lofty as those round Lowood, nor so craggy, nor so like barriers of separation from the living world; but yet quiet and lonely hills enough, and seeming to embrace Thornfield with a seclusion I had not expected to find existent so near the stirring locality of Milcote.” (Bronte,1847,151)

“სასახლის ნაცრისფერი წინა ნაწილი მკვეთრად გამოირჩეოდა უკანა ხედისაგან,სადაც უამრავი ჭილყვავი ბუდობდა. ისინი ყვა-ყვას ჩხავილით თავს დაფარფატებდნენ მწვანე მოლით აბიბინებულ ეზოს. უფრო შორსაც მიფრინავდნენ თვალუწვდენელ მინდვრისაკენ, რომლებიც ეზოდან საკმაოდ მოძველებული და დარღვეული ღობეებით იყო გამოყოფილი. ეზოს გადაღმა უამრავი ძველთაძველი, ფესვმაგარი კუნძებით დახორკლილი და ფართოდ გაშლილი ეკლის ხეები ჩამწკრივებულიყო…... ეს მაღალი ბორცვები მოგაგონებდათ იმ გამყოფ ბარიერს, რომელიც აღმართულიყო მასა და სიცოცხლით მჩქეფარე გარე სამყაროს შორის.” (ბრონტე, 1964, 121)

თონფლინდამდე გზას განსხვავებული ტიპის განათება აქვს, როდესაც ჯეინი ბიძაშვილებიდან როჩესტერთან ბრუნდება სასახლეში:

“It was not a bright or splendid summer evening, though fair and soft :the sky, though far from cloudless, was such as promised well for the future: its blue. The west, too, was warm: no watery gleam chilled it – seemed as if there was a fire lit, an altar burning behind its screen of marbled vapor, and out of apertures shone a golden redness”. (Bronte,1847,371)

“ის საღამო არც განსაკუთრებული მშვენიერებით და არც ბრწყინვალებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მეტად საამო და მშვიდი იყო...მიუხედავად იმისა, რომ ცა ღრუბლებით იყო დაფარული, ვიცოდი, მაინც კარგი ამინდი დადგებოდა. დასავლეთიდანაც სითბო მოდიოდა. შავი საწვიმარი ღრუბლების ნასახიც კი აღარსად

შეინიშნებოდა. ცის დასავლეთით, მარმარილოსფერ ღრუბლებს მიღმა, თითქოს საკურთხეველზე ცეცხლი აენთოთ და ღრუბლის ქულების თეთრ საფარზე, აქა-იქ დარჩენილ ჭუჭრუტანებიდან მოწითალო ოქროსფერ სხივთა ელვარება გამოკრთოდა”. (ბრონტე, 1964, 295)

ამ სცენის განათება განსაკუთრებით კონტრასტულია ადრეულ სცენებთან შედარებით. მწერალი ხშირად მიმართავს რომანტიკულ სიმბოლიკას. რომანში სიყვარულისა და სიძულვილის ფერები - წითელი და შავი სიმბოლოებით არის აღნიშნული:

“So was the black horned thing seated aloof on a rock, surveying a distant crowed surroundings a gallows” (Bronte, 1847, 9)

“კანკალით შევყურებდი შავ რქიან მოჩვენებას, რომელიც მოშორებით, კლდეზე მოკალათებული, ათვალიერებდა სახრჩობელას გარშემო (ბრონტე, 1964, 13)

ან:

“Take her away to the red-room, and lock her in there.” (Bronte, 1847, 13)

“ღმერთო ჩემო,რამ გადარია ეს ბავშვი? წაიყვანეთ და წითელ ოთახში ჩაკეტეთ”! (ბრონტე, 1964, 16)

თავისი განსაკუთრებული განათება აქვს შუაღამეს:

“The east had its own charm or fine deep blue, and its own modest gem, a casino and solitary star: soon it would boast the moon; but she was yet beneath the horizon.” (Bronte, 1847, 377)

“მის მუქ ცისფერ ცას ერთადერთი ამომავალი ვარსკვლავი თვალწარმტაცი სამკაულივით ეკიდა გულზე. მალე, მთვარის ნათელში გახვეული, ის უფრო ზვიადად გადმოხედავდა მიდამოს, მაგრამ ღამის მნათობი ჯერ კიდევ ჰორიზონტს იქით იმალებოდა”. (ბრონტე, 1964, 301)

რომანიდან სიმბოლოების ქართულად თარგმნისას მთარგმნელები თითქოს თავად განიმსჭვალნენ ბრონტეს გმირისა თუ ავტორის თხრობის სტილით, შეითვისეს ცხოვრების ჭვრეტის ბრონტესეული მანერა. ქართულ თარგმანში ბრონტეს ენის სიმძიმე აშკარად დაძლეულია.

თორფლინდის სასახლეს ატყვია ამინდის ლაქები,რაც კიდევ უფრო პირქუშს ხდის მის ფასადს. თორფლინდიც ნაცრისფერია ჯეინის კაზასთან ერთად. ეს ციხე-სიმაგრე საოცრად ჰგავს მის პირქუშ ბატონს:

“The lawn, grounds were frodden and waste: the portal yawned void. The front was, as I had once seen in a dream, g   And there was the silence of death about it: solitude of a lonesome wild. No wonder that letters addressed to people here had never received an answer: as well dispatch epistles to a vault in a church aisle. The grim blackness of the stones told by what fate the hall had fallen – by conflagration: but how kindled?” (Bronte,1847,648)

“მდელო, ბაღი გადაეთელათ და გაენადგურებინათ. მთავარ შესასვლელთან ხახადაღებულ სიცარიელეს შევეფეთე. შენობა, როგორც ერთხელ სიზმარში ვნახე, ჰგავდა დაცარიებულ ნაჭუჭს, რომლის მაღალი, ცეცხლისგან დანგრეულ კედლებში მხოლოდ უჩარჩო ფანჯრებიღა მოსჩანდა. არც სახურავი, არც ქანგურები, არც საბუხრეები – ყველაფერი ჩანგრეულიყო.

სიკვდილი ზეიმობდა შიგ. მდუმარებას ეპოვა იქ თავშესაფარი. განა კიდევ საკვირველია, რატომ რჩებოდა აქ გამოგზავნილი წერილები უპასუხოდ? ეს იყო ღაღადი უდაბნოსა შიგან. ჩაშავებული ქვები მეტყველებდნენ, თუ რა ბედი ეწია ჰოლს: ის დაიღუპა ხანძრისგან, მაგრამ რამ გამოიწვია ხანძარი?” (ბრონტე, 1964, 512)

ან კიდევ:

“In wandering round the shattered walls and though the devastated interior, I gathered evidence that the calamity was not of late occurrence. Winter snows, I thought , had drifted through that void arch, winter rains beaten in at those hollow casements; for, amidst the drenched piles of rubbish, spring had cherished vegetation: grass and weed grew here and there between the stones and fallen rafters.” (Bronte, 1847, 648-649)

“გარს ვუვლიდი დაცარიელებულ შენობას, ჩამონგრეულ კედლებს და დავრწ- -მუნდი, რომ ეს უბედურება უკვე დიდი ხანია, რაც თავს დასტყდომოდათ მის მცხოვრებთ. ზამთრის თოვლი ზვინებად დასწოლოდა ამ დაცარიელებულ თაღებს; ზამთრის წვიმები უფანჯრო ჩარჩოებზე შხაპუნობდა; დაგროვილ ნაგავზე მცენარეულობა ამწვანებულიყო გაზაფხულზე; მხოლოდ ბალახი და ხავსი მოსჩანდა ჩამონგრეულ კედლებსა და ჩამოცვენილ ხის კოჭებს შორის.” (ბრონტე, 1964, 513)

ამ რომანის მთავარი ღირსება მისი მხატვრული სტილის სრულყოფასა და ერთიანობაშია. ეს არის მხატვრულად ძლიერი ქმნილება, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის ფილოსოფიურ, სოციალურ-ეთიკურ, ესთეტიკურ წარმოდგენას ცხოვრებასა და ადამიანებზე.

ამ მაგალითების ქართული თარგმანი იმდენად ახლოს დგას დედანთან, რომ ბუნებრივი ქართული ენით მკითხველს ცოცხალ წარმოდგენას უქმნის როგორც ნაწარმოების მთლიან სტილზე, ასევე ბრონტეს ცალკეულ კონკრეტულ მხატვრულ ხერხებზეც.

ამ შემთხვევაშიც მთარგმნელებმა, როგორც შემოქმედებმა, აითვისეს ინგლისელი მწერლის სულიერება, ორიენტირებულები არიან დედნის ობიექტურ ღირებულებაზე. გაითავისეს ბრონტეს შიგნიდან მამოძრავებელი იმპულსი. ამიტო-მაც აღიქვეს დედნის ემოციური შინაარსი.

ავტორში, როგორც მთხრობელში, თითქოს ორი ადამიანი თავსდება, რომლებიც ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვაგვარად უყურებენ. ერთი მათგანი ამ მოვლენების თანამედროვეა, მეორე – როჩესტერების წინაპრების თანამედროვე, წარსულის ზემოქმედებისა და შავი რეალობიდან შორს მყოფი, ცოტათი ირონიული, ანალიზისა და განზოგადებისაკენ მიდრეკილი. ამ სახით რომანში მონაცვლეობს თხრობის დონე. ისინი მხოლოდ ფაქტებით არიან დაკავშირებული. შარლოტა ბრონტე რომანის სტრუქტურაში შუქის საშუალებით ხასიათებს და სცენებს გამოხატავს.

ასევე წარმატებით იყენებს შუქს თხრობითი სტრუქტურის გასავითარებლად, ხასიათების წარმოსაჩენად. შუქის ეფექტით მწერალი გმირების შინაგანი მდგომარეობის დახასიათებასაც ახერხებს. ქალბატონი რიდის წითელი ოთახის იდუმალება ჯეინის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს:

“The red-room was a square chamber, very seldom slept in I might say never… A bed supported on massive pillars of mahogany, hung with curtains of deep red damask, stood out like a tabernacle in the centre; the two large windows, with their blinds always drawn down, were half shrouded in festoons and falls of similar drapery; the carpet was red; the table at the foot of the bed was covered with a crimson cloth; the walls were a soft fawn colour with a blush of pink in it; the wardrobe, the toilet-table, the chairs were of darkly polished old mahogany. Out of this

deep surrounding shades rose high, and glared white, the piled-up mattresses and pillows of the bed, spread with a snowy Marseillese counterpane. Scarcely less prominent was an ample cushioned easy-chair near the head of the bed, also white. (Bronte, 1847, 16)

”დიდი დარბაზი, რომელსაც წითელ ოთახს უწოდებდნენ, კარგა ხნის მიტოვებული იყო. იქ იშვიათად თუ იძინებდა ვინმე, წითელი ხის სვეტებიანი საწოლი, მუქი წითელი ფარდებით. ასეთივე ფერის ფართონაკეცებიანი ნაქარგი ფარდები სანახევროდ ფარავდა ორ უზარმაზარ ფანჯარას. საწოლის ქვემო მხარეს მაგიდა იდგა.ზედ წითელი სუფრა ეფარა. ნოხიც მეწამული ფერისა იყო და კედლების ფერს ეხამებოდა. მათში ადგილ-ადგილ მიხაკისფერი ჭარბობდა. მუქი წითელი ხის გარდერობი, სატუალეტო მაგიდა და სკამები სარკესავით პრიალებდა. ამ მუქი ფერების ფონზე მკვეთრად გამოირჩეოდა მაღალი საწოლი ბუმბულის ლეიბებითა და ბალიშებით. საწოლს თოვლივით თეთრი გადასაფარებელი ამშვენებდა. საწოლის თავთან თეთრ შალითაში გახვეული ფართო და რბილი სავარძელი იდგა.”(ბრონტე,1964,18–19)

რაც შეეხება როჩესტერის სულით ავადმყოფი ცოლის ოთახს, ამ სცენის განათება ადრეულ სცენებთან შედარებით გაცილებით კონტრასტულია:

“In the room without a window, there burnt a fire guarded by a high and strong fender and a lamp suspended from the ceiling by a chain…In the deep shade, at the farther end of the room, a figure ran backwards and forwards… a quantity of dark grizzled hair, wild as a mane, hid its head and face…” (Bronte, 1847, 446)

“დავინახეთ უფანჯრო ოთახი. ბუხარში ცეცხლი ენთო, რომელსაც მაღალი და მაგარი რკინის საფარი კარი იცავდა. ჭერიდან ჯაჭვი ეშვებოდა, რომელზედაც მაღლა, ჰაერში გამოკიდებულივით მოჩანდა ლამპა... ოთახის ბნელ სიღრმეში, თითქმის მის მეორე ბოლოში რაღაც უჩვეულო გამოსახულება მიმოდიოდა წინ და უკან... ხშირი, შავი შეჭაღარავებული თმა გარეული ცხოველის ფაფარივით გაშლილი და ერთმანეთში არეულ-დარეული სახესა და თავს მთლიანად უმალავდა.” (ბრონტე, 1964, 358)

შარლოტა ბრონტეს შუქის გამოყენების სახესხვაობა კარგად აქვს ილუსტრირებული მარჩიელობის მონაკვეთშიც:

“The sibyl-if sibyl she were was seated snugly enough in an easy-chair at the chimney corner. She had on a red cloak and a black bonnet: or rather, a broad brimmed gipsy hat, tied… An extinguished candle stood on the table; she was bending over the fire, and seemed reading in a little black book, like a prayer –book, by a light of the blaze…” (Bronte, 1847, 298)

“მისანი მოხუცი ქალი, თუ ის მართლა მისანი იყო, ბუხრის კუთხეში დადგმულ სავარძელში მშვიდად იჯდა.მას წითელი ლაბადა ჰქონდა წამოსხმული და თავზე რაღაც შავი ეხურა, უფრო სწორად ფართოფარფლებიანი ბოშური ქუდი...მაგიდაზე ჩამქრალი სანთელი იდგა. ის ცეცხლისკენ გადახრილიყო და, ჩანდა, რაღაცას კითხულობდა პატარა შავ წიგნში, რომელიც ცეცხლის შუქზე უფრო ლოცვების წიგნს ჰგავდა.” (ბრონტე, 1964, 234)

როგორც ვხედავთ, “ჯეინ ეარის” ავტორი საუკეთესოდ ფლობს ფერთა გამას. ნიშანდობლივია, რომ მისი მთავარი პერსონაჟი მხატვარია, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ ამ ფერებს გარეგნული მომხიბვლელობის გარდა, ღრმა სიმბოლური მნიშვნელობაც გააჩნია. ზემოთმოყვანილ მაგალითებში, ძირითადად ორი ფერი, წითელი და შავი დომინირებს. ფაქტია, ეს ორი მკვეთრი, კონტრასტული ფერი კარგად წარმოაჩენს პერსონაჟების რთულ სულიერ სამყაროს...მათში ჩაბუდებულ შიშს, იმედგაცრუებას, სასოწარკვეთილებას.

რაც შეეხება თარგმანს, ავტორები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ დედანს, რაც გამართლებულია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ზუსტი გამეორებით გად-მოიცემა იგივე მუხტი ქართულ ვერსიაშიც. ემოციური ფონიც იდენტურია, რადგან ცნობილია, რომ ფერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართულ აზროვნებაშიც და ამ კონკრეტულ შემთხვევაში. მათ მიმართ დამოკიდებულებაც ერთნაირია ჩვენთანაც და როჩესტერისდროინდელ, არისტოკრატიულ ინგლისშიც.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელებმა კარგად გაართვეს თავი მეტად რთულ ამოცანას და ქართველ მკითხველს ბრონტეს რომანის ადეკვატური თარგმანი შესთავაზეს.

რომანში მეტადიეგეტური (ჩართული)თხრობა ხშირად არის გამოყენებული, რათა ავტორმა გოთური სასწაულები ისე შემოიტანოს, რომ დიეგეტიკური თხრობა შეინარჩუნოს. ბრონტე ჯეინს მთხრობელის და დამკვირვებლის პოზიციისაათვის

იყენებს, რომელსაც შეუძლია მოიწონოს ან დაიწუნოს სხვა გმირების ქმედებები და მათი ინტერპრეტაცია მოახდინოს.

სტუმრიანობის სცენაში თხრობის სტრუქტურა განსხვავებულია. ცენტრში დგას პერსონაჟთა, სტუმართა ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩევა ერთ-ერთი მის ინგრემი. ამ ქალისა და ჯეინის გამომსახველობითი ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვებისა. ამ შემთხვევაში ისინი სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად ერთგვარი ალეგორიის ფუნქციას ასრულებენ – მის ინგრემი თვალისმომჭრელი სილამაზით, ჯეინი – ფერმკრთალი, სუსტი, მორიდებული. ავტორი მათ ალეგორიული როლების შესაბამისად წარმოგვიდგენს:

“was moulded like a Dian. I regarded her…The noble bust, the sloping shoulders, the graceful neck, the dark eyes and black ringlets”; (Bronte, 1847, 261)

“ღმერთქალს, დიანას გავდა...ზუსტად შეეხამებოდა ჩემს მიერ დახატულ სურათს, შესანიშნავი გულმკერდი, დაქანებული მხრები, გედისებური მოხდენილი ყელი, შავი თვალები და ყორნისფერი კულულები”; (ბრონტე, 1964, 205–206)

Jane: “This I quikly was: my best dress (the silver-grey one, purchased for Miss Temple’s wedding, and never worn since)was soon put on; my hair was soon smoothed; my sole ornament, the pearl brooch, soon assumed. We descended”. (Bronte, 1847, 258)

ჯეინი: “ჩავიცვი ჩემი საუკეთესო კაბა (ვერცხლისფერი მის ტემპლის ქორწილისთვის რომ ვიყიდე და შემდეგ აღარც ჩამიცვამს), თმა სადად დავივარცხნე; ჩემი ერთადერთი სამკაული – გულსაბნევი გავიკეთე და ჩავედით.” (ბრონტე, 1964, 203)

სიმბოლიკისა და რომანტიკული ირონიის გვერდით, რაც რომანის მხატვრულ ფონს ქმნის, რეალისტური ტენდენციებიც არსებობს. თავისუფლება მატერიალურ სინამდვილესთან მიმართებაში და მის მიერ ამორჩეული გარემოებანი, რათა ადამიანური გრძნობების სიმართლე გამოხატოს, ორგანულად უკავშირდება რომანში წამოჭრილ საერთო ზნეობრივ პრობლემებს. თხრობის ობიექტურობისაკენ სწრაფვა წინააღმდეგობაში მოდის სუბიექტურ მიმართულებასთან.

მრავალი ენობრივი სირთულის მიუხედავად, ქართული თარგმანი ორიგინალთან ზუსტი შესატყვისობით გამოირჩევა, ამიტომაც ბუნებრივად ჟღერს.

“ჯეინ ეარი” გარეგნულად საყოფაცხოვრებო, უფრო მეტად, სოციალურ, ყოფით რომანს ჰგავს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა თავად მოისურვა რეალისტურ რომანს დაახლოებოდა.

ბრონტე წარმატებით იყენებს რომანტიკულ სიმბოლიკას, ამ სიმბოლოებით აღინიშნება რომანის ძირითადი კონფლიქტები, ფსიქოლოგიური კოლიზიები. მისი სიმბოლიკა, ხანდახან აბსურდული და არა ყოველთვის კანონზომიერი, გამოხატავს მორალის დაფარულ კანონებს. სიმბოლიკის განსაკუთრებული ენის მეშვეობით შარლოტა ბრონტე აიძულებს მკითხველს თავისი გმირების ყველა ზნეობრივი ტანჯვა გადაიტანოს.

მწერალი არ გამოყოფს იდეას იმ სიმბოლოსაგან, რომელშიც იგი აისახება. ავტორი ფერს, შუქს, ჩრდილოვან ფიგურებს გვთავაზობს და ყოველივე ეს განსახვავებულად არის გამოყენებული. გარკვეული სცენებისათვის რამდენიმე სახის განათებას იყენებს შუქის ეფექტით, რითაც თავისი გმირების შინაგან მდგო-მარეობას ახასიათებს.

“The chamber looked a bright little place to me as the sun shone in between the gay blue chintz window curtains, showing papered walls and a carpeted floor, so unlike bare planks and stained plaster of Lowood, that my spirits rose at the view”. (Bronte, 1847, 149)

“ჩემს თვალს პატარა ნათელი ოთახი წარმოუდგა. ლურჯი ჩითის ფარდებში მზის სხივები მხიარულად იჭვრიტებოდნენ და მის შუქზე გარკვევით ვხედავდი შპალერით გაკრულ კედლებსა და იატაკზე დაფენილ ნოხს. აღტაცებით შევცქეროდი ირგვლივ ყველაფერს და ვფიქრობდი, როგორ განსხვავდებოდა ყოველივე ეს ლოვუდის შელესილ - შეღებილი კედლებისა და მთლად შიშველი იატაკისგან.” (ბრონტე, 1964, 119)

როჩესტერის სასახლე რომანის ცენტრალური სახეა, სიმბოლოა, რომელსაც მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. ყველა მოვლენას, რაც რომანშია, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეხება აქვს სახლთან. თავად მწერალი დიდი ყურადღებით ეკიდება ყველა წვრილმანს:

“All these relics gave to the third storey of Thornfield Hall the aspect of a home of past: a shrine of memory. I liked the hush, the gloom, the quantness of these retreats in the day; but I by no means coveted a night’s repose on one those wide and heavy beds: shut in, some of them,

with doors of oak; shaded, others, with wrought old English hangings crusted with thick work, portraying effigies of strange flowers, and stranger birds, and strangest human beings, - all which would have looked strange, indeed, by the pallid gleam of moonlight.” (Bronte, 1847, 161)

“ყველა ამ ძველისძველი ნაშთის წყალობით თორნფილდის სასახლის მესამე სართულს გარდასული საუკუნის დაღი აჩნდა და უკვე მოგონებათა სავანედ ქცეულიყო. დღისით მომწონდა კიდეც ეს მყუდრო სიბნელით მოცული სიძველის უცნაური თავშესაფარი, მაგრამ ღამით არავითარ შემთხვევაში არ შემეძლო დამეძინა ამ ვეება საწოლებზე, რომლებიც ოთახიდან გამოყოფილი იყო ზოგი მუხის კარებით და ზოგიც ძველებური ინგლისური გობელენებით. ამ გობელენებზე მოხატული იყო ჩემი თვალისთვის უცხო, მეტისმეტად უცნაური ყვავილები, ფრინველები და ადამიანთა გამოსახულებანი. მთვარის მკრთალ შუქზე ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტ ფანტასტიკურ და საშიშ იერს იღებდა.” (ბრონტე, 1964, 129)

“never in my life spoken to one. I had a theoretical reverence and homage for beauty, elegance, gallantry, fascination; but had I met those qualities incarnate in masculine shape, I should have known instinctively that they neither had nor could have shunned them as one would fire, lightning, or anything else that is bright but antipathetic.” (Bronte, 1847, 173)

“ჩემ სიცოცხლეში ჯერ კიდევ არც ერთ მათგანს არ დავლაპარაკებოდი. წარმოდგენით ვეთაყვენებოდი და მოწიწებას ვგრძნობდი სილამაზის, მოხდენილობის, სიმამაცის და მომხიბვლელობის მიმართ. ყველა ამ თვისებით დაჯილდოვებული ახალგაზრდა ყმაწვილკაცები კიდეც რომ შემხვედროდნენ, ალღოთიც ვიგრძნობდი, რომ მათ არაფერი მოეწონებოდათ ჩემი. მეც თავს ისე ავარიდებდი, როგორც ანთებულ ცეცხლს, ელვას ან ისეთ რაიმე ნივთს, რასაც ბრწყინვალება არ აკლია, მაგრამ მაინც საძულველია.“ (ბრონტე, 1964, 139)

რთული და წინააღმდეგობრივია როჩესტერის დამოკიდებულება ტრანსცენ-ტალიზმთან (რაც საზღვარს სცილდება) “თანდაყოლილი ცოდვის დოქტრინა” მისთვის მნიშვნელოვანი დოგმაა, თუმცა შორს დგას ადამიანური “მეს” კულტისაგან. შარლოტა ბრონტე სხვებისაგან განსხვავებით, თხრობის ცენტრში არ აყენებს მხოლოდ ერთ, განსაკუთრებულ პიროვნებას, თუმცა, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა რომანში ყოველთვის აქტუალურია. ავტორმა

წარმატებით გამოიყენა შუქის ეფექტები. როგორც ფერები გარ-დაქმნიან დღის შუქს სიმდიდრისა და დიდებულების სასწაულად, შარლოტა ბრონტე ამგვარად ავითარებს გმირების ხასიათებს შუქისა და ფერის საშუალებით. ზოგჯერ გმირი დაწვრილებითაც კი არ არის აღწერილი.

“I had never seen but pale and bloodless; then they shone in the liquid lustre of her eyes , which had suddenly acquired a beauty more singular than that of Miss Temple’s – a beauty neither of fine colour nor long eyelash, nor penciled brow, but of meaning of movement, of radiance”(Bronte, 1847, 110)

‘სისხლნაკლებობისგან გაფერმკრთალებული ღაწვები აუვარდისფრდა; წყლიანი თვალები აუციმციმდა. ამან მას ენით აუწერელი სილამაზე შემატა და ისიც კი მომეჩვენა, რომ მისი თვალები მის ტემპლის თვალებთან შედარებით გაცილებით მშვენიერი იყო. ჩემში აღფრთოვანებას იწვევდა არა ამ თვალების მშვენიერი ფერი, გრძელი წამწამები და გადაკალმული წარბები, არამედ სიცოცხლის ძალით ანთებული ამ თვალთა მეტყველება. (ბრონტე, 1964, 88)

ან:

“Mr. Rochester as he sat in his damask-covered chair, looked to what I had seen him look like before; not quite so stern – much less gloomy. There was a smile on his lips, and his eyes sparkled, whether with wine or not, I am not sure; but I think it very probable. He was, in short, in his after dinner mood; more expanded and genial, and also more self-indulgent than the frigid and rigid temper of the morning; still he looked preciously grim, cushioning his massive had against swelling back of his chair, and receiving the light of the fire on his granite-hewn features, and in his great dark eyes.” (Bronte, 1847, 199)

“ახლა მისტერ როჩესტერი აბრეშუმგადაკრულ სავარძელში იჯდა და სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე წინათ. ის აღარ იყო პირქუში და მკაცრი, ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა და თვალები უბრწყინავდა. თუმცა არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა ღვინისგან იყო ეს თუ არა, ვფიქრობ, უფრო ღვინისგან. ერთი სიტყვით ნასადილევს ის ჩვეულებრივ ასეთ გუნებაზე გახლდათ ხოლმე: უფრო გულღია, ალერსიანი და კეთილი. დილაობით კი უფრო ცივი და სასტიკი ხასიათის მეჩვენებოდა. ახლაც სახეზე მთლად არ გაქრობოდა პირქუში გამომეტყველება. დიდი თავი სავარძლის რბილ ბალიშზე მიეყრდნო, ცეცხლის ალი თითქოს გრანიტისგან

გამოკვეთილ მის სახის ნაკვთებს დასთამაშებდა და დიდ შავ თვალებში კიაფობდა.”(ბრონტე,1964,159)

როჩესტერი ჯეინს კრავს უწოდებს. მის უმანკოებას არავითარი ეჭვი და ჩრდილი არ ადგება. იგი ნახევრად იდეალური ქმნილებაა. როგორც როჩესტერი ამბობს:

“I should have been a careless shepherd, if I had left a lamb-my pet lamb-so near a wolf's den, unguarded: you were safe”. (Bronte, 1847, 328)

“ძალიან უგუნური მწყემსი ვიქნებოდი, ჩემი კრავი რომ საფრთხეში ჩამეგდო, ჩემი საყვარელი კრავი მგლის ბუნაგთან დამეტოვებინა, ასე ახლოს, უპატრონოდ.” (ბრონტე, 1964, 259)

ჯეინს არ სურს დაშორდეს როჩესტერს, მაგრამ ვერც დასაყრდენს პოულობს, რადგან როჩესტერს ბნელი საიდუმლო ჰქონდა მისგან დამალული.

ავტორს სურს დაგვანახოს, რომ უმანკოება სხვისი “დანაშაულის” გამო იტანჯება, რის გამოც საქორწილო კაბა აღარ გამოადგება.

“ჯეინ ეარის” მთავარი ღირსება მისი მხატვრულობის სრულყოფასა და სტილის ერთიანობაშია. ეს არის შარლოტა ბრონტეს ძლიერი ქმნილება, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ წარმოდგენებს ცხოვრებასა და ადამიანზე.

ყოველივე, რაც ინგლისურენოვან რომანზე ვთქვით, წარმატებულადაა განხორციელებული ქართულ თარგმანში, ეს კი მთარგმენლების არაჩვეულებრივ ნიჭსა და ენის ცოდნაზე მეტყველებს. მათ თანაბარი სრულფასოვნებით იციან ორივე ენა და სიტყვას თანაბრად ფლობენ ორივე ენაზე.

თარგმანში დიდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორად იყოს გადმოცემული ნაწარმოების კოლორიტი და, ამავე დროს, გასაგებიც იყოს სხვა ქვეყნის, სხვა ენის და შეხედულებების საზოგადოებისათვის.

მთარგმნელებმა ეს განწყობა შეინარჩუნეს და დედნის ემოცია თარგმანის კითხვისას (რამდენადაც ეს შესაძლებელია) თანაბარია.

“ჯეინ ეარი ერთიანად სოციალურ-ფსიქოლოგიურია. რომანს დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა გააჩნია – შინაარსის მიხედვით ღრმაა, ფორმით – უბრალო.

დ) ბუნება

ბუნების აღწერას რომანში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა. თითქმის ყველა თავში ავტორი შესანიშნავ ინგლისურ პეიზაჟებს ხატავს, რომლებიც განსაკუთრებით შთამბეჭდავი და განუმეორებელია წელიწადის ყოველ დროს. ბრონტე ბუნებას ხატავს მთელი პირველქმნილებით. ბუნება რეალური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ცალკეული ინდივიდის ნაწილსაც.

“It snowed fast, a drift was already forming against the lower panes; putting my ear close to the window, I could distinguish from the gleeful tumult within the disconsolate moan of the wind outside” (Bronte, 1847, 81).

“ზარდნიდა. ქარისაგან მონაყარ თოვლს უკვე დაეფარა ფანჯრის ქვემო მინები. ყური მივადე ფანჯარას და მიუხედავად გამაყრუებელი, მხიარული ჟრიამულისა, კარგად გავიგონე, როგორ მწუხარედ ზუზუნებდა ქარი” (ბრონტე, 1964, 66).

ბუნების ამსახველი მხატვრული სახეების ქართულად გადმოცემაში მთარგმნელებს ვერ დავემდურებით, რადგან მოხდენილად გადმოაქვთ თითოეული მათგანი. შარლოტა ბრონტესთან ბუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბუნების ფონზე ვითარდება ყველა მოვლენა. რომანის გმირები გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს ბუნებაში. რომანში ბუნება თითქოს სარკის, ინდიკატორის როლს ასრულებს, რომელშიც ისახება ემოციონალური აღგზნება, ან ჩავარდნა:

“But what had befallen the night? The moon was not yet set and we were all in shadow: I could scarcely see my master’s face, near as I was. And what ailed the chestnut tree? It writhed and groaned; while wind roared in the laurel walk and came sweeping over us” (Bronte, 1847, 312).

„მაგრამ რა დაემართა ღამეს? მთვარე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და ჩვენ უკუნეთ სიბნელეში გავეხვიეთ. თუმცა, ძალიან ახლოს ვიდექი მასთან(როჩესტერთან), მაგრამ ძლივსღა ვხედავდი ჩემი პატრონის სახეს. რამ შეაშფოთა წაბლის ხე? ის ირხეოდა და კვნესოდა. ქარი დაფნის ბუჩქების ხეივანში დაზუზუნებდა და ჩვენც რამდენჯერმე ჩამოგვიქროლა”(ბრონტე, 1964, 312).

ან კიდევ:

“But joy soon effaced every other feeling; and loud as the wind blew, near and deep as the thunder crashed, fierce and frequent as the lightning gleamed, cataract-like as the rain fell during a storm of two hour’s duration… in the morning Adele … tell me that the great horse-chestnut at the bottom of the orchard had been struck by lightning in the night and half of split away.”(Bronte, 1847, 391).

“ქარი ხმამაღლა ზუზუნებდა· ჭექა-ქუხილის ხმა სულ ახლოს გაისმოდა, შემაძრწუნებელი და გამუდმებული ელვის შუქი ანათებდა ცას და ამ ქარიშხალში წვიმაც კოკისპირულად ასხამდა···დილით ადელმა მამცნო, რომ ბაღის ბოლოში, ღამით დიდ წაბლის ხეს მეხი დასცემოდა და შუაზე გაეპო“(ბრონტე, 1964, 313)

სხვაგან:

“I sought the orchard driven to it’s shelter by the wind, which all day had blown strong aver wind full from the south, without, however, bringing a speck of rain. Instead of subsiding as night drew on, it seemed to augment its rush and deepen its roar: the trees blew steadfastly one way, never writhing round, and scarcely tossing back their boughs once in a hour; so continuous was the strain bending their branchy heads northward – the clouds drifted from pole to pole, fast following, mass on mass: no glimpse of blue sky had been visible that July day.

It was not without a certain wild pleasure I ran before the wind, delivering my trouble of mind to the measureless air-torrent thundering through space. Descending the laurel walk, I faced the wreck of chestnut tree; it stood up black and riven: the trunk split down the centre, gasped ghastly. The cloven halves were not broken from each other, for the firm base and strong roots kept them unsundered below; though community of vitality was destroyed – the sap could flow no more: their great boughs on each side were dead” (Bronte, 1847, 420-421).

“მთელი დღე სამხრეთიდან ძლიერი ქარი ქროდა, თუმცა ერთი წვეთი წვიმაც კი ვერ ჩამოაგდო. იმის მაგიერ, რომ ჩამდგარიყო, ჩანდა, უფრო და უფრო გამძვინვარებას აპირებდა და საზარელი ზუზუნი გაჰქონდა. ტანმაგარ ხეებს გამუდმებით ერთ მხარეს ხრიდა. ისინი საათში ერთხელ ძლივსღა სწორდებოდნენ წელში და გაჭირვებით შლიდნენ, სულ ერთ, ჩრდილოეთის მიმართულებით გადაზნექილ ტოტებსა და კენწეროებს. ღრუბლების ქულები ქულებს მისდევდა და

დიდი სისწრაფით ერთი პოლუსიდან მეორისაკენ მიეშურებოდნენ. წარმოიდგინეთ, ივლისის დღე იყო და ცის სილურჯისათვის ერთხელაც არ მომიკრავს თვალი.

თითქოს ქარს წინ ვუსწრებდი სირბილით და ეს რაღაც განუცდელ უჩვეულო სიამოვნებას მგვრიდა, თითქოს ჩემ სულიერ ტანჯვა-წამებას ამ განუზომელ საჰაერო ნიაღვარს ვუზიარებდი, რომელიც ჭექა-ქუხილის მსგავსად იღვრებოდა სივრცეში... ხის ტანი მეხს შუამდე გაეპო და ისე პირგახნილი, საზარელი შესახედავი ჩანდა. ორადგახლეჩილი, თითოეული ნახევარი ერთმანეთს მთლად არ მოცილებოდა. თუმცა, სასიცოცხლო მთლიანობა უკვე წართმეული ჰქონდათ, მაგრამ ძლიერ ტანსა და ფესვებს დაბლა, ხის ძირისათვის ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ მთლიანობა" (ბრონტე, 1964, 337).

პეიზაჟის აღწერისას შარლოტა ბრონტეს შეუმჩნეველი არ რჩება ბუნების ხმოვანი მხარეც. ჭექა-ქუხილის ხმა, რომელიც არღვევს ღამის სიჩუმეს. ამიტომაცაა, რომ სამყაროს ფუსფუსისაგან მოწყვეტილი ჰარმონიული ბუნება განაპირობებს თვითგაწმენდას.

შარლოტა ბრონტე ფსიქოლოგიური მოდელით მორალის ნორმებზეც მოგვითხრობს. რწმენა, რომ ნებისმიერი ინდივიდი ნაწილობრივ მაინც გაიაზრებს ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობას და მის ე.წ. "ინტერპრეტაციას", რომანტიკულია, ზომაზე მეტად კლასიკურიც.

ზოგჯერ ბუნება რომანში ცალკეული შტრიხის სახით შემოდის, მაგრამ ეს შტრიხი მშვენიერების განსახიერებაა. ზოგჯერ ავტორი ფერწერულ პეიზაჟს ქმნის, რომელშიც იშვიათი აკორდის სახით შემოდის სატრფიალო თემა.

ბუნების ძალებთან ერთად პრობლემის რომანტიკული გადაწყვეტა მისტიურ ერთობლიობას ქმნის, კითხვები უპასუხოდ რჩება, ინტუიციით თუ ავხსნით. მწერალი მოახლოებული საფრთხის აღწერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ბუნების აღწერა დრამატული დიალოგებით იცვლება.

მთარგმნელები ხშირად ემყარებიან ტექსტის დამთავრებულ მონაკვეთს, სადაც ჩანს დედნის აზრისა და სახეობრივი გამოხატვის კერძო ერთიანობა და მისი შესაბამისი რიტმი, ტემპი და დაძაბულობა.

"I skirted fields, and hedges, and lanes till after sunrise. I believe it was a lovely summer morning … He who is taken out to pass through a fair scene to the scaffold, thinks not of the

flowers that smile on his road, but of the block and axe –edge; of the disseverment of bone and vein; of the grave” (Bronte, 1847 ,489).

“მივდიოდი მინდვრებში, ორღობეებში და სასოფლო გზაზე, სანამ მზე არ ამოიწვერა. ვიცი, რომ მშვენიერი ზაფხულის დღე იყო,…მაგრამ არაფერს ვაკვირდებოდი, არც ამომავალ მზეს, არც მოკამკამე ცას და არც ახლადგამოღვიძებულ ბუნებას. ის, ვინც თვალწარმტაცი გზით ეშაფოტისაკენ მიდის, ყვავილებზე კი აღარ ფიქრობს, რომლებიც გზაზე უღიმიან, არამედ გალესილ ცულსა და ჯალათის კუნძზე, რომელიც ძვალსა და ძარღვს განაშორებს ერთმანეთს და დასასრულ, რა თქმა უნდა, პირგახსნილ სამარეზე ” (ბრონტე, 1964, 394).

ინტერესმოკლებული არ იქნება სხვა მაგალითიც:

“The hills beyond Marsh Glen sent the answer faintly back – where are you? I listened. The wind sighed low in the firs: all was moorland loneliness and midnight -hush. I commented, as that spectre rose up black yew at the gate. ‘This is not thy deception, nor thy witchcraft: it is the work of nature. She was roused, and did – no miracle – but her best.”(Bronte, 1847, 641)

“მარშ გლენის იქით მთები გამომეხმაურნენ სუსტად...ქარი კვნესოდა. ნაძვებში ტორფნარი სდუმდა და ირგვლივ შუაღამის სიჩუმე გამეფებულიყო.ის აჩრდილი შავად წამოიმართა ჭიშკართან მდგომ ურთხმელასთან.ეს ბუნების საქმეა.არც სასწაული, არა, სასწაული არ მოუმოქმედებია. გააკეთა მხოლოდ ის, რაც შეეძლო” (ბრონტე, 1964, 507).

ამ შემთხვევაში სწორი “სტილისტური გასაღები” გვიღებს ზუსტი ინტონაციის “საიდუმლოების” კარებს. მოყვანილი მაგალითების ყოველი ფრაზა ხაზს უსვამს სურათის ნაღვლიან იერს, ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. თარგმანი, ძირითადად, იმეორებს დედნის ინტონაციას. რეპლიკის ლაკონური კონტრასტული ინტონაციაც კი ზუსტად გადმოუციათ მთარგმნელებს:

“Spring drew on: she was indeed already come; the frosts of winter had ceased; its snows were melted, its cutting winds ameliorated. My wretched feet, flayed and swollen to lameness by sharp air of January, began to heal and subside under the gentler breathings of April; the nights and mornings no longer by their Canadian temperature froze the very blood in our veins… greenness grew over those brown beds… flowers peeped out amongst the leaves; snow drops, crocouses, purple auriculas, and golden-eyed pansies.” (Bronte, 1847, 11-14).

“გაზაფხულდა. ზამთრის ყინვებს ბოლო მოეღო. თოვლი დადნა. სუსხიანი ქარები აღარ ქროდა... აპრილის ნაზი სუნთქვა მალამოდ ედებოდა ჯერ კიდევ იანვრის სუსხიან ამინდებში ჩემს მოყინულ, ტყავგადამძვრალ და დასიებულ ფეხებს. იარები რომლის გამოც კოჭლობით ძლივს დავდიოდი, ახლა თანდათან მირჩებოდა...

კარგა ხანია გაქრა კანადური ყინვები, რომლებიც დილა საღამოობით ძარღვებში სისხლს გვიყინავდა...მუქი კვლები მწვანე სამოსით შეიმოსა და დღითიდღე მშვენიერდებოდა. თითქოს გაზაფხულის მსუბუქფრთიანი სუნთქვა ღამით თავს გადაუქროლებდა ხოლმე ამ ბაღნარს და ყოველ დილით მისი კვალი უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ფოთლებს შორის მრავალნაირ ყვავილს ამოეყო თავი: ენძელებს, ხვისტრას, მეწამული ფერის ქუჩმაია და ოქროსფერთვალები იასამ-ფერებს”(ბრონტე, 1964, 91).

დედნის ინტონაციის თანმიმდევრობას ოდნავ არღვევს ქართული სინტაქსური წყობის ბუნება. რასაკვირველია, ეროვნული სპეციფიკის გამომხატველ ცნებებსაც თავისი წვლილი შეაქვთ რომანის საერთო ჟღერადობაში.

თარგმანის მოკლე-მოკლე წინადადებები დედნის ემოციურ დატვირთვას ზიდავენ და ეს ქმნის დედნის გარკვეულ ინტონაციურ იმიტაციას. წინადადებების ბოლოში შემასმენლები აბზაცს ანიჭებენ თხრობით ელფერს, რომელსაც მოითხოვს დედანი.

მთარმგნელებს მუშაობისას დედნის მხატვრული სინამდვილე, გარემო, ეროვნული თვისებები და ავტორის ინდივიდუალური თვისობრიობა ყოველმხრივ შეუსწავლიათ., ამიტომაც ჩასწვდნენ მსოფმხედველობასა და მეთოდს, მანერასა და სტილს. ეს კი დაეხმარათ აესახათ დედნის არსებითი ტიპური და დამახასიათებელი მომენტები. თარგმანს შენარჩუნებული აქვს მხატვრული და ნაციონალური თავისებურებანი.

ამ მონაკვეთების თარგმანშიც გადმოცემულია ფრაზების თანაფარდობის ხასიათი,სიმეტრიული შესაბამისობანი და კონტრასტები. მათი გადაბმით და სიტყვიერ გამეორებათა წყალობით წარმოშობილია აზრობრივი თანხვედრა.

წარმოდგენილი თარგმანი არის დედნის სტილის, რიტმის და ინტონაციის შესაბამისი. ამავე დროს, გათვალისწინებულია ქართული ენის ბუნება. ამით არის

გამოწვეული ის ცვლილებები, რომლებიც შესამჩნევია დედანთან შედარებისას წინადადებათა წყობაში.

შარლოტა ბრონტეს რომანის სტილის კომპონენტების მაქსიმალური დაცვა უთანხმდება ქართული ენის ბუნებას.

რომანის ქართულ თარგმანში ხდება სინამდვილის ასახვა, მაგრამ ეს რეალობა უკვე დედანშია მოცემული და მხატვრულად ხორცშესხმული, ავტორის მიერ სახეებში გააზრებული. დედანი არის სინამდვილის ავტორისეული ინდივიდუალური ხედვის ორიენტირი. მთარგმნელებმა სინამდვილე აღიქვეს და იგძნეს შარლოტა ბრონტესეული მსოფმხედველობით, მათ უხდებოდათ მხატვრულად ასახული სინამდვილის გარდასახვა საკუთარი ფორმით, ამიტომ მთარგმნელები ვალდებულები იყვნენ მხატვურლი ხედვის არედან არ გაქცეოდათ დედანში მოცემული მხატვრული საშუალებების, ხერხების ფუნქცია - მათი სისტემურობა.

მთარგმნელები შეიჭრნენ დედნის სიღრმეში, გაიგეს ქვეტექსტი, გაითვალიწინეს ყველა ელემენტის სემანტიკურ-სტილისტური მხარე, რომელიც უკავშირდება ინტონაციურ მომენტს. მას რომანში ხშირად შეესაბამება ემოციურ აზრობრივი მხარეც. საჭირო იყო გაეგოთ ყველა სიტყვა როგორც დამოუკიდებლად, ისე ურთიერთმნიშვნელბით, განესაზღვრათ მათი ადგილი მთელთან მიმართებაში.

მთავარი მაინც ის არის, რომ შეიცნეს ყოველი მხატვრული კომპონენტის არსი, შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ძიებანიც კი გამოიყენეს. ამიტომაც მიაგნეს აუცილებელსა და მთავარს.

შარლოტა ბრონტეს რომანის დედანი იქცა ობიექტური ასახვის საგნად. შედეგად მივიღეთ ადექვატური ასახვა. ეს მომენტი სრულიადაც არ აუქმებს მთარგმნელების სუბიექტურ დამოკიდებულებას. როგორც ცნობილია, მხატვრული სახე მოიცავს როგორც სუბიექტურს, ასევე ობიექტურ მომენტს. მთარგმნელების ობიექტურ საგანს წარმოადგენდა დედანი, რომელიც ორივე მხარეს აერთიანებს.

შარლოტა ბრონტესთან იშვიათად, მაგრამ გვხვდება პოეტური ხატის ოკაზი-ონალური სიტყვათშეთანხმება. ამით ავტორს შესაძლებლობა აქვს სამყაროს ასახვაში თავისებური ხედვა ჩააქსოვოს (ტერმინი “ოკაზიონალური სიტყვათშეთანხმება”

გულისხმობს ადრე ერთმანეთთან შეუთავსებლად მიჩნეულ სიგნიფიკატების სინთეზს, რომლის პროცესში ერთმანეთს "ეჯახება" ნორმა და კონკრეტული გამოყენება. ეს არღვევს ენაში დაკანონებულ საზღვრებს, წარმოიშობა ხატი, როგორც მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის, მისი ემოციების, მისი ინდივიდუალური ხედვის გამომხატველი ლაკონიური საშუალება).

ე) მისტიკა

რომანტიკულმა მიმდინარეობამ გამოიწვია ფუნდამენტური ცვლილებები ევროპის ლიტერატურულ პროცესებში. ევროპული ლიტერატურისათვის რომანტიკული მიმდინარეობა ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან მსოფლიო ლიტერატურა გაამდიდრა მაღალმხატვრული პოეტური და პროზაული ნაწარმოებებით. რომანტიზმს უსწრებდა პრერომანტიკული ლიტერატურა, რომელიც გარდამავალი საფეხურია განმანათლებლობიდან რომანტიზმისაკენ.

რომანტიკოსებს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნდათ სინამდვილი-სადმი, რომელსაც ისინი აღიქვამდნენ არა ობიექტად, არამედ- სასურველად. რომანტიკოსების ერთი კარდინალური საკითხია იდეალურისა და რეალურის ურთიერთობა. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო იდეალური ექციათ რეალურად, თავიანთ შემოქმედებაში გამოეტანათ შინაგანი, აბსტრაქტული იდეები და ხელშესახები გაეხადათ ისინი.

რომანში განვითარებული მოვლენები არაცნობიერ შინაგან სამყაროში ხდება და ამიტომ ზედროული, ყოვლისშემცველია.

შარლოტა ბრონტეს წინადადებების აზრი სიტყვებს მიღმაა საძებარი. ნათქვამი უნდა აღვიქვათ და არა დავინახოთ. შეგრძნება რომ ზუსტად განხორციელდეს, წინადადებები იწელება, სიტყვები მეორდება, აღიწერება წვრილმანები.

ტრადიციის ძალა იგრძნობა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიასთან დამოკიდებულებაშიც. ამ ფილოსოფიის ტრაგიკული ინტონაცია და საერთო პესიმისტური შეფერილობა შარლოტა ბრონტეს სულიერ ვითარებას, მისი

შემოქმედების ეგზისტენციალიზმთან შინაგან პოლემიკაზე და ინგლისური ლიტერატურისათვის სხვა ფილოსოფიური ხაზის არსებობაზე მეტყველებს, რომელსაც ემპირიზმის ტრადიციამდე მივყავართ.

რომანის ერთ-ერთი ბოლო თავი მისტიფიკაციას წარმოადგენს. მიჰყვება რა ტრადიციას, მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება დოკუმენტურად აღწეროს მოვლენები და თვალში საცემი არ გახადოს საკუთარი პოზიცია. მისი ნააზრევი ჟღერს ისე, როგორც აუცილებელი განმარტებანი, რომლებიც არა მხოლოდ სოციალურ ყოფასა და ცხოვრების დეტალებს ეხება, არამედ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ სახესაც.

ბუნების ძალებთან ერთად პრობლემის რომანტიკული გადაწყვეტა მისტიურ ერთობლიობას ქმნის, კითხვები უპასუხოდ რჩება, ინტუიციით თუ ავხსნით.

მისტიკა არის, ადამიანის ზებუნებრივი, ამოუხსნელი, ზეგონიერი და ზეგრძნობიერი კავშირის რწმენა ღმერთთან.

ს. ჰასენი იძლევა მისტიკის შემდეგი სახის დეფინაციას: “მისტიკად, ანუ მისტი–ციზმად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ სამყაროში ირაციონალური საწყისის შეუვალ ბა–ტონობას, რომელიც მიიღწევა ჩვენი ჩვეულებრივი აბსტრაქტული ან დისკუსიური აზროვნებისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ინტუიციური შემეცნებით.” (Гасен, 1910, 119).

მწერალი მოახლოებული საფრთხის აღწერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისტიკური პასაჟის დროს ბუნების აღწერა დრამატული დიალოგებით იცვლება.

შარლოტა ბრონტე ჩვეული ოსტატობით ახერხებს განსაცდელში მყოფთა სასოწარკვეთის ძუნწად, უბრალოდ აღწერას. კონტრასტებს დამაჯერებლად აღწერს:

“Show me, show me the path!” I entreated of heaven… my heart beat fast and thick: I heard its throb. Suddenly it stood still to an inexpressible feeling that thrilled it through, and passed at once to my head and extremities. The feeling was not like an electric shock, but was quite as sharp, as strange, as startling: it acted on my senses as if their utmost activity hitherto had been but torpor, from which they were now summoned and forced to wake. They rose expectant: eye and ear waited while the flesh quivered on my bones.

“What have you heard? What do you see? -Asked St.John.I saw nothing, but I heard a voice somewhere cry - “Jane! Jane! Jane!” – Nothing more.

“O God! What is it? I gasped.

I might have said, “Where is it?

For it did not seem in the room – nor in the house- nor in the garden; it did not come out of the air nor from the under the earth nor from overhead. I had heard it – where, or whence, for ever impossible to know! And it was the voice of a human being – a known, loved, well-remembered voice – that of Edward Fairfax Rochester; and it spoke in pain and woe, wildly, eerily, urgently.

“I am coming!” I cried. “Wait for me! Oh, I will come!” I flew to the door and looked into passage: it was dark. I ran out into the garden: it was void.

“Where are you?” I exclaimed.”

The hills beyond Marsh Glen sent the answer faintly back – “Where are you? I listened. The wind sighed low in the firs: all was moorland loneliness and midnight -hush.

“Down superstition” I commented, as that spectre rose up black by the black yew at the gate. “This is not thy deception, nor thy witchcraft: it is the work of nature. She was roused, and did – no miracle – but her best”(Bronte, 1847, 640).

“მიჩვენე, მიჩვენე გზა”, – სასოწარკვეთილია მთავარი გმირი. “რაღაც გამოუთქმელმა გრძნობამ გაიარა მასში და გადაეცა ჩემს თავსა და კიდურებს. ეს გრძნობა არ გავდა ელექტროობის დავლას სხეულში, მაგრამ ისევე მწვავე, უცნაური, შემაკრთობელი იყო. მან ისე იმოქმედა ჩემს გრძნობებზე, რომ მასთან შედარებით ჩემი მდგომარეობა მანამდე გაყინვას უდრიდა. ამ გრძნობამ გამომაფხიზლა. რაღაცას ველოდი, თვალი და ყურიც ელოდა, ხორცი თრთოდა ძვლებზე.

– რა გაიგონეთ? რას ხედავთ? – ჩამეკითხა სენტ ჯონი. არაფერს არ ვხედავდი, მაგრამ მომესმა სადღაც ხმის ძახილი: - “ჯეინ! ჯეინ! ჯეინ!” და სხვა არაფერი.

– ოჰ, ღმერთო, რა არის ეს? – აღმომხდა. მე შემეძლო მეკითხა: –საიდან ისმის? – რადგან ხმა ოთახიდან არ მოდიოდა, არც სახლიდან, არც ბაღიდან, ის არც ჰაერიდან ისმოდა, არც დედამიწიდან, არც ზემოდან. მე მომესმა ის საიდან, არ ვიცი. ვერც ვერასოდეს გავიგებ. ეს იყო ადამიანის ხმა – ნაცნობი, საყვარელი. ხმა, რომელიც კარგად მახსოვდა – ედვარდ ფეიერფექს როჩესტერის ხმა. მასში ტკივილი იგრძნობოდა, უბედურება, სიგიჟე, შეძრწუნება, გასაჭირი.

– მოვდივარ, წამოვიძახე, მომიცადე! ო, მოვალ! კარებს ვეცი და ტალანში გავიხედე. იქ ბნელოდა. გავვარდი ბაღში. იქ არავინ იყო.

- სადა ხარ?- შევძახე.

მარშ გლენის იქით მთები გამომეხმაურნენ სუსტად , სადა ხარ? – ყური მივუგდე. ქარი კვნესოდა... – ძირს ცრუმორწმუნეობა, - წარმოვთქვი მე, როდესაც ის აჩრდილი შავად წამოიმართა ჭიშკართან მდგომ შავ ურთხმელასთან. ეს არც თქვენი ტყუილია, არც ჯადოქრობა. ეს ბუნების საქმეა. ის აღელვებული იყო და არა სასწაული არ მოუ-მოქმედებია. გააკეთა მხოლოდ ის, რაც შეეძლო" (ბრონტე, 1964, 506).

ამ მონაკვეთთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ფრანგი თეოლოგის ჟან გიუტონის მოსაზრება: "ყველაფრის საწყისში, სამყაროს სათავეში სიყვარულის უსაზღვრო აქტი ძევს. ერთადერთი საფუძველი, რომელმაც უზენაესი არსება ქმნადობის აქტის აღსასრულებლად წააქეზა, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა უსაზღვრო სიყვარულია" (გიუტონი, 1993, 5) .

სწორედ ამგვარი უსაზღვრო სიყვარულით შეიძლება აიხსნას ერთი შეხედვით ადამაინის გონებისთვის მიუწვდომელი მოვლენები, იმის მსგავსი, რაც ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ხდება ჯეინის თავს.

იმავეს ადასტურებს პავლე მოციქული კორინთელთა ეპისტოლეში: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს. სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს. ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველნი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა".

მისტიკური სცენების თარგმანის დროსაც მთარგმნელებმა შექმნეს ახალი სიცოცხლე, ახალი სამყარო. მაგრამ, ამავე დროს, შექმნეს მშობლიური სიტყვიერების საგანძური. ავტორისა და რომანის მთარგმნელების ინდივიდუალობათა შემოქმედებითმა შეხვედრამ, შერწყმამ მხატრულ თარგმანს კვალი დააჩნია. ამიტომ თარგმანი დედნის იდენტური კი არა, ადეკვატურია, ავტორისა და მთარგმნელების დიალექტიკური ერთიანობაა. ეს მიღწეულია მთარგმნელობით-შემოქმედებით პროცესში, ენათესავება საშემსრულებლო ხელოვნებას. თუმცა, მასზე უფრო

შემოქმედებითია. იგი სიტყვის ხელოვნებაა და ახალ ენობრივ სამყაროში, ახალ შემოქმედებით სიტუაციაში წარმოიქმნება.

ლიტმცოდნეობაში არსებობს მოსაზრება, რომ რომანტიზმის წარმოშობისას, ფანტასტიკურისა და რეალურის პარალელიზმის პრინციპი ფანტასტიკური ფორმების განვითარების საერთო კანონს წარმოადგენდა. რომანის ამ ეპიზოდის ანალიზი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ავტორის მიდრეკილებას, გამოიკვლიოს ადამიანის ქვეცნობიერის ის სფერო, რომელიც ზებუნებრივ სამყაროს ეხება. ზებუნებრივ მოვლენებთან მიმართებაში ავტორი მხოლოდ გარკვეული მინიშნებებით კმაყოფილდება, რადგან კარგად იცის, რომ ამ სფეროში დარწმუნებით რაიმეს განცხადება ადამიანურ ძალებს აღემატება. ის უბრალოდ იმეორებს მარადიულ კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა ძნელი, მაგრამ აუცილებელია ადამიანისთვის. ღმერთს შეუძლია ცოდვილსაც მიანიჭოს მისტიკური განცდა, მაგრამ ღმერთის მიერ მონიჭებული ეს მადლი ზებუნებრივი იქნება, რადგან ღმერთი, როგორც წყალობათა სისტემის შემოქმედი, ანიჭებს მას ადამიანს, რათა ადამიანმა ქრისტეს ღვაწლის გამო მარადიულ ხსნას მიაღწიოს.

აღსანიშნავია, რომ შარლოტა ბრონტე თავშეკავებულია იქ, სადაც საქმე ღვთიურ ნებას ეხება, რაც თავისთავად ლოგიკურია, რადგან პასტორის ოჯახში გაზრდილმა ზუსტად იცის, რომ “შეუცნობელია გზანი უფლისანი”, რომ აქ მხოლოდ რწმენაა შესაძლებელი, რწმენა, რომელიც ნაკლებად იძლევა ხმამაღალი განცხადებებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას.

რელიგია და რწმენა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებაში. ანდრე ფროსარის აზრით, “რწმენა – ეს ისაა, რაც გონებას საშუალებას აძლევს იცხოვროს თავის შესაძლებლობებზე მაღლა” (ფროსარი, 1993, 5) .

სწორედ ასეთი რამ ხდება მოცემულ მომენტშიც, მისი გონება “ცხოვრობდა თავის შესაძლებლობებზე მაღლა”. ერთის მხრივ, პერსონაჟი ამ უცნაურ ფაქტს (როჩესტერის ხმის გაგონება) შინაგანი მდგომარეობით ადასტურებს. ხმა რალურად მოისმინა თუ არა, ორივე შემთხვევაში, მკითხველის გადასაწყვეტია. სინამდვილისა და წარმოსახვის აღრევით, თვითშთაგონებით, რომ ხმა გაიგონა, მეტს ამბობს, ვიდრე თავად ფაქტის რეალურობა.

ლიტერატურას ახასიათებს ქვეტექსტები, ისევე, როგორც ადამიანს, თითქოსდა, გაუაზრებელი საქციელი, რომელიც თავიდან ბოლომდე ცვლის ცხოვრებას. სწორედ ასეთ მინიშნებად იქცა ჯეინისთვის ეს "არსაიდან" მოსული ხმა, (ქვეცნობიერის დაჟინება) რომელმაც იგი თავის თავთან, მძიმე, მაგრამ ერთადერთ და აუცილებელ წარსულთან დააბრუნა. მივიდა იქ, სადაც ელოდნენ, სადაც მხოლოდ მის ყოფნა–არყოფნაზე იყო დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ არსებობასღა ინარჩუნებდა.

ეს ყოველივე შარლოტა ბრონტეს აზროვნების მანერის უმთავრესი მახასიათებელია, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანმა ზუსტად იპოვოს თავისი თავი და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება. ალბათ, სწორედ ამიტომ იქცა მისი რომანის გმირი მისაბაძ მაგალითად.

ვინ იცის, იქნებ თავადაც ჯეინში იპოვა საკუთარი თავი, რეალურ ცხოვრებაში ამა თუ იმ მიზეზით მიუღწეველ სურვილებს ჯეინის პერსონაჟის საშუალებით მისცა არსებობის უფლება.

ბიბლიასა და სახარებაზე დაყრდნობით, გერმანელი ფილოსოფოსი ნიკოლოზ კუზანელისათვის ადამიანი მიკროსამყაროა, "მეორე ღმერთია", რომელსაც გარკვეული აზრით შემოქმედების უნარი აქვს. ადამიანი "ცოტათი ნაკლებია" ანგელოზებზე, მისი ყოველგვარი აქტივობა ღმერთისაკენ, როგორც ყოველივე არსებულის მიზეზისა და საფუძვლისაკენ არის მიმართული.

მას მიაჩნია, რომ ადამიანის სული რაღაც მარადიულს შეიცავს და ამიტომ შეუძლია ნაწილობრივ მაინც მიხვდეს მარადიულს. ადამიანი დაუსრულებლად უახლოვდება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იგი ჩვენთვის მაინც მუდამ დაფარული რჩება.

ადამიანის უკვდავ სულს შეუძლია განჭვრიტოს დაპირისპირებულთა ერთიანობა. აქ სწორედ მისტიკური მომენტია მოცემული.

ცნობილი რუსი მისტიკოსი და თეოსოფი ვ. სოლოვიოვი მისტიციზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: "მისტიციზმი არის მოვლენების და მოქმედებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც სივრცის, დროის და ფიზიკური პირობების

განუსაზღვრელად ადამიანს სამყაროს საიდუმლო არსებებთან და ძალებთან აკავშირებს” (Брокгауз и Ефрон, 1896, 454).

ამერიკელი მეცნიერის უ. ბუტის მოსაზრებით, “თხრობის ნებისმიერი ტიპი ფასეულია არა თვითონ თავისთავად, არამედ იმის მიხედვით, რამდენად ემსახურება იგი მწერლის ჩანაფიქრს, მისი იდეის გახნას.

მეცნიერი ხაზს უსვამს ავტორის უფლებას – აირჩიოს ნაწარმოების პოზიციის გამოხატვის ფორმები სტილის, ტონის, ხასიათების, ეპიზოდების შერჩევის მეშვეობით და დასძენს, რომ ნაწარმოებიდან მისი სრული გაქრობა შეუძლებელია. (Booth, 1968, 20).

მაცხოვარი მარადიული თანმხლებია თავისი სულიერი შვილებისა დახმარების ხელსაც უწვდის მათ. მაგრამ ადამიანმა თავად უნდა გაუძლოს გასაჭირს, თავად უნდა გააკეთოს არჩევანი. ამის მაგალითია თავად იესო, რომელიც გამოსცადა მაცდურმა. იესომ ცდუნებას გაუძლო და მხოლოდ მაშინ მიატოვა ეშმაკმა.

ჯეინმაც გაუძლო გაჭირვებას, ირწმუნა, რომ მაცხოვარი ეხმარებოდა და დაიჯერა მისტიკური ხმის. მაცდური მისტიკაა თუ მარადიული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ადამიანის სულიერ ძალთა ჭიდილი. ამ შემთხვევაში ჯეინის არჩევანმა გაიმარჯვა და ამ ძლევის, გამარჯვების სიხარულსაც გამოხატავს.

როდესაც “ჯეინ ეარის” თარგმანს ვიხილავდით, თარგმანის ენას ანგარიშს ვუწევდით ისევე, როგორც ორიგინალური რომანის შექმნისას, რადგან მთარგმნელი ისევე ეძებს სიტყვებს , როგორც ავტორი. მთარგმნელები იდეის სპეციფიკას, დედნის სტრუქტურას ემყარებოდნენ და აქედან გამომდინარეობდნენ. ამავე დროს, თარგმანი შემოქმედებით პროდუქტად ითვლება, რადგან დაცულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. კარგადაა გამოვლენილი ენის დამოკიდებულება ასასახავ საგანთა მიმართ. ყოველივე ამას კი შარლოტა ბრონტეს რომანის ქართული თარგმანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბრონტეს სახეობრიობას, ხატოვანებას საფუძვლად რეალისტური ხედვა უდევს. მთარგმნელები ამას თითქმის ყოველთვის ითვალისწინებენ და თარგმანში მწერლის სტილის ამ მხარეს არასოდეს ტვირთავენ, არ ამძიმებენ.

მთარგმნელი რიტმულ სახეს აკავშირებს აზრის გამოხატვის სინტაქსურ საშუალებებთან, რადგან იგი პირველად თარგმნის მოცემულ ფრაზას და არა მთელ რომანს ერთბაშად, მას საქმე აქვს ამ ფრაზის ვიწრო კონტექსტთან, რომელსაც, ცხადია, წარმოადგენს ფართო კონტექსტთან კავშირში. მით უმეტეს, ვიცით, რომ ინგლისურს უყვარს მოკლე ფრაზები, მაგრამ საქმე ფრაზის სიგრძე კი არ არის, არამედ მისი რიტმული სახე, რომელიც მაქსიმალური სიზუსტითაა ქართულად გადმოღებული.

ზოგან თარგმანის სტილი შეცვლილია, ამბავთა თანმიმდევრობა კი უცვლელი. სტილის ცვლილება თხრობის რიტმის შეცვლამ გამოიწვია. დაიკარგა თანმიმდევრული დინამიკა, მიზანსწრაფვა, აღარ იგრძნობა დრამატული დასასრული, მაგრამ ეს ცვლილება უბრალო შეცვლა არ არის ერთი მხატვრული სტილისა მეორე მხატვრული სტილით, არამედ არსებითი მხარის გადმოცემაა არამხატვრული თხრობის საშუალებით.

დამოწმებულ მაგალითებში ჩანს დედანში ნაგულისხმები მთელი კონტექსტი. თარგმანს საფუძვლად უდევს კონტექსტის აზრი, რომლის უკან დგას სინამდვილე. ეს ყველაფერი ნაგულისხმებია ერთსიტყვიანი წინადადებების თარგმანში და ამ აზრითაა განმეორებული დედნის ინტონაციაში.

მთარგმნელებს, რომლებმაც იციან ინგლისური (მაშასადამე მისი ინტონაციაც) სმენითი ინტუიციით დაუძებნიათ რომანის ინტონაციური შესატყვისები ქართულ ენაზე, მისი ინტონაცია შეუფარდებიათ ინგლისურის აზრობრივი ინტონაციისთვის, წარმოუდგენიათ ტექსტში გამოხატული სურათი და ქართულისთვის ბუნებრივი ინტონაციით გაუმეორებიათ ქართულ ენაზე.

გ) რომანში ჩართული ლექსების თარგმანი

შარლოტა ბრონტეს “ჯეინ ეარი” პროზაული ნაწარმოებია, მაგრამ მწერალი სიმღერების სახით ადგილს უთმობს ლექსს და გარკვეულ ფუნქციასაც აკისრებს. ჩართული ლექსები თუ სიმღერები ალამაზებს თხრობას, გამოხატავს პერსონაჟის –

როჩესტერის განწყობილებას. მაგალითად, ლექსებითა და სიმღერითაა გადმოცემული სიყვარულის გრძნობით გამოწვეული განცდა, სიხარული. შთამბეჭდავია რომანის ეპიზოდი, რომელშიც როჩესტერი ცდილობს ჯეინს სიყვარული აუხსნას...

ამ შემთხვევაში თარგმანი დედნის მთლად ადექვატური არ არის, მაგრამ ჩანს, რომ მთარგმნელი ქალბატონი ინოლა გურგულია შეეცადა შეენარჩუნებინა აზრიცა და ტონალობაც. პოეტური ნიმუშების უცხო ენაზე გადატანისას ტექსტის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არც იმის შეფასებაა ადვილი, თუ როგორ ახერხებს მთარგმნელი საკუთარ ენაზე დედნის შესატყვისი თარგმანის შესრულებას, ლექსის სწორდ გაგებას, მთავარი სათქმელის გააზრებას, რიტმის შენარჩუნებას. "თუმცა, მეტამორფოზა, რომელსაც მხატვრული სიტყვა განიცდის თარგმანისას გარდაუვალია.

ამის შემდეგ კიდევ დგას ბევრი რთული, მაგრამ არა დაუძლეველი საკითხი, რადგან პოეტურ სიტყვასა და პოეტურ აზროვნებას "განუმეორებლობის" გარდა სხვა მხარეებიც გააჩნია. რამდენად სწორად გაითვალისწინებს მთარგმნელი დედნის კულტურულ კონტექსტს და როგორ აღასრულებს "სხვის" ხელოვნებას საკუთარ ენაზე, ეს მის შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული"(ხუციშვილი ,1989, 102).

იგივე შეიძლება ითქვას, შარლოტა ბრონტეს რომანში ჩართული პოეტური ნიმუშების ქართული თარგმანის შესახებაც. შეიძლება ითქვას, რომ თარგმანში დაცულია დედნის მთელი შინაარსი. სათანადოდაა გალექსილი ქართულ ენაზე რიტმულადაც და ინტონაციურადაც, შენარჩუნებულია ლექსის სათანადო ფორმა. თუმცა თარგმანი არ გამოირჩევა არც მხატვრული სრულყოფილებით, არც ემოციური ზემოქმედებით, დაკარგულია რითმაც. როგორც ცნობილია, რითმიანი ლექსის თარგმნისას, რითმა რომ არ დაირღვეს, მთარგმნელი რაიმეს ან აკლებს დედნის ტექსტს, ან ამატებს. დანაკარგი ან დანამატი სწორედ ამგვარი მცდელობით უნდა აიხსნას (ფანჯიკიძე, 1988,52).

საერთოდ ლექსისთვის, განსაკუთრებით სასიმღერო ლექსისთვის, დამახასიათებელია ტაეპის განმეორება, რაც ხაზს უსვამს ძირითად აზრს, სათქმელის განმეორებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თარგმანშიც. დ. ფნაჯიკიძეს

მიაჩნია, რომ “ეს პოეტური ხერხი ამძაფრებს ემოციას და დინამიკურს ხდის რიტმს” (ფანჯიკიძე , 1988, 52).

ჩვენს მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი ეძებს ორიგინალის აზრს ქართულში და ცდილობს შეალამაზოს, მხატვრულად გადმოსცეს სათქმელი, შესაბამისად, თავიდან აიცილოს მწირი თარგმანი.(ლექსების თარგმანი ყველგან ეკუთვნის ინოლა გურგულიას).

“Day set Norham’s castled sleep,
And Tweed’s fair river broad and deep,
And Cheviot’s mountains lone;
The massive towers, the donjon keep,
The flanking walls that round them sweep,
In yaellow lustre shone”(Bronte,1847,574)

“დღე დაათენდა ნორმის ციხეს
ტვიდის მშვენიერ მდინარის კიდეს უძირო წყლიანს,
და შევიოტის მყუდრო მწვერვალთა,
და გოდოლები მძიმედ ნაგები, კოშკი მთავარი,
კედლები მცველად შემანაგები,თლილი, ჯავარი,
ყვითელი ჭაღის ცეცხლში ელავდა.”(ბრონტე,1964,459)

ლექსში ლირიკული მედიტაცია ბუნების ფერწერის საშუალებით არის ხორცსესხმული. ძნელია ითქვას, რომელი ელემენტი ჭარბობს აქ ინტიმური თუ როგორც ვხედავთ, სტროფი მდიდარია ევფონიურად. გარითმვის წესი თავისებურია. იგი თავისუფალი ინტერპრეტაციის ნიმუშია.

პოეტი განიცდის იდეალისა და სინამდვილის დაშორებას. მისთვის მთავარია სულიერი საწყისი.

“I dreamed it would be nameless bliss,
As I loved, loved to be
And to this object did I press
As blind as eagerly.
“But wide as pathless was the space
That lay our lives between,
And dangerous as the foamy race

Of ocean-surges green.
“And haunted as a robber-path
Through wilderness or wood;
For Might and right, and Woe and Wrath,
Between our spirits stood. (Bronte, 1847, 414)
„ნეტარ ოცნებად მქონდა ქცეული,
ვით მე მიყვარდა, მას ვყვარებოდი
მისი მშვენებით დაბრმავებული,
მისი წყურვილით, ნდომით ვკდებოდი.
„მაგრამ ჩვენს შორის ჩადგა უფსკრული,
გაჰყარა ჩვენი ცხოვრების გზები,
გადმოსკდა ღვარი ქაფმოდებული
და ოკეანის მწვანე ზვირთები,
„და გაჩნდა, როგორც ქურდთა ბილიკი
უღრან ტყეში თუ უდაბურ ველად,
ძალა, უფლება, რისხვა თუ მტრობა
ჩვენი სულების გასათიშველად.“ (ბრონტე, 1964, 332)

ლექსის თარგმანი შესრულებულია პოეტური ოსტატობით. იგრძნობა ინგლისური ლექსის ჟღერადობა და ლაკონურობა, რაც განსაკუთრებით ჩანს ლექსის ბოლო სტროფში.

“Still bright on clouds of suffering dim
Shines that soft, solemn joy;
Nor care I now, how dense and grim
Disasters gather nigh.
“I care not in this moment sweet,
Though all I have rushed o’er
Should come on pinion, strong and fleet,
Proclaiming vengeance sore:
“Though haughty Hate should strike me down,
Right, bar approach to me,
And grinding Might, with furious frown,

Swear endless enmity. (Bronte,1847,414-415)
ტანჯვათა შორის ახლაც მინათებს,
ვით სიხარული ვერდაფარული,
და ამიტომაც აღარ მადარდებს
ათასი ჭირი შემოჯარული.
ამ ნეტარ წამში მე არას ვდარდობ!
თუმც, იქნებ, ყველა არ ვძლიე იმ დროს.
რკინის ფრთასხმული სრულიად მარტოს
შურისძიებით გამომეცხადოს.
იქნება,ზიზღმა გამანადგუროს;
წინ გადამიდგეს უფლება, ნება;
ძალამ დამლახვროს და არ დამინდოს,
ყველა მათგანი გადმექცეს მტრებად.“(ბრონტე, 1964, 332)

მთარგმნელის ენა უაღრესად დახვეწილია, ლექსის კულტურა მეტად მაღალი. მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ დედნის მეტრული სტრუქტურა უფრო დინამიურია.თარგმანში არ არის გათვალისწინებული დედნის სტილის ისეთი აუცილებელი ატრიბუტი, როგორიცაა საზომის ვარიაციულობა,რაც ხელს უწყობს ლექსის განწყობისეული ინტონაციის გამოხატვას.

“I dangers dared; I hindrance scorned;
I omens did defy:
Whatever menaced, harassed, warned,
I passed impetuous by.
“On sped my rainbow, fast as light;
I flew as in a dream;
For glorious rose upon my sight
That child of shower and Gleam. (Bronte, 1847, 414)
„ვძლიე ხიფათი და დაბრკოლება,
შიშს და სიმხდალეს არ ვეზიარე,
ბევრი მუქარა და შებრძოლება
შეუდრეკელად გამოვიარე.
ჩემს ცისარტყელას მივაქროლებდი,

ოცნებას მე ვერ გადამაჩვიეს,

მარად დიდებულს თაყვანსა ვცემდი

მზისა და წვიმის ლამაზ ნაშიერს. (ბრონტე, 1964, 332)

თარგმანი ძირშივე განსხვავდება დედნის დინამიური საზომისაგან, რომელშიც მონაცვლეობენ კათალექტიკური და აკათალექტიკური მეტრული ერთეულები.

თუმცა ინოლა გურგულიას ლექსი მდიდარია ევფონიურად და გამოირჩევა ბუნებრივი, ხმიერი რითმებით.

„My love has placed her little hand
With noble faith in mine,
And vowed that wedlock's sacred band
Our nature shall entwine.
„My love has sworn with sealing kiss,
with me to live – to die;
I have at last my nameless bliss.
As I love – loved am I!" (Bronte, 1847, 415)

„მე ჩემმა სატრფომ პაწაწა ხელი
ხელში ჩამიდო და დამიფიცა,
რომ სიყვარულში შეუღლებულნი
შევირწყმებოდით მეც და ისიცა .
სიკვდილში გვერდით რომ მეყოლება,
ბეჭდად ამბორი დაურთო სიტყვას
და მე მეღირსა ეს ნეტარება,
უყვარვარ ისე, როგორც მე მიყვარს." (ბრონტე, 1964, 332)

ასეთი ლექსის თარგმანის შექმნა ძნელია.მისი ლექსითი ფორმა მეტრი, რიტმი, რითმა და სპეციფიკური მხატვრული ხერხები მთარგმნელს შეიძლება გადაულახავ დაბრკოლებებად ექცეს.

ამიტომაც ძველთაგანვე ღრმად გაიდგა ფესვი იმ აზრმა, რომ პოეზიის ნიმუშების ერთი ენიდან მეორეზე ადეკვატურად და სრულყოფილად თარგმნა (მით უმეტეს, თუ ეს ენები თავიანთი ბუნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან) ძნელია. საამისოდ არ

კმარა მხოლოდ ნიჭი, საჭიროა ზედმიწევნით ფლობდე მთარგმნელობითი ოსტატობის “საიდუმლოებას”, მათ შორის პოეტური ხატის ფენომენი აუცილებელია.

თარგმანში მოტივების თამამი, ზედმეტად თავისუფალი ინტერპრეტაცია და სუბსტანცია შეინიშნება. ეს მისი არსებითი ნიშანია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოტანილ ციტატაში დასაწყის ოთხ ზოგიერთ ენობრივ ლაფსუსს და, ჩვენი აზრით, ერთი მხრივ მეტრში და, მეორე მხრივ თვით ფრაზეოლოგიის აღნაგობაში არსებულ ხარვეზებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმანში დედნის აქსესუარები თავის ადგილზეა.

სწორედ მითითებული ხარვეზის გამო, ელემენტთა ურთიერთშეთანხმებულობის და მთელის ჰარმონიის, ნაირგვარი სისრულე როგორც ხმის რეპროდუქცია, თარგმანს სხვადასხვა მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს.

ინოლა გურგულიას მთარგმნელობითი სტილი ეფუძნება არა ბუკვალიზმს, არამედ კონტექსტუალურ სიმართლეს.

ბუკვალიზმის უარყოფა და დედნის კონტექსტუალურ-მხატვრულ შინაარსზე ორიენტირება, ი.გურგულიას ერთგვარი შემოქმედებითი თავისუფლების საშუალებას აძლევს, რაც, ამავე დროს, უფრო აახლოებს ავტორის მხატვრულ ხედვასთან, მის სტილთან.

ინოლა გურგულიას მთარგმნელობით მეთოდში ჰარმონიულად არის შეზავებული აკადემიური და შემოქმედებითი საწყისები. იგი იცნობს ავტორის შემოქმედებას არა მხოლოდ ინტუიტურად, შემოქმედებითად გრძნობს ლექსის სტილს, არამედ აცნობიერებს ავტორის შემოქმედებით თავისებურებებს. ყოველივე ეს კი მას საშუალებას აძლევს სწორი კონცეფცია შეიმუშაოს ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შესახებ და შეიქმნას სათანადო ფსიქოლოგიური განწყობილება შემოქმედებითი გარდასახვისათვის. ამით უნდა აიხსნას, რომ ი.გურგულიას ენა ყოველთვის ადეკვატურად გამოხატავს დედანს.

ლექსში ერთგვარი ტკბობაა საკუთარი ტანჯვით, რომლის ძირი მდებარეობს არა მხოლოდ ხასიათობრივ თვისებებში (ეგოცენტრიზმი, ინტროსპექციისადმი მიდრეკილება). მთავარი ის არის, რომ სამყაროსთან კონფლიქტი არის სულის მასაზრდოებელი ნიჭი , რომელშიც მტკიცდება მისი ზნეობრივი ძალა. ეს კონფლიქტი

რომ არ იყოს, არ იქნებოდა სულიერი ცხოვრების არც ის სიმდიდრე, რაც ყველაზე მეტად ფასდება.

იტანჯება რა ცხოვრების დისჰარმონიით, ლექსის ლირიკული გმირი არცთუ იშვიათად ტკბება კიდეც თავისი განსაცდელით, ეზიარება შინაგან კონფლიქტებს, გადის ტანჯვის გზას, ეს შინაგანი ფსიქოლოგიური კონფლიქტი ტანჯვაში სიხარულისა და სიხარულში ტანჯვის ძიება საინტერესოდაა გადმოცემული ლექსში. შეიმჩნევა სევდის, მწუხარების უპირატესობა სიხარულზე. ტანჯვისა და სიხარულის შეუღლება კარგად ჩანს ზემოთ მოხმობილ ნიმუშში.

ინტიმურ გრძნობათა ფსიქოლოგიის ურთულეს ნიუანსთა შეგრძნება, იმაში ღრმა გარკვეულობა, რასაც ზოგჯერ სულის დიალექტიკას უწოდებენ,თავს იჩენს შემდეგ სტრიქონშიც:

“In the days when we went gipsying, A long time ago.” (Bronte, 1847, 28)

“მაშინ, როცა ბოშებივით ვწანწალებდით... უამრავი წლების წინათ.” (ბრონტე, 1964, 27)

თარგმანში ინოლა გურგულია თავისუფლად გამოხატავს სათქმელს, მაგრამ იგი საზომში ვერ ტევს სათქმელის შინაარსს და ავრცობს ტექსტსაც, ტაეპთა რაოდენობასაც. აშკარაა მთარგმნელის უმთავრესი მიზანი _ გადმოსცეს სურათის სისავსე. სწორედ ამაში ხედავს იგი ლექსის უმთავრეს ესთეტიკურ ღირსებას. რაც შეეხება ლექსის ინტონაციურ ევფონიას, აქ ი.გურგულია საკუთარი ინდი-ვიდუალობის ფარგლებიდან ვერ გამოდის, თავისი ინდივიდუალური თავისე-ბურებების ერთგული რჩება.

“My feet are sore, and my limbs they are weary;
Long is the way, and   he mountains are wild;
Soon will the twilight close moonless and dreary
Over the path of the poor orphan child.
Why did they send me so far and so lonely,
Up where the moors spread and grey rocks are piled?
Men are hard-hearted, and kind angles only
Watch o’er steps of a poor orphan child.
Yet distant and soft night breeze is blowing,
Clouds there are none, and clear stars beam mild,

God, in his mercy, protection is showing,
Comfort and hope to the poor orphan child.
Ev'n should I fall o'er the broken bridge passing,
Or stray in the marshes, by false lights beguiled,
Still will my father, with promise and blessing,
Take to His bosom the poor orphan child.
There is a thought that for strength should avail me,
Though both of shelter and kindred despoiled;
Heaven is a home, and a rest will not fail me;
God is a friend to the poor orphan child.' (Bronte, 1847, 29)
“ფეხებს ძალა დაელია და სხეული მეთენთება.
გზა ვრცელია, უსასრულო. მთა სავალად ძნელი ხდება.
მალე წავა ეს დაისი, მალე ბინდი ჩამოწვება
და უმთვარო ღამისაგან ობლის გზაზე დაბნელდება.
რად გამგზავენს ასე შორად, მარტომ გზა ვით გავიკვლიო
მაღლა, სადაც ტორფნარია და უშქარი კლდეთა წყება?
რა ყოფილა კაცის გული, რა ცივი და უმოწყალო
... მაგრამ ობოლს გზად კეთილი ანგელოსი მიუძღვება.
აგერ ბინდის ნიავია, შორეული, ნაზი, თბილი,
ცას კრიალას მოციმციმე ვარსკვლავების სხივი ფარავს.
და მეუფე, ყოვლისშემძლე, გულმოწყალე და კეთილი,
საწყალ ობოლს იმედით და მოვანებით დაიფარავს.
თუნდაც უფსკრულს გადიოდეს, ხიდი ჩატყდეს მის თვალწინა,
ანდა რამე მოჩვენებამ ნათელ გზიდან ჩამომაგდოს,
დაილოცოს ნება მისი, უმალ გულში მისცემს ბინას,
საწყალ ობოლს მისი ღმერთი არ დააგდებს გზაზე მარტოს.

(ბრონტე, 1964, 28)

ამ სატრფიალო ლექსში მოცემულია გრძნობის, სიხარულისა თუ ტანჯვის,იმ-ედისა თუ გულგატეხილობის უფაქიზესი სხივები და ნიუანსები. ინგლისურ პოეზ-იაში დანერგილი მგრძნობელობა აქაც მთელი სისრულით იჩენს თავს.

ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი, ემოციათა სამყაროსადმი ინტერესი არ ყოფილა რომანტიკოსთა აღმოჩენა. ამ მხრივ ისინი იყვნენ რენესანსისა და სენტიმენტალიზმის ხელოვნების თავისებური მემკვიდრეები, მაგრამ ეს არ იყო მიღწეულის გამეორება, ან ვარიაცია. რომანტიკოსებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ადამიანის ემოციათა, რთულ ფსიქოლოგიურ მოვლენათა, უფაქიზეს ნიუანსთა კვლევას, ვნებათა სამყაროს სრულ სპექტრს."აქედან გამომდინარეობს რომანტიზმისათვის ეგზომ დამახასიათებელი სულიერი რაფინირებულობის ატმოსფერო" (Гуревич , 1973 , 510).

ინგლისურთან ტექსტუალური სიახლოვე და ცალკეული შინაარსით დატვირთული სიტყვა-თქმების ინოლასეული ინტერპრეტაცია ნათელყოფს თარგმნის პროცესში უშუალო კონტაქტს დედანთან. ამიტომაც ბრონტესეული სტრიქონები განცდილი აქვს დედნისეული ჟღერადობით.

აშკარაა ისიც, რომ თარგმანის გარეგანი ფორმა სთმობს დედნის წინაშე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თარგმანი სასურველად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მთარგმნელი ახერხებს სწორედ იმის გადმოტანას, რასაც ლექსის ავტორი ყველაზე უფრო აფასებს ლექსში მისი განცდის, პოეტური სულისა და აზრის ზედმიწევნით გამეორებას, გადმოტანას.

ამ მიზნის მისაღწევად ინოლა გურგულია არ ერიდება სუბსტანციას და გაურბის ლექსიკურ პედანტიზმს. სუბსტიტუციის დროს ი. გურგულია, როგორც ჩანს, უპირატესად ხელმძღვანელობს თავისი ენობრივი პოზიციის შესაბამისი პრინციპით ფრაზა გასაგები და მისაწვდომი იყოს მკითხველისათვის, ლექსიკის ყველა შრე ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ ენას საერთო სახალხო და არა მწიგნობრული ჟღერადობა ჰქონდეს.

"Where the Northern Ocean, in vast whirls,
Boils round the naked, melancholy isles
Of farthest Thule; and the Atlantic surge
Pours in among the stormy Hebrides." (Bronte, 1847, 8)

"მხარე, სადაც ჩრდილოეთის
ოკეანე ღელავს ვრცელი,
შფოთვით უვლის კუნძულს თულის,

უშორეს და უკაცრიელს.

და იქ, სადაც ატლანტიკის

ოკეანე თვალუწვდენი,

ქარიშხლიან ჰებრიდებზე

მოაგორებს ტალღას ძლიერს!“ (ბრონტე, 1964, 12)

ამ სატრფიალო ლირიკის ნიმუშს დაჰკრავს სევდიანი განწყობილება. ანტითეზა, სინამდვილისა და იდეალის შეუსაბამობა, რომანტიზმის ერთ-ერთი დამახასიათე-ბელი თვისებაა. ლექსში მახვილი აქვს იდეალს და არა სინამდვილეს.

პოეტი გაფაციცებით აკვირდება თავისი გრძნობების უცნაურ მოძრაობას. იგი ამჩნევს, რომ ის, რაც სიხარულს ჰგვრის, ამავე დროს, სევდისა და წუხილის მომგვ-რელია.

სიმპტომატური და ანგარიშგასაწევია ვ.კაიზერის ცნობილი შენიშვნა, რომ სტილი ”არის მთლიანი პერცეფცია, რომლის მიღმა იმალება პოეტური სამყარო” (ვერლი , 1957, 80).

ეს დებულება გვაახლოებს შემოქმედ პიროვნებასთან, რომლის ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისებურება და ინდივიდუალური შემოქმედებითი განწყობა რეალიზებულია მხატვრულ ნაწარმოებში, როგორც განუყოფელი თვისება, ინდივიდუალური ხასიათი. ეს მისი მთლიანობის, თვითკმარობისა და განუმეორებლობის განმსაზღვრელია.

თარმანშიც დიდებულადაა გადმოცემული ემოციათა მთელი სპექტრი, რომელშიც ერთდროულად წარმოდგენილია სიხარული და ტანჯვა, სწრაფვა ჰარმონიისადმი, ჰარმონიის დაკარგვის შიში.

ციტირებული ტექსტების ურთიერთშეჯერება, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ინოლა გურგულიას თარგმანში უბადლოდ არის გადმოცე-მული ლექსების დედააზრი და შენარჩუნებულია ინგლისელი ავტორის საერთო პოეტური განწყობილებაც.

ლექსის მთელი რიგი ადგილები და ასევე ფინალური სტრიქონები მთარგმნელის მხატვრული მიგნების უნარზე მეტყველებს და ორიგინალში ღრმა

წვდომის გარეშე ლექსის ძირითადი არსის ასეთი ლაკონური გააზრება, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა.

რომანში ჩართული ლექსების თარგმანისას ინოლა გურგულია უთუოდ ემყარებოდა საქართველოში უცხოური ლიტერატურის საზოგადოდ გავრცელებულ ტრადიციასა და მთარგმნელობით ხერხებს. თარგმანში იგი ხშირად მიმართავს საკუთარ ჩანართებს, მაგრამ ეს არ არის გამოწვეული მეტრის დაცვის იძულებითი აუცილებლობით. ჩანართებს მთარგმნელი მიმართავს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ აზრს მეტი ემოციური დატვირთვა მისცეს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ინოლასეული ინტერპრეტაციები ტექსტში ჩასმულია ყოველთვის ზომიერად და თავის ადგილას . ამიტომ ბუნებრივად ავსებენ ორიგინალის შინაარსს.

ინგლისურ პოეზიაში იამბური პენტამეტრი მეტად გავრცელებული საზომია. მისი ერთ-ერთი ვარიანტი თეთრი ლექსი ინგლისურ კლასიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. იგი მიჩნეულია მეტად მოქნილ საზომად და წარმატებით იყენებენ განსხვავებული ექსპრესიის ნაწარმოებებში.

პოეტური ენით გადმოცემული ფაქტი მეტ შიდა ინფორმაციას მოიცავს, რადგან ლექსში მოცემული ამბავი უკვე მხატვრული სიტყვის მასალა გახდა. მწერალს მისი მრავალმხრივ, რთულად გადმოცემა მოუხდა. მან აღწერა თვალით უჩინარი რამ, მაგრამ აქ მთხრობელი ავტორი კი არაა, მან თვითონ პერსონაჟები აალაპარაკა ლირიკული ენით. ამ პერსონაჟთა განცდები ისეთივე რთულია, როგორც მათი შემოქმედისა, რადგან რაც უფრო დიდია ტალანტი, უფრო ძლიერია სიღრმე, სირთულე აღქმისა, “რაიც თავის მხრივ გადმოცემის სირთულეს წარმოშობს და ამიტომაც რთულდება სიტყვა” (კილაძე,1974,14).

შარლოტა ბრონტეს ენის სიმდიდრე იმდენად სიტყვათა რაოდენობაში კი არ არის, არამედ სიტყვათა მრავალფეროვანი მნიშვნელობით ხმარებაში. ამას მიაქცია ყურადღება ქართველმა მთარგმნელმა და ეს ნიუანსიც შეუნარჩუნა ქართულ თარგმანს. მხატვრული ხერხების წყალობით მწერალმა თითქოს მკითხველის შესაძლებლობებს გაუხსნა გზა, რომ თავისი შემოქმედებითი პროცესის მოზიარედ გაეხადა.

უნდა ითქვას, რომ ორი სხვადასხვა ერის ლიტერატურის წარმომადგენელთა ლექსების პოეტური ლექსიკა, სალექსო ფორმა, ეროვნული პოეზიის ტრადიციული და ნოვატორული მხატვრული სახეები განსაზღვრავენ ინგლისური და ქართული ლექსის როგორც ინდივიდუალურ, ასევე ეროვნულ თავისებურებებს.

კონცეფცია, ხომ მხოლოდ ის მოდელია, რომლის ჭეშმარიტი ესტეტიკური და ეთიკური ფასეულობა თუ ღირსშესანიშნაობა მხატვრული ხორცშესხმით განისაზღვრება, რაც მხატვრულ, სტილისტურ და ენობრივ საკითხთა წრეს განეკუთვნება.

რომანში ჩართული ლექსების ქართული თარგმანი წარმოადგენს ინოლა გურგულიას შარლოტა ბრონტეს შემოქმედებასთან შეხვედრის უაღრესად საინტერესო და, ამავე დროს, სასიამოვნო ლიტერატურულ ფაქტს.

ზ) სტილი

ცნობილი შენიშვნა მაკოლესიადმი – "რაც უფრო ვუკვირდები, მით უფრო ნაკლებად ვწვდები, საიდან გამოჩხრიკეთ ეს სტილი", შესაძლოა, შარლოტა ბრონტესაც მიესადაგოს. მის რომანში თუ რამ არის გამორჩეულად ღირშესანიშნავი, ესაა სტილის შესქმნელად შეუპოვარი თავგამოდება. იგი მაშინ ქმნის სტილს, როცა ახსნდება, რომ სტილი უნდა ჰქონდეს. მას შეუძლია, როცა მოინდომებს, ძალიან გულწრფელად წეროს და ხშირადაც იქცევა ასე. ბრონტეს ბრწყინვალე სტილი აქვს. მისი სტილი ისაა, რომლისკენ მიბრუნებაც სურს და გამუდმებითაც უბრუნდება თავისი ამოუწურავი მრავალფეროვნებით.

ინდივიდუალი სტილის პრობლემა მხატვრულ თარგმანში თავისებურად და რთულად დგას. სტილი მხატვრული ქმნილების მთლიანობისა და განუმეორებლობის გამოხატულებაა. "ნაწარმოების სტილი იგივეა, რაც მისი ინდივიდუალური, თავისთავადი და თან სახის მიმდევრული ხასიათი" (ჭავჭავაძე, 1965, 105).

მხატვრულ სტილს განიხილავენ, როგორც “კონკრეტული ნაწარმოების თავისთავთან შეთანხმებულ ერთიანობას რიტმთან, აზრთან,სახეებთან,ბგერით წყობასთან,სინტაქსთან, კომპოზიციასთან და ა.შ.” (ვერლი,1957,81).

თითქმის ყოველი ახალი თავის წაკითხვისას ურთულეს სიტუაციაში ვართ, როგორ წავიკითხოთ ეს უცნაურად ბლანტი, სრილა და მძიმე ბუნების რომანი. სანიმუშოდ შევეჭიდოთ რომანიდან ამოღებულ რამდენიმე წინადადებას:

“I had learnt her whole character, which was without mystery or disguise: she was coquettish but not heartless; exacting , but not worthlessly selfish. She had been indulged from her birth, but was not absolutely spoilt. She was hasty, but good –humoured; vain (she could not help it, when every glance in the glass showed her such a flush of loveliness), but not effected; liberal-handed; innocent of the pride of wealth; ingenuous; sufficiently intelligent; gay, lively and unthinking” (Bronte, 1847, 560).

“კარგად გავიგე მისი ბუნება, არც არაფერი იყო მასში იდუმალი და დაფარული: მის ოლივერი კეკლუცი იყო, მაგრამ არა უგულო, მომთხოვნი, მაგრამ არა შეუბრალებელი ეგოისტი, დაბადებიდანვე ნებიერა, მაგრამ არა თავგასული, ფიცხი, მაგრამ კეთილი ბუნების, თვითდარწმუნებული (ან როგორ არ იქნებოდა, როცა სარკეში ჩახედვისას ასეთ სილამაზეს ხედავდა), მაგრამ არა პრანჭია, გულუხვიც იყო, გულახდილი, საკმაოდ ჭკვიანიც, მხიარული, ხალისიანი და წინდაუხედავი” (ბრონტე, 1964,450).

სხვაგან:

“To clean down Moor House from chamber to cellar ;my next to rub it up with bees wax,oil, and an indefinite number of cloths, till it glitters again; my third to arrange every chair, table , bed, carpet with mathematical precision”(Bronte, 1847, 595).

“საფუძვლიანად დავალაგო მურჰაუსი საწოლი ოთახიდან სარდაფამდე, ვაპრიალო ის ცვილით, ზეთით და ურიცხვი ტილოებით, სანამ ისევ დაიწყებდეს კრიალს, მათემატიკური სიზუსტით დავდგა ყოველი სკამი, მაგიდა, საწოლი, დავფინო ყოველი ხალიჩა”(ბრონტე, 1964, 473).

შარლოტა ბრონტეს სტილი, თუმცა ხშირად ბრწყინვალე და ყოველთვის მიმზიდველი, ხშირად მოშვებულია. ცალკეული სიტყვები აკვიატებულიცა აქვს, ან მათ მიმართ განურჩეველია და იმეორებს ისეთ საყვარელ სიტყვებს, როგორიცაა –

“მიუწვდომელი”, “ღრმა”, “სასაცილო”. მიუხედავად ამისა, უფრო მეტის თქმა შეიძლება უკიდურესად დახვეწილი წინადადებების აგებისაკენ მიდრეკილებაზე.

ეს წინადადებები მართლაც დახვეწილია, ჩახლართული. წინადადებას წინადადება მოსდევს, ერთმანეთს მიჰყვებიან ბუნდოვანი გადაბმით. ჩართულს მიყოლებული ჩართული, ხშირად ჩართული თვითონვე მოიცავს, ერთ ან ორ ჩართულს. ყოველი მომდევნო უფრო მცირე და დახვეწილია, ვიდრე წინა. ეს იმას ჰგავს, თითქოს გადაეწყვიტოს გვითხრას, ყველა წყარო, საწყისი, თვისება და ყოველი შესაძლო ცვალებადობა ერთი კონცენტრირებული ცდით. იგი ჩაღრმავების მეთოდით მუშაობს. მკითხველს აჯადოებს და ნაკადის სიღრმეში ტოვებს.

სტილი, როგორც მთლიანი, გასაოცრად შთამბეჭდავია. მკითხველი რჩება ჩაღრმავებული. სურს, რომ ასე დარჩეს და, საგულისხმოა, განვიხილოთ ამის მიზეზები.

თუ მოხმობილი მაგალითების წინადადებებს განვიხილავთ არა თავისთავად როგორც მოუქნელებს და გრამატიკულად მძიმეებს, არამედ მთელი წიგნთან მიმართებით, დავინახავთ მათი ამგვარობის დანიშნულებასა და აუცილებლობას.

ისინი ეხმაურებიან ერთმანეთს უცნაური და თითქმის გარდაუვალი გზით და არც ესთეტიკური გამართლება აკლიათ. ესაა აზრის განგებ დაყოვნების, ნაწილობრივი და თანდათანობითი გახსნის დამუშავებული მეთოდი, რაც ასე ხშირად გვიხასიათებს თვით რომანის ფორმას. ესაა წინაღობების დაჟინებული შემოთავაზება, წინაღობების და დაბრკოლებების, არევ-დარევის, ორაზროვანი ჩანართების, შეყოვნებების მოწოდება ერთი გამოხატული მიზნით.

და ეს მიზანი მხოლოდ ფორმის შენარჩუნებაა. დაუსრულებელი, ჯერ ისევ მოძრავი იდეისა, სანამ უკანასკნელი მარცვალი ჩამოვარდება. ის, რისკენაც მწერალი ესწრაფვის, გაგრძელებაა. იგი მიელტვის ისეთ მედიუმს, რომელსაც შეყოვნებანი და პაუზები არ აბრკოლებს. მედიუმს. რომელიც მუდმივ მეკავშირედ ეყოლება და რის მეშვეობითაც წიგნის პასაჟი წერტილიდან წერიტილამდე ისეთივე ჩაუწვდომელი იქნება, როგორც თვით ცხოვრებაა, რომლის ჩვენებაც მიზნად დაუსახავს მწერალს.

ეს ყველაფერი შიგნით და ქვევითაა დაფარული და მისი დანახვა მხოლოდ ამ ფორმით შეიძლება. ამიტომ მკითხველი ბოლომდე უნდა მიჰყვეს ტექსტს. ალბათ,

ამით არის გამოწვეული წინადადების დახვეწილობაც და გამეორებებიც. გამეორება და ხაზგასმული მონაცვლეობა, გარკვეული აზრით, მწერალს აძლევს გამორჩეული ენის შექმნის საშუალებას.

ეს სტილი – აბსტრაქტული, გონებისმიერი, დროსა და სივრცეში ჩაკეტილი, ნაწვალებია, მაგრამ მასში მაინც ყოველთვის იგრძნობა სიცოცხლე. მეორე მხრივ, ეს სტილი სისადავითა და ცხოვრებისეული სიმდიდრითაა ყოვლისმომცველი.

ნათელია, რომ ამგვარი სტილი, განსაკუთრებით როცა მეთოდისადმი ასეთ მიდგომასთან გვაქვს საქმე, შარლოტა ბრონტე, როგორც წესი, თითქოს არ ცდილობს, ან სულაც არ ცდილობს ძალზე რთული "სიტუაცია" ადვილად მისაწვდომი თუ გასარჩევი გახადოს. მკითხველმა, უბრალოდ, უნდა ითანამშრომლოს ავტორთან.

რომანის ზოგი მონაკვეთი არაცხოვრებისეულია, რითაც გაჟღენთილია ამ რომანის უდიდესი ნაწილი. შარლოტა ბრონტე იმდენად აზრიანია, შეეძლო შეემჩნია, რომ ორგანზომილებიანი სიტუაცია რომანს ქოროს შთაბეჭდილებას შეუქმნიდა. ჯეინის და როჩესტერის ხასიათები იმდენად მძაფრადაა გამოხატული, რომ თხრობის უზარმაზარ სტრუქტურას იყოლიებს. დროის, სიმდიდრის, სირთულის ეფექტი უპირატესად მიიღწევა თვალსაზრისის ძალზე დახვეწილი, ფუგისებური ცვალებადობით.

თუ საჭიროა გამოვყოთ ბრონტეს სტილის გენიალობა, მისი გამუდმებული ძიება ახალ-ახალი შესაძლებლობების, მისი თემების სიმძაფრისადმი და საშინელე-ბებისადმი მიდრეკილებისა, საპირისპიროდ უნდა გვახსოვდეს მისი გამომგო-ნებლობაც, სულ ერთია ეპიზოდებში გამოვლინდება ის, თუ გმირის ხასიათში. ეს უნარი, უძვირფასესია – ესაა უზომო სიმდიდრე, უსაზღვრო სიუხვე და სიცოცხლის წყურვილი. ესაა დაუვიწყარი პორტრეტების გალერეა. ყოველი მათგანი დაჯილდოებულია მძაფრი სიცოცხლისუნარიანობით.

ავტორივით სტილიც მოიცავს გარკვეულად ყველაფერს, რამდენადაც მისი მეთოდი ინსტიქტური იყო, ამდენად – წარმატებულიც.

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურათა შემოქმედებითი კონტაქტების გასავითარებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათარგმნი, ანუ უცხოენოვანი ლიტერატურის მხატვრულ ღირებულებას და მის შესახებ არსებულ კრიტიკულ

ნაშრომებს. შემოქმედებითი კონტაქტი ორმხრივი პროცსია, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის შემოქმედებითი ენერგიები და გავლენას ახდენს ახალი ლიტერატურული ფასეულობების შექმნაზე.

ყოველი თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოები შემოქმედებით ურთიერთობაშია თარგმანის ენაზე არსებულ ლიტერატურასთან, რომელსაც სთავაზობს ახალ მიმართულებებს და მეთოდოლოგიურად, იდეოლოგიურად ამდიდრებს მას.

ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს ლიტმცოდნეობის იმ უბანს, რომელიც შეისწავლის უცხოენოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს და გვიჩვენებს უცხო მწერლის ნამოღვაწარის, იდეების ინტერპრეტაციასა და ერთგვარად შიფრავს ავტორის ჩანაფიქრს.

ეს დამოკიდებულება ორიგინალში თითოეული სიტყვის ინტონაციით არ გამოიხატება, არამედ ასეთ ელფერს მთარგმენლი გრძნობს ტექსტის საერთო შინაარსიდან და პერსონაჟის სოციალური წარმომავლობიდან.

ზემოთ მოცემული წინადადებები რომ პირდაპირ ზუსტი მნიშვნელობით გადმოსულიყო ქართულ თარგმანში, მაშინ დაიკარგებოდა აზრის დინამიზმი და დინამიკური თარგმანის თვისებაც არ ექნებოდა. ეს არის ის რეფერენციალური შესიტყვება, როცა აზრობრივი ინვარიანტი შენარჩუნებულია ორგინალის ლექსიკური კომპონენტებისაგან განსხვავებული სემების კომბინაციით.

რომანის ქართულ თარგმანში სწორად არის გადმოტანილი ირონიული ინტონაცია. ირონიის ხარისხი სხვადასხვაგვარია. იგი ან გულისტკივილს გამოხატავს, ან დაცინვას, ან კრიტიკას. მთარგმნელი ზუსტად გრძნობს რომელი როგორ უნდა შესთავაზოს ქართველ მკითხველს.

“What do you want?’ she inquired, in a voice of surprise, as she surveyed me by the light of the candle she held.

‘May I speak to your mistress?’ I said

‘You had better tell me what you have to say to them. Where do you come from?’

‘I am a stranger.’‘What is your here at this hour?’

‘I want a night’s shelter in an out house or anywhere, and a morsel of bread to eat.’

…I'll give you a peace of bread', she said, after a pause; 'but we can't take a vagrant to lodge. It isn't likely.

'Do let me speak to your mistresses.'

'No, not I What can they do for you? You shouldn't be roving about now; it looks very ill.'

'But were shall I go If you drive me away? What shall I do?

'Oh, I'll warrant you to know where to go and what to do. Mind you don't do wrong, that's all. Here is a penny; now go".(Bronte,1847,509)

"–რა გინდა? – მკითხა მან განცვიფრებით და დამათვალიერა სანთლის სინათლეზე, რომელიც ხელში ეჭირა.

–შეიძლება თქვენი სახლის პატრონ ახალგაზრდა ქალებს ვუთხრა რაიმე? – შევეკითხე მე.

– უკეთესია, მე მითხარი, რაც მათ უნდა უთხრა, საიდან მოხვედი?

– მე უცხო ვარ, აქ.

– მერე? აქ ასეთ დროს რა საქმე გაქვს?

– ღამის გასათევი მინდა, თუ ეზოში რაიმე შენობა გაქვთ, ან სადმე სხვაგან და ერთი ნაჭერი პური...

– პურის ნატეხს მოგცემთ, – მითხრა მან ცოტა ხნის შემდეგ, – მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მაწანწალას ღამის გასათევი ადგილი მივცეთ. ეს ვის გაუგონია?

– ნება მომეცით, შენს პატრონებს ველაპარაკო.

–არა, ამის ნებას არ მოგცემ. მათ რა უნდა გაგიკეთონ? ასეთ დროს რას დაეხეტები, ნუთუ არ იცი, ეს რამდენად სამარცხვინოა?

– სად უნდა წავიდე, თქვენც რომ აქედან გამაგდოთ? რა უნდა ვქნა?

– ოჰ, მე რა ვიცი, სად უნდა წახვიდე და რა უნდა ქნა. რაც მთავარია, ნეტავი, ცუდს არაფერს ჩაიდენდე. აი, აიღე ეს ფული და წადი!" (ბრონტე,1964,412)

თარგმანის ლექსიკის კონტრასტული სტილი, სადაც არქაული ფორმის "ვითარცა" იხმარება ვულგალური "დაეხეტების" გვერდით, ემსახურება დამცინავი, ირონიული ელფერის შემქნას. იგი მთლიანად შეესაბამება მოცემულ ინგლისურ წინადადებას, თუმცა ქართულ თარგმანში მოტანილი შედარება არ არის ორიგინალის სიტყვა-სიტყვითი ეკვივალენტი .

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის ლ. ტენკოვის განმარტება: ‘‘თარგმანის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განზე გადავდოთ ტექსტის ყველა სიტყვა, ნათლად დავინახოთ სურათი. მისი ხილვის შემდეგ მთარგმენლმა უნდა წეროს ის, რასაც ხედავს უმარტივესი ინგლისურით. იდეა, ანდა სურათია ის, რაც უნდა იქნეს გადმოცემული და არა მოცემული სიტყვების ეკვივალენტები’’.

მთარგმნელის მოღვაწეობა კვლავ შემოქმედებითი პროცესია. მისი გემოვნების, აღქმის მიხედვით დგინდება ერთი ენიდან მეორეზე გადატანის ხერხები. მან უნდა მიაგნოს ორი ენის გამოთქმათა შორის ერთ-ერთის შესაბამისობას მათი ფუნქციური იგივეობის საფუძველზე.

საგანთა აღქმისა და გამოხატვის წესების სხვადასხვაობის გამო ერთი ენიდან მეორეზე აბსოლუტურად სრულფასოვანი თარგმნა თითქმის შეუძლებელია. თარგმნისას ორგინალის ავტორის ცნობიერებამ უნდა გაიაროს მთარგმნლის ცნობიერების პრიზმაში და მათი კონტინუუმის შემთხვევაში ვიღებთ მთარგმნელის დასრულებულ ნაღვაწს. ასეთ დროს მთარგმნელი იყენებს მშობლიური ენის რესურსებს და ათანაბრებს მას სათარგმნი მასალის ზოგიერთ თავისებურებასთან. ერთ-ერთი ასეთი რესურსი, რომელიც მთარგმნელმა გამოიყენა რომანის ქართულად თარგმანისას, არის შინაგანი მონოლოგის გადმოცემა სხვათა სიტყვის ო-ს გამოყენებით.

როგორც ჩანს, სხვისი ნათქვამის აღმნიშვნელი ზმნის დაბოლოება – ო, არამარტო თავის გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, არამედ იგი სტილს ქმნის, უფრო არქაულს, ამაღლებულს და ფილოსოფიური მსჯელობისაკენ განაწყობს მკითხველს.

ქართულ თარგმანში მონოლოგის ეპიკური თხრობა გრმატიკული ფორმების სტილიზაციაში გამოიკვეთა. როგორც წესი, თარგმანმა უცხო სამყაროს უნდა გვაზიაროს . ამ შემთხვევაში მისი თარგმნა-ინტერპრეტირების ფუნქციას მთარგმნელი ითვისებს. ეს არ გულისხმობს უცხო კოლორიტის გაქრობას, ან გაქართულებას. მთარგმნელს დედნისეული სტილის ფორმისა და შინაარსის ძირითადი შტრიხების შენარჩუნება ევალება.

ენათა შორის ურთიერთობა, რომელიც თარგმანის დროს მიმდინარეობს, ყოველთვის ორმხრივად განიხილება, მაგრამ არა ყოველთვის სიმეტრიულად. თარგმანს, როგორც პროცესს, ყოველთვის აქვს ერთმხრივი ბუნება. ის მიემართება წყარო ენიდან თარგმანის ენისაკენ, რადგან ერთი ენის ტექსტური მასალა იცვლება მეორე ენის ეკვივალენტური ტექსტური მასალით.

ეკვივალენტურობის ხარისხს ზევრად განაპირობებს სტილისტური ელფერის სწორი შერჩევა. სტილის ადეკვატურობის, ან ემოციურ-ესთეტური ჟღერადობის მსგავსების შექმნისას მთარგმნელი ეყრდნობა პირად ალღოს და გემოვნებას.

სტილისტურ სხვაობას ქმნის მსგავსი სემანტიკის, მაგრამ განსხვავებული ჟღერადობის ენობრივი მასალა, ენის მარაგში არსებული სტილისტური სინონიმები. ასეთ სიტყვებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს სხვადასხვა ემოციური დატვირთვა აქვთ სხვადასხვა კონტექსტში.

რომანის ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით სტილისტურად განსხვავებულ გამონათქვამებს, როგორიცაა – “რატომ ტირი” და “რას ღრიალებ”. ამ სიტყვებს კონტექსტის გარეშეც ახლავს განსხვავებული ემოციური სტილისტური რესურსების მსგავსება–განსხვავებულობა, რაც მთარგმნელს უბიძგებს პრაქტიკულ-ინტუიტური ცოდნის გამოყენებისაკენ.

“Come to my side, Jane, and let us explain and understand one another‘I will never again come to your side. I am torn away now, and cannot return.’

‘But, Jane, I summon you as my wife: it is you only I intend to marry.’

I was silent: I thought he mocked me.

‘Come, Jane – come hither.’

‘your bride stands between us.’

He rose, and with a stride reached me.

‘My bride is here’ he said, again drawing me to him, because my equal is here, and my likness.

Jane, will you marry me?”(Bronte,1847,387)

“მომიახლოვდი. ჩემს გვერდით დაჯექი, ჯეინ, და მოდი ერთმანეთს ავუსხსნათ და გავაგებინოთ ერთმანეთის სურვილი.

– მე აღარსოდეს აღარ მოვალ თქვენთან ახლოს. საკმაოდ ვეწამე და დაბრუნება აღარ შემიძლია.

– მაგრამ, ჯეინ, მე გეძახით ახლა, როგორც ჩემს მეუღლეს. ეს მხოლოდ თქვენ ხართ, ვიზედაც ვაპირებდი დაქორწინებას. ვდუმდი და ვფიქრობდი, რომ ის მე ამით მაღიზიანებდა.

– მოდი, ჯეინ! – მოდი აქ!

– თქვენი საცოლე დგას ჩვენს შორის.

ის წამოდგა. ერთი ნაბიჯი გადმოდგა და ჩემთან გაჩნდა.–აი, ჩემი საცოლე, –მითხრა მან და კვლავ გულზე მიმიკრა. –ის არის ჩემი თანასწორიც და ჩემი რჩეულიც. ჯეინ, გამომყვებით ცოლად?'' (ბრონტე, 1964, 309).

ამ წინადადებათა სტილისტური ელფერი ძალზე განსხვავებულია, რადგან ქართული თარგმანი ამაღლებული ელფერის გაცილებით მეტ შინაარსს გვთავაზობს, ვიდრე ეს ორიგინალის უბრალო წინადადებაშია.

ქართული ვარიანტი შერჩეულია კონტექსტისა და მოტივაციის საფუძველზე. იგი არის ორიგინალის ფრაზის სემანტიკური სინონიმი, რომელიც არ არღვევს შინაარსს და ქმნის შესაბამის სტილს.

როგორც ჩანს, ქართული თარგმანი ინარჩუნებს ინტონაციური ინვარიანტს, მაგრამ დაკარგულია ფორმალური ეკვივალენტურობა. უარყოფის ''can't'' ფორმა და ორმაგი უარყოფა – ''can't do nothing'' სრულიად ვერ გამოხატა ქართულმა წინადადებამ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორი შეპირისპირებული ენის – ქართულის და ინგლისურის სინტაქსურ-მორფოლოგიურ სხვაობას, რის გამოც ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის დროს სტილისტური დანაკარგი გარდაუვალია.

პერსონაჟის სოციალურ-საზოგადოებრივ მახასიათებლებს შორის ანალოგიური ინდიკატორის ფუნქცია ეკისრება გრაფონებს, რომელიც ხაზს უსვამს ცოცხალი მეტყველების ზუსტად გადმოცემის მცდელობას ერთი მხრივ და, ენის ფონემურ ელემენტთა არასრულფასოვან გრაფიკულ რეპრეზენტაციას ინგლისურში.

მეორე მხრივ, ინგლისური ენის თავისებურება არის ის, რომ სხვადასხვა გრაფემას ზოგჯერ ერთი და იგივე ბგერითი აღწერილობა აქვს და პირიქით, ერთი და იმავე გრაფემას – სხვადასხვა ბგერითი აღწერილობა. ეს თავისებურებები წარმოდგენილია შარლოტა ბრონტეს რომანშიც.

მწერალს სრული უფლება აქვს თავისი შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად, როგორიცაა პერსონაჟის მეტყველების თავისებურება, სოციალურ ფენათა აღწერა და ისტორიული კოლორიტის გადმოცემა, არალიტერატურული წყაროებიდან აიღოს ნებისმიერი სიტყვა ან გამოთქმა, მორფოლოგიური ფორმა, ან სინტაქსური კონსტრუქცია. მიუხედავად ამისა, მთარგმნელი ყოველთვის ექვემდებარება ავტორის ნებას და ვალდებულია გადასცეს თარგმანის მკითხველს ორიგინალის არანორმატიული ფორმები ისე, როგორც ის დანახული აქვს ორიგინალის ავტორს.

"ჯეინ ეარის" ორიგინალისა და ქართული თარგმანის შეპირისპირების საფუძველზე ცხადი გახდა , რომ დედნის ავტორს აქცენტი თითოეული პერსონაჟის მეტყველების სტილისტიკაზე გადააქვს, რადგან გრძნობს, რომ სტილისტური ელფერი ზუსტად გადმოსცემს ნაწარმოების გმირის ხასიათს, სოციალურ წარმომავლობას, ინტელექტურლურ შესაძლებლობებს და ფსიქიკურ მდგომარეობას. შარლოტა ბრონტეს მწერლური მანერის ერთ-ერთი თავისებურებაა დაწვრილებითი აღწერა, ფაქტის ყოველმხრივი გაშუქება, სხვადასხვა ზედსართავებისა და ზმნების ერთობლივად ხმარება. მწერალი მკითხველს ჩაითრევს ხოლმე საგნის ან მოვლენის შეფასებაში, რადგან იგი ყოველი მხრიდან აკვირდება და აღწერს მას.

შესაბამისად მთარგმნელს უფლება არა აქვს მნიშვნელოვნად შეცვალოს, შეკვეცოს ან გააერთიანოს სხვადასხვა ფონეტიკური ერთეული და ერთ მთლიანობაში წარმოადგინოს იგი. თარგმანი სიფხიზლეს მოითხოვს მთარგმნელისაგან. დედნის სტილის სიზუსტისათვის მთარგმნელი არაიშვიათად ოკაზიურ ზედსართავებსაც ჩაურთავს ხოლმე, რასაც განაპირობებს დედნისეული ელემენტის ზუსტი ადეკვატის არსებობა სათარგმნ ენაში. ასეთ შემთხვევაში დედნის სემანტიკური ეკვივალენტურობა შენარჩუნებულია რეფერენციალურ დონეზე, რომლის დროსაც აზრობრივი ინვარიანტი არ უნდა დაიკარგოს.

"Jane Eyre, who had been an ardent, expectant woman – almost a bride, was a cold, solitary girl again: her life was pale; her prospects were desolate. A Christmas frost had come at midsummer; a white December storm had whirled over June; ice glazed the ripe apples, drifts crushed the blowing roses; on hayfield and cornfield lay a frozen shroud: lanes which last night blushed full of flowers, today were pathless with untrodden snow; and the woods, which twelve

hours since waved leafy and flagrant as groves between the tropics, now spread, waste wild , and white as pine-forests in wintry Norway.” (Bronte, 1847, 450)

“ჯეინ ეარი, იმედების მქონე ახლაგაზრდა ქალი, რომელიც ასე გატაცებით ელოდა მომავალს, თითქმის მეუღლე, ახლა გულგაციებულ და მარტოხელ არსებად ქცეულიყო. მისი ცხოვრება გაუფერულდა, იმედები კი დაიმსხვრა. საშობაო ყინვა დაუდგა შუა ზაფხულში. დეკემბრის თეთრმა ქარიშხლმა წამოუქროლა ივნისს. ყინვამ მწიფე ვაშლები დააზრო. ნამქერმა იმსხვერპლა გაშლილი ვარდები. მინდვრებსა და ყანებს თეთრი სუდარა გადაეფარა.

ორღობეები და გზის პირები, რომლებიც ჯერ კიდევ გასულ ღამეს ყვავილებით იყო დაფარული, დღეს თოვლს დაუფარავს და ბილიკიც აღარსად მოჩანს ამ გაუკვალავ ადგილებში. ტყეები კი, რომლებიც ამ თორმეტი საათის წინათ აშრიალებდნენ ფოთლებს და ისეთ სურნელებას აფრქვევდნენ, როგორც ატეხილი ჭალები ტროპიკულ ქვეყნებში, ახლა დიდ მანძილზე გადაჭიმული, გაძარცული, გაველურებული და დათოვლილი ისე გამოიყურება, როგორც ფიჭვის ტყეები ზამთრობით ნორვეგიაში” (ბრონტე, 1964, 361).

ორიგინალის ზოგიერთი ინგლისური ზედსართავი აღწერითი თარგმანის პრინციპით არის მოცემული ქართულად. ასეთი პრინციპი გამოყენებულია მაშინ, როცა ინგლისური კონტექსტის შესაბამისად არის მოძებნილი ქართული შესატყვისი და ინგლისური გამოთქმის ზუსტი თარგმნა შეუძლებელია.

“It was now a sweetest hour of the twenty-four: - ‘ Day its fervid fires had wasted’, and dew fell cool on panting plain and scorched summit. Where the sun had gone down in simple state – pure of the pomp of clouds – spread a solemn purple, burning with the light of red jewel and furnace flame at one point , on one hill-peak, and extending high and wide , soft and still softer, over half heaven” (Bronte, 1847, 377)

“ამ დროს დგება დღე-ღამის ყველაზე უტკბესი წუთები. “დღის მცხუნვარება ჩაიფერფლა” და ცვარი მარგალიტებად მოეფინა ცის ნამს მოწყურებულ მინდვრებსა და მზით გადამწვარ მთის მწვერვალებს. უღრუბლო ცაზე მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. ცის ტატნობი სადღესასწაულო ვარდისფერმა შეღება და იქ მოწითალო პატიოსანი თვალის ბრწყინვალებით აციაგდა. მერე ქურაში გაღვივებული ცეცხლისფრად გორაკის მწვერვალზე ერთ წერტილს წაეკიდა. სულ მაღლა აიჭრა,

ზეციურ სამყაროში განიბნა, თანდათანობით გაფერმკთალდა და თითქმის ნახევარი ცა დაჰფარა” (ბრონტე, 1964, 301).

რომანის თარგმანისას გასათვალისწინებელია, რომ თითოეული აზრი ან შეფასება მოემართება მონოლოგის ავტორის ცნობიერებიდან. ამიტომ ყურადღება ექცევა ამა თუ იმ ობიექტისადმი მის ცნობიერებაში დალექილ დამოკიდებულებას, რათა, სწორად ითარგმნოს და ადვილად აღსაქმელი გახდეს მისი აზრები თარგმანის მკითხველისათვის.

მონოლოგის ავტორის ცნობიერებაში სხვადასხვა ადამიანის სახე სხვადასხვა ემოციით არის დალექილი. ორიგინალის ზოგიერთი ზედსართავი სახელი თარგმანში წმინდა ქართული სპეციფიკის სიტყვითაა შეცვლილი და იგი კონტექსტს შეესაბამება.

“Mr. Rivers came up as, having seen the classes, now numbering sixty girls, file out before me, and locked the door, I stood with the key in my hand, exchanging a few words of special farewell with some half-dozen of my best scholars: as decent, respectable, modest , and well-informed young woman as could be found in the ranks of the British peasantry. And that is saying a great deal; for after all the British peasantry are the best taught, best mannered, most self-respecting of any in Europe (Bronte, 1847, 593).

“მოგვიახლოვდა მისტერ რივერსი. მე უკვე ვნახე, როგორ დამწკრივდნენ ჩემ წინ კლასები, რომლებიც ახლა სამოცამდე გოგონას ითვლიდა და კარები დავკეტე. ახლა გასაღებით ხელში ვიდექი და ექვსიოდე საუკეთესო მოსწავლეს ვეთხოვებოდი. მათთვის სპეციალური გამოსათხოვარი სიტყვები მქონდა.

ასეთი თავდაჭერილი, კდემამოსილი და პატიოსანი და განათლებული გოგონები მხოლოდ ინგლისელ გლეხთა შვილებში თუ მოიძებნებოდა. ეს კი ბევრს ნიშნავს, რადგანაც ინგლისის გლეხობა ყველაზე უკეთ განათლებული, ზრდილი და პატიოსანია, მთელს ევროპაში” (ბრონტე, 1964, 472).

თარგმანი გამოხატავს სიტუაციურ იდენტურობას, როცა ორიგინალსა და თარგმანში აღწერილი სიტუაციები იდენტურია, მაგრამ მათი ასახვის ხერხები განსხვავებული. თარგმანის დროს ორ შეპირისპირებულ ენაში მათი სტრუქტურული არაერთგვაროვნებით განპირობებული გამონათქვამის სინტაქსური განწყობის სხვადასხვა ნორმა ყოველთვის გარდაუვალია. თარგმანის

ეკვივალენტურობის დადგენისას არ უნდა შევიზღუდოთ მხოლოდ სტრუქტურული და სემანტიკური დონის ეკვივალენტურობით.

“აუცილებელია განისაზღვროს პრაგმატიკის დონე”. ამ მოსაზრებას ასაბუთებენ თარგმანის თეორეტიკოსები – ვ. გაკი და ი. ლევინი. მათი აზრით, პრაგმატიკის დონე უმთავრესი დეტერმინანტია იმ ტრანსფორმაციებისა, რომლებსაც განიცდის ორიგინალის ფორმა და შინაარსი კარგ თარგმანში.

ზემოთ დამოწმებული ფრაზა რულარული ელფერის ქართული გამოთქმაა, რომელიც კუთხური ტრადიცით ხალხური რწმენის მიმდევრობას გამოხატავს და ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საქმის გაუკეთებლობას.

ამ შემთხვევაში იგი ორიგინალის ეკვივალენტურია რეფერენციალურ დონეზე და ტექსტში აღწერილი ამბავი ზოგად ელფერს უნარჩუნებს თარგამანს. მთარგმენლის წინადადების სისხარტე ამ შემთხვევაში ყველაზე მისაღებია. სიტყვათა ემოციური ღირებულება ბევრს მატებს თარგმანს და უფრო მკვეთრად მიუთითებს მოსაუბრის განწყობილებასა და დამოკიდებულებაზე რაიმე ფაქტის მიმართ.

“The Thornfiled is fine old hall, rather neglected of late ears perhaps, but still is respectable place; yet you know in winter-time one feels dreary quite alone in the best quarters”(Bronte, 1847, 147)

“თორნფილდი მშვენიერი ძველებური სასახლეა. ამ ბოლო ხანს მართალია, უპატრონოდ მიატოვეს, მაგრამ მაინც დიდებული ადგილია.ზამთრობით მის ყველაზე მდიდრულად მოწყობილ ოთახებშიც კი მარტოდმარტო შთენილი ადამიანის გულს საშინელი სევდა ეუფლება”(ბრონტე, 1964, 117).

მხატვრული თარგმანის დროს საინტერესოა, რა სახეს იღებს ორი შემოქმედის - შარლოტა ბრონტესა და ქართველი მთარგმნელების ურთიერთობა თარგმანში, რა განსაზღვრავს მხატვრული თარგმანის, როგორც მთლიანობითი მხატვრული სტრუქტურის, ინდივიდუალურ სტილს, მის განუმეორებელ ხასიათს.

თამარ მაღრაძისა და ზეინაბ ხახანაშვილის “ჯეინ ეარის” მხატვრულმა თარგმანმა შეგვიყვანა ავტორის შემოქმედებით სამყაროში, გვაზიარა ბრონტეს მხატვრულ ნააზრევს, მის ემოციურ, შეფასებით მიმართებებს ასახვის საგნის, მოცემული მხატვრული სიტუაციებისა და მდგომარეობებისადმი. ასევე შეგვიყვანა

მთარგმნელების სულიერ სამყაროშიც, რადგან "ჯეინ ეარი", როგორც ამ ენაზე არსებული მხატვრული ფენომენი, შექმნილია ახალი, მთარგმნელისეული შემოქმედებითი პროცესის დროს. მაშინ, როდესაც მთარგმნელებს, თარგმნის კონცეფციის ჩასახვის შემდეგ , ე.ი. რომანის ემოციური და ინტელექტუალური ათვისების - ნაწარმოების სტილის წვდომის, მისი ინდივიდუალობის წარმოსახვის, ახალ შემოქმედებით სიტუაციაში მისი კვლავწარმოქმნისათვის მზადყოფნის შემდეგ, რომანისათვის მოუძებნიათ ადეკვატური გამოხატვის საშუალებები.

ეს რომანი თარგმანში, როგორც მთლიანობითი სტრუქტურა, ორი შემოქედის, ორი შემოქმედებითი პროცესის რეალიზაციის ნაყოფია.მხატვრული თარგმანი თავისი არსით ჰეტეროგენული (წარმოშობით, თვისებებით სხვადასხვაგვარი) ფენომენია, მაგრამ მკითხველის აღქმაში, თავისთავად, როგორც მხატვრული სტრუქტურა. ეს თარგმანი გამოირჩევა მონოლითური, მთლიანი, განუყოფელი სტილით. სტილის ამ მონოლითურობის, მხატვრული ნაწარმოების ყველა ელემენტის მთლიანობის მისაღწევად შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულ მთარგმნელები ქ-ნები - თამარ მაღრაძე და ზეინაბ ხახანაშვილი გაცნობიან არა მხოლოდ ავტორის შემოქმედებასა და კერძოდ ამ რომანს, ბრონტეს ,როგორც შემოქმედის წარმომქმნელ ლიტერატურულ პროცესს, არამედ ქართული ლიტერატურის თითქმის მთელ საუნჯეს, მის მიმდინარე პროცესს,ლიტერატურული ენის მიმდინარე ტენდენციას, მიმდინარე ესთეტიკურ იდეალს.

ავტორის სტილის გახსნა გულისხმობს მთარგმნელის მშობლიური ლიტე-რატურის ფონზე მისთვის ინდივიდუალური ხმის პოვნასაც, ინდივიდუალური მხატვრული ენის შემუშავებასაც, რაც მთარგმნელებისაგან ენის უმდიდრესი სალაროს დაუნჯებას მოითხოვდა.

თარგმანის ენა, რომანის მხატვრულ შინაარსთან, სათქმელთან ერთად (დედნის ენის თავისებურებანი სწორედ შინაარსში, სათქმელშია გასაგნობრივებული) გან-საზღვრავს მთარგმნელების ენობრივ პოზიციას, მათ შემოქმედებით ინდივი-დუალობას და ამოცანას.

თავი IV

თარგმანის ენა

(ამ თავში მოხმობილი ყველა ციტატა ქართულ ენაზე არის
შარლოტე ბრონტეს „ჯეინ ეარიდან“,1964; ინგლისურ ენაზე
“Jane Eyre” by Charlotte Bronte,1847)

სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურათა შემოქმედებითი კონტაქტების გასავითარებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათარგმნის, ანუ უცხოენოვანი ლიტერატურის მხატვრულ ღირებულებას.

შემოქმედებითი კონტაქტი ორმხრივი პროცესია, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის შემოქმედებითი ენერგიები.

ყოველი თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოები შემოქმედებით ურთიერთობაშია თარგმანის ენაზე არსებულ ლიტერატურასთან, რომელსაც სთავაზობს ახალ მიმართულებებს და მეთოდოლოგიურად, იდეოლოგიურად ამდიდრებს მას.

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია შარლოტა ბრონტეს რომანში ‘‘ჯეინ ეარი’’ ხატოვანი შედარებების თარგმანის ეკვივალენტურობის კვლევაც.

თარგმანი თავიდან ბოლომდე იკითხება სხარტად, ინტერესით. ყურადღება მისაქცევია მთარგმნელთა ლაკონური აზრები.

მთარგმნელები კარგად იყენებენ ქართულ იდიომებსა და ხატოვან თქმებს, სიტყვათა თამაშიც გადმოტანილია. დაცულია ქართული წინადადებების ბუნებრივი წყობა.

ა) ხატოვანი შედარებები

ნაშრომში პირველადაა განხილული შარლოტა ბრონტეს ‘‘ჯეინ ეარში’’ ხატოვან შედარებათა ინტეგრალური (მთლიანი) პრინციპი. დავადგინეთ მათი პრაგმატული (მოქმედი) მახასიათებლები. ის ტიპობრივი კონსტრუქციები გამოვყავით, რომლებიც

წარმოადგენენ ამ ორი ენის – ინგლისურისა და ქართულის ტექსტობრივ-სტრუქტურულ მრავალფეროვნებას.

ხატოვან შედარებაში (simile) შეპირისპირებით დახასიათებულია საგანი, რის შედეგადაც იქმნება რეალობისგან განსხვავებული ახალი ავტორისეული სახე. ეს დამოკიდებულია მეტაფორული აზროვნების უნარზე.

ზღვარი გავავლეთ ჩვეულებრივსა და ხატოვან შედარებას შორისაც, რადგანაც ისინი ორ განსხვავებულ პროცესს წარმოაჩენენ. ჩვეულებრივი შედარება ხორციელდება ჰომოგენურ (თვისებებით ერთგვარ) ობიექტთა შეპირისპირებით, მოიცავს მათ ყველა თვისებას, მაგრამ ხაზს უსვამს ერთ-ერთ მათგანს, რომელიც შედარების მოტივაციად გვევლინება. მისგან საპირისპიროდ კი, ხატოვანი შედარება გამოხატავს შესადარებელ ობიექტთა ყველა თვისებას, გარდა იმისა, რომელიც საერთოა მათთვის.

რომანში ორივე ტიპის შედარება გვხვდება. მთარგმნელთა სასახელოდ კი უნდა ვთქვათ, რომ ორივე სახის შედარება უნაკლოდ გადმოუტანიათ.

აქ შედარების ორივე ობიექტი ონტოლოგიურად (წარმოშობით) ერთი და იმავე კლასს განეკუთვნება, რის გამოც გამონათქვამში რეალიზებული შედარება ჩვეულებრივია, თანაც – ხატოვანი. მაგ.:

1. “ასეა თუ ისე, ჩემი გაზაფხული დამთავრდა, მაგრამ მან ხელში შემატოვა აი ეს ფრანგული ყვავილი.” (ბრონტე, 1964, 171)

“My spring is gone, however, but it has left me that French floweret on my hands.” (Bronte, 1847, 213)

2. “მე აღარაფრად მიმაჩნია ის ფესვი, რომელზედაც ის აღმოცენდა.” (ბრონტე, 1964, 171)

“Not valuing now the root, whence it sprang” (Bronte, 1847, 213) .

ავტორი თავისი სუბიექტურ-პოეტური თვალთახედვით ახლებურად წარმოაჩენს ერთ-ერთი პერსონაჟის - ადელის ყოფნას, რითაც ამ გამონათქვამს ექსპრესიულობასა და განუმეორებელ ინდივიდუალურობას სძენს.

რეალურ მეტყველებაში სიტყვამ შეიძლება შეიძინოს დამატებითი ლოგიკური მნიშვნელობა, ანუ სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა. სიტყვის გადატანითი

მნიშვნელობა კი ამ ორი ტიპის ლოგიკური მნიშვნელობის – სალექსიკონოსა და კონტექსტურის ურთიერთშემოქმედების შედეგია. სტილისტური ხერხების და, მათ შორის მეტაფორის წარმოქმნაც, სწორედ მნიშვნელობათა ამგვარ გადატანას ეფუძნება, რის შედეგადაც იგი იმდენად სცილდება ნორმის ფარგლებს, რომ მოულოდნელობისა და ემოციურ-ექსპრესიულობის ელფერს იძენს.

ტერმინის "მეტაფორა" (ბერძნ. მეტაპჰორა – გადატანა) ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, მნიშვნელობის ერთი სიტყვიდან მეორეზე გადატანას აღნიშნავს. ძველი ბერძნული და რომაული რიტორიკიდან მოყოლებული, მეტაფორის ლინგვისტური ფენომენის ფსიქოლოგიურ საფუძვლად ავტორისეული სუბიექტური აღქმა განიხილება, რომლის დროსაც იგი ერთმანეთს უკავშირებს და ერთმანეთთან აიგივებს ისეთ საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც ასეთი გაიგივების ობიექტური საფუძველი არ გააჩნიათ. გაიგივების ეს პროცესი ემყარება მეტყველი სუბიექტის შეფასებით აზროვნებას, რომელსაც იგი ახორციელებს ერთი ობიექტის თვისებების მეორეზე მიწერის გზით.

მაგალითისათვის განვიხილოთ ტექსტობრივი ფრაგმენტი, რომელშიც რამდენიმე მეტაფორაა რეალიზებული:

"...ოდესმე თქვენ მიადგებით კლდოვან გასასვლელს, სადაც თქვენი ცხოვრების ნაკადული აბობოქრებულ, აღელვებულ, ქაფმორეულ და მრგვინავ მორევად გადაიქცევა. მაშინ ან მთლად დაიმსხვრევით ამ კლდის წვეტიან ლოდებზე ან რომელიმე მხსნელი ტალღა აგიტაცებთ და ჩემსავით წაგიყვანთ უფრო წყნარი დინებისკენ. მე მიყვარს ეს დღე; მიყვარს ეს ტყვიისფერი ცა; ყინვისაგან დადუმებული და გათოშილი არემარე". (ბრონტე, 1964, 173)

"… you will come some day to a craggy pass in the channel, where the whole of life's stream will be broken up into whirl and tumult, foam and noise: either you will be dashed to atoms on crag points, or lifted up and borne on by some master-wave into a calmer currents I am now." (Bronte, 1847, 216)

აღნიშნული აზრი შემდგომ განვითარებას კვლავ მეტაფორულ ფრაზაში ჰპოვებს:

“...ჩემს ბედთან ვკამათობდი. ის იდგა აი იქ, წიფლის ხის კუნძთან და ერთ-ერთ იმ კუდიან დედაბერს ჰგავდა, მაკბეტს რომ მოევლინა ფორესის ტრიალ მინდორში”. (ბრონტე, 1964, 173)

“...I was arranging a point with my destiny. She stood there, by that beech-trunk – a hag like one of those who appeared to Macbeth on the heath of Forres”. (Bronte, 1847, 217)

ამიტომაც მივაქციეთ ყურადღება ამ დრამატული სიტუაციის კულმინაციას.

ვფიქრობთ, თარგმანში შესაფერისი პოეტური ხატების მეშვეობით ურიგოდ არ არის გადმოტანილი შესანიშნავი მეტაფორები.

ხატოვანი შედარებების წარმოქმნის ორი წყარო გამოიყოფა. ხატოვანი შედარებების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უნარი, განახორციელოს ორი სახის აზროვნება. ასევე უნდა გავმიჯნოთ აზროვნების ორი სახე: ლოგიკური და მეტაფორული, ანუ მიფოპოეტური.

ლოგიკური აზროვნება ემყარება ობიექტური სამყაროს რეალურ ასახვას მაშინ, როდესაც მისგან განსხვავებით, სამყაროს მეტაფორული აღქმა უკვე ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება. აქედან გამომდიარე, ლოგიკური აზროვნება განიხილება როგორც ექსტენსიონალური მაშინ, როდესაც მეტაფორულ აზროვნებას ინტენსიონალურად მიიჩნევენ, რადგან იგი სუბიექტური მოდალობით ხასიათდება. რამდენადაც ხატოვანი შედარება ადამიანის ცნობიერებაში არსებულ ასოციაციურ კავშირებს ემყარება, იმდენად, ბუნებრივია, რომ იგი წარმოადგენს მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთ სახეს.

რამდენადაც ხატოვანი შედარება მეტაფორული აზროვნების ნაყოფია, იმდენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი შეპირისპირება მეტაფორასთან.

ცნობილია, რეალურ მეტყველებაში სიტყვამ შეიძლება შეიძინოს დამატებითი ლოგიკური მნიშვნელობა, რომელსაც სიტყვის კონტექსტური, ანუ ოკაზიონალური მნიშვნელობა ეწოდება.

გავრცელებულია აზრი, რომ მეტაფორა წარმოადგენს რედუცირებულ შედარებას. თეზისი საწყისს იღებს არისტოტელეს ფილოსოფიური კონცეფციიდან. ეს

გულისხმობს, რომ ორი სტილისტური ტროპი ერთ სიღრმისეულ სტრუქტურაზეა დაფუძნებული და ერთმანეთისაგან მხოლოდ ექსპლიციტურობის მიხედვით განსხვავდება.

“ჯეინ ეარში” ხატოვანი შედარება წარმოდგენს ჯეინის მიერ სამყაროს სუბიექტურ-პოეტური აღქმის შედეგს. იგი გმირის სუბიექტის პოზიციას გამოხატავს. აქ ჯეინის დამოკიდებულება გამოსახული სიტუაციის მიმართ, იძლევა გამონათქვამის ემოციურ-ირაციონალურ კვალიფიკაციას. საკუთარ “მეს” უპირისპირებს არასაკუთარს.

“მაგრამ მისტერ როჩესტერს (ალბათ მარტო მე ვფიქრობდი ასე) განსაკუთრებული უნარი გააჩნდა თავისი ბედნიერება ადვილად მიმოეფანტა თავის გაშემო და სხვებისათვის ადვილად გადაეცა. ხოლო იმ ნამცეცების გემოს გასინჯვაც კი, რომელსაც ის ასე ფანტავდა თავის ირგვლივ, ისეთი გზააბნეული და უცხო ფრინველისათვის, როგორიც მე ვიყავი, სადღესასწაულო ნადიმს წარმოადგენდა. მისი უკანასკნელი სიტყვები ბალზამივით მომხვდა გულზე. ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ ჩემი პატრონისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მახსოვდა თუ არა მე ის.” (ბრონტე, 1964, 297)

“...but there was ever in Mr. Rochester (so at least I thought) such a wealth of the power of communicating happiness, that to taste but the crumbs he scattered to stray and stranger birds like me, was to feast genially. His last words were balm: they seemed to imply that it imported something to him whether I forgot him or not”. (Bronte, 1847, 373)

ასეთი ზუსტი თარგმანი მასიურად აქვთ გამოყენებული მთარგმნელებს რომანის გადმოქართულებისას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართული სპეციფიკის სხარტმა გამონათქვამმა თავისი ელფერი შესძინა თარგმანს. კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მთარგმნელების ეროვნული ცნობიერების გავლენის გარდაუვალობას თარგმანის პროცესში.

რომანში ხატოვანი შედარებები, ისევე, როგორც სხვა სტილისტური ტროპები, დაკავშირებულია ტექსტის საერთო შინაარსთან და წარმოადგენს ავტორის

სუბიექტურ მოდალობას, რაც რეალიზებულია ტექსტის სხვა მახასიათებლებში, კერძოდ კი მის კომპოზიციურ სტრუქტურებში, პერსონაჟთა სახეების შექმნაში.

“ჩემი ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ხანდახან თუ მეტად მოსაზრებულად ვლაპარკობ, ხან არის წუთები, როდესაც მთლიანად ვიბნევი. ეს კი ყოველთვის გადამწყვეტ წუთებში ხდება, როდესაც შესაფერი სიტყვა, მოხერხებული საბაბი, განსაკუთრებით საჭიროა სავალალო და დაბნეული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად”. (ბრონტე, 1964, 303)

“It is one of my faults, that though my tongue is sometimes prompt enough at an answer, there are times when it sadly fails me in framing an excuse; and always the lapse occurs at some crisis, when a facile word or plausible pretext is specially wanted to get me out of painful embarrassment.” (Bronte, 1847, 380)

ან კიდევ:

“ეს ამბავი თავზარდამცემი გამოდგა ჩემთვის, მაგრამ ვცადე, სულით არ დავცემულიყავი.”

“This is a blow: but I did not let it prostrate me”. (Bronte, 1847, 381)

სხვაგან:

“...თქვენ გეხსომებათ ჯეინ... პირველად, არ მახსოვს მე გითხარით თუ მითქმა-მოთქმით შეიტყეთ, რომ უკვე ჭარმაგობაში შესული მარტოხელა მამაკაცის ცხოვრება მომწყინდა და ქორწინების წმინდა მარყუჟში მინდოდა გამეყო თავი, ე. ი. უნდა შევდგომოდი ნეტარ საოჯახო ცხოვრებას”. (ბრონტე,1964,304)

“...and you will remember, Jane, the first time I, or Rumour, plainly intimated to you that it was my intention to put my old bachelor’s neck into the sacred noose, to enter into the holy estate of matrimony...” (Bronte,1847,381)

ორივე ენაშია როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული კომუნიკაციური ორიენტაციების შემცველი ზეფრაზული ერთიანობები, რომლებიც პირობით-შედეგობითი მნიშვნელობის გადმოცემასთან ერთად აშუქებენ მეტყველი სუბიექტის ქმედებადქცეულ ინტენციასაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული

ეროვნული კულტურისა და ტრადიციის მატარებელი ორი ერი განსხვავებულად გამოხატავს სათქმელს როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზ-რისითაც.

რაც ერთი ერის სინამდვილეში მისაღები და ნორმატიულია, მეორე ერის რეალობას არ შეესაბამება. ცნობილია, ყოველი ერის სტრუქტურა უაღრესად თავისებური და სპეციფიკურია. მიუხედავად განსხვავებულობისა, ყოველ ენას აქვს რაღაც ისეთი, რაც მას სხვა ენასთან ანათესავებს. თარგმანის შეპირისპირება, ერთი მხრივ, თვალსაჩინოს ხდის იმ განსხვავებას, რომელიც დასტურდება ინგლისურ და ქართულ ენებში, ანუ ავლენს მათ სპეციფიკას, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ორივე ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ, გაუთვალისწინებელ მხარეს.

ხატოვანი შედარებები ამ რომანში შარლოტა ბრონტეს სუბიექტური მოდალობის გამომხატველი ის ენობრივი კონსტრუქციებია, რომელშიც ასახულია ავტორის ესთეტიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია, პრაგმატული მიმართება, წერის ინდივი-დუალური მანერა, აზროვნების სტილი.

ყოველი გამონათქვამი თავისი ლექსიკური კომპონენტებით ახდენს ობიექტური რეალობის არა უბრალო კონსტატირებას, არამედ მის შეფასებასაც. თამამად შეიძლება ითქვას, მთარგმნელებმა ყოველივეს შესანიშნავად გაართვეს თავი.

მაგ.: “When turned on me, expressed an insuperable and rooted aversion.” (Bronte,1847,37)

“აშკარად ვამჩნევდი ჩემდამი ღრმად ფესვგადგმულსა და დაუძლეველ სიძულვილს”. (ბრონტე, 1964, 33)

ან კიდევ:

“I heard him in a blubbering tone commence the tale of how’ that nasty Jane Eyre’ had flown at him like a mad cat”, (Bronte,1847,38)

“გავიგონე, როგორ გულამოსკვნილი ტიროდა და შესჩიოდა დედას რაღაც გამოგონილ ამბებს: – საძაგელი ჯეინ ეარი გაცოფებულ კატასავით მომვარდაო”. (ბრონტე, 1964, 34)

ავტორისეულ ხატოვან შედარებებში კი შეფასების მომენტი მწერლის პირად გამოცდილებას, ან მის განსაკუთრებულ ასოციაციურ ხატს ემყარება. ამიტომ ავტორი თავად განმარტავს მას.

"...გარკვევით დავინახე, რომ ის მაღალი, ტანადი და გრძელი წამწამები უფრო მკვეთრად აჩენდნენ მისი მაღალი შუბლის სითეთრეს. ორივე მხარეს საფეთქლებზე მუქი წაბლისფერი თმა მშვენიერ კულულებად ეფინებოდა (მაშინ მოდაში არ იყო არც ძალიან გრძელი კულულები და არც უკან გვირგვინად ჩახვეული თმა).

შავი ხავერდით გაწყობილი მეწამული ფერის კაბაც უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი ეცვა. სარტყელზე ოქროს საათი ჰქონდა მიმაგრებული (საათები მაშინ ძალიან იშვიათად იხმარებოდა და ისე არ იყო გავრცელებული, როგორც ახლა). დაე, მკითხველმა თვით დაუმატოს ამას მშვენიერი ნაკვთები, სპილოს ძვლისფერი ნათელი კანი, წარმოსადეგი ტანადობა, ამ აღნაგობის შესატყვისი მიხრა-მოხრა, რომელშიც ზომიერი სიამაყეც ჩანდა და რამდენადაც ჩემს სიტყვებს შეუძლიათ გადმოგცეთ, თქვენ თვალწინ დაგიდგებათ მის ტემპლის სურათი." (ბრონტე, 1964, 58)

"Seen now, in broad daylight, she looked tall, fair, and shapely; brown eyes with a benignant light in their irids, and a fine penciling of long lashes round, relieved the whiteness of her large front; on each of her temples her hair, of a very dark brown, was clustered in round curls, according to the fashion of those times, when neither smooth bands nor long ringlets were in vogue; her dress, also in the mode of the day, was of purple cloth, relieved by a sort of Spanish trimming of black velvet; a gold watch (watches were not so common then as now) shone at her girdle.

Let the reader add to complete the picture, refined features; a complexion, if pale, clear; and a stately air and carriage, and he will have, at least, as clearly as words can give it, a correct idea of the exterior of Miss Temple…" (Bronte, 1847, 70).

ორიგინალური ნაწარმოების ენისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს თარგმანის ენის ზოგიერთი საკითხი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში

მიუთითებენ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თარგმანის ენის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენასთან.

ენას მხატვრულ ნაწარმოებში, კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად, ეკისრება ესთეტიკური ფუნქცია, რადგან იგი აზრის გამოხატვის გარდა მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. ამიტომ, ერთი მხრივ, მიჩნეულია, რომ თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება. "მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა. მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია. იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკურ ნარევს.

"მხატვრული თარგმანი, ვკითხულობთ ი. მერაბიშვილის ერთ-ერთ გამოკვლევ-აში, კულტურათა ის დიალოგია, რომელიც არა მარტო კულტურათა ურთიერთობასა და გაცვლას გულისხმობს, არამედ, როგორც გოეთე ბრძანებდა, ენებს შორის შემოქ-მედებით პაექრობასაც. ამ დროს "მთარგმნელი ემსახურება არა მხოლოდ თავის ერს, არამედ იმ ერსაც, რომლის ენიდანაც თარგმნის ნაწარმოებს" (მერაბიშვილი, 2005, 7).

ასევე უპირატესია მხატვრული თარგმანის ესთეტიკური ფუნქცია, მაგრამ მხატვრული თარგმანის ენა ორიგინალის ენისაგან მაინც განსხვავდება სალიტერატურო ენის სტილისადმი და, მით უმეტეს, სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სტილისტური შრეებისადმი თავისი დამოკიდებულებით.

კერძოდ, მხატვრული თარგმანის ენა თავისი სპეციფიკის გამო (თავისი ორმაგი, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო) ორიგინალური ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია ენის მთელი რესურსების გამოყენების სფეროში. მხატვრულ თარგმანში ენობრივი რესურსების სრულად გამოყენებას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემული უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა" (ფანჯიკიძე,1980, 9).

შარლოტა ბრონტეს ამ რომანში თუ რამ არის გამორჩეული, ერთ-ერთი ხატოვანი შედარებებია. ამ მიმართებით, ის, რასაც მწერალი ესწრაფვის, დაწყებული

მხატვრული შედარებების გაგრძელებაა.იგი მიელტვის ისეთ მედიუმს, რომელსაც შეყოვნებანი და პაუზები არ ახასიათებს. მედიუმს, რომელიც მუდმივ მეკავშირედ ეყოლება და რისი მეშვეობითაც წიგნი მხატვრულად კარგი აღსაქმელია. მკითხველი კი უნდა მოაჯადოვოს მხატვრულად დაფარულმა მხარეებმა.

ბ) ფრაზეოლოგიზმები

ყოველი ენის ლექსიკურ მარაგში უხვად არის შედარებით მყარი შესიტყვებანი (სიტყვათა ნაერთი), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ურთიერთგაგების პროცესში. ესაა ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, ანუ ფრაზეოლოგიზმები.

ფრაზეოლოგიზმი, იდიომი არის განუყოფელი ლექსიკური ერთეული, რომელიც ფორმით ჩვეულებრივ შესიტყვებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი – სიტყვას. ფრაზეოლოგიზმის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებიც ფორმით სიტყვებს ემთხვევიან, დამოუკიდებლად არა აქვთ მნიშვნელობა. მნიშვნელობის მატარებელია მთელი გამოთქმა ერთად აღებული (ქართული ენა, - ენციკლოპედია, 1986, 486).

საყოველთაოდ მიღებული შეხედულების მიხედვით, ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს სემანტიკურ სიტყვათშეერთებებს, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული გამოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი, ან შეგონება.

ფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთების ცალკე კოლერატები მეტაფორულად არის გაგებული.

ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიური სისტემის სპეციფიკის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი მისი სტრუქტურული შემადგენლობაა.

ქართულ და ინგლისურ ენებში გვხვდება როგორც ფრაზეოლოგიზმი–შესიტყვებები, ისე ფრაზეოლოგიზმი–წინადადებები.

ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებს შორის განსხვავება ბევრად უფრო მკაფიო და საინტერესოა ხალხის შეხედულებებისა და თავისებვურებათა

თვალსაზრისით, რომლებიც ტიპური სიტუაციის მიხედვით ვლინდება. თითოეულ ენაში ისინი განსაკუთრებული და კოლორიტულია, მაგრამ მათ შორის გარკვეული სიახლოვე მაინც შეინიშნება.

იდიომებით მეტყველება ნაწარმოების მაღალმხატვრულობაზე, მწერლის შესაძლებლობებზე მიუთითებს. ფრაზეოლოგიზმს თავისი ადგილი აქვს. მას ნებისმიერ მომენტში ვერ გამოიყენებ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნა, ცხადია, სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ისინი საკუთრივ რომელიმე ენას ახასიათებს და მეორე ენაზე გადატანა ზოგ შემთხვევაში სრულიად უცვლის აზრს.

"ჯეინ ეარის" მთარგმნელებმა ოსტატურად გამოიყენეს ინგლისური ენის ადეკვატური ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულები და ამით ბუნებრივი ჟღერადობა მიანიჭეს თარგმანს.

მთარგმნელობით პრაქტიკაში ფრაზეოლოგია ერთ-ერთ რთულ უბნად რჩება. ამ სირთულის დაძლევა თარგმანის ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. ნაკლებადაა დამუშავებული ამ საკითხის თეორიული მხარეც. ზოგიერთი მეცნიერი ფრაზეოლოგიზმის თარგმანს შეუძლებლად მიიჩნევს. რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ფაქტობრივი მასალის მიხედვით?

ფრაზეოლოგია ყოველი ენის, ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც სიტყვა–სიტყვით არ ითარგმნება, ვინაიდან მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი არ ემთხვევა ქართულ ენაზე მოძებნილი იმავე სიტყვების ჯამს. მიუხედავად ამისა, ჩვენს შემთხვევაში გვაქვს ფრაზეოლოგიზმების დამთხვევის მაგალითები, მაგრამ ფრაზეოლოგიზმების უმეტესობას სემანტიკური საფუძველი აქვს და სიტყვა–სიტყვით გადმოტანა შეუძლებელია. რომანის მთარგმნელებს უმეტესად ქართულში უპოვნიათ შესატყვისი, შინაარსით ტოლფასოვანი, თუმცა, სტილური ელფერით განსხვავე-ბული. ამიტომაც ქართულად თარგმნილ ფრაზეოლოგიზმებს შენარჩუნებული აქვთ შესაფერისი ფორმა და იგივე მოტივაცია.

ამა თუ იმ ენაში ფრაზეოლოგიზმები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და დამკვიდრებულია გარკვეული სახით. ამიტომ თარგმანის შემაფერხებელ ფაქტორად მიჩნეულია ტრადიციის კანონიც. მაშასადამე, ადეკვატური ვერ იქნება იმ ფრაზეოლოგიზმის თარგმანი, რომელიც ერის ტრადიციებსა და ისტორიას ეხება, ანუ ნაციონალური ხასიათისაა.

ცნობილია, ენები განსხვავდებიან სიტყვათშეკავშირების კანონებით. ამიტომ ერთი ენისათვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიზმს სხვა ენაში არ მოეპოვება ზუსტი შესატყვისი. თარგმანის შემთხვევაში გაგებინებისა და ემოციური თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა შეიძლება დაიკარგოს.

შედარებით ადვილი სათარგმნელია ის გამოთქმები, რომლებშიც გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველს და შედეგს შორისაც.

როგორც ჩანს, ფრაზეოლოგიზმის თარგმანის ერთ-ერთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გათვალისწინებული იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის.

ფრაზეოლოგიზმის უთარგმნელობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ მისი ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. მაგ.: წყალს ნაყავს, რაც ნიშნავს უშედეგო გარჯას, მოქმედებას, უსარგებლო შრომას, ინგლისურში სხვა აზრი იგულისხმება, ან პირიქით...

სხვა ენაზე გადატანისას ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას ეძლევა სიტყვათა სხვაგვარი შეხამება. “აქ უპირისპირდებიან ენები ერთმანეთს თავისი მხატვრული აზროვნებით, ერთი შინაარსის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის შესაძლებლობით. ყოველი ერის სახოვნებას (გამოსახვის) საკუთარი არსენალი აქვს და აქედან ხდება სხვადასხვა ცნებებისა და მოვლენების სახელდება” (თაყაიშვილი, 1961, 106).

შარლოტა ბრონტეს რომანის მაღალმხატვრულობას ისიც განაპირობებს, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობა (მაგ.: გაჩუმება, დადუმება, მოსმენა, მზერა –შეხედვა) გადმოცემულია სხვადასხვა გამოთქმებით, რაც თარგმანში ადეკვატურია.

შარლოტა ბრონტე ახერხებს ჩვეულებრივი სიტყვისა თუ წინადადების მხატვრულად გაფორმებას, შელამაზებას. მაგალითად, “მოვუსმინეს” მაგივრად “მივუგდე ყური”, “ვუყურებ” ზმნის მაგივრად – “მივაშტერდი” და ა. შ. მწერალი, როგორც სხვა მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით, გაცილებით ღირსშესანიშნავს ხდის თავის რომანს. ამით საკუთარი წვლილი შეაქვს ინგლისური ლიტერატურის განვითარებაში.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმების თარგმანს, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ვასკვნით, რომ ფრაზეოლოგიზმების თარგმნა შესაძლებელია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, ადეკვატური თარგმანი იშვიათია. ხშირ შემთხვევაში თარგმნისას ფრაზეოლოგიზმი დარღვეულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შინაარსის შენარჩუნება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ აბსოლუტურად იდენტური გამოთქმის შენარჩუნება არც ისე იოლია.

სიტყვის აზრობრივ მხარეს შარლოტა ბრონტე აფართოებს. მთარგმნელები არ კარგავენ ინგლისელი მწერლის სიტყვის მასშტაბურობას და მას არსად არ ავიწროებენ.

ფრაზეოლოგიზმები საერთოდ, ენის სიმდიდრეს წარმოადგენს. ცნობილია, იდიომები, ანდაზები, ხატოვანი თქმები ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შრეებს განეკუთვნება. ისინი უხვადაა წარმოდგენილი ხალხურ მეტყველებაში. აქედან დამკვიდრდა მხატვრულ ლიტერატურაშიც. ინგლისურ ენაში მათი წარმოშობის პირველწყაროა ბიბლია, ბიბლიის შემდეგ კი შექსპირის ნაწარმოებები. შექსპირის შემდეგ არაერთმა მწერალმა გაამდიდრა ინგლისური ფრაზეოლოგია. შარლოტა ბრონტეს მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია.

რთული იყო იმ აზბოქრებული სტიქიის დამორჩილება, რომელსაც ‘‘ჯეინ ეარი’’, ან შარლოტა ბრონტეს რომანი ჰქვია. ქართველ მთარგმნელებს თავისი ნება-სურვილისათვის, გრძნობა-გონებისათვის უნდა დაემორჩილებინათ მთელი ეს სტიქიონი. მათი სიტყვა, რომელიც ბრონტესეულს ენაცვლება ქართულად, მოძრაობითა და მოქმედებით არის აღჭურვილი. ისინი თითქოს ქმნიან ჰარმონიას.

ქართული თარგმანის დედნისეულთან შედარებისას, ინგლისური სიტყვების ლექსიკონში ძებნისას თარგმანში სხვა სიტყვას ვნახავთ. ქ-ნების ზეინაბ ხახანაშვილისა და თამარ მაღრაძისათვის სიტყვის ლექსიკური თარგმანი განყენებულად არ არსებობს, ახდენენ ინგლისური და ქართული სიტყვის ბუნების სინთეზს, გამოდიან ორივე ენის სიტყვათა ენერგიიდან, მათი გამომსახველობის ხასიათიდან.

მთარგმნელები იყენებენ უამრავ ისეთ სიტყვას, რომლებას გამოხატვა მხოლოდ ქართული ენის ბუნებას შეუძლია. მეორე მხრივ, ინგლისურშიც არის უამრავი სიტყვა,რომლის ბადალი ქართული ენის ხასიათში არა გვაქვს. ამიტომ მთარგმნელებს ისინი აღწერილობითი სახით აქვთ გადმოტანილი. ცხადია, ქართულ თარგმანში არსებული სიტყვები და შესატყვისობანი ინგლისური დედნის აზრობრივი და არა ლექსიკონური შესატყვისობებია. ეს არის მათი ერთადერთი გზა, სხვანაირად აზრის ჰარმონია ირღვევა.

გარდა ამისა, მთარგმნელები ამ ხერხით უდიდეს ბუნებრიობას აღწევენ, ე.ი.ბრონტეს სიტყვა ეროვნული ენის ქსოვილში ეხვევა.

ქ–ნები თამარ მაღრაძისა და ზეინაბ ხახანაშვილის თარგმნილი რომანი გამოირჩევა არა მხოლოდ იმით, რომ მთარგმნელები ფლობენ ქართული ლიტერატურული ენის საუნჯეს, ხალხური ლექსიკის მდიდარ სალაროს, ენის ამ ორი მაცოცხლებელი ნაკადის სინთეზს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ბრონტეს სტილის შემოქმედებითი გახსნის სისრულით.

მთარგმნელები კვალდაკვალ მიჰყვებიან ავტორს, მთელი სისავსით გადმოსცემენ მისი ფრაზის ნატიფ მიმოქცევას, გმირთა ცხოვრების ყველა სულიერ ძვრას. ყოველი სიტყვა გმირის ხასიათს აირეკლავს და ესიტყვება ბრონტეს პოეტურ სიდიადეს.

მთარგმნელებმა ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებს შესანიშნავად შეუნახეს ქართული შესატყვისები, რომელიც ზოგ შემთხვევაში სრულიად სხვა კომპონენტებისაგან

შედგება, მაგრამ სრულიად სხვა ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. ამაში დავრწმუნდებით ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით.

მართალია, ამ თარგმანში არის თავისუფალი მხატვრული ინტერპრეტაციის შემთხვევები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორის სტილის გახსნას ხელს უწყობს ის თავისუფალი ინტერპრეტაცია, რომელიც კონტექსტს, სიტუაციის მხატვრულ სიმართლეს და შემოქმედებით აზრს ეფუძნება.

ბრონტე უაღრესად დახვეწილი გემოვნების მთხრობელია. მისი თხრობის სტილი ინგლისური პროზის შედევრია, გამართული, ზომიერი, ზოგჯერ პათეტიკური, რთული სინტაქსითა და მარტივი აზრით. ენა ბრონტესთან მხატვრულ ფუნქციას ასრულებს. იგი სავსეა სპეციფიკური გამოთქმებით, რომლებიც ძნელად ემორჩილებიან თარგმანს და მთარგმნელისათვის ერთგვარ სირთულეს ქმნიან.

ქართული ენის მდიდარი ლექსიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ ბრონტეს ცოცხალი ენა, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიმრავლე, სტილისტურ საშუალებათა მრავალმხრივობა, წინადადების თავისებური წყობა შესაძლებლობისამებრ შესა-ფერისად ითარგმნოს და თარგმანმა ბუნებრიობა შეინარჩუნოს.

გ) შორისდებულები ორიგინალსა და თარგმანში

ამ ნაწილის მიზანია, ერთი მხრივ, დაადგინოს შორისდებულის ზოგადი, უნი-ვერსალური მახასიათებლები, მეორე მხრივ, გამოავლინოს რომანში ინგლისურად გამოყენებულ შორისდებულთა ეთნოცენტრული ლინგვისტური ბუნება როგორ გად-მოიცემა ქართული თარგმანისას.

შორისდებულით გამოხატული გამონათქვამი ენის ყველაზე ლაკონური გამონათქვამია. მას გარკვეული პროპოზიციური შინაარსი მიეწერება.

შორისდებულით გამოხატული გამონათქვამი შეიძლება წარმოადგენდეს რეპრეზენტატივს, ანუ შორისდებულით წარმოთქმით ინდივიდი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას პროპოზიციაში ასახული ფაქტობრივი ინფორმაციის მიმართ.

მან შეიძლება ირწმუნოს იგი, მისთვის მისაღებია სხვისი დამოკიდებულება პროპოზიციაში ასახული ჭეშმარიტების მიმართ (სამეტყველო აქტის ზმნა– accept):

- How about meat, Mrs. ...?

- No, I've got meat, thanks; I got a leg of lamb from the freezer.

- Oh.

2) - And this is the main ...

- Aha.

შორისდებულის მეშვეობით ინდივიდი ადასტურებს მიწოდებულ ინფორმაციას (სამეტყველო აქტის ზმნა – confirm):

- You know that strange guy we saw yesterday?

- Uh-huh

ბგერათმონაცვლეობისას მიმართავენ ორ კრიტერიუმს – ჰმ, ჰა.შორისდებულის მეშვეობით ეთანხმება (agree) გამონათქვამის პროპოზიციაში ასახულ ინფორმაციას:

- She's so sweet!

- Uh-huh

- ყველაფერი მასზეა – სახლი, ბავშვები, კიდევ კარგადაა ეგ საწყალი.

- აბა, აბა, აბა

ინგლისურში ვხვდებით შორისდებულურ ფრაზას – Amen to that, რომელსაც თანხმობის გამოსახატავად მიმართავს მწერალი:

- Thank goodness, we didn't go.

- Amen (to that).

შორისდებულით გამოხატული გამონათქვამი ეჭვქვეშ აყენებს წინარე გამონათქვამის ინფორმაციის ჭეშმარიტებას(doubt):

1) - He says he's doing it for our benefit.

- Hmm.

2) – These instructions are very useful.

- Huh.

3) – Anyway we're just good friends.

- Yeah, yeah!

შორისდებლური ფრაზა yeah, yeah – ნიშნავს – მე შენი არ მჯერა. Yeah, yeah! - არის ემოციურად შეფერილი, ანუ იგი არის რეპრეზენტატივის და ექსპრესივის ნაერთი.

შორისდებულით გმირი აჩვენებს, რომ გამონათქვამში, შინაარსს აზროვნებითი პროცედურები ესაჭიროება.

ინგლისურში მიმართავენ ahaa, ah, oh;

ქართულში – აა, აჰა.

შორისდებულები რომანში ხშირად წარმოადგენენ დირექტივებს. ცნობილია, დირექტივები გამოხატავენ ინდივიდის სურვილს პროპოზიციაში ასახული მოქმედების შესრულებასთან მიმართებაში. გმირმა იგი ან უნდა შეასრულოს, ან – არა.

თხოვნა – შორისდებული please, თუ შეიძლება.

ქართულში *გეთაყვა* თითქმის არ გვხვდება მეტყველებაში. ამ ფუნქციით საალერსო სიტყვაა – შენი ჭირიმე.

თხოვნის გამომხატველ დირექტივებად შეიძლება მივიჩნიოთ ღმერთისადმი აღვლენილი თხოვნა:

God bless us! Saints preserve us!

ღმერთო გვიშველე! უფალო დაგვიფარე! უფალო შეგვიწყალე!

თხოვნის თანმდევი შორისდებლური ფრაზები:

For goodness (God's) Christ's sake don't let her know.

თუ ღმერთი გწამს,

ღვთის გულისათვის არ დამაღალატო.

აკრძალვა (forbid)

აბაბაბა!.. მაგას ხელი არ ახლო!

უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელებს კარგად გაუგიათ და შეძლეს ქართულ ენაზე გადმოეტანათ რომანის როგორც იდეურ-თემატური სისავსე, მასში აღწერილი კონფლიქტები თუ ვნებები, გმირთა ხასიათები, მათი შინაგანი განცდები და სულიერი მდგომარეობა, ის მრავალრიცხოვანი შორისდებულებები და შეძახილებიც.

ნაწარმოების გმირები, რომლებიც თარგმანის საშუალებით შედიან მკითხველთა ცნობიერებაში, იმავე შთაბეჭდილებას ახდენენ ქართველებზე, რასაც ორიგინალიდან გაცნობილი პერსონაჟები ინგლისელებზე.

რომანს მთარგმნელების შემოქმედებითი ძიების კვალიც ემჩნევა.ისინი ცდილობენ დედნის ადეკვატური იყოს შორისდებულებიც. ამაში უდაოდ ეხმარებათ ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა და რომანის ორიგინალიდან თარგმნა.

დ) იდიომები

ეს ქვეთავი არ მოიცავს ყველა საკითხის კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემებთან. ნაშრომში დავიმოწმეთ დამახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები,განვსაზღვრეთ სიტყვების თანწყობა, რომლებიც არ წარმოადგენენ ლექსიკური თარგმანის მაგალითებს. შევადგინეთ ინგლისურ-ქართული ეკვივალენტური იდიომთა ლექსიკონი.

ქალბატონებმა თამარ მაღრაძემ და ზეინაბ ხახანაშვილმა მშვენივრად შეათავსეს თარგმანის სიზუსტე და ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. გულდასმით შეურჩევიათ გამოთქმები თუ სიტყვის მოქცევა. ამით მიუღწევიათ თარგმანში სიზუსტისა და გამომხატველობისათვის.

რომანში გვხვდება ნეიტრალური იდიომები, რომლებიც ინგლისური ენიდან ადვილად ითარგმნება ქართულ ენაზე თავისი ზოგადკაცობრიული ხასიათის გამო, რადგან მათში იხატება ყველა ეროვნების ადამიანთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და სულიერი მდგომარეობა.

ეს ნეიტრალური იდიომები ზოგ შემთხვევაში წარმოადგენს ისტორიულ რემინისცენციას, რომელიც ცნობილია მრავალი ხალხისათვის (“კაცის ძახილი ზეცას სწვდებოდა”).

სალიტერატურო ენის ფარგლებში მოქცეული ენობრივი საშუალებებიდან მთარგმნელებს ქართული ენისათვის განსაკუთრებული სიფრთხილითა და ტაქტ-ით შეურჩევიათ წმინდა ქართული კოლორიტით აღბეჭდილი გამოთქმები.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შესა-ტყვისი იმ შემთხვევაში, როდესაც ფრაზეოლოგიზმს აქვს რამდენიმე სტილური ელფერი, სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობა. ეს ყოველივე, თავისთავად, გაუთვალისწინებიათ თარგმანისას. მისი ერთ-ერთი კომპონენტი შეუცვლიათ სინონიმით და იდიომი გამოუხატავთ შესაფარდით.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური იდიომატიკა სემანტიკურ თავისებურებებთან შედარებით პრიორიტეტს ანიჭებს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურულ ნიშანთვისებებს. ჩვენი ქვეყნის მეცნიერები ამ საკითხთა გადაჭრისას ძირითადად ყურადღებას ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკურ, ინგლისელები კი – სტრუქტურულ მხარეზე ამახვილებენ.

რაკი ფრაზეოლოგიური სემანტიკა შეიცავს ხატოვანებას, როგორც რეალურად განმეორებად ნიშანს, ხატოვანებაა ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც სხვა მომიჯნავე ენობრივი ერთეულებისაგან გამოყოფას ედება საფუძვლად. რაც შეეხება მის დანარჩენ ნიშანს - ცალკე გაფორმება, კომპონენტთა სემანტიკური გადააზრება, მნიშვნელობის გართულებული სახე, ისინი განიხილება ფრაზეოლოგიური ერთეულის ხატოვანებასთან კავშირში. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ხატი სინქრონულ დონეზეა ცოცხალი, თუ დიაქრონულ დონეზე.

ზოგი მეცნიერის აზრით, “იდიომები ენაში მოკლებულნი არიან ნომინალურ ფუნქციას, არასოდეს არ არიან ცნების ერთადერთი გამომხატველები და მათი დანიშნულებაა უკვე სახელდებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათება” (თაყაიშვილი, 1961. 106).

სხვებში ფრაზეოლოგიური ნომინაციის ფენომენის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ფრაზეოლოგიური ერთეულის ნომინაციური ფუნქცია ყველაზე ნათლად ტექსტის წარმოქმნის პოტენციაში მჟღავნდება.

ენის ნომინაციური ასპექტი უშუალოდაა დაკავშირებული გნოსეოლოგიასთან. ნომინაციის სახელსადები საგნიდან გამოვყოფთ რაიმე თვისებას და, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში სხვადასხვა ენის მაგალითზე, ანუ ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა თვისებებს მიაქციეს მთარგმნელებმა ყურადღება და სხვადასხვაგვარადაც ასახავენ მათ, მაინც ორივე ენაში ობიექტის შემეცნების გნოსეოლოგიური მექანიზმი ერთნაირია. ამასთან, ნომინაცია შიდაენობრივ მოვლენად ითვლება, რამდენადაც ბგერითი კომპლექსის შერჩევა წმინდა ლინგვისტურ ხერხს წარმოადგენს.

არამონათესავე ენების შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს უკეთ შევამჩნიოთ, დავახასიათოთ და გავიაზროთ ორივე ენის სპეციფიკური თავისებურებები, რაც ენის შინაგან კანონთა განვითარების აღმოჩენისა და მათი შესწავლის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ორივე ენის მასალაზე აგებულ საკვლევ გაერთიანებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობების ანალიზიდან გამომდინარე, ძნელი არ არის მათ შორის სემანტიკურ მიმართებათა არაერთგვაროვნების დადგენა. ამ მიმართულებათა იდენტური თუ მსგავსი ხასითის საფუძველზე შესაძლებელია ველის ფარგლებში შეიქმნას დაჯგუფებები, ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური ჯგუფები.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ შეპირისპირებულ ენებში იდიომები ძირითადად წარმოდგენილია ფიზიკური მოქმედების დიდი ინტენსიობის გამომხატველ ფრაზეოლოგიურ-სემანტიკურ ჯგუფებში „მოკვლა“, „დამარცხება“ – ინგლისურში „ცემა“, „ცემით სიკვდილის პირზე მიყვანა“, სამაგიეროს გადახდა – ქართულში.

საკვლევი ფრაზეოლოგიური ერთეულების ონომასიოლოგიურ კატეგორიათა შეპირისპირებამ შემდეგი სახის იზომორფიზმი გამოავლინა: ორივე საკვლევი ენა

ფიზიკური მოქმედების გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ფორმირებისას მრავალფეროვან სტილისტურ ხერხს მიმართავს. მაგ.:

მეტაფორა – lay to bed – მოკვლა,

hoist sail – წასვლა, გამგზავრება, თამაშის ჩვენება, შავი

დღის დაყენება, გამწარება, თონეში ჩაყენება – საშინელი ტანჯვა

run like a rabbit – გაქცევა, ქროლვა

shoot somebody like a dog – მოკვლა, დაკეპვა

მეტონიმია – breath down somebody's neck – გამოკიდება

have the heel of somebody – გასწრება

ჰიპერბოლური მეტაფორა – კბილების ამოძრობა – დამარცხება

ფაქტი, რომ ანალოგიურ (სრული და არასრული) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნომინაციის საფუძვლად ორივე ენა ძირითადად იდენტურ ონომასიოლოგიურ კატეგორიებს იყენებს, შეიძლება აიხსნას როგორც ინტრა–ლინგვისტური, ასევე ექსტრა–ლინგვისტური ფაქტორიც. ეს კი ვლინდება არამონათესავე ენების მატარებელი ხალხის მიერ სინამდვილის ზოგიერთი ფაქტის ზოგ შემთხვევაში იდენტურ აღქმასა და აღნიშნული ფაქტისადმი ერთნაირი დამოკიდებულების გამოხატვის უნარში.

განსხვავება ამ ორი ენის იდიომებს შორის გამოიკვეთა ხატოვან საშუალებათა გამოყენების დიფერენციალურ ხვედრით წილში. ორივე ენა თანამოსაუბრეზე ემოციური ზეგავლენის მოხდენის მიზნით განსხვავებულ ხერხს მიმართავს.

თარგმანს მხოლოდ ენის ლიტერატურულ ფორმებზე შეუძლია ორიენტაციის აღება და ეს თავისებურ დაღად ემჩნევა თარგმანის ენას, მთარგმნელის მთელ მუშაობას. ასეთ ვითარებაში მთარგმნელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული ენის გაუცვეთავ ფორმებს, რომლებიც თარგმანში ავტორის ენობრივი სილაღისა და მრავალფეროვნების კომპენსაციის უმთავრესი საშუალებაა.

მართალია, თარგმანი ზოგჯერ იყენებს დიალექტიზმებს, ხალხურ ფრთიან სიტყვა-თქმებს, ეთნოგრაფიზმებსაც კი, მაგრამ მხოლოდ მაქსიმალურად ნე-

იტრალურ სიტუაციაში, სადაც მათი ეროვნული ხმიანება ნაკლებ გავლენას ახდენს ტექსტზე.

მთარგმნელობით პრაქტიკასა და თეორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სათარგმნი ავტორისათვის ინდივიდუალური ხმის პოვნა.

თუ ქართული ენა უარყოფითი ემოციურ-ექსპრესიული სემანტიკის მქონე ფიზიკური მოქმედების მაღალი ინტენსივობის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნისას პრაგმატული მოსაზრებით საჭიროდ მიიჩნევს მიმართოს უკიდურესად მაღალი ინტენსიობის მქონე (ჰიპერბოლურ და ალოგიურ) კონვერგენციულ–სტილისტურ ხერხებს, ინგლისური ენა ამას საჭიროდ არ თვლის.

მეტიც, იგივე მოსაზრებით, იგი ხშირად ისეთ შედარებით ნეიტრალურ სტილისტურ ხერხს იყენებს, როგორიცაა მეტაფორა, ან მიმართავს ქართული ენის საწინააღმდეგო აქტს – ე.ი. თუ ქართველი მთარგმნელები აზვიადებენ მოვლენებს, შარლოტა ბრონტე ან ნეიტრალური რჩება, ან აკნინებს მათ. ირკვევა, რომ ზოგჯერ რომანის თარგმნისას შენარჩუნებულია ყველაზე მთავარი და დაკარგულია ქვეტექსტი. უფრო მეტად კი ხერხდება ორივეს ერთად ტრანსფორმაცია. ქვეტექსტი არის ტექსტის სიღრმისა და იდუმალების ძლიერი პირობა.

თარგმანისას განსაკუთრებით ძნელია დედნის იდიომატური გამოთქმებისა და მეტყველების სპეციფიკური საქცევების გადმოცემა. მთარგმნელები ცდილობდნენ არა მხოლოდ აზრობრივი თარგმანის შემოთავაზებას, არამედ შესაბამისი ქართული გამოთქმების მონახვასაც.

მთარგნელები თითქმის ყველგან სწორად იაზრებენ ორგინალს. ყოველ ინგლისურ ფრაზას უძებნიან შესაფერის ქართულ შესიტყვებას. ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ ისინი სქოლიოში განმარტავენ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ზოგიერთი სპეციფიკური ინგლისური ფრაზა.

ხანდახან სრული შესატყვისობაა მიღწეული, ზოგ შემთხვევაში მონახულია აზრობრივად სავსებით ანალოგიური გამოთქმები.

ხანდახან მოცემულია მხოლოდ აზრობრივი თარგმანი. მეტწილად, შესამჩნევია საწინააღმდეგო ტენდენციაც. სახელდობრ, არა მხოლოდ ანალოგიური გამოთქმების შერჩევა, არამედ მათი მნიშვნელობის ხაზგასმა კიდევ უფრო ხატოვანი, ანდა ორი ანალოგიური გამოთქმით.

შემოგთავაზებთ ქართულად მარჯვედ თარგმნილ ძნელად სათარგმნ ინგლისურ ანდაზებს, სადაც ქართული და ინგლისური ენების თანაბარი ცოდნა იგრძნობა:

1.მართალი უთქვამს სოლომონს: „მირჩევნია ყველი, პური და კეთილი გული" (ბრონტე,1964,90)

Well has Solomon said – „Better is the dinner of herbs where love is, than a stalled ox and hatred therewith" (Bronte, 1847, 112)

2. ორი უკიდურესობა ერთმანეთს ვერ ასცდება (ბრონტე, 1964, 228)

A curious friendship theirs must have been (Bronte, 1847, 290)

3. „უბედურებას ყოველთვის უბედურება სდევს თან" (ბრონტე, 1964, 438)

„Misfortunes never come singly" (Bronte, 1847, 543)

4.„ბევრმა კოკა წყალმა შეიძლება ჩაიაროს ჩანაფიქრის ასრულებამდე" (ბრონტე, 1964, 438)

„To add their distresses the vexing one of the slip between the cup and the lip" (Bronte, 1847, 543).

ხშირად უარყოფითი საუბარი თარგმანში შეცვლილია ქართულში გავრცელებული ანდაზით, რაც კარგად მიესადაგება სიტუაციას. მთარგმნელი არ თარგმნის სიტყვასიტყვით. მას კარგად ესმის შინაარსი და აზრს მშრალი სიტყვების ნაცვლად უფრო საინტერესოდ, ანდაზით გადმოსცემს, რაც მიუთითებს დამოუკიდებლობაზე, გადაწყვეტის მიღების უნარზე, მკითხველის ინტერესის გათვალისწინებაზე. ამით დედანისეული აზრი არც იცვლება და არც იკარგება.

რომანში გვხვდება ნეიტრალური იდიომები, რომლებიც ინგლისურიდან ადვილად ითარგმნება ქართულ ენაზე, თავისი ზოგადკაცობრიული ხასიათის გამო,

რადგან მათში იხატება ყველა ეროვნების ადამიანთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და სულიერი მდგომარეობა. (მაგალითად: „გულზე მოეფინა“,“ ბუზსაც არ აიფრენს“).

სინონიმური წყვილებისა და სინონიმური რიგის წევრთა მნიშვნელობის ტოლფასობის ფონზე თითოეულ ერთეულს გააჩნია განსაკუთრებული ნიშანი–სტილური ელფერი, გამოყენების სფერო, რომელიც განასხვავებს მას სხვა სინონიმური გამონათქვამებისაგან.

მთარგმნელები ღრმად ჩასწვდნენ რომანში გაფანტულ იდიომატურ გამოთქმებს. ჩასწვდნენ მწერლის ინდივიდუალურ ხასიათს – სტილს, გამოამჟღავნეს ავტორის წარმოსახვითი ინდივიდუალური მოდელის შესაბამისად შემოქმედებითი გარდასახვის იშვიათი უნარი.

ერთი სიტყვით, თარგმანის ენას, რომანის მხატვრულ შინაარსთან, მის განწყობილებასთან და ხასიათთან სტილთან ერთად, საზღვრავს მთარგმნელების შემოქმედებითი ინდივიდუალობა და ენობრივი პოზიცია.

ე) იდიომთა ლექსიკონი

1. I was glad of it (Bronte,1847,6)

გულში ვზეიმობდი (ბრონტე,1964,11)

2. with nipped fingers and toes (Bronte,1847,6)

გულს სევდით ავსებდა (ბრონტე,1964,11)

3. inexpressible sadness weighed it down (Bronte,1847,25)

სევდა კვლავ მძიმე ლოდივით დამაწვა გულზე (ბრონტე,1964,25)

4. were I in her place, it seems to me I should wish the earth to open and swallow me up (Bronte, 1847, 76)

მის ადგილას ვისურვებდი მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე (ბრონტე,1964,63)

5. she looks as if she were thinking of something beyond her punishment (Bronte,1847,76)

ის მხოლოდ თავის სულის სიღრმეში იყურებოდა (ბრონტე,1964,63)

6. impotent anger (Bronte,1847,80)

მწარე სიბრაზე (ბრონტე,1964,65)

7. burdened with faults in this world (Bronte,1847,87)

ცოდვები მძიმე ტვირთად აწევს (ბრონტე,1964,71)

8. I make no effort (Bronte,1847,85)

თავს ძალას არ ვატან (ბრონტე,1964,85)

9. You are good? (Bronte,1847,85)

თავი კარგად გიჭირავს? (ბრონტე,1964,69)

10. there is no merit in such goodness (Bronte,1847,85)

რაღა ფასი აქვს ასეთ თავდაჭერას (ბრონტე,1964,70)

11. we arrived at church colder (Bronte,1847,90)

სიცივე ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი (ბრონტე,1964,76)

12. being dismayed (Bronte,1847,92)

თავზარი დამცემოდა (ბრონტე,1964,75)

13. neglected precautions to secure my personal safety (Bronte,1847,97)

თავს ისე ვიჭერდი (ბრონტე,1964,79)

14. my tears watered the boards (Bronte,1847,102)

ჩემი ცრემლი ზღვას ერთოდა (ბრონტე,1964,82)

15. I lay against crushed and trodden on (Bronte,1847,102)

ფეხქვეშ გათელილი (ბრონტე,1964,83)

16. could I ever rise more (Bronte,1847,102)

კვლავ მეღირსება ფეხზე დადგომა (ბრონტე,1964,83)

17. may look coldly on (Bronte,1847,103)

ცივად ყურება (ბრონტე,1964,83)

18. friendly feelings are concealed in their hearts (Bronte,1847,103)

მათ გულში ღვივის გრძნობა (ბრონტე,1964,63)

19. a heart large enough (Bronte,1847,110)

დიდი გული ჰქონდა (ბრონტე,1964,88)

20. thus relieved of a grievous load (Bronte,1847,112)

ჩამომხსნეს დიდი ტვირთი (ბრონტე,1964,90)

21. the frosts of winter had ceased

ზამთრის ყინვებს ბოლო მოეღო

ან:

its snows were melted, its cutting winds ameliorated...began to heal and subside under the gentler breathings of April (Bronte,1847,114)

თოვლი დადნა. სუსხიანი ქარები აღარ ქროდა...აპრილის ნაზი სუნთქვა მალამოდ ედებოდა.... (ბრონტე,1964,91)

22. froze the very blood in our veins (Bronte,1847,114)

ძარღვებში სისხლს გვიყინავდა (ბრონტე,1964,91)

23. We all must die one day (Bronte,1847,123)

ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ (ბრონტე,1964,98)

24. Helen was dead (Bronte,1847,125)

ელენს კი ღმერთისთვის მიებარებინა სული (ბრონტე,1964,100)

25. it is peculiar mind: it is a unique one (Bronte,1847,218)

ის სრულიად თავისებური ადამიანია.ერთადერთია. (ბრონტე,1964,174)

26. Happily I do not mean to harm it ...it would not take harm from me (Bronte,1847,218)

საბედნიეროდ არც მინდა ცუდად ვიმოქმედო მასზე...ვერაფერს დავაკლებდი (ბრონტე,1964,174)

27. Let me prepare an ambush (Bronte,1847,219)

მე მათ მახეს დავუგებ (ბრონტე,1964,175)

28.the fang of the snake Jealousy was instantly broken (Bronte,1847,219)

ეჭვიანობის გველს მაშინვე გადაუტყდა ხერხემალი (ბრონტე,1964,175)

29. I walked in upon them (Bronte,1847,220)

თავზე დავადექი (ბრონტე,1964,176)

30. from my protection (Bronte,1847,220)

ჩემგან თავისუფალია (ბრონტე,1964,176)

31. Adel is not answerable for either (Bronte,1847,221)

ადელი პასუხს არ აგებს (ბრონტე,1964,176)

32. been more uniform towards me (Bronte,1847,222)

უფრო თბილი გახდა (ბრონტე,1964,177)

33. I never seemed in his way (Bronte,1847,223)

არაფრით არ ვუშლიდი ხელს (ბრონტე,1964,177)

34. he did not take fits of chilling hauteur (Bronte,1847,222)

ცივად და ქედმაღლურად აღარ მესალმებოდა: (ბრონტე,1964,177)

35. he had always a word (Bronte,1847,222)

ყოველთვის მზად ჰქონდა ჩემთვის რაიმე სათქმელი (ბრონტე,1964,177)

36. I had a keen delight (Bronte,1847,223)

ყურად ვიღებდი (ბრონტე,1964,178)

37. In imaging the new pictures he portrayed (Bronte,1847,223)

გონების თვალით უყურებდა მის მიერ დახატულ სურათებს (ბრონტე,1964,178)

38. I ceased to pine after kindred (Bronte,1847,223)

ბედს აღარ ვუჩიოდი და აღარც უთვისტომობას ვუჩიოდი (ბრონტე,1964,178)

39. I could not sleep for thinking of his look (Bronte,1847,224)

ძილი არ მეკარებოდა, არ მავიწყდებოდა მისი გამომეტყველება (ბრონტე,1964,179)

40. my spirits were depressed (Bronte,1847,225)

ჩემს სულსაც მოსვენება დაეკარგა (ბრონტე,1964,179)

41. listening (Bronte,1847,225)

სმენა დავძაბე (ბრონტე,1964,179)

42. I was chilled with fear (Bronte,1847,225)

შიშის ჟრუანტელმა დამიარა (ბრონტე,1964,179)

43. silence composes the nerves (Bronte,1847,225)

სიწყნარე ადამიანს მალამოდ ეფინება (ბრონტე,1964,179)

44. a dream had scarcely approached my ear (Bronte,1847,225)

ძილის ანგელოზი მიუახლოვდა ჩემს სასთუმალს (ბრონტე,1964,180)

45. in deep sleep (Bronte,1847,226)

მკვდარივით ეძინა (ბრონტე,1964,180)

46. the smoke had stupefied him (Bronte,1847,226)

ბოლმა გონება წაართვა (ბრონტე,1964,180)

47. I listened for some noise (Bronte,1847,228)

სმენად ვიქეცი (ბრონტე,1964,182)

48. sense would resist delirium (Bronte,1847,231)

ჭკუა წინააღმდეგობას უწევდა ოცნებას (ბრონტე,1964,184)

49. judgement would warn passion (Bronte,1847,231)

გონება ფრთხილობდა (ბრონტე,1964,184)

50. took my feelings from my own powers (Bronte,1847,265)

მთლიანად შემიპყრო, თავის გავლენის ქვეშ მომაქცია (ბრონტე,1964,208)

51. fettered them in his (Bronte,1847,265)

თავის ნებას დაუმორჩილა (ბრონტე,1964,208)

52. he made me love him without looking at me (Bronte,1847,265)

ეს ადამიანი ანთებდა ჩემში სიყვარულს, თანაც ისე, რომ ზედაც არ მიყურებდა (ბრონტე,1964,209)

53. feel harmless at his feet, might (Bronte,1847,284)

ამაყ გულს მახვილივით გაჰკვეთდა (ბრონტე,1964,223)

54. was a cold, solitary girl again (Bronte,1847,450)

გულგაციებული და მარტოხელა არსება (ბრონტე,1964,361)

55. her life was pale (Bronte,1847,450)

მისი ცხოვრება გაუფერულდა (ბრონტე,1964,361)

56. her prospects were desolate (Bronte,1847,450)

მისი იმედები დაიმსხვრა (ბრონტე,1964,361)

57. my hopes were all dead (Bronte,1847,451)

ჩემი იმედი ჩაკვდა (ბრონტე,1964,362)

58. reflection came in as black (Bronte,1847,451)

შავი ფიქრები გულს შემომაწვა (ბრონტე,1964,362)

59. for faith was blighted – confidence destroyed (Bronte,1847,451)

რწმენა დაიმსხვრა და ნდობა გაცამტვერდა (ბრონტე,1964,362)

60. My love lost (Bronte,1847,452)

ჩემი დაკარგული სიყვარული (ბრონტე,1964,363)

61. My hope quenched (Bronte,1847,452)

ჩემი ჩამქრალი იმედები (ბრონტე,1964,363)

62. My faith death- struck (Bronte,1847,452)

დასამარებული რწმენა (ბრონტე,1964,363)

63. Your heart shall be the victim (Bronte,1847,453)

შენს გულს სამსხვერპლოზე მოიტან (ბრონტე,1964,363)

64. I suppose, then, your heart has been weeping blood? (Bronte,1847,454)

ნუთუ შენმა გულმა სისხლის ცრემლები დაანთხია? (ბრონტე,1964,364)

65. to cut feeling or sting a passion (Bronte,1847,455)

დამიფლითო გრძნობა, შხამიანი ისარი მიჩხვლიტო (ბრონტე,1964,365)

66. There was such deep remorse in his eye (Bronte,1847,455)

თვალებში სინდისის ქენჯნა ვიხილე (ბრონტე,1964,365)

67. I should not have to make the effort of cracking my heart-strings (Bronte,1847,456)

აღარ მომიხდებოდა დამეწყვიტა ასეთი ძალით ჩემი გულის სიმები (ბრონტე,1964,366)

68. You should steeled your little pale face with such a resolute frozen look (Bronte,1847,462) გაიქვავე ეგ ფერმკრთალი სახე და ყინულივით ცივი

გადაწყვეტილება აღიბეჭდე (ბრონტე,1964,371)

69. softened voice (Bronte,1847,462)

თბილი ხმა (ბრონტე,1964,371)

70. These words cut me (Bronte,1847,462)

ამ სიტყვებმა გული გამიგმირა (ბრონტე,1964,371)

71. joint in the plot against me (Bronte,1847,466)

პირი ჰქონდათ შეკრული ჩემს წინააღმდეგ (ბრონტე,1964,375)

72. in my quaking heart and through my spirit (Bronte,1847,509)

გული ამიძგერა და სულში ჩამწვდა (ბრონტე,1964,509)

73. It had opened the doors of the soul's cell and loosed its bands (Bronte,1847,643)

სულს გაუღო საკანის კარები და ბორკილები ჩამოხსნა (ბრონტე,1964,509)

74. I want to enjoy my own faculties as well (Bronte,1847,594)

მე მინდა საკუთარი გრძნობებით ვისიამოვნო (ბრონტე,1964,473)

75. I carried my point, both coincided in my opinion (Bronte,1847,592)

გაიზიარა ჩემი აზრი, მე გავატარე ჩემი სურვილი (ბრონტე,1964,472)

76. I feel I can easily and naturally make room in my heart for you (Bronte,1847,591)

ვგრძნობ, რომ თავისუფლად და სავსებით ბუნებრივად შემიძლია დაგითმოთ ადგილი ჩემს გულში (ბრონტე,1964,471)

77. intimate attachment (Bronte,1847,590)

თბილი დამოკიდებულება (ბრონტე,1964,471)

78. I must indulge my feelings (Bronte,1847,588)

უნდა დავაკმაყოფილო ჩემი გრძნობები (ბრონტე,1964,470)

79. Half suffocated with the thoughts (Bronte,1847,587)

ფიქრები შემომაწვა (ბრონტე,1964,468)

80. wealth to the heart (Bronte,1847,587)

სიმდიდრე გულისათვის (ბრონტე,1964,468)

81. Let me have one moment to draw breath and reflect (Bronte,1847,587)

სული მომათქმევინეთ და ფიქრის საშუალება მომეცით (ბრონტე,1964,467)

82. and I am a hard woman, impossible to put off (Bronte,1847,584)

მეც მტკიცე ვარ, შეუძლებელია ჩემი თავიდან მოშორება (ბრონტე,1964,466)

83. instead of allaying, piqued my curiosity more than ever (Bronte,1847,584)

ჩემი ცნობისმოყვარეობა დაცხრომის ნაცვლად კიდევ უფრო გააღვივა (ბრონტე,1964,466)

84. I must leave you to your sorrows (Bronte,1847,583)

დაგტოვოთ თქვენს ნაღველთან (ბრონტე,1964,465)

85. we contain ourselves (Bronte,1847,582)

ჩვენ თავს ვიკავებთ (ბრონტე,1964,465)

86. happy combination of the planets presided over her birth (Bronte,1847,554)

ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული (ბრონტე,1964,445)

87. What they approved, I reverenced (Bronte,1847,532)

რასაც ისინი მხარს უჭერდნენ, მეც პატივისცემით ვეპყრობოდი (ბრონტე,1964,429)

88. I dread another essay of the horrors (Bronte,1847,530)

შიშის ზარს მცემს (ბრონტე,1964,428)

89. the colder and sterner brother (Bronte,1847,527)

გულქვა, მკაცრი ძმა (ბრონტე,1964,426)

90. decided steadfastness in his gaze now (Bronte,1847,525)

მზერა ჰქონდა მტკიცე, სულში ჩამწვდომი (ბრონტე,1964,425)

91. I am very well here (Bronte,1847,523)

აქ კარგად ვგრძნობ თავს (ბრონტე,1964,423)

92. I maintained a grave silence for some minutes (Bronte,1847,521)

სიჩუმე ჩამოვარდა (ბრონტე,1964,421)

93. they've like nobody to tak' care on 'em but me (Bronte,1847,521) ჩემი თავი არ მადარდებდა (ბრონტე,1964,421)

94. poor folk men get on as they can (Bronte,1847,497)

თავი უნდა გავიტანოთ (ბრონტე,1964,402)

95. I to importune her (Bronte,1847,497)

მომებეზრებინა თავი (ბრონტე,1964,402)

96. I must elude his sorrow (Bronte,1847,485)

თავი უნდა ამერიდებინა (ბრონტე,1964,391)

97. without it, my heart is broken (Bronte,1847,486)

უიმისოდ ჩემი გული დაიმსხვრევა (ბრონტე,1964,391)

98. reading my countenance (Bronte,1847,484)

სახეზე ყველაფერი ამოიკითხა (ბრონტე,1964,390)

99. What a distortion in your judgement (Bronte,1847,483)

დამახინჯებულია შენი გონება (ბრონტე,1964,389)

100. You snatch love? (Bronte,1847,482)

მტაცებ სიყვარულს? (ბრონტე,1964,388)

101. he forebore yet (Bronte,1847,482)

თავს იჭერდა (ბრონტე,1964,388)

102. extricating myself from restraint rapidly (Bronte,1847,482)

თავი სწრაფად გავინთავისუფლე მისი ხვევნისაგან (ბრონტე,1964,388)

103. I shuddered to hear the infatuated assertion (Bronte,1847,480)

გამაჟრჟოლა, როდესაც ეს თავბრუდამხვევი წინადადება მოვისმინე (ბრონტე,1964,386)

104. these revelations of his feelings only made my work more difficult(Bronte,1847,480)

გრძნობების ასე სააშკარაოზე გამოტანა კი ხელს შემიშლიდა მის შესრულებაში (ბრონტე,1964,386)

105. I had much ado often to avoid straining you then and there to my heart (Bronte,1847,480)

ხშირად ამ სურვილისაგან თავის დაღწევა ძალიანაც მიძნელდებოდა (ბრონ-ტე,1964, 386)

106. with a look and air at once shy and indefendent (Bronte,1847,478)

მორცხვად, თუმცა თავი ძალიან ამაყად გეჭირა (ბრონტე,1964,384)

107. I impressed it on my heart (Bronte,1847,475)

გულში ჩავიმარხე (ბრონტე,1964,383)

108. in spite of the curse with which I was burdened (Bronte,1847,473)

თავზე დამატყდა მძიმე უბედურება (ბრონტე,1964,380)

109. rooted disgust at it (Bronte,1847,474)

ძვალ-რბილში გამჯდარი ზიზღი (ბრონტე,1964,381)

110. beauty is in the eye of the gaze (Bronte,1847,265)

ვისაც ვინ მოსწონს, მისი ლამაზიც ის არისო (ბრონტე,1964,208)

ვ) მიმართვის ფორმები

მიმართვის ფორმებში გამოიყოფა ადრესატი, ანუ ის, ვინც მიმართავს და ადრესატი, ვისაც მიმართავენ. მიმართვის ფორმების არჩევა დიდადაა დამოკიდებული სიტუაციაზე, ადრესატისა და ადრესატის სოციალურ სტატუსზე, ნაცნობობის ხარისხზე, ასაკზე.

მიმართვას მუდამ ახლავს მთქმელის სხვადასხვა გრძნობა, ემოცია, პატივისცემა, მოფერება, მუდარა, საყვედური, დანანება, შიში, თხოვნა, ზიზღი.

მიმართვის მეშვეობით საჭიროა პიროვნების ყურადღების მიპყრობა და სხვა მსმენელისაგან გამორჩევა. ასევე იგი სოციალური დისტანციისა და მოსაუბრის დამოკიდებულების გამომხატველია.

ყველაზე ხშირად გამოიყენება არსებითი სახელის ფორმით მიმართვა: სახელი, სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვები, ღირსების აღმნიშვნელი, პატივისცემის.

შევისწავლეთ მიმართვის ფორმები და გავაანალიზეთ მსგავსება-განსხვავებანი, რომლებიც თავს იჩენს მიმართვის ფორმების გამოყენებისას ორივე ენაში; ასევე, თავაზიანობის გამოხატვა მიმართვის ფორმებით, "სახე" და თავაზიანობის პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიმართვის ფორმების არჩევასა და მათ სათანადო ხმარებაში.

ინგლისურში, როგორც ქართულ თარგმანში ადამიანის სახელი საკმაოდ ხშირად იხმარება, როგორც მიმართვის ფორმა. ეს დამოკიდებულია მოსაუბეთა ასაკზე, სოციალურ სტატუსზე და მათ შორის არსებულ დისტანციაზე.

ზოგ შემთხვევაში სრულ სახელთან ერთად მეტსახელიც მონაცვლეობს. ეს განპირობებულია თვისებითაც, ქცევითაც.

ინგლისურში – მისტერ და მისის – ბატონო და ქალბატონო, რაც ქართულში ასევეა გადმოღებული.

მიმართვა გვხვდება ზედსართავი სახელითაც, დამოუკიდებლად. ასევე არსებითთან ერთად, კუთვნილებით ნაცვალსახელებთან ერთად.

დადებითი შეფასების გამომხატველია:

My darling, my dear, my love, honey –

ძვირფასო, საყვარელო, ლამაზო, და ა.შ.

1. შორს ჩემგან,ბავშვო (ბრონტე,1964,174)

Away! Keep at a distance, child (Bronte,1847,218)

2. სრულებითაც არა, მკითხველო (ბრონტე,1964,178)

No, reader (Bronte,1847,223)

3. მუსიე (ბრონტე,1964,175)

Monsieur (Bronte,1847,220)

4. ჯადოსანო, გრძნეულო ადამიანო (ბრონტე,1964,118)

Sorceress witch (Bronte,1847,227)

5. ჩემო სანუკვარო მხსნელო (ბრონტე,1964,183)

My cherished preserver (Bronte,1847,230)

6. ოჰ, რა პატარა თოჯინაა! (ბრონტე,1964,207)

Oh, what a little puppet! (Bronte,1847,263)

7. თქვენ, მამაკაცები(ბრონტე,1964,211)

You, men, never do (Bronte,1847,268)

8. მე მითხარით რამე, ჩემო ასულო? (ბრონტე,1964,211)

Did you speak, my own? (Bronte,1847,268)

9. ჩემო ძვირფასო (ბრონტე,1964,211)

My dearest (Bronte,1847,268)

10. მადამ (ბრონტე,1964,211)

Madam (Bronte,1847,268)

11. ჩემო შროშანო (ბრონტე,1964,212)

My lily-flower (Bronte,1847,270)

12. ჩემო მშვენიერო (ბრონტე,1964,212)

My best (Bronte,1847,270)

13. ჩემო კეთილშობილო დედა (ბრონტე,1964,212)

My lady-mother (Bronte,1847,270)

14. სენიორ (ბრონტე,1964,213)

Signor (Bronte,1847,271)

15. ჯენტლმენებო (ბრონტე,1964,213)

Gentlemen (Bronte,1847,271)

16. ღამე მშვიდობისა, ჩემო... (ბრონტე,1964,216)

Good-night, my... (Bronte,1847,275)

17. ჩემო ძვირფასო ბიჭებო (ბრონტე,1964,231)

My dear boys (Bronte,1847,292)

18. მართალია, დედა (ბრონტე,1964,231)

Indeed, mama (Bronte,1847,292)

19. ჩემო ძვირფასო (ბრონტე,1964,231)

My darling (Bronte,1847,293)

20. ჩემო მშვენიერო (ბრონტე,1964,231)

My queenly (Bronte,1847,293)

21. ჩემო ანგელოზო (ბრონტე,1964,231)

My angel (Bronte,1847,293)

22. ჩემო ძვირფასო, ჩემო საუნჯევ (ბრონტე,1964,231)

My best, my dearest (Bronte,1847,292)

23. ჩემო პატარა მეგობარო (ბრონტე,1964,244)

My little friend (Bronte,1847,310)

24. ნათელო სულო (ბრონტე,1964,245)

Ministrant spirit (Bronte,1847,311)

25. ღვთის გულისათვის (ბრონტე,1964,247)

For God’s sake (Bronte,1847,313)

26. ჩემი საყვარელი კრავი (ბრონტე,1964,259)

My pet lamb (Bronte,1847,328)

27. მიამიტო ბავშვო (ბრონტე,1964,260)

Simpleton (Bronte,1847,329)

28. ძვირფასო დეიდა (ბრონტე,1964,278)

Dear aunt (Bronte,1847,351)

29. ჰალო (ბრონტე,1964,296)

Hallo (Bronte,1847,372)

30. კეთილო ანგელოზო (ბრონტე,1964,297)

Good angel (Bronte,1847,373)

31. ფერიავ (ბრონტე,1964,298)

Fairy (Bronte,1847,374)

32. პატარა სკეპტიკოსო (ბრონტე,1964,311)

Little skeptic (Bronte,1847,388)

33. არაჩვეულებრივო, თითქმის არაამქვეყნიურო არსებავ (ბრონტე,1964,310)

You strange, you almost unearthly thing! (Bronte,1847,388)

34. პატარა ჯადოქარო (ბრონტე,1964,318)

Little elfish (Bronte,1847,397)

35. ძვირფასო ჯეინ (ბრონტე,1964,333)

Darling Jane (Bronte,1847,415)

36. გრძნეულო! (ბრონტე,1964,347)

You witch! (Bronte,1847,428)

37. ჩემო ღვთაებავ (ბრონტე,1964,376)

My darling (Bronte,1847,468)

38. აბა, ახალგაზრდა ქალო, ადექით (ბრონტე,1964,414)

Young woman, rise (Bronte,1847,512)

39. ჩემო ფერია (ბრონტე,1964,525)

My fairy (Bronte,1847,667)

40. ჩემო მფარველო კეთილო სულო (ბრონტე,1964,526)

My beneficent spirit (Bronte,1847,668)

41. ჩემო ტოროლა (ბრონტე,1964,528)

My skylark (Bronte,1847,670)

ყოველ ენაში ქათინაურების უსასრულო სიმრავლე არსებობს. კომპლიმენტის შერჩევა კი ექსტრალინგვისტურ კონტექსტზეა დამოკიდებული. მოყვანილ მაგალითებში კომპლიმენტის მიზანია მოსაუბრისათვის ემოციური სიამოვნების მინიჭება.

ხშირად კომპლიმენტის გამოსახატავად ერთი მოკლე შორისდებული არის გამოყენებული. უმეტესად ხუთი ზედსართავი სახელი იხმარება - nice , good, beautiful ,pretty, great და ორი ზმნა: like, love და მაინც, სტრუქტურისა და ფორმის სიმარტივის მიუხედავად, კომპლიმენტის, როგორც სამეტყველო აქტის, სწორად გადმოთარგმნა ძალზე რთულია.

უარყოფითი შეფასების გამომხატველია:

1. Fiend! (Bronte,1847,235)

ეშმაკის კერძო! (ბრონტე,1964,186)

2.Oh, you villains childs!(Bronte,1847,269)

ოჰ, ბოროტო ბავშვებო! (ბრონტე,1964,212)

3. Cease that chatter, blockhead (Bronte,1847,293)

შე გამოთაყვანებულო (ბრონტე,1964,231)

4. little niggard (Bronte,1847,343)

პატარა ძუნწი (ბრონტე,1964,271)

5. Truant, truant, (Bronte,1847,373)

მაცდურო, მაცდურო (ბრონტე,1964,297)

6. Little tyrant (Bronte,1847,412)

პატარა ტირანო (ბრონტე,1964,330)

7. Hard little thing(Bronte,1847,416)

პატარა ბოროტო ქმნილებავ (ბრონტე,1964,333)

8. Little nervous subject (Bronte,1847,429)

პატარა ნერვიულო ქმნილებავ (ბრონტე,1964,344)

9. Cruel, cruel deserter (Bronte,1847,671)

გულქვა, გულქვა მოღალატევ (ბრონტე,1964,529)

10. You mocking changeling – fairy-born and human-bred (Bronte,1847,669)

დამცინავო არსებავ, ფერიად დაბადებულო და ადამიანურად აღზრდილო (ბრონტე,1964,527)

ნებისმიერ სიტუაციაში რომანის გმირები იყენებენ სხვადასხვა სახის მიმართვის ფორმებს ღმერთისა თუ წმინდანების მისამართით. ეს ფორმები როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი.

მაგ.: **Lord, have mercy** (გაუვრცობელი)

უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან (გაუვრცობელი)

Our father, who art in heaven (გავრცობილი)

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა (გავრცობილი)

Lord Jesus Christ, have mercy on me, the sinner -

ლოცვათა წმინდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესო ქრისტე,

შეგვიწყალენ ჩვენ.

Holy Lord, Holy Mighty, Holy Immortalo, have mercy on us -

წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო,

შეგვიწყალენ ჩვენ.

მიმართვის გამვრცობლად შორისდებული გაცილებით ხშირად გამოიყენება ინგლისური ტექსტის ლოცვებში, ვიდრე ქართულში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

ქართულ ტექსტში გამვრცობლად მხოლოდ *(ო)* შორისდებული გამოიყენება, ინგლისურში კი *he* და *hoi* შორისდებულები.

მაგ.: **O Holy Trinity, O Lord, O God, O Virgin Theotokos** –

ჰოი სამებაო, ჰე, წმინდაო ანგელოზო, ჰე, ყოვლადწმინდაო სამებაო.

ინგლისურ ტექსტში ზედსართავი მუდამ წარმოდგენილია პირის ნაცვალსახელით **One**, რომელიც ლოცვებში ყოველთვის დიდი ასოთი იწერება, რადგან სიტყვაში **One** იგულისხმება ღმერთი, უფალი.

მაგ.: **Holy One, visit and heal our infirmities for thee Name's sake -**

წმინდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისთვის.

1. God, help me (Bronte.1847,464)

ღმერთო, მიშველე (ბრონტე,1964,372)

2. Mother, I will (Bronte.1847,487)

დედაო ღვთისავ, შეგისრულებ აღთქმულს! (ბრონტე,1964,392)

3. Providence! Sustain me– direct me (Bronte.1847,502)

განგების ძალავ, დამეხმარე (ბრონტე,1964,406)

4. And, oh (Bronte.1847,649)

მაგრამ, ღმერთო! (ბრონტე,1964,513)

5. Great God (Bronte.1847,661)

ღმერთო ძლიერო (ბრონტე,1964,522)

6. God, pardon me! (Bronte.1847,305)

ღმერთო, მაპატიე (ბრონტე,1964,240)

7. God, God! (Bronte.1847,312)

ღმერთო ჩემო (ბრონტე,1964,246)

ცნობილია, რომ ყოველ ენას აქვს თავისი გრამატიკული წყობა, თავისი ლექსიკური შემადგენლობა და თავისებურებანი. ეს ვალდებულს ხდის მთარგმნელს მოძებნოს ზუსტი ექვივალენტები, რათა ორიგინალს საკუთარი კოლორიტი შეუნარჩუნოს. სრულფასოვანი თარგმანის შესასრულებლად, როგორც ცნობი-ლია, არ

კმარა ორივე ენის ზედმიწევნით ცოდნა. მთარგმნელი კარგად უნდა იცნობდეს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას, რაც დაეხმარება, ამომწურავად გადმოსცეს ნაწარმოების სული და მიზანდასახულობა.

მოგეხსენებათ, “ჯეინ ეარი” დაწერილია მდიდარი ინგლისური ენით. ბრონტე იყენებს ხალხურ ინგლისურს, დიალექტებს, ჟარგონს, იდიომებს, ანდაზებს. იგი მრავალსიტყვიანი და არა ზედმეტსიტყვიანი მწერალია. ლოგიკური და მხატვრული მნიშვნელობის გარეშე სიტყვას არ ხმარობს.

ენა შარლოტა ბრონტესთან მხატვრულ ფუნქციას ასრულებს. მისი გმირები, მეორე და მესამეხარისხოვანებიც კი, ინდივიდუალური ენით მეტყველებენ.

მკითხველი მათ ცნობს არა მარტო დამახასითებელი ქცევითა და გარეგნობით, არამედ ლაპარაკის ინტონაციით, მიმართვის ფორმებით, წინადადების წყობითა და სპეციფიკური გამოთქმებით.

ბრონტეს სტილი ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გამჭვირვალეა. ეს მეთოდი არც თარგმანში იკარგება.

ზოგჯერ იდიომთა თარგმანისას ჩართულია მთარგმნელისეული კომენტარი სიტყვის ან აზრის მეტი სიცხადისათვის. თუ ამა თუ იმ იდიომში შეიმჩნევა თავის–უფალი თარგმანიც, მიგვაჩნია, რომ თარგმანის ეს მანერა საგანგებოდაა შერჩეული. ეს გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელები ითვალისწინებენ ქართველი ხალხის გემოვნებას, მსოფლმხედველობას. ცდოლობენ, თარგმანს მისცენ რაც შეიძლება მახლობელი ფორმა. კომენტარსაც ურთავენ, რომ უფრო ნათელი გახადონ ფართო მკითხველისათვის. ამიტომ ხსნიან და ამარტივებენ სიტყვას, ან მთლიანად ფრაზას.

მთარგმნელებს მოუხდათ ქართული ენის რესურსებში რთული ლექსიკურ და სინტაქსური ძიება, ნეოლოგიზმების შემოტანაც, რომ ქართული ენის სტიქია “ჯეინ ეარის” ხასიათისთვის დაემორჩილებინათ. ეს ისე უნდა გაეკეთებინათ, რომ ქართულ ენას არ დაეკარგა ბუნებრიობა.

მთლიანად ქართულ ენაზე რომანი ბუნებრივად ჟღერს და ორიგინალის ად-ექვათურ მხატვრულ თარგმანს წარმოადგენს.

ქ-ნები, თამარ მაღრაძე და ზეინაბ ხახანაშვილი მოხერხებულად იყენებენ ქართულ იდიომებს, ხატოვან თქმებს. ზოგჯერ სიტყვათა თამაშიცაა გადმოტანილი. თარგმანში მიგნებულია შარლოტა ბრონტეს სტილი, იქ, სადაც საჭიროა, შემოტანილია ბრონტესეული რთული სინტაქსი და ნათელი აზრი. ძირითადად, დაცულია ქართული წინადადების ბუნებრივი წყობა.

დასკვნა

XXI საუკუნე ღირებულებათა გადაფასების ჟამია. გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას თანამედროვე პირობებში კულტურისა და ცალკეული წარმომადგენლის ურთიერთობას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. დიალოგი აზრთა გაცვლა, ანუ საუბარია. ოდესღაც უფალმა დასაჯა ადამიანები:"აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა უფალმა ისინი დედამიწის ზურგზე"(ბიბლია,1989,20)". მას შემდეგ საერთო ენის, ურთიერთობის მოძებნა ყველა მოაზროვნე ადამიანის სანატრელ ოცნებად იქცა.

XX-XXI საუკუნეების მეცნიერული აზრი აქტიურადაა ჩართული ამ პრობლემის გადაწყვეტაში. ურთიერთგაგების მიღწევის ერთადერთი გზა კულტურული გლობალიზაცია, ლოკალურ კულტურათა გამოცდილების გაერთიანება-ურთიერთშეღწევაა, თარგმანს, ტრანსლაციას უკვე სხვა, ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება: გარკვეულწილად, თარგმანზეა დამოკიდებულ ჩვენი კულტურული ღირებულებებიდან რამდენი რამ და რა სახით შევა ერთიან კულტურულ საგანძურში, როგორ გაიჟღერებს ქართული ენა და პირიქით, ქართული კულტურული მენტალობა კაცობრიობის მრავალხმიან ჰარმონიაში.

მხატვრული თარგმანი ეროვნული ლიტერატურის გამდიდრების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ხშირად სწორედ თარგმანის საშუალებით შემოდის მწერლობაში ახალი მხატვრული ფორმები, ჟანრები, ტენდენციები, იდეები, სახეები. ამავე დროს, მხატვრული თარგმანის ისტორია ორიგინალური მწერლობის განვითარების შესასწავლადაც საინტერესო მასალას იძლევა, რადგან ნათარგმნი თხზულებები კარგად ასახავენ ამა თუ იმ ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკურ თუ იდეურ მოთხოვნილებებს.

ინგლისური ლიტერატურიდან შესრულებულმა თარგმანმა დიდი როლი ითამაშა ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობებში. მთელი ეს

თარგმნილი ლიტერატურაც უნდა განვიხილოთ ეროვნული ლიტერატურის კონტექსტში.

X1X საუკუნის ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსის – შარლოტა ბრონტეს შემოქმედებამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართველ მკითხველთა ცნობიერებაში. მისი რომანი "ჯეინ ეარი" ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. შარლოტა ბრონტეს"ჯეინ ეარის " ქართულად ამეტყველება დაკავშირებულია მთარგმნელობითი ლიტერატურის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთა სახელებთან, როგორიცაა თამარ მაღრაძე და ზეინაბ ხახანაშვილი.

XIX საუკუნის 60-იანი წლების კრიტიკული რეალიზმი, რომელმაც ღრმად და მრავალფეროვნად ასახა თანადროული ეროვნული სინამდვილე, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უდიდესი მონაპოვარია. რადიკალური აზრები მხატვრულ ლიტერატურაშიც შეიჭრა. რეალისტური მეთოდის აუცილებლობა, რომლის გარეშე მწერლობის წინსვლა წარმოუდგენელი იყო, ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამაც დაასაბუთა. ამავე წლებში გადაწყდა ახალი სალიტერატურო ნორმების შემუშავება. აღმავლობა დაეტყო ლიტერატურულ ურ-თიერთობებსაც.

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელმა რომანში კრიტიკულად ასახა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრება, აჩვენა სოციალური უსამართლობანი. მან შექმნა თანამედროვე ინგლისური ყოფის მრავალმხრივი და მართალი სურათები, ტიპური სახეებისა და ხასიათების მთელი გალერეა, წარმატებით განავითარა სოციალურ-რეალისტური რომანის ჟანრი.

შარლოტა ბრონტეს "ჯეინ ეარის" თარგმნა XX საუკუნის II ნახევარში განპირობებული იყო ქართული ლიტერატურის შინაგანი მოთხოვნილებებით, მკვეთრად გამოხატული მიდრეკილებით უცხოენოვანი ლიტერატურული კლასიკის შესათვისებლად. ამდენად, მისი თარგმანი იყო რომანის არა სტიქიური, შემთხვე-ვითი მოვლენა.

საბჭოთა პერიოდში ბრონტეს რომანის თარგმნა ლიტერატურულ კონტაქტთა დიაპაზონის გაფართოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა. რომანში,

რომელიც დედნიდანაა შესრულებული, ვლინდება თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მაღალი დონე.

აღნიშნულ პერიოდში ქართულ რომანისტიკაში მიმდინარეობდა იდეურ-თემატური და სტილისტური განახლების პროცესი,რაც ზრდიდა ინტერესს ბრონტეს ნაწარმოებისადმი.მისი შემოქმედება არაერთ საგულისხმო ტიპოლოგიურ პარალელს პოულობს იმ დროის ქართულ რეალისტურ პროზაში.

თანამედროვე თეორიულ აზროვნებაში თარგმანისადმი ორ განსხვავებულ მიდგომას ასახელებენ: ტრანსლაცია და ინტერპლეტაცია. ერთისათვის პრიორიტეტულია ავტორისეული მენტალობის თავისებურებათა გადმოცემა, მეორისათვის სათარგმნი ტექსტის გათავისება. მთარგმნელობით პრაქტიკაში გავრცელებულია ორივე მიდგომის შეთავსების ინვარიანტები.

იმასაც აღნიშნავენ, რომ თარგმანში შეუძლებელია აბსოლუტური ეკვივა-ლენტურობის მიღწევა, რადგან ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აზრის გადმოცემის ენობრივი საშუალებებით და თარგმანში ჩნდება წინააღმდეგობა მთარგმნელის თეორიულ მოსაზრებებსა და მათი განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებს შორის.

ამდენად, იქმნებოდა თარგმანის შუალედური ტიპი – დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი თავისუფალი ეკვივალენტის ტიპის თარგმანის ელინოფინური მახასიათებლებით.

ისეთი მდიდარი ლიტერატურული გემოვნების ერის წიაღში დაბადებული მწერლის შემოქმედების სხვა ენაზე გადატანა, როგორიც ინგლისია, არ იქნებოდა ადვილი მთარგმენლისთვის, რომლისთვისაც უცხოა ამ ერის ყოფა-ცხოვრება, მხატვრული გემოვნება.

ჩვენი მოსაზრება ქართული მხატვრული აზროვნების შესახებ სავსებით ემთხვევა ამ შეხედულებას. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ როცა თეორია ვერ წყვეტს საკითხს, მაშინ რაც ვერ წყვეტს,სწორედ ის უნდა იქცეს თვით შესწავლის საგნად.

მხატვრული თარგმანის რეალიები ვლინდება მის ესთეტიკურ აღქმაში ზოგჯერ მთარგმნელი ვერ ახერხებს ტექსტის კარგად თარგმანს. მხატვრული თარგმანის ენა შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით დიდად განსახვავდება ყოველდღიური სასაუბრო ენისგან.

თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობაა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. "მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვის განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმენელს დედნის ენის ცოდნის გარდა ეხმარება "რეალური სიტუაციის, ანუ ამ გარეენობრივი სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი. ეს უნარი კი თავის მხრივ, ობიქტური რეალობის ფაქტების ცოდნას ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის"(ფანჯიკიძე,1988.5).

შარლოტა ბრონტეს შემოქმედების შესახებ საუბრისას შეიძლება გამოვიყენოთ გამოთქმა "ტრაგიკული დაძაბულობა", ფაქტიურად,აქ იგულისხმება ერთი მხრივ, ის ემოციური და სულიერი დისკომფორტი, დამთრგუნველი და ხშირად ტრაგიზმის განცდამდე მისული, რომლის ატმოსფეროშიც ცხოვრობენ მისი გმირები და, მეორე მხრივ, დრამატული, ავბედითი, ხშირად უკიდურესად ტრაგიკული ფაქტები და ქმედებები, რაც ამ დრამებში ხდება.

ჩვენი დაკვირვებით, შარლოტა ბრონტეს ცხოვრების ფილოსოფიის მიხედვით, რომელიც მართალია, პირდაპირი, ღია ტექსტით არ არის გამოთქმული, მაგრამ მის რომანშია გამოხატული და ადამიანური ტრაგიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ადამიანის ცნობიერი და არაცნობიერი სწრაფვაა თავისუფლებისკენ.

შარლოტა ბრონტეს თავისი გმირების ცხოვრების მარტო ფაქტები როდი აინტერესებს, მარტო მათი მოქმედების ასახვით როდი კმაყოფილდება, არამედ

ყოველივე ამის გააზრება სურს. უფრო მეტიც, აინტერესებს მათი ხასიათის არამარტო ცალკეული მხარეები, ან ცალკეული ნააზრევი და გადაწყვეტილება, არამედ ის შინაგანი გზა, რომლითაც გმირი საბოლოო შედეგამდე მიდის, მათი მომწიფების მთელი პროცესი. ეს ყველაფერი კი თვალისათვის ყოველთვის შეუმჩნეველია და მხოლოდ ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით ხდება მისაწვდომი.

ამიტომაცაა, მწერალი ღრმად იჭრება გმირის სულიერ სამყაროში და გრძნობების სათავეებს ეძებს. ეს იმდენად ძლიერადაა გამოვლენილი რომანში, შეიძლება ითქვას, მის ერთ-ერთ სიუჟეტურ ღერძსაც კი წარმოადგენს, რადგანაც მასთან დაკავშირებით იხსნება გმირის ხასიათი. ამით აღწევს მწერალი თავისი ძირითადი მიზნის ნათლად გამოხატვას. არამარტო ამახვილებს მკითხველის ყურადღებას თავისი გმირების ხასიათის ამა თუ იმ მხარეზე, არამედ მოქმედების განვითარებასთან ერთად გვიხსნის კიდეც, რომ ეს ასე იყო. ძირითადი პირობა, რამაც განსაზღვრა "ჯეინ ეარის" წარმატება, ეს მთავარი გმირის – ჯეინის დაუდგრომელი, მებრძოლი, მეამბოხე სულია.

რომანის იდეურ პრობლემატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს თავისუფლებისა და არჩევანის თავისუფლების ეგზისტენციალურად გააზრებულ პრობლემებს. მთავარ გმირს – ჯეინს, მორალური დილემის გადაწყვეტა უწევს. მან უნდა გააკეთოს არჩევანი გონებასა და თვითშეზღუდვას, გრძნობასა და მოვალეობას შორის. იგი ირჩევს პირველს. საკუთარ თავზე ბედისწერის გავლენას გრძნობს, საბოლოოდ კი თვითონ მართავს საკუთარ ბედს.

თავისუფლება და ბედნიერება ჯეინისათვის სინონიმებია. მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის საკმარისი გარანტია, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს თავისუფლება, თუ მას არ ახლავს გონებრივი სიმწიფე, განათლება, ცოდნა.

ჯეინი ეძებს თავისუფლებას, რათა თავად იყოს თავისი თავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავის თავს , საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს

ამ რომანს "შინაგანი განცდები" ავსებს. ადამიანური ხასიათების ასახვა, რითაც განსაკუთრებით გაითქვა სახელი ინგლისურმა კლასიკურმა ლიტერატურამ, რჩება

მხატვრულობის მთავარ პრინციპად. ინგლისური სოციალურ-ფსიქოლოგიური პროზა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა რეალისტური საფუძვლიანობით, შარლოტა ბრონტესთან, განვითარების ახალ ეტაპზეც, საგულდაგულოდ აღწერს და გადმოგვცემს ცხოვრებისეულ წვრილმანებს.

მთარგმნელები ამ რთული ფსიქოლოგიური მოვლენების სათანადოდ გადმოსაცემად რიტმულ სახეს აკავშირებენ აზრის გამოხატვის სინტქსურ საშუალებებთან, რადგანაც ისინი პირველად თარგმნიან მოცემულ ფრაზებს და არა მთელ რომანს ერთბაშად. მათ საქმე აქვთ ფრაზის ვიწრო კონტექსტთან, რომელსაც, ცხადია, ფართო მნიშვნელობით წარმოადგნენ. მითუმეტეს, ვიცით, რომ ინგლისურს ახასიათებს მოკლე ფრაზები. მაგრამ საქმე ფრაზის სიგრძე კი არ არის, არამედ მისი რიტმული სახე, რომელიც მაქსიმალური სიზუსტითაა გადმოღებული ქართულად, ამასთან ის სრულყოფილად გადმოსცემს ავტორის სათქმელს.

“ჯეინ ეარის” აღწერითი პასაჟები, იმავდროულად, თხრობის ფორმას წარმოადგენს. დიალოგებიც აღწერითი ხასიათისაა. რომანი მთლიანი და განუყოფელია. განვითარების კვალდაკვალ ნათელი ხდება, რომ ყოველი ცალკეული ნაწილი შეიცავს სხვა ნაწილების რაღაც ნიშანს.

მხატვრული კომპონენტების ერთიანობა, რომანის მთლიანობის მიღწევის გზები, კომპოზიციის გააზრება მხოლოდ შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ამ რომანის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ძიების გზაა.

ნებისმიერი ტექსტის სხვა ენობრივ კულტურაში სრულყოფილი ტრანსლაცია, თარგმნა რეციპიენტის მშობლიური ენის კოდირების სისტემაში მის გადაყვანას გულისხმობს. მთარგმნელისაგან ეს პროცესი არა მხოლოდ ლექსიკური შესატყვისების მოძიებას გულისხმობს, არამედ აუცილებელია ერთი კულტურული მენტალობის სხვა კულტურისათვის ჩვეულ კონსტრუქციებში გადაყვანა, ტრანსლაცია, თარგმნა, კულტურული კონცეპტების კონოტაციური ველების სხვაობათა გათვალისწინება, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს სათარგმნი ტექსტის

ეროვნული კულტურისათვის დამახასიათებელი ვერტიკალური კონტექსტი, ავტორისეული ტექსტის მრავალმნიშვნელობა, ემოციური შთამბეჭდაობა.

რა თქმა უნდა, ამ პროცესს ახლავს გარკვეული დანაკარგები. თარგმანის თანამედროვე თეორიულ გააზრებაში რომელი უფრო პრიორიტეტულია, შინაარსი თუ ავტორისეული სტილის გადმოცემა, ტექსტის კულტურული კონტექსტის გადმოცემის პრობლემაც დაემატა.

რომანის სტრუქტურა წრიულობითაა ნიშანდობლივი. საწყისი ფაქტიდან იწყება პერსონაჟთა მოძრაობა და წრიულობის პრინციპით მიმდინარეობს. წრე იქ იკვრება, სადაც დასასრულს ახალი დასაწყისი ჩაენაცვლება(ჯეინის წასვლა სახლიდან და კვლავ როჩესტერთან დაბრუნება).

სიმბოლიზიაცია ქვეცნობიერთან მისასვლელად საუკეთესო გზაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მრავალმხრივად შევიცნოთ მწერლის არსი, მისი ცნობიერების ნაკადი.

ლიტერატურას ახასიათებს ქვეტექსტები, ისევე როგორც ადამიანს, თითქოსდა, გაუაზრებელი საქციელი, რომელიც თავიდან ბოლომდე ცვლის ცხოვრებას, სწორედ ასეთ მინიშნებად იქცა ჯეინისთვის ეს “არსაიდან” მოსული ხმა, (ქვეცნობიერის დაჟინება) რომელმაც იგი თავის თავთან, მძიმე, მაგრამ ერთადერთ და აუცილებელ წარსულთან დააბრუნა, მივიდა იქ, სადაც ელოდნენ, სადაც მხოლოდ მის ყოფნა არ ყოფნაზე იყო დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ არსებობასღა ინარჩუნებდა.

ეს ყოველივე შარლოტა ბრონტეს აზროვნების მანერის უმთავრესი მახასიათებელია, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, იმას, რომ ადამიანმა ზუსტად იპოვოს თავისი თავი და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება. ალბათ სწორედ ამიტომ იქცა მისი რომანის გმირი მისაბაძ მაგალითად, ვინ იცის, იქნებ თავადაც ჯეინში იპოვა საკუთარი თავი, რეალურ ცხოვრებაში ამა თუ იმ მიზეზით მიუღწეველ სურვილებს ჯეინის პერსონაჟის საშუალებით მისცა არსებობის უფლება.

დაკვირვებული, მაღალჰუმანური მწერალი გულისყურით, სისათუთით და ზოგჯერ მახვილი სატირისტის თვალითაც აღწერს ამა ქვეყნის პირველთა– წუთისოფლის კიბეზე აღზევებულთა და უკანასკნელთა – ამავე წუთისოფელში დაჩაგრულ-გარიყულთა – ათასნაირი ჭირ-ვარამით აღსავსე ცხოვრებას.

ბრონტესათვის უცხოა სქემატიზმი და მშრალი მორალისტური განსჯანი. თითქმის მთელი რომანი მაღალ საზოგადოებრივ, ზნეობრივ, საერთოდ, მაღალ ადამიანურ საკითხებს ეძღვნება, მაგრამ ყოველივეს დიდი სითბო და დიდი ლირიზმიც ახლავს.

ბიბლიასა და სახარებაზე დაყრდნობით, გერმანელი ფილოსოფოსი ნიკოლოზ კუზანელისათვის ადამიანი მიკროსამყაროა, “მეორე ღმერთია”, რომელსაც გარკვეული აზრით შემოქმედების უნარი აქვს. ადამიანი “ცოტათი ნაკლებია” ანგელოზებზე მისი ყოველგვარი აქტივობა ღმერთისაკენ, როგორც ყოველივე არსებულის მიზეზისა და საფუძვლისაკენ არის მიმართული. მას მიაჩნია, რომ ადამიანის სული რაღაც მარადიულს შეიცავს და ამიტომ შეუძლია ნაწილობრივ მაინც მიხვდეს მარადიულს. ადამიანი დაუსრულებლად უახლოვდება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იგი ჩვენთვის მაინც მუდამ დაფარული რჩება. ადამიანის უკვდავ სულს შეუძლია განჭვრიტოს დაპირისპირებულთა ერთიანობა. აქ სწორედ მისტიკური მომენტია მოცემული.

ცნობილი რუსი მისტიკოსი და თეოსოფი ვ. სოლოვიოვი მისტიციზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: “მისტიციზმი არის მოვლენების და მოქმედებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც სივრცის, დროის და ფიზიკური პირობების განუსაზღვრელად ადამიანს სამყაროს საიდუმლო არსებებთან და ძალებთან აკავშირებს” (Энциклопедический словарь,1896,454).

ამერიკელი მეცნიერის უ. ბუტის მოსაზრებით, “თხრობის ნებისმიერი ტიპი ფასეულია არა თვითონ თავისთავად, არამედ იმის მიხედვით, რამდენად ემსახურება იგი მწერლის ჩანაფიქრს, მისი იდეის გახნას. Mმეცნიერი ხაზს უსვამს, ავტორის

უფლებას – აირჩიოს ნაწარმოების პოზიციის გამოხატვის ფორმები სტილის, ტონის, ხასიათების, ეპიზოდების შერჩევის მეშვეობით და დასძენს, რომ ნაწარმოებიდან მისი

სრული გაქრობა შეუძლებელია”(Boothe,1968,20).

როდესაც "ჯეინ ეარის" თარგმანს ვიხილავდით, თარგმანის ენას ანგარიშს ვუწევდით ისევე, როგორც ორიგინალური რომანის შექმნისას, რადგან მთარგმნელი ისევე ეძებს სიტყვებს როგორც ავტორი. მთარგმნელი იდეის სპეციფიკას, დედნის სტრუქტურას ემყარებოდა და, აქედან გამომდინარობდა. ამავე დროს, თარგმანი შემოქმედებით პროდუქტად ითვლება, რადგან დაცულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. კარგადაა გამოვლენილი ენის დამოკიდებულება ასასახავ საგანთა მიმართ. ყოველივე ამას კი შარლოტა ბრონტეს რომანის ქართული თარგმანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ადამიანის შინაგანი ბუნების, მისი ფსიქიკის, სულიერი სამყაროს ღრმად წვდომისა და წარმოსახვის ამოცანა ყველა დროისა და მიმართულების მწერლობის ძირითად ამოცანას შეადგენდა. "ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურის ჰუმანისტური ამოცანა სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა მიმართულების მწერლობაში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. მწერლები ამ მხრივ ერთსა და იმავე მხატვრულ მიზნებს არ ისახავდნენ. ადამიანის სულიერი სამყაროს წვდომის მხატვრული საშუალებანი ინდივიდუალური ჰქონდა შარლოტა ბრონტესაც.

მწერალს თითქოს მარტო სიუჟეტი, ამბავი, ტრადიციულად გაგებული ხასიათის მთლიანობა კი არ აინტერესებს, აღარ ხატავს თავისი ქცევებით ადვილად საცნობ, სისხლსავსე ცხოვრებისეულ ტიპაჟს საყოფაცხოვრებო აქსესუარებითა და ანტურაჟით, არამედ ცნობიერების დეტალური აღწერით უფრო ახლოს მიდის ადამიანთან, მის არსებასთან.

მთარგმნელებმაც ძირითადი ყურადღება მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებზე, მხატვრულ ფორმებზე გაამახვილეს.

მთარგმნელი რიტმულ სახეს აკავშირებს აზრის გამოხატვის სინტაქსურ საშუალებებთან, რადგან იგი პირველად თარგმნის მოცემულ ფრაზას და არა მთელ

რომანს ერთბაშად, მას საქმე აქვს ამ ფრაზის ვიწრო კონტექსტთან, რომელსაც, ცხადია, წარმოადგენს ფართო კონტექსტთან კავშირში, მით უმეტეს, ვიცით, რომ ინგლისურს უყვარს მოკლე ფრაზები, მაგრამ საქმე ფრაზის სიგრძე კი არ არის, არამედ მისი რიტმული სახე, რომელიც მაქსიმალური სიზუსტითაა ქართულად გადმოღებული.

ზოგან თარგმანის სტილი შეცვლილია, ამბავთა თანმიმდევრობა კი უცვლელი. სტილის ცვლილება თხრობის რიტმის შეცვლამ გამოიწვია. დაიკარგა თანმიმდევრული დინამიკა, მიზანსწრაფვა, აღარ იგრძნობა დრამატული დასასრული, მაგრამ ეს ცვლილება უბრალო შეცვლა არ არის ერთი მხატვრული სტილისა მეორე მხატვრული სტილით, არამედ არსებითი მხარის გადმოცემაა არამხატვრული თხრობის საშუალებით.

მაგალითებში ჩანს დედანში ნაგულისხმები მთელი კონტექსტი. თარგმანს საფუძვლად უდევს კონტექსტის აზრი, რომლის უკან დგას სინამდვილე. ეს ყველაფერი ნაგულისხმებია ერთსიტყვიანი წინადადებების თარგმანში და ამ აზრითაა განმეორებული დედნის ინტონაციაში.

რომანის სიუჟეტი კიბისებურად ვითარდება და საბოლოო მიზანთან მისასვლელად ვერც ერთ საფეხურს ვერ გამოვტოვებთ. ამ რომანის სიუჟეტს შეიძლება სპირალურიც ვუწოდოთ და გავყოთ შიდა და გარე სიუჟეტებად. გარე სიუჟეტში არის ერთგვარი შემკვრელი ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია შიდა, რომანის ძირითადი ამბავი.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შესატყვისი იმ შემთხვევაში, როდესაც ფრაზეოლოგიზმს აქვს რამდენიმე სტილური ელფერი, სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობა. ეს ყოველივე, თავისთავად, გაუთვალისწინებიათ თარგმანისას. მისი ერთ-ერთი კომპონენტი შეუცვლიათ სინონიმით და იდიომი გამოუხატავთ შესაფარდით.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური იდიომატიკა სემანტიკურ თავისებურებებთან შედარებით პრიორიტეტს ანიჭებს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურულ ნიშან-თვისებებს. ჩვენი ქვეყნის მეცნიერები ამ საკითხთა გადაჭრისას ძირითადად

ყურადღებას ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკურ, ინგლისელები კი – სტრუქტურულ მხარეზე ამახვილებენ.

ქართული თარგმანი მთლიანი ნაწარმოების კვლავ წაარმოქმნაა და არა ცალკეულ მხატვრულ გამოთქმათა ჯამი. მხატვრული და ფსიქოლოგიური პრობლემატიკის ამოსავალიც ეს ესთეტიკური მთლიანობა უნდა იყოს, რომლის კვლავწარმოქმნა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის წიაღშია შესაძლებელი, ცალკეული ოპერაციები კი ამ პროცესის მხოლოდ მომენტებია.

თარგმანი სიტყვიერი ხელოვნების თავისებური, განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სახეა. ვ. ვინოგრადოვის განსაზღვრებით, ეს ხელოვნება "მეორეულია". მთარგმნელის შემოქმედებითი თავისებურება ორიგინალითაა შეზღუდული. "სრული იგივეობა ორიგინალსა და თარგმანს შორის არ შეიძლება არსებობდეს. ორგინალი მწერლის ინდივიდუალური შემოქმედების ერთადერთი და განუმეორებელი მატერიალური შედეგია. ამავე დროს ეროვნული სიტყვიერი ხელოვნების ნაწილი. თარგმანი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ადექვატური. იგი შეიძლება უსასრულოდ უახლოვდებოდეს დედანს, მაგრამ არასოდეს არ შეერწყმის მას, რადგან ჰყავს თავისი შემოქმედი, აქვს თავისი ენობრივი მასალა და თავისი ცხოვრება ენობრივ, ლიტერატურულ და სოციალურ სფეროში, რომელიც განსხვავდება ორგინალის სფეროსაგან" .(Виноградов, 1978,8)

მთარგმნელობითი საქმიანობა მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობაა. მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე დგას. ჩვენი აზრით, თარგამანის დროს სიტყვის გამოტოვებამ, სხვა სიტყვებით შეცვლამ ან ჩამატებამ არ უნდა დაამახინჯოს მშობლიური ენა. პირიქით, შეიძლება მოუხდეს კიდეც. ამ გზით იქმნება მხატვრული თარგმანი, რომელიც კავშირს ამყარებს ავტორსა და ნათარგმნის მკითხველს შორის. სხვანაირად შეუძლებლად მიგვაჩნია თარგმანის სხვა ხალხის კულუტურის, ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

შემოქმედ-მთარგმნელმა სწორად უნდა გააკეთოს არჩევანი, აირჩიოს სათარგმნი მასალა და თავისებურად გადმოსცეს საკუთარ ენაზე. ესე იგი ვერ უარვყოფთ

მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილს.მთარგმნელმა თარგმნისას უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ხალხის რწმენა, ტრადიციები და ა. შ. ვფიქრობთ, ეს უნდა მოხდეს არა კულტურის, არამედ ენის დონეზე.

თუ მთარგმნელის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება რაღაც, მაშინ სასურველია გაითვალისწინოს თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები და ისე შეარჩიოს სათარგმნი მასალა. ყოველივე ზემოთთქმული ზედმიწევნით აქვთ გათვალისწინებული “ჯეინ ეარის” მთარგმნელებს.

საკვალიფიკაციო მუშაობისას ყურადღება გავამახვილეთ საკუთრივ შინაარსის დიფერენციაზეც, რამაც საშუალება მოგვცა მისი ელემენტები კვლევის საგნად გაგვეხადა როგორც თარგმანში, ისე დედანში. მაგალითად, გამოვიკვლიეთ, როგორ გადმოდის თარგმანში შინაარსის შემდეგი ოთხი ელემენტი:

ა) შინაარსობრივ-ფაქტისმიერი ინფორმაცია, ანუ ინფორმაცია რეალურ თუ წარმოსახვით სინამდვილეში არსებული ფაქტების,მოვლენებისა და პროცესების შესახებ;

ბ) შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, რომელიც გადმოგვცემს ორ ფენომენს შორის არსებულ ურთიერთობათა ინდივიდუალურ, ავტორისეულ გაგებას;

გ) შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია;

დ) შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია.

მთარგმნელები შეიჭრნენ დედნის სიღრმეში გაიგეს ქვეტექსტი გაითვალიწინეს ყველა ელემენტის სემანტიკურ-სტილისტური მხარე, რომელიც უკავშირდება ინტონაციურ მომენტს, მას რომანში ხშირად შეესაბამება ემოციურ აზრობრივი მხარეც. საჭირო იყო გაეგოთ ყველა სიტყვა როგორც დამოუკიდებლად, ისე ურთიერთმნიშვნელბით, განესაზღვრათ მათი ადგილი მთელთან მიმართებაში. მთავარი მაინც ის არის, რომ შეიცნეს ყოველი მხატვრული კომპონენტის არსი, შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ძიებანიც კი გამოიყენეს. ამიტომაც მიაგნეს აუცილებელსა და მთავარს. შარლოტა ბრონტეს რომანის დედანი იქცა ობიექტური

ასახვის საგნად. შედეგად მივიღეთ ადექვატური ასახვა. ეს მომენტი სრულიადაც არ აუქმებს მთარგმნელების სუბიექტურ დამოკიდებულებას. როგორც ცნობილია, მხატვრული სახე მოიცავს როგორც სუბიექტურს, ასევე ობიექტურ მომენტს. მთარგმნელების ობიექტურ საგანს წარმოადგენდა დედანი, რომელიც ორივე მხარეს აერთიანებს.

ტიპოლოგიური კვლევა სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა მოვლენების ადეკვატურობას გულისხმობს. შარლოტა ბრონტეს შემოქმედება თავისი ცალკეული გამოვლინებებით და ქართული კრიტიკული რეალიზმის არაერთი საუკეთესო ნიმუში, თავიანთი ინდივიდუალური და ეროვნული სხვაობების მიუხედავად, უფრო მაღალი რანგის სტრუქტურულ დონეზე ზეეროვნული, ლიტერატურათშორისო ხასიათის კანონზომიერებათა ადეკვატურ გამოხატულებას წარმოადგენს.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საფუძველზე უფრო ნათლად იკვეთება ინგლისური და ქართული კრიტიკული რეალიზმის ზოგადი და კერძო თავისებურებანი.

ასეთი ორმხრივი ხასიათის კვლევა ეროვნული ლიტერატურათა კომპლექსურ შესწავლასაც უწყობს ხელს და გვეხმარება უფრო ცხადად დავინახოთ როგორც დომინანტური კონსტანტები, ასევე კერძო, ინდივიდუალური ნიშნებიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება თამამად ითქვას, რომ "ჯეინ ეარის" მთავარი ღირსება მისი მხატვრულობის სრულყოფასა და სტილის ერთიანობაშია. ეს არის შარლოტა ბრონტეს ძლიერი ქმნილება, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ წარმოდგენებს ცხოვრებასა და ადამიანზე. ყოველივე, რაც ინგლისურენოვან რომანზე ვთქვით, წარმატებულადაა განხორციელებული ქართულ თარგმანში, ეს კი მთარგმენლების არაჩვეულებრივ ნიჭსა და ენის ცოდნაზე მეტყველებს. მათ თანაბარი სრულფასოვნებით იციან ორივე ენა და სიტყვას თანაბრად ფლობენ ორივე ენაზე.

პოეტური ხატის თეორიის ცოდნამ და ჯეროვანმა გათვალისწინებამ მთარგმნელებს ახალი პერსპექტივები გადაუშალა დედნის მაღალმხატვრული ტრანსფორმაციისათვის. ხატის შესაფერისი დეფინაცია და შემდგომ მისი მართებულად გადმოტანა თარგმანში დედნისეული შინაარსისა და ექსპრესიულობის შესანარჩუნებლად ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო. ამდენად, აქტუალურია პოეტური ხატი და თარგმანში მისი ტრანსფორმაცია.

პოეტურ ხატს, როგორც ზესემანტიკური ინფორმაციის მატარებელსა და ემოციურ-ესთეტიკური ეფექტის წყაროს მთარგმნელებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რათა სწორად გადმოეცათ ის აზრი და ემოციები, რაც დედანში იყო ჩაქსოვილი.

თარგმანში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ბრონტეს მსოფლმხედველობა,ეპოქ-ის მისეული გააზრება,სილამაზისა და სიმახინჯის, სინათლისა და სიბნელის, ერთგულებისა და მუხანათობის, ერთი სიტყვით, კეთილ და ბოროტ საწყისებს შორის ჭიდილი. რომანის მთარგმნელების წინაშე იდგა ურთულესი და მეტად საპატიო ამოცანა – მთელი თავისი სიმდიდრითა და ელვარებით გადმოეცათ მასში განივთებული ბრონტესეული სამყარო.

დედნისეული პოეტური ხატი რომ არ გაეუფერულებინათ და არ დაემძიმებინათ, მთარგმნელები ღრმად ჩასწვდომიან დედნის თითოეულ სიტყვას, გამოთქმას, ფრაზის შინაარსს, მათ ემოციურ დატვირთვას. ეს კიდევ ყველაფერი არ არის. მათ გაუთვალისწინებიათ ინგლისის გეოგრაფიული გარემო და კლიმატური თავისებურებანი, ინგლისის ტრადიციები, მათი ყოფითი დეტალებიც კი.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართველი მთარგმნელები ზუსტად მიჰყვებიან ინგლისურს, თუ არ ჩავთვლით მცირე ადაპტაციას, რომელიც არ არღვევს სიუჟეტის მთლიანობას.

არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტსაც, რომ ქართველი მთარგმნელები იცნობდნენ რუსულ თარგმანსაც, რომლის გავლენა ქართულ ტექსტზე საერთოდ არ შეინიშნება.

მთარგმნელებმა თავი გაართვეს რომანის სრულყოფილად თარგმნის სტილისა და აზრის ქართულად გარდასახვის ურთულეს ამოცანას, მის მხატვრულ სახეთა

სინატიფისა და აზრის სიღრმის სრულყოფილად გამომჟღავნებას. მათ ეს რომანი გაგებული აქვთ, როგორც სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანური სტიქიის გამომხატველი რომანი, სადაც მწერლის მზერა მუდამ გმირის სულის ჩვენებაზეა გადატანილი.

ცივილიზაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ არც ერთი ეროვნული კულტურა არ განვითარებულა, არ დაწინაურებულა იზოლირებულად, სხვა ერების კულტურულ მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისების გარეშე. აქედან ცხადია, მხატვრული თარგმანის როლი და მნიშვნელობა ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებაში.

თანამედროვე ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობები მრავალი ფორმით ხორციელდება. ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფაქტების მოძებნას, შესწავლას, განზოგადებას, ლიტერატურული კონტაქტების როლის წარმოჩენას დიდი ყურადღება ექცევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი,1988 – ნ.ანდრონიკაშვილი, რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი,თბ.,1988წ.
2. ანკუდინოვი,1998–კ.ანკუდინოვი, თანამედროვე ლიტერატურული პროცესის თავისებურებანი, “ალტერნატივა”,№13, თბ., 1998წ.
3. ასათიანი,1960 – ლ.ასათიანი, ლიტერატურული წერილები, ნარკვევები ინგლისი და საქართველო,თბ.,1960წ.
4. არისტოტელე,1954 – არისტოტელე, პოეტიკა, 1954წ.
5. ბაქრაძე,1999 – მ.ბაქრაძე, სელინი, ალტერნატივა,№6,თბ., 1999წ.
6. ბეზარაშვილი,2004 – ქ.ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, მეცნიერება,თბ.,2004წ.
7. ბენაშვილი,1994 – ც.ბენაშვილი,ინგლისური რომანტიკული პოეზია და XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, სადისერტაციო მაცნე, ფილ. მეც. კანდიდატისხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი შრომა,თბ.,1994წ.
8. ბერდიაევი,2001 – ნ.ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, ლოგოსპრესი, 2001წ.
9. ბერდიაევი,1998 – ნ.ბერდიაევი, სწავლება გარდასახვის შესახებ და ადამიანის პრობლემა, ალტერნატივა,№7,1998წ.
10. ბიბლია,საქართველოს საპატრიარქო, თბ.,1989წ.
11. ბრონტე,1964–შარლოტა ბრონტე, “ჯეინ ეარი”, თბ.,1964 წ.
12. ბურჯანაძე,1992 – ქ.ბურჯანაძე, მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები,თბ., 1992წ.
13. ბჟალავა,1960 – ი.ბჟალავა, აღქმა და განწყობა, თბ., 1960წ.
14. გაჩეჩილაძე,1985 – გ.გაჩეჩილაძე,ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები, მეცნიერება, თბ.,1985წ.

15. გაჩეჩილაძე,1941 – გ.გაჩეჩილაძე, თანამედროვე ინგლისური ბურჟუაზიული რომანის ძირითადი საკითხები გოლსურთის “ფორსაიტების ქრონიკებში”, თბ.,1941წ.

16. გაჩეჩილაძე,1959 – გ.გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმანის პრობლემა,თბ., 1959წ.

17. გაჩეჩილაძე, 1966 – გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966წ.

18. გაჩეჩილაძე,1960–გ.გაჩეჩილაძე,მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის დასავლეთსა და რუსეთში,მნათობი, №3,1960წ.

19. გაფრინდაშვილი, 1987 – ნ.გაფრინდაშვილი; მ.ოძელი, ნარკვევები ლიტერატუ-რულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, თბ., 1987წ.

20. გამრეკელი,1996–ნ.გამრეკელი;ე.მგალობლიშვილი,ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი,თბ.,1996წ.

21. გამსახურდია, 1982 – ზ. გამსახურდია, ”ვეფხისტყაოსნის” სტივენსისეული თარ-გმანი, მაცნე, -ელს., თბ., 1982წ.

22. გამსახურდია, 1978 – ლ. გამსახურდია., ჰამლეტის მხატვრული სახის ინტერპრე-ტაცია და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებანი,წიგნში: ქართული შექსპი-რიანა, ტ. V, თბ., 1978წ.

23. გამყრელიძე, 1964 – ა. გამყრელიძე, უ. თეკერეის “ამაოების ბაზარი”, ქართული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, წ.2, თბ., 1964წ.

24. გამყრელიძე,1982– ა.გამყრელიძე,წერილები, თბ., 1982წ.

25. გემაზაშვილი, 1966 – ი. გემაზაშვილი, შარლოტა ბრონტე მე-19 საუკუნის ინგლისელი რომანისტი, საქართველოს ქალი, №7, თბ., 1966წ.

26. გუგუნავა, 1989 – ლ. გუგუნავა, ჰამლეტის სახე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, კრიტიკა, №6, თბ., 1989წ.

27. დანელია,1972 – მ.დანელია, ეთიკის პრობლემა ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველაში, “ცისკარი”, №6, თბ.,1972წ.
28. დანელია,1980 – მ.დანელია, ჟანრის საკითხი ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველაში, “მაცნე”, №2, თბ.,1980წ.
29. დვალიძე,2001 – ნ.დვალიძე,პუბლიცისტური ტექსტის თხრობითი დინამიკის ლინგვისტური ორგანიზაცია (ინგლისურენოვანი ესსეს მაგალითზე) ავტორეფე-რატი ფილოლოგიის მეც. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001წ.
30. დანელია, 1972 – მ. დანელია, წარსულის ასახვა უილიამ ფოლკნერის ფსიქოლო-გიურ ნოველაში, “მაცნე”, №3, თბ.,1972წ.
31. ებრალიძე, 2006 – ლ. ებრალიძე, პოეტური ხატი და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში, თბ., 2006წ.
32. ებანოიძე 2009 – თ.ებანოიძე, ოჰ, ეს გენიოსები, “ხელეური”, №2, თბ., 2009წ.
33. ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის II ნახევარში, სტატიების კრ.,თბ.,1979წ.
34. ეიკიკი,1984 – კონრად ეიკიკი, რომანი უილიამ ფოლკნერისა, “ლიტერატურული საქართველო”,თბ.,4.5.1984წ,
35. ეიტგენშტაინი, 1998 – ლ. ეიტგენშტაინი, აზრები, “ალტერნატივა”, №7,თბ., 1998წ.
36. ენუქიძე,1984 – რ.ენუქიძე, დროულ სივრცულ მიმართებათა ლინგვისტური ორგანიზაცია მხატვრულ ტექსტში, თსუ, თბ., 1984წ.
37. ენუქიძე,1990– რ.ენუქიძე, ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა,თსუ გამომცემლობა, თბ.,1990წ.
38. ვერლი,1957– მ.ვერლი, ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა, მოსკოვი,თბ.,1957წ.
39. ვულფი,1988– ვ.ვულფი, ესეები,თბ., 1988წ.
40. თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიების კრიტიკა,თბ.,1968
41. თაყაიშვილი,1961 – ა.თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიზმების საკითხი-სათვის, თბ.,1961წ.
42. თითმერია,1979– ჯ.თითმერია, დრო, ფიქრი, სიტყვა,თბ., 1979წ.

43. თოფურიძე,2003– ც.თოფურიძე, რომანი, როგორც ფენომენი და მისი ნომინაცია ანგლოსაქსურ და ქართულ სამყაროში, თბ.,2003წ.

44. თოფურძე,1984– ე.თოფურიძე, უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკა, თბ.,1984წ.

45. თოფურიძე,1982– ე.თოფურიძე, მითი ფოლკნერის შემოქმედებაში და "იოკნაპატოფას საგა", "მნათობი", №10, თბ., 1982წ.

46. თოფურიძე,1990– ე.თოფურიძე, ფაუსტის სახის გაგებისათვის, "მნათობი", №3, თბ.,1990წ.

47. თურნავა,1982– რ.თურნავა,ჯორჯ ჰიუტი და მისი თარგმანები, ლიტერატურული საქართველო, თბ., 5.1. 1982წ.

48. იაშვილი, 1990– პ.იაშვილი, მხატვრული სტილი და თარგმანი, მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1990წ.

49. კაკაბაძე, 1990 – ვ. კაკაბაძე, განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა, მეცნიერება, თბ., 1990წ.

50. კვარაცხელია, 1995 – გ.კვარაცხელია,მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თსუ, თბ., 1995წ.

51. კეკელიძე, 1957 – კ.კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,ტ. V, თბ.,1957წ.

52. კიკნაძე, 1983 – ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიორთობების ისტორიიდან, მნათობი,№9, თბ.,1983წ.

53. კილაძე, 1989 – ზ.კილაძე, კაცი და იდეალი, "კრიტიკა", №1, თბ.,1989წ.

54. კილაძე,1974–ზ.კილაძე, ფორმის საკითხისათვის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში, "ცისკარი", №2,თბ., 1974წ.

55. კილაძე,1984– ზ.კილაძე, უილიამ ფოლკნერის და ალბერ კამიუს ტრაგედია, "მნათობის", №5,1984 წ.

56. კობახიძე,1986– თ.კობახიძე, თომას ელიოტის პოემის ქართული თარგმანი, "კრიტიკა", №3, თბ., 1986წ.

57. კოგანი,1983– ვ.კოგანი, ბატაევი ვ., პიროვნება და ფსიქოლოგიური სიჯანსაღე, “საბჭოთა საქართველო”, თბ.,1983წ.

58. კოპლატაძე,1957– თ.კოპლატაძე, ჭუმბურიძე ზ., ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში, “მნათობი”, №2, თბ., 1957წ.

59. კუინდრო,1985– ედგარ მორის კუიდორი, “ხმაური და მძვინვარების” ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობა, “ლიტერატურული საქართველო”,თბ., 12.6.1985 წ.

60. ლაშქარაძე, 1988 – დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერა-ტურაში, წიგნიდან: ლიტერატურული მერიდიანები,თბ.,1988წ.

61. ლივერპულის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები თემაზე:”თარ-გმანის ლინგვისტიკა, კრებული,1995წ.

62. ლილუაშვილი, 2010 – ს. ლილუაშვილი, მწერალი, “ზომონდი”, №2, თბ., 2010 წ.

63. ლოლაძე, 2006 – მ. ლოლაძე, ფოლკნერის რომანების თარგმანები, თბ.,2006 წ.

64. მამარდაშვილი, 2000 – მ. მამარდაშვილი, აპრილი, №14, თბ., 2000 წ.

65. მაღრაძე,1979– ე. მაღრაძე, გულითა მართლით, თბ.,1979წ.

66. მაღრაძე,1955– ე. მაღრაძე,კარგი თარგმანი, მნათობი,№3,თბ.,1955წ.

67. მერაბიშვილი, 2005–ი. მერაბიშვილი, პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, საქართველოს ბაირონის საზოგადოება, თბ., 2005წ

68. მორუა,1988– ა.მორუა, ლიტერატრული წერილები, თბ.,1988წ.

69. მორჩილაძე, 2008– ა.მორჩილაძე, ჩემი მაგარი გოგოები, “ცხელი შოკოლადი”, ლიტერატურული დამატება, მარტი,თბ.,2008წ.

70. ნადირაშვილი, 1975 – შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975წ.

71. ნათაძე, 1996 – მ. ნათაძე, სიმბოლო (არსებობის და ფუნქციონირების მექანიზმი), “მოამბე”, №1,1996 წ.

72. ნათაძე, 1986 – მ. ნათაძე, ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგ-მანის შეპირისპირების ლინგვოსტილისტური პრობლემები, თბ.,1986წ.

73. ნათაძე, 1975 – მ. ნათაძე, ინგლისურ-ქართული თარგმანის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975წ.
74. ნაიდა, 1982 – ი. ნაიდა, თარგმანის ხელოვნებისათვის, “ლიტერატურული საქართველო”, თბ., 10.9.1982წ.
75. ნიკოლაძე,1999– ნ. ნიკოლაძე, ამერიკის სამხრეთული ლეგენდა, “დილის გაზეთი”, 9 ნოემბერი, თბ.,1999წ.
76. ნიჟარაძე, 1993 – გ. ნიჟარაძე, რომანის ჟანრული თავისებურება, “ცისკარი”, №2, თბ., 1993წ.
77. ნორაკიძე, 1972 – ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა, თბ., 1972წ.
78. ონიანი,1988–ალ.ონიანი, ქართული იდიომები, თბ.,1988წ.
79. ოძელი,1983 – მ. ოძელი, “ვეფხისტყაოსნის” ინგლისურად მთარგმნელი ქალები, სამშობლო, №5, თბ., 1983წ.
80. ოძელი, 1989– მ.ოძელი,ჩარლზ დიკენსი დაუილიამ თეკერეი ქართულ ლიტერატურაში,თბ.,1989წ.
81. ოძელი, 1981– მ.ოძელი,ჩარლზ დიკენსის ფრაზეოლოგიის ქართული ეკვივალენტები, უცხოური ენები სკოლაში, №1, თბ., 1981წ.
82. ჟორდანია,1998– ს.ჟორდანია, კრიტიკის ფილოსოფია,თბ., 1998წ.
83. რევიშვილი, 1987 – შ. რევიშვილი, ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბ., 1987წ.
84. რუხაძე, 1960 – ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XV1-XV111 ს., თბ., 1960წ.
85. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ნ. 2,თბ., 1985წ.
86. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საზღვარგარეთ,რეფ. ჟურნალი, სერ. 6, ენათმეცნიერება, №2, თბ., 1977წ.
87. საყვარელიძე, 1996 – ნ. საყვარელიძე, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პრობლემა, დისერტაცია, თსუ, 1996წ.

88. სახოკია,1953–1955– თ.სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა – თქმანი, ტ. 1,2,3,თბ.,1953-1955წ.

89. სტივენსონი,1984– რ.სტივენსონი, პასუხი “ვეფხისტყაოსნის” ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე, მაცნე, №2,1984წ.

90. ტაბიძე,1957–ო.ტაბიძე, შეგრძნებების ურთიერთობის პრობლემისათვის ფსიქლოგიაში, სამეც. აკადემია, თბ.,1957წ.

91. ტენკოკი1958–ლ.ტენკოკი,სტილისზოგიერთი პრობლემა ფრანგულიდან თარგმანისას, კრ.თარგმანის ასპექტები,ლონდონი,1958წ.

92. უბილავა,1983 – ნ. უბილავა, ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანე-ბი, ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი, კრ., თბ., 1983 წ.

93. უბილავა,1981–ნ.უბილავა–ანდრონიკაშვილი,ინგლისური ლიტერატურის ქართული მთარგმნელები,(1920-1980), წიგნში: ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში,თბ.,1981წ.

94. უორდროპი,1976– ო.უორდროპი,”ვეფხისტყაოსნის” ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, კრებულში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში,თბ.,1976 წ.

95. ჭაბაშვილი, 1973 – მიხ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ”განათ-ლება”,თბ.,1973წ.

96. ფანჯიკიძე,1988– დ.ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ.,1988წ.

97. ფანჯიკიძე,1980– დ.ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,1980წ.

98. ფარეიშვილი, 1982– ო.ჩარლზ დიკენსი,თბ.,1982 წ.

99. ფოცხვერაშვილი, 2006– ნ.ფოცხვერიშვილი, ინგლისური ლიტერატურის ისტორია,თბ., 2006 წ.

100. ფურცელაძე, 1998– ვ.ფურცელაძე, ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება, 2 ნაწილად, “სამშობლო”, თბ., 1998წ.

101. ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ.,1986 წ.

102. ქარუმიძე, 1984 – ზ. ქარუმიძე, პ. შევარდნაძე, თ. კობახიძე, პოეტური ხატის მემკვიდრეობითობა, ჯონ დონი, უ.ბ. იეიტსი, ტ.ს. ელიოტი, თბ., 1984 წ.
103. ქებურია, 2010– ნ.ქებურია, თსდასუ, ინგლისური ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, XVI სამეცნიერო კონფერნეცია, თბ., 2010 წ.
104. შავიშვილი,1957 – თ.შავიშვილი, ფიგულარული სიტყვა-თქმების კრებული, თბ.,1957 წ.
105. შარაშენიძე, 2002 – ნ.შარაშენიძე, ადამიანის სულიერი კულტურა და ქცევის ეთიკა,თბ., 2002 წ.
106. ჩიქობავა,თოფურია,1990–არნოლდ ჩიქობავა; ვარლამ თოფურია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,თბ.,1990 წ.
107. ჩხეიძე, 2002 – რ.ჩხეიძე, პეიზაჟები, რომელთაც შევყურებთ, "ახალი ეპოქა",№ 33, 2002 წ.
108. ჩხეიძე,1994 – რ.ჩხეიძე, იდუმალ წამთა ათინათი, "ლიტერატურული საქართველო", №15,1994 წ.
109. ჩხენკელი,1977 – თ.ჩხენკელი, წერილები, თბ.,1977 წ.
110. ჩხენკელი,1982 – თ.ჩხენკელი, ფსევდო სიმართლის ფასი, "ცისკარი", №12,თბ.,1982 წ.
111. ცინცაძე, 1981 – გ.ცინცაძე, პიროვნება, დრო, განწყობა, თბ.,1981 წ.
112. ღლონტი, 1984 – ა.ღლონტი, ქართულ კილო-კავთა სიტყვის კონა, თბ.,1984წ.
113. ყიასაშვილი, 1992– ნ.ყიასაშვილი, სტატია "სიმბოლო და იგავი გოლდინგის რობინზონადაში", კრებულიდან სქილასა და ქარიბდას შორის,თბ., 1992წ.
114. ყიასაშვილი,1984 – ნ.ყიასაშვილი,"ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურა ინგლისში, "მნათობი", №4, თბ.,1984 წ.
115. ყიასაშვილი,1963 – ნ.ყიასაშვილი, ერთი უნიკალური წიგნის შესახებ, ლიტერატურული საქართველო,თბ.,26.07.1963 წ.
116. წიბახაშვილი,1975 – გ.წიბახაშვილი, თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი, "კრიტიკა", №2, თბ., 1975 წ.

117. წიბახაშვილი,2000– გ.წიბახაშვილი, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თსუ, 2000 წ.
118. ჭავჭავაძე,1953– ი.ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III,თბ., 1953 წ.
119. ჭავჭავაძე,1965– ნიკო ჭავჭავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, თსუ,გვ. 105-106 ,თბ.,1965 წ.
120. ჭარხალაშვილი, 1968–ზ.ჭარხალაშვილი, სოფოკლე, შექსპირი, ბრეჰტი ,,საბჭოთა ხელოვნება, № 7, თბ., 1968 წ.
121. ჭითანავა, 2008 – ლ.ჭითანავა, მწერალი ქალბატონები XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში, შრ.კრ.,თბ., 2008 წ.
122. ძველი და ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989, (მოციქულთა საქმე, 2-2, 3-4, პირველი კორინთელთა მიმართ, 12-7,10) 1989 წ.
123. ხუციშვილი,1989 – მ.ხუციშვილი, ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმა-ნების პრობლემები,თბ., 1989წ.
124. ჰაასი, 1962 – უ. ჰაასი, თარგმნის თეორია ჟურნ. "ფილოზოფი", ივლისი, ლონ-დონი, №141, 1962 წ.

1. Арнольд,1990– И.В. Арнольд, Стилистика современного английского языка, М., 1990 г.
2. Бархударов,1975– Л.С. Бархударов, Язык и перевод, М., 1975 г.
3. Белопольский,1987– В.И. Белопольский, Достоевский и философская мысл его эпохи, Ростов-на-Дону, 1987 г.
4. Брокгауз,1896– Энциклопедический словаръ, Брокгауза и Ефрона, т.19,1896г
5. Влахов,1980– С. Влахов, Флорин С., Непереводимое в переводе, М., 1980 г.
6. Гей,1967– Н.К.Гей, Искусство слова. О художественности литературы, М., Наука, 1967 г.
7. Гегель,1975– Г.В. Гегель, Философия природы. В кн.: Энциклопедия философских наук, т. 2, М., 1975 г.

8. Гашева,1983– Н.В. Гашева, Взаимодействие национальных литератур XX века, Пермь, 1983 г.
9. Гальперин,1974– И.Р. Гальперин, Информативность единиц языка, М., 1974 г.
10. Гумбольдт,1985- В. Гумбольдт, О различии изучения языков применительно к различным эпохам их развития, М., 1985г.
11. Дейк,1978– В.Т. Дейк, Вопросы Прагматики текста, в сб. Новое в зарубежной лингвистике, 7, „ ПРОгресс“ 1978 г.
12. Долгополов,1973- Ю.А. Долгополов, Сопоставительный анализ соматической фразеологии (на материале русского, немецкого и английского языков), АКД, 1973 г.
13. Дюришин,1979- Д. Дюришин, Теория сравнительного изучения, М., 1979 г.
14. Долгополов,1973- Ю.А. Долгополов, Сопоставительный анализ соматической фразеологии (на материале русского, немецкого и английского языков), АКД, 1973 г.
15. Засурский,1966- Я.Н. Засурский, Американская литература XX века, М., 1966 г.
16. Звединцев,1964- В.Ж. Звединцев, История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, т. 1, М., 1964 г.
17. Каде,1978- О. Каде, Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, Международные отношения, М., 1978 г.
18. Колшанский,1984- Г.В. Колшанский, Коммуникативная функция и структура языка, М., 1984 г.
19. Кухаренко,1979- В.Л. Кухаренко, Интерпретация текста, М., 1979 г.
20. Кашкин,1959- И.Ж. Кашкин, Мастерство перевода, М., Советский писатель, 1959 г.

21. Комиссаров,1973- В.Н. Комиссаров, Слово о переводе, М., 1973 г.
22. Комиссаров,1980- В.Н. Комиссаров, Лингвистика перевода, 1980 г.
23. Кудрявцев,1969- Ю.Г. Кудрявцев, Бунт и религия, М., 1969 г.
24. Кунин,1971- А.В. Кунин, Фразеология современного английского языка, М., 1971 г.
25. Кашина,1986- Н.В. Кашина, Человек в творчестве Ф.М. Достоевского, М., 1986 г.
26. Лосев,1994- А.Ф. Лосев, Миф, число, сущность, М., 1994 г.
27. Лотман,1970- Ю.М. Лотман, Структура художественного текста, М., 1970 г.
28. Маковский,1961- М.М. Маковский, Структурные особенности современных английских диалогов, Иностранные языки в школе, №5, М., 1961 г.
29. Мамиконян,1967- О.Л. Мамиконян, Человек и его образ в литературе, Автореферат, Е.,1967 г.
30. Морозова,1990- Т.Л. Морозова, Спор о человеке в американской литературе, М., 1990 г.
31. Николькин,1987- А.Н. Николькин, Взаимосвязи литератур России и США, М., 1987 г.
32. Нойберт,1978- А. Нойберт, Прагматические аспекты перевода. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978 г.
33. Остин,1988- Дж. Остин, соч. П, М., 1988 г.
34. Райснер,1976– Э. Райснер, Восприятие и исключение, «Сравнительное изучение литературы», Л., 1976 г.
35. Торщев,1950– Г.П. Торщев, Фонетика английского языка, М., 1950 г.
36. Храпченко,1982– М.Б. Храпченко, Горизонты художественного образа, М., 1982 г.

37. Федь,1978– Н.И. Федь, Исткусство комедии, или мир сквозь смех,Наука М., 1978 г.
38. Библейская Энциклопедия в двух томах,“Центурион“, М.1991 г.
39. Библия и Наука в двух томах, Санкпетербург, М. 1870 г.
40. Англо-русский фразеологический словарь,Русский Язык, М .,1984 г.
41. Лингвистический Энциклопедический словарь, гл. Ред. В. Н. Ярцева, М.,1990 г.
42. Литературный Энциклопедический словарь М 1987 г.
43. Краткий словарь когнитивных терминов, сос. Кубрякова Е. С.,Демянков В.Панкрац Ю. Г., М .1996 г.
44. Bronte, Ch. 1847 y. Jane Eyre, www.planetebok.com/Jane-Eyre.asp
45. Nevell,1954- L.P.Nevell, Bronte Letters, 1954 y.
46. Miller,1954- G. Miller, Beebe – Center, Some Psychological Methods for Evaluating the Quantity of Translation, “Mechanical Translation”, III, 1959y.
47. Thackeray,1946- W.Thackeray, The Letters and Private Papers, 1946y.
48. Quality of Translation, Proceedings of the III Congress of LFT, 1956y.
49. Lespersen,1935- O.Lespersen, Growth and Structure of the English Language,Leipzig, 1935y.
50. Longrace,1977- R.Longrace, Levinsion S., Field analysis of discourse. In: Current trends intexstlinguistics, W. Dressler (ed), Berlin /New York, 1977y.
51. Lyons,1968- J.Lyons, an intordaction to Theoretical Linguistics, Cambridge Univercity Press, 1968y.
52. Lyons,1977- J.Lyons, Semantics, Vols. 1&2, Cambridge Univercity Press, 1977y.
53. Mey,1993- J.Mey, Pragmatics, Oxsford UK & Cambridge USA, 1993y.

54. Tannen,1982- D.Tannen, Oral and literate strategies in spoken and written narratives, Language 58.1,1982y.
55. Tannen,1996- D.Tannen, Talking Voices. Repetition, dialogue and imagery inconservational discourse, Cambridge University Press, 1996y.
56. The Oxford Companion to English Literature, edited by Sir Poul Harvey, Fourth Edition Revised by Dorothy Eagle, Oxford, Clarendon Press, 1975y.
57. The Movement of English Prose, London, Longman, 1966y.
58. Llysh,1971- B.Llysh, The structure of Modern English, Leningrad, Prosveshenie,1971y.
59. Jacobson,1960- R.Jacobson, Closing statement: Linguistics and poetics, Cambridge, MA: MIT press, 1960y.
60. Lakoff,1992- G.Lakoff, The Contemporary Theory of Metaphor, In Ortony, Andrew (ed),Metaphor andThought (2nd edition),Cambridge University Press,1992y.
61. Language Files, Pragmatics: Speech Acts, File 71, Fifth edition, 1991y.
62. The Oxford Companion Dictionary of linguistics, Oxford University Press, 1997y.
63. The Oxford Companion to English literature, Editied by Sir Paul Harvey, Forth Edition Revised by Dorothy Eagle, Oxford, Clarendon Press,1975y.
64. Widdowson,1980- H.Widdowson, Strategies for discourse processing, counsil of Eourope, Strasburg, 1980y.
65. Austin,1965- J. i.Austin, How to do Things with Words. N-Y Oxford University Press,1965y.

სარჩევი

შესავალი..2

თავი I

ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის მოკლე მიმოხილვა 6

თავი II

შტრიხები შარლოტა ბრონტეს ბიოგრაფიიდან 22

თავი III

ქართული თარგმანის მხატვრული ღირებულება შარლოტა ბრონტეს

რომანში _ "ჯეინ ეარი"..30

ა) თავისუფალი ნება "ჯეინ ეარის" მთავარ პერსონაჟში.......................................33

ბ) გმირის ხასიათი..46

გ) სიმბოლოები "ჯეინ ეარის" ქართულ თარგმანში 72

დ) ბუნება...85

ე) მისტიკა...91

ვ) რომანში ჩართული ლექსების თარგმანი 98

ზ) სტილი...110

თავი IV

თარგმანის ენა 124

ა) ხატოვანი შედარებები..124

ბ) ფრაზეოლოგიზმები..133

გ) შორისდებულები ორიგინალსა და თარგმანში...138

დ) იდიომები..141

ე) იდიომთა ლექსიკონი...147

ვ) მიმართვის ფორმები...156

დასკვნა 165

გამოყენებული ლიტერატურა 180